

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ნესტან ღამბაშიძე

ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური
მოღვაწეობა XIX საუკუნეში

(მელანია მამაცაშვილი, ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი,
ანასტასია თუმანიშვილი, დომენიკა ერისთავი, ნინო ყარანგოზიშვილი)

*სამეცნიერო ხელმძღვანელი
ნინო მამარდაშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი*

თბილისი
2020

სარჩევი

ანოტაცია	3
ანოტაცია (ინგლისურ ენაზე).....	6
შესავალი	8
თავი I. XIX საუკუნის II ნახევრის სოციოკულტურული ვითარება და „ქალთა საკითხის“ აქტუალიზაცია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში.....	12
§1. „თერგდალეულებისა“ და „ხალხოსნების“ იდეოლოგიური წანამძღვრები.....	14
§2. ლიბერალური იდეოლოგიის წარმოშობა და ქალთა ემანსიპაციის საკითხი საზოგადოებრივ აზროვნებაში.....	16
§3. სერგეი მესხის წერილი „ხამი მოგზაურის ფიქრები და შენიშვნები“ (მსოფლმხედველობრივი ასპექტები)	19
§4. ქართული ლიბერალური პერიოდული გამოცემები: „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“	25
თავი II. ქალთა საზოგადოებრივ-პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობა XIX საუკუნის II ნახევარში.....	34
§1. მელანია მამაცაშვილი-ბადრიძის საზოგადოებრივ-პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობა	35
§2. ბარბარე ჯორჯაძის პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობა	42
§3. ეკატერინე გაბაშვილის პუბლიცისტურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება	73
§4. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის საზოგადოებრივ-პუბლიცისტური, ლიტერატურული და მთარგმნელობითი საქმიანობა.....	102
§5. დომენიკა ერისთავის (განდევილი) საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა	133
§6. ნინო ყარანგოზიშვილი-პოეტი ქალი.....	159
დასკვნა	168
დამოწმებული ლიტერატურა	171

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია ქალთა გააქტიურების პროცესი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე XIX საუკუნეში. გაანალიზებულია ქართველ მწერალ ქალთა პუბლიცისტური მემკვიდრეობა და მხატვრული ტექსტები პრესაში გამოქვეყნებული მასალების, სამეცნიერო ლიტერატურის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მასალებზე დაყრდნობით. კვლევის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს ქალთა ემანსიპაციის საკითხის განხილვა ევროპულ კონტექსტში. კვლევის აქტუალურობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ქალთა საკითხი არასდროს ყოფილა ყურადღების მიღმა, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას არაერთი გამოკვლევა მიემდგინა. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა გააზრებულ იქნას XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, როგორც ერთიანი პროცესი.

ნაშრომში მოკლედაა ასახული XIX საუკუნის საქართველოს სოციოკულტურული მდგომარეობა; პოლიტიკური ფონი და ის საკვანძო მოვლენები, რომლებმაც განსაზღვრა ქალთა გააქტიურება საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. XIX საუკუნის მეორე ნახევარი დიდი ცვლილებებით ხასიათდება. აღნიშნული პერიოდიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა თაობა, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული კულტურისა და ყოფის ევროპეიზაცია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება განსაკუთრებული ძალით ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების მოდერნიზაცია.

ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული ისეთი საკითხები როგორცაა: ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ლიბერალიზმის პრინციპების გაცნობა, ადამ და ევას თანასწორობის საკითხი, ქართველი ქალების ღვაწლი მისიონერობასა და მენელსაცხებლობაში. უცხო ქვეყნების ცხოვრებისეული პრაქტიკის გაცნობა-გაზიარება, შეფასებულია, როგორც პროგრესული მოვლენა, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომში სათანადო ადგილი ეთმობა, ლიბერალური აზროვნების პერიოდულ გამოცემებს როგორცაა: „დროება“, „ივერია“, „საქართველოს მოამბე“. აღნიშნულ

ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა პუბლიკაციები, რომლებიც ეხებოდა ქალთა საკითხის აქტუალიზაციას. წარმოდგენილი მოკლე ექსკურსი გვამღევეს საშუალებას სწორად იყოს გაანალიზებული ქართველ ქალთა ემანსიპაციის საკითხი და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააქტიურების პროცესი, სათანადოდ წარმოჩინდეს ის ღვაწლი, რომელიც ეკისრებოდათ ქალებს ქვეყნის მართვასა და განვითარებაში.

ნაშრომში შესწავლილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა პუბლიცისტური მემკვიდრეობა. გაანალიზებულია **მელანია ბადრიძის, ბარბარე ჯორჯაძის, ანასტასია თუმანიშვილისა, ეკატერინე გაბაშვილის, დომენიკა ერისთავის**, პუბლიცისტური წერილები, წარმოჩენილია მათი პუბლიცისტიკის ძირითადი აქცენტები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „ქალთა საკითხის“ რეცეფციაზე მათ პუბლიცისტურ შემოქმედებაში.

ნაშრომში წარმოდგენილია ზემოთხსენებული ქალი მწერლების მოკლე ბიოგრაფიები, გაანალიზებულია, მხატვრული ტექსტები, პოეტური, პროზაული, და დრამატული თხზულებანი, **განხილულია მელანია მამაცაშვილის** ერთი დაუმთავრებელი მოთხრობა და ავტობიოგრაფილი წერილი. ვრცლადაა წარმოდგენილი **ბარბარე ჯორჯაძის** შემოქმედება, გამოყოფილია მისი პოეზიის საკვანძო მოტივები. წარმოჩენილია ბარბარე ჯორჯაძის დრამატურგიის ადგილი ქართული დრამატული მწერლობის განვითარების ისტორიაში.

ნაშრომში გაანალიზებულია **ეკატერინე გაბაშვილის** ლიტერატურული მემკვიდრეობა, არგუმენტირებულად გამყარებულია, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ეკატერინე გაბაშვილისა და გიდე მოჰასანის შემოქმედებითი ნათესაობის შესახებ.

საბავშვო თხზულებებზე დაყრდნობით და ანალიზით წარმოჩენილია **ანასტასია თუმანიშვილის** შემოქმედება. ცხადაა ნაჩვენები აღნიშნული ავტორის ღვაწლი საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

საფუძვლიანადაა განხილული **დომენიკა ერისთავის** ლიტერატურული მოღვაწეობა, გამოკვეთილია მისი თანამშრომლობა სამოციანელებთან, აღნიშნულია მისი გულშემატკივრობა კლასიკოსი მწერლების მიმართ. გამოკვეთილია, ის, საერთო მსგავსება, რომელიც აერთიანებდა დომენიკა ერისთავს და ფრანგ მწერალ ქალს ჟორჟ სანდის.

ნაშრომში წარმოდგენილია ფართო საზოგადოებისთვის უცნობი პოეტი ქალი ნინო ყარანგოზიშვილი, რომელსაც ლექსების კრებული აქვს გამოცემული, განხილულია მისი ლექსები, გამოყოფილია ძირითადი აქცენტები, გავლენები, რომელსაც პოეტი ქალი განიცდიდა ძველი მწერლების პოეზიასთან მიმართებაში.

ნაშრომში, აგრეთვე შესწავლილია ქართველ ქალთა მთარგმნელობითი საქმიანობა.

წინამდებარე ნაშრომში ნათლად არის გამოკვეთილი ქართველ მწერალ ქალთა შემოქმედების ძირითადი ასპექტები და მიმართებები XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ მწერლობასთან. გამოყოფილია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც მოქცეული იყო ხსენებული მწერალი ქალების საერთო ინტერესის სფეროში. შეფასებულია მათი საერთო და განმასხვავებელი მიდგომები, ის მნიშვნელოვანი წვლილი, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველმა ქალებმა შეიტანეს ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საქმეში.

Annotation

The paper examines the process of women's activism in the field of literary and public life in the nineteenth century. The journalistic legacy and artistic texts of Georgian women writers have been analyzed based on the materials published in the press, scientific literature, the Korneli Kekelidze Georgian National Center for Manuscripts and the Giorgi Leonidze State Museum of Literature. The main focus of the research is to discuss the issue of women's emancipation in the European context. An indicator of the relevance of the study is the fact that the issue of women has never been beyond attention, a number of studies have been devoted to the equality of women and men. Our dissertation is an attempt to understand the literary-publicist and public activities of women in the second half of the 19th century as a unified process. The paper briefly reflects the socio-cultural situation in Georgia in the 19th century; Political background and key events that determined women's activism in public life. The second half of the 19th century was marked by great changes. From that period, a generation emerged in the field of work with the purpose of the Europeanization of Georgian culture and existence. It is from this period that the modernization of Georgian literary and public thought begins with special force. The paper discusses issues such as: the principles of liberalism based on the Christian worldview, the issue of equality between Adam and Eve, the practice of living abroad, the merits of Georgian women in missionary work and menopause. An appropriate place in the work is given to publications of liberal thought such as: "Droeba", "Iveria", "Georgian Moambe". The mentioned magazines and newspapers published publications on actualization of the issues of women. The short excursion presented allows us to properly analyze the issue of emancipation of Georgian women and the process of activating them in public life, to properly present the work that was done to women in the management and development of the country. The paper examines the publicist legacy of women in the second half of the 19th century. The publicist letters of **Melania Badridze, Barbara Jorjadze, Anastasia Tumanishvili, Ekaterine Gabashvili, Domenika Eristavi** have been analyzed, the main accents of their journalism have been presented. Particular attention is paid to the reception of "women's issues" in their publicist work. The paper presents short biographies of the above-mentioned female writers, analyzes the fictional texts, poetic, prose, and dramatic works, discusses one unfinished story by **Melania Mamatsashvili** and an autobiographical letter. The work of Barbara Jorjadze is presented in detail, the main motives of her poetry are separated. The place of **Barbara Jorjadze's** drama in the history of the development of Georgian dramatic writing

is presented. The paper analyzes the literary heritage of **Ekaterine Gabashvili**, argues that the opinion expressed in the scientific literature about the creative relationship between Ekaterine Gabashvili and Guy de Mopasan is well-founded. **Anastasia Tumanishvili's** work is presented based on children's works. The merits of this author in the development of children's literature are clearly shown. The literary work of Domenica Eristavi is thoroughly discussed, her collaboration with the sixties is outlined, and her admiration for classical writers is noted. a common resemblance that united Domenica Eristavi and the French writer George Sand is outlined. The work presents the poet **Nino Karangozishvili**, a poet unknown to the general public, who has published a collection of poems, discusses her poems, highlights the main accents and influences that the female poet has experienced in relation to the poetry of ancient writers. The paper also examines the translation work of Georgian women. The present paper clearly outlines the main aspects and relations of the work of Georgian women writers with the Georgian classical literature of the XIX century. The main problems of the mentioned writer in the field of common interest of women are outlined. Their common and distinctive approaches, the significant contribution of Georgian women in the second half of the 19th century to raising Georgian public awareness, are evaluated.

შესავალი

XIX საუკუნე მრავალმხრივ გამორჩეულია ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში. ამ ასწლეულში ხდება საზოგადოებრივი აზროვნების ფუნდამენტური მოდერნიზაცია. ესაა კლასიკური ლიბერალიზმის ეპოქა, როდესაც პიროვნების ღირსებისა და თავისუფლების პრობლემა საყოველთაო განსჯის საგანი ხდება. ლიბერალიზმის ეპოქის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ქალთა საკითხის აქტუალიზაცია მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში, ქალთა აქტიური ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის. ამ პერიოდიდან ქალები თანდათან იქცევიან სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და აქტიურ საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებენ. ეს პროცესები საქართველოს ცხოვრებამაც აისახა.

ჩვენი საკვლევი თემის საკითხია ქართველ ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნეში.

XIX საუკუნის პირველი ნახევარი საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალების განსაკუთრებული გააქტიურებით არ გამოირჩევა. აღსანიშნავია მხოლოდ ლიტერატურული სალონები, რომელთა დაარსებაში ქალების როლი დიდი და მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ლიტერატურულმა სალონებმა ხელი შეუწყო თავისუფლებისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას. ქართველ ქალთა გააქტიურება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ეს პერიოდი დიდი ცვლილებებით ხასიათდება. ახალმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ახალი თაობა დაბადა და ახალი საზოგადოებრივი აზროვნება წარმოშვა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში დიდი გარდატეხა მოხდა. ამ პერიოდიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა თაობა, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული კულტურისა და ყოფის ევროპეიზაცია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება განსაკუთრებული ძალით ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების მოდერნიზაცია, რომელსაც საფუძველი საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია კომპლექსურად შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ XIX საუკუნეში მოღვაწე ქართველ მწერალ ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, განვსაზღვროთ მათი როლი,

მნიშვნელობა და ზეგავლენა ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში; გამოკვეთოთ მათი შემოქმედების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, საკვანძო თემები და წარმოვაჩინოთ ქალთა ლიტერატურული საქმიანობის ევოლუციის პროცესი.

კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა არ დარჩენილა ქართველი მეცნიერების ყურადღების მიღმა, ჯერ მაინც არ არსებობს ფუნდამენტური კვლევა, რომელიც პასუხს გასცემდა აღნიშნულ საკითხებს. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა მუდმივად განსჯის საკითხია. XIX საუკუნეში მოღვაწე მწერალ ქალთა შემოქმედების პრობლემატიკას თუ მხატვრულ მხარეს მიეძღვნა ქართველი ლიტერატურათმცოდნეებისა და კრიტიკოსების ცალკეული ნაშრომები, მაგ.: **იერემია ქარელიშვილმა** ფუნდამენტურად შეისწავლა და გამოიკვლია **ეკატერინე გაბაშვილის** ცხოვრება და მოღვაწეობა. სწორედ მის ნაშრომში გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ ეკატერინე გაბაშვილის მხატვრული ტექსტებში შესამჩნევი იყო გავლენა გი დე მოპასანის ნაწარმოებებისა. შემდგომში ეს კვლევა ჩვენ მიერ გაღრმავდა. **ანასტასია თუმანიშვილის** შემოქმედებას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა **მიხეილ ხელთუბნელმა**. ანასტასია თუმანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა აგრეთვე **სერგეი მინაშვილის** ფუნდამენტური მონოგრაფია: „ანასტასია თუმანიშვილი“. მწერალმა ქალმა **ნინო ჩიხლაძემ** წარმოადგინა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებაში აქტიური ქალების მოკლე ბიოგრაფიები. მრავლადაა ცალკეული წერილები, რომლებიც ქალთა საკითხს ეძღვნება.

თუმცა არ შექმნილა ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც სრულად წარმოაჩენდა ქართველ ქალთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის სრულ, ერთიან სურათს, როგორც ისტორიულად განვითარებად პროცესს, გვიჩვენებდა იმ შინაგან კავშირებს, რომლებიც არსებობდა ერთსა და იმავე თუ სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალ ქალთა შემოქმედებაში. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენი საკვლევი საკითხის აქტუალობას.

ნაშრომი შესრულებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომის საფუძველზე. კვლევისას, ძირითადად, ვეყრდნობოდით ისტორიულ-შედარებით, დესკრიფციულ და კომპარატივისტულ მეთოდებს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ესაა მცდელობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გააზრებულ იქნას, როგორც ერთიანი ევოლუციური პროცესი. სადისერტაციო ნაშრომში ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე კვლევების გათვალისწინებით კომპლექსურადაა დანახული და შეფასებული XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, ქართველი მწერალი ქალების ლიტერატურული ტექსტების (ეკატერინე გაბაშვილი, დომენიკა ერისთავი) მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ ტექსტებთან შედარება (გი დე მოპასანი და ჟორჟ სანდი) მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში. ამასთანავე, ჩვენ მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ქართველ მწერალ ქალთა ბიოგრაფიებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი აქამდე უცნობი საარქივო მასალა.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი დახმარებას გაუწევს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის, ქართული პუბლიცისტიკის ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევრებს. იგი შეიძლება გამოიყენონ დამხმარე მასალად ამ საკითხით დაინტერესებულმა სტუდენტებმა. ნაშრომი გამიზნულია აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 177 გვერდს. იგი შედგება შესავლის, 2 თავისა და დასკვნისაგან. შესავალში გადმოცემულია სადისერტაციო თემის შერჩევის მიზანი და ამოცანები. გამოკვლეულია თემის აქტუალურობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის სტრუქტურა ასეთია:

პირველ თავში წარმოდგენილია XIX საუკუნის საქართველოს სოციოკულტურული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა. აღწერილია, თუ როგორ მიმდინარეობდა პროცესები იმისათვის, რომ ქალები საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყვნენ და თავიანთი წვლილი შეეტანათ საქვეყნო საქმეში;

მეორე თავში განხილულია ქალთა ემანსიპაციის საკითხი ევროპულ კონტექსტში. გადმოცემულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე იმ ქალთა გალერეა, რომლებიც თამამად გამოვიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე და საფუძველი ჩაუყარეს ქალთა გააქტიურების საკითხს საქართველოში;

წარმოდგენილია ქალთა მხატვრული ტექსტების ანალიზი, გამოკვეთილია მათი შემოქმედების მიმართებები XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ მწერლობასთან.

დასკვნაში შეჯამებულია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც გამოიკვეთა მწერალი ქალების საერთო ინტერესების სფეროში.

თავი I

XIX საუკუნის საქართველოს სოციოკულტურული ვითარება და „ქალთა საკითხის“ აქტუალიზაცია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში

XIX საუკუნეში საქართველოში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენები, ცხადია, დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე. XVIII საუკუნის ბოლო საქართველოსთვის, როგორც თავისუფალი ქვეყნისთვის, უკანასკნელი წლები აღმოჩნდა. 1801 წელს ჯერ აღმოსავლეთ საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, ხოლო მალევე დასავლეთ საქართველომაც. საქართველო რუსეთის დიდი იმპერიის პატარა პროვინციად იქცა. აღნიშნულმა ფაქტმა სრულიად შეცვალა ქართველი ხალხის სულიერი თუ მატერიალური მდგომარეობა. ამ ფაქტს ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარე ბუნება და ხასიათი, ცხადია, ვერ ეგუებოდა. ამის გამოვლინება იყო 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა, 1804 წლის, 1812-1813 წლების, 1819-1820 წლების აჯანყებები და 1832 წლის შეთქმულება. 1832 წლის შეთქმულება განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ ეროვნულ მოძრაობაში. აღნიშნული შეთქმულება წარმოადგენდა ქართველთა, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ორგანიზებულ მუშაობას ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის.

1800 წლიდან დაიწყო „ახალი ხანა“ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიაში. „ეს წელი უღელტეხილია ჩვენი ერის ცხოვრებაში, იმას იქით დარჩა სხვა საქართველო, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად, აქეთ კი ახალი ქვეყანა გადაიშალა“ (კოტეტიშვილი 1965: 178). სწრაფვა ევროპულ კულტურასთან დაახლოებისაკენ, რომელიც შეწყვეტილ იქნა 1832 წლის შეთქმულების ჩახშობით, სწორედ სამოციანელებმა ააღორძინეს. ისინი 1832 წლის შეთქმულთა სულიერ მემკვიდრეებად მოგვევლინენ.

როგორც არჩილ ჯორჯაძე წერდა: „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება გავეროპელება ქართული აზრისა“ (ჯორჯაძე 1989: 258). ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც ქართულ სინამდვილეში რაღაც სრულიად ახლის, მანამდე უცნობის შემოღება და დანერგვა. ფრიდრიხ ნიცშეს განსაზღვრებით, „ევროპაში იგულისხმებიან არა შორეული და ყველა ხალხი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც

აქვთ ერთიანი წარსული - ბერძნული და რომაული სამყაროს, ბიბლიისა და ქრისტიანობის სახით“ (ნიცშე 1911: 299). ცხადია, ამ განსაზღვრების მიხედვით, საქართველოც იმთავითვე ევროპულ არეალში მოიაზრება, როგორც ქრისტიანული საწყისებისა და ბერძნულ-რომაული კულტურული ღირებულებების გამთავისებელი ქვეყანა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი ეტაპი იწყება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ამ პერიოდიდან თანდათან იცვლება ქვეყნის სოციოკულტურული ვითარებაც. 1845 წლის დეკემბერში საქართველოში ჩამოვიდა კავკასიის ახალი მმართველი, მეფისნაცვალი **მიხეილ ვორონცოვი**. ვორონცოვმა საქართველოში ფართო სპექტრით მრავლმხრივი რეფორმები განახორციელა. იგი ხელს უწყობდა ქართული კულტურის აღორძინებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მმართველობის დროს განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი და ქვეყნისთვის სასიკეთო მოვლენა: ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა ყველა ტიპის სასწავლებელში; მისი ინიციატივით დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა; თბილისში გაიხსნა წიგნების მაღაზია; დაარსდა ქართული თეატრი; გამოიცა ძველი ქართული თხზულებანი („წყობილსიტყვაობა“ და „დიდმოურავიანი“); დაარსდა სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი (ქუთაისში, თიანეთში). როგორც XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ცნობილი მკვლევარი თ. ჯოლოგუა წერს: „ვორონცოვს საქართველოს აღორძინების გზად მიაჩნდა ქართული საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიური, კულტურულ-საგანმანათლებლო სალიტერატურო ცხოვრების ევროპეიზაცია. ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართველი ხალხის, ქართული ენის, კულტურის ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების მიმართ“ (ჯოლოგუა 2013:109).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ვორონცოვის მმართველობის პერიოდთან დაკავშირებით, ფაქტია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი დიდი გარდატეხის სათავე სწორედ მისი მოღვაწეობის პერიოდიდან იწყება. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში დაარსდა სტიპენდიები რუსეთში განათლების მისაღებად წასული ახალგაზრდებისთვის, გაიზარდა სასწავლებლად წასულ სტუდენტთა რაოდენობაც. ეს იყო ნაყოფიერი შედეგი სამომავლოდ.

§1. „თერგდალეულებისა“ და „ხალხოსნების“

იდეოლოგიური წანამძღვრები

უცხო ქვეყნებში განათლებამიღებულმა ახალგაზრდებმა ჩამოიტანეს ახალი იდეები და დაიწყეს საქართველოს სოციოკულტურული სივრცის განახლება. რუსეთში სწავლა-განათლებამიღებულმა სამოციანელთა თაობამ, თერგდალეულებმა, გააცნეს საზოგადოებას ლიბერალური ღირებულებები, ხელი შეუწყვეს ქართული კულტურის აღორძინებას, ქართულ საზოგადოებაში გააღვიძეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუხტი.

„თერგდალეულთა“ თაობამ ახალი ერა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. ამ თაობის წარმომადგენლები არიან: **ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი** და სხვა. „თერგდალეულთა“ პროგრამა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ განვითარებას. მათი მიზანი იყო პიროვნული თავისუფლების, არჩევანის თავისუფლების გაღვიძება საზოგადოებაში, რაც კლასობრივად დაჩაგრულ ქვეყანაში არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. სამოციანელთა თაობამ დააყენა ადამიანის თავისუფლების საკითხი. მათ მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინეს რუსი მედასავლეთეების: ნ. ჩერნიშევსკის (1828-1889), ბ. ბელინსკის (1811-1848), ა. გერცენის (1812-1870), ნ. დობროლიუბოვის (1836-1861) ლიბერალურ-დემოკრატიულმა იდეებმა. გარდა ამისა, სამოციანელები საფუძვლიანად იცნობდნენ დასავლეთ ევროპის მოაზროვნეთა ნაშრომებსაც.

ახალი ეპოქის სულისჩამდგმელად რუსეთში ნ. ჩერნიშევსკი მიიჩნევა. ილია ჭავჭავაძე პატივს სცემდა მის თეორიულ პრინციპებს, ასევე მისი ლიტერატურული ბრძოლის გამოცდილებასაც. ჩერნიშევსკის განსაკუთრებული პატივისმცემელი იყო ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც გადასახლებაში მყოფი ჩერნიშევსკის ნაწარმოები „რა ვაკეთოთ“ ჟენევაში გამოსცა და ამით ხელი შეუწყო თხზულების გადარჩენას.

ილია ჭავჭავაძე ეზიარა ბ. ბელინსკის შეხედულებებსაც, მის თეორიულ-ესთეტიკურ პრინციპებს. სამოციანელთათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ა. გერცენის ნააზრევსაც, რომელმაც განიცადა „იდეოლოგიური ტრანსფორმაცია“ და მკვეთრად იცვალა გეზი რევოლუციური პროცესების წარმართვის დროს. იგი წინააღმდეგი იყო ძლიერი აგრესიით საზოგადოებრივი წყობილების ცვლილებისა და

მშვიდი, უსაფრთხო გზის არჩევას ცდილობდა. ერთი რამ ფაქტია: ქართველ სამოციანელთა იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე ზემოთ ხსენებულმა მოღვაწეებმა გარკვეული გავლენა იქონიეს.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება განსაკუთრებული გამოცოცხლება, „გავეროპელება“ ქართული აზრისა. ილიას ხელმძღვანელობით იხსნება სათავადაზნაურო ბანკი, არსდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ნელ-ნელა იღვიძებს პიროვნულ თავისუფლებაზე ფიქრი საზოგადოებაში.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მნიშვნელოვან შენაკადს ქმნის აგრეთვე „ხალხოსნობა“. რუსი ინტელიგენცია მსჯელობდა, როგორ შეეტანათ გლეხებში განათლება. ისინი მიიჩნევდნენ, რომ გლეხებზე გადაიარა რუსეთის ტანჯვა-წამებამ, მათ შრომას უნდა აფასებდნენ. ეს იყო არსი იმ მოძრაობისა, რომელიც „ნაროდნიკული“ მოძრაობის სახელით შევიდა პოლიტიკურ ისტორიაში. „ნაროდნიკული“ მოძრაობის წამომწყებად ჩადაევის აზრიც შეიძლება ჩაითვალოს. ის ამბობდა: „რუსეთს მსვლელობის განსაკუთრებული გზა აქვს გასავლელი, რუსეთი გადაწყვეტს ამ საკამათო საგნებს, რომელიც დღეს ევროპას აღელვებს, რაკი ჩვენ სხვებზე უფრო გვიან გამოვედით სამოქმედოთ, სხვებზე უფრო კარგად ვიმოქმედებთ“ (ვაჩნაძე 2004: 200).

„ნაროდნიკების“ იდეოლოგიამ საქართველოშიც ჰპოვა გამოხმაურება. საქართველოშიც გაჩნდნენ „ნაროდნიკული“ მოძრაობის მიმდევრები. ქართული „ხალხოსნური“ მოძრაობის დასაწყისად 1873 წელს ვარაუდობს ს. მაგლობლიშვილი; თავადაც „ხალხოსნური“ მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი მიიჩნევდა, რომ ქართულ „ხალხოსნურ“ მოძრაობას ეტყობა რუსული „ნაროდნიკული“ გავლენის კვალი. საქართველოში „ხალხოსნური“ მოძრაობის მთავარი კერა ქალაქი გორი იყო. აღნიშნული მოძრაობა „ტეტიათა მოტრფიალეთა“ სახელითაც იხსენიება. **ვასილ დეკანოზიშვილი, ეგნატე იოსელიანი, მიხეილ ყიფიანი, მათე კერესელიძე** - ესენი იყვნენ პირველი სულისჩამდგმელნი „ხალხოსანთა“ მოძრაობისა. მოძრაობას შეურთდნენ და თავიანთი ადგილი დაიკავეს **სოფრომ მაგლობლიშვილმა, ნიკოლოზოურმა, ეკატერინე გაბაშვილმა**. მათ პირველებმა წამოიწყეს ხალხში აგიტაცია და ცდილობდნენ, ხალხისთვის დაენახვებინათ რეალობა, რომ მოატყუეს და კვლავ მებატონეებზე დამოკიდებულნი იყვნენ, თუმცა ამ აზრს სუსტი დასაბუთება ჰქონდა.

ამიტომ ქართველ გლეხებსაც დიდად დაინტერესება ამ „საკითხის შეგნებისა“ არ ეტყობოდათ.

ცნობილია, რომ ქართველ სამოციანელებს თავდაპირველად მეტი დამოკიდებულება ჰქონდათ რუს „ნაროდნიკებთან“, ვიდრე ქართველ „ხალხოსნებთან“, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრმად მიბამვა და გავლენა ერთნაირი არ ყოფილა ყველა საკითხის მიმართ. საქართველო თავისუფალი იყო იმ შავ-ბნელი ჩაგვრისაგან, რასაც რუსეთში განიცდიდნენ. რუსეთში მრავალმხრივი ჩაგვრა მიმდინარეობდა: სოციალურ-პოლიტიკური, კლასობრივი. საქართველოში კი ეროვნული ჩაგვრის პროცესი იყო მეტად მტკივნეული. კლასობრივ ბრძოლას ქართველი სამოციანელები პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებლად არ მიიჩნევდნენ. „ჩვენი დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელი ფათერაკისაგან“ (ჭავჭავაძე 1987: 127) - იყო მთავარი სამოციანელთათვის. „წოდებათა შორის ბრძოლას უფლებათა დასაპყრობად“, როგორც ილია წერდა, ჩვენში ადგილი არ ჰქონია. ქართველი სამოციანელები იზიარებდნენ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მატერიალურ ფილოსოფიას, მაგრამ მათ პოლიტიკურ თვალსაზრისს არ იზიარებდნენ. „ჩვენში გლეხსა და სხვა წოდებას შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს“, - წერდა ილია, - „ერთი სიტყვით, ჩვენ ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელზედაც შეიძლება ამოიზარდოს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სასიკეთოდ გაიშალოსო“ (ჭავჭავაძე 1985: 55-56).

XIX საუკუნე თავად დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც უმნიშვნელოვანესი ეპოქა იყო. ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებამ თავის მწვერვალს მიაღწია. სწორედ ამ საუკუნის ინგლისში წარმოიშვა ის იდეოლოგია, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმის სახელწოდებითაა ცნობილი.

§2. ლიბერალური იდეოლოგიის წარმოშობა და ქალთა ემანსიპაციის საკითხი საზოგადოებრივ აზროვნებაში

ლიბერალიზმის ინგლისში წარმოიშობას თავისი მიზეზები ჰქონდა. ეს იდეოლოგია დაუპირისპირდა ტრადიციულ მონარქიულ წყობას, რადგანაც მონარქებს ძალაუფლებასთან ერთად ცდუნება გაუჩნდათ, თავიანთ მოვალეობებში

გაერთიანებინათ სასულიერო პირების ფუნქციებიც, ანუ მიწიერისა და ზეციური ძალაუფლების მატარებლები გამხდარიყვნენ. სწორედ ამ პროცესს დაუპირისპირდა ჯონ ლოკის ლიბერალური სულისკვეთებით განმსჭვალული ნაშრომი „ორი ტრაქტატი მმართველობაზე“, რომლის მიხედვითაც პიროვნებებს გააჩნიათ სრული თავისუფლება, ესწრაფოდნენ საკუთარ ბედნიერებას.

ლიბერალური იდეოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი იმთავითვე გახდა ქალისა და მამაკაცის სრული უფლებრივი თანასწორობის აღიარება.

ანტიკური სამყარო არ იცნობდა ადამიანთა თანასწორობას. ამიტომაც არსებობს მოსაზრება, რომ ლიბერალიზმი ქრისტიანულ წიაღში შეიძლება ჩამოყალიბებულიყო. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ - ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები ეფუძნება ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგიერთ ასპექტს (ლოკი 2016: 247-267).

ბიბლიის მიხედვით, ადამი და ევა პირველ საზოგადოებას ქმნიან სამოთხეში, ერთნაირი უფლებებითა და მოვალეობებით - რაც აკრძალულია ერთისთვის, აკრძალულია - მეორისთვისაც. აკრძალული ნაყოფის ჭამის შემდეგ ღმერთმა სასჯელი ერთნაირად გამოუცხადა ადამსაც და ევასაც. აი, ეს თანასწორობაა ქრისტიანული რელიგიის მთავარი მახასიათებელი (სახელმძღვანელო... 1909: 186-187).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში განსაკუთრებული სიმწვავეით დაისვა საკითხი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ, რადგანაც იმ დროისათვის ქალებს ეკრძალებოდათ განათლების მიღება, არ ჰქონდათ მუშაობის, პოლიტიკური კარიერის უფლება. მაგ.: ინგლისში ისმოდა კითხვა - არიან თუ არა ქალები ადამიანები? ის, ვინც პირველად ქალების დამცველად ინგლისის თემთა პალატას მოეწვინა, იყო **ჯონ სტიუარტ მილი**. მან 1867 წლის 20 მაისს დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების დაკანონება მოითხოვა (მილი 2014: 248-267). პალატა განაცვიფრა მილის ასეთმა წინადადებამ, დასცინეს კიდევ ჯენტლმენ მილს იმის გამო, რომ ქალების დაცვას ითხოვდა. 1869 წელს მილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ქალთა დაქვემდებარება“, რომელშიც წერდა: „ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობა ისტორიულად დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ეს არ წარმოადგენს არგუმენტს, რომელიც გაამართლებს ამ მდგომარეობას მომავალში“. მილი ნაშრომში საუბრობს ქორწინებაში მყოფი ქალების უუფლებობაზე, ასევე, ქალთა შესაძლებლობებზე, რომ მათ შეუძლიათ შეასრულონ მრავალი სამუშაო. მილის ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და მრავალ ენაზე ითარგმნა.

დედოფალ ვიქტორიას მმართველობის ხანა (1837-1901) - „ვიქტორიანული ეპოქა“ - მიჩნეულია ქალისა და მამაკაცის რეალური თანასწორობის დასაბამად. მან მთელი ეპოქა შექმნა. ინგლისის ისტორიაში დედოფალი ვიქტორია არ გამოირჩეოდა ქალთა უფლებებზე ზრუნვით, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ქალის მონაწილეობის თვალსაზრისით და მას მაგალითად ხშირად იშველიებდნენ ინგლისში.

ქალთა უფლებების აქტუალიზაციის კუთხით საფრანგეთშიც მიმდინარეობდა გარკვეული პროცესები. 1848 წელს ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი **ეუგენი ნიბოი** ითხოვდა ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების დაკანონებას. იგი გამოსცემდა ჟურნალს - „ქალთა ხმა“, რომლის 1848 წლის აპრილის ნომერში ვკითხულობთ: „ქალმა კი არ უნდა განიცადოს ემანსიპაცია და დაემსგავსოს მამაკაცს, არამედ მამაკაცი უნდა ემანსიპირდეს“. ან კიდევ: „ჩვენ უბრალოდ გვსურს გავხდეთ კარგი მოქალაქეები და ჩვენ ვითხოვთ უფლებებს, როგორც ქალები“. ათი წლის შემდეგ იმავე ჟურნალში **ჯენი დე ჰერიკო** წერდა: „ქალებმა უნდა მოითხოვონ თავიანთი უფლებები არა როგორც ქალებმა, არამედ როგორც ადამიანებმა და სოციუმის წევრებმა“ (La voix des femmes, 1848, N4).

1848 წელს ნიუ-იორკის შტატ სენეკა ფოლსში ჩატარდა ქალთა უფლებების პირველი კონფერენცია. დოკუმენტი, რომელიც სენეკა ფოლსში შედგა, ასე იწყება: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჭეშმარიტად აშკარაა ის, რომ მამაკაცი და ქალი თანაბარუფლებიანად შეიქმნა. მათ შემოქმედმა მიანიჭა ძირითადი და თანდაყოლილი უფლებები, რომელთა შორისაც არის სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ სწრაფვა“. დოკუმენტს სამოცდარვა ქალი აწერდა ხელს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ისტორიულად, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ქალის როლი და დანიშნულება საქართველოში თუ არა მეტად, ნაკლებად არ იყო დაფასებული. „ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დედაკაცი უფრო ამაღლდა მამაკაცის თვალში, უმისობაც არ შეიძლებოდა, რადგან ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ“, - წერდა აკაკი წერეთელი. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მთელ ძველ აღთქმას წითელ ზოლად გასდევს ქალის შესაძლებლობის შესახებ ნათქვამი ფრაზა: „თესლი დედაკაცისაი შემუსრავს თავსა გველისასა“. სწორედ ქალს უნდა დაეტია თავის წიაღში უფალი, მხსნელი და დამტეველი ქვეყნიერებისა. ქალის შესაძლებლობები და სულიერი ძალა თვალნათლივ

აისახა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. ქალური დიდსულოვნებისა და სიძლიერის მაგალითია მენელსაცხებლე დედათა მოღვაწეობა, რომელთაც, მამაკაცებისაგან განსხვავებით, არ მიუტოვებიათ ჯვარზე გაკრული უფალი. ქალთა ღვაწლი მისიონერულ საქმიანობაში ცალკე ვრცელი თემაა. ქართულ კულტურაში სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია სამ ქალს: წმინდა ნინოს - საქართველოს გამაქრისტიანებელს, ქეთევან დედოფალს - სჯულისა და მამულისათვის სამაგალითო მოწამეს და თამარ მეფეს - რომლის მეფობის პერიოდსაც „ოქროს ხანა“ ეწოდა. მიუხედავად ამ ისტორიული ფონისა, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ქალის სოციალური ფუნქცია ძირითადად ოჯახში დიასახლისობითა და შვილების გაზრდით შემოიფარგლებოდა. ქალს არ ჰქონდა ნამდვილი საზოგადოებრივი და პოლიტიკური უფლებები. იგი მშობლებისა და ქმრისგან მინიჭებული გარკვეული უფლებებით სარგებლობდა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულმა სამოციანელებმა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.) თავიანთი ეროვნული პროგრამის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აქციეს ბრძოლა ქალთა სამოქალაქო უფლებებისათვის. მათი პუბლიცისტიკის ერთ-ერთი საკვანძო თემა სწორედ აღნიშნული პრობლემა გახდა. სამოციანელები, უპირველეს ყოვლისა, თავად ქალებს მოუწოდებდნენ, რომ გაეცნობიერებინათ საკუთარი უფლება-მოვალეობანი და თავიანთი მოღვაწეობის სფერო მხოლოდ დიასახლისობით არ შემოეფარგლათ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თავად ქართველ ქალებსაც უჩნდებოდა მოთხოვნილება საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა. იწყება ბრძოლა განათლებისთვის, თავის დამკვიდრებისთვის, ღირსების აღდგენისთვის.

§3. სერგეი მესხის წერილი „ხამი მოგზაურის ფიქრები და შენიშვნები“ (მსოფლმხედველობრივი ასპექტები)

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ სერგეი მესხის წერილზე „ხამი მოგზაურის ფიქრები და შენიშვნები“, რომელიც 1874 წელს „დროებაშია“ დაბეჭდილი. აღნიშნული წერილი ვერ მოვიძიეთ სერგეი მესხის წიგნად გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის. იგი მოხსენიებული აქვს გერონტი ქიქოძეს, რომელიც, მართალია, არ მიმოიხილავს მას, მაგრამ იქვე დასძენს: „ხამი მოგზაურის

შენიშვნები და ფიქრები“, რომელიც დაიბეჭდა 1874 წელს „დროებაში“, საუკეთესო მასალას იძლევა სერგეი მესხის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის დასახასიათებლად. განვიხილავთ წერილს: „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“ და გამოვყოფთ რამდენიმე მსოფლმხედველობრივ ასპექტს: 1) განათლების საკითხი; 2) ქალთა უფლებების საკითხი; 3) რევოლუციის შეფასება; 4) ზნეობრივი საკითხი; 5) ევროპული ღირებულებების საკითხი; 6) რუსული აზროვნება; 7) შთაბეჭდილებები. წერილის დაბეჭდვისთანავე სერგეი მესხი კვებ მელიქიშვილს სწერს: „ამ წლის პირველ ნომერში შენი დაწუნებული ჩემი მოგზაურობის ნაწილი დაიბეჭდა“, „მას აქეთ, რაც მე ადამიანისა და ქვეყნის საქმეებსა და ცხოვრებას თვალ-ყურის დევნა დავუწყე, ჩემი მუდმივი სურვილი ის იყო, რომ ევროპა მენახა, მართლაც და ახდა ეს სურვილი“. სერგეი მესხი სამი თვით მიემგზავრება ევროპისკენ. მგზავრობა ფოთის ნავსადგურიდან იწყება. გამომშვიდობება სამშობლოსთან უკვე იძლევა ერთგვარ სურათს, თუ რა გრძნობით მიდის სერგეი მესხი ქვეყნიდან, თითქოს დანაშაულის გრძნობა აწუხებს: „მშვიდობით, ჩემო კარგო, ლამაზო სამშობლო! მშვიდობით ...“ შემდეგ ოდესა და ზღვა. ზღვა, რომელიც უამრავ რამეზე დაგაფიქრებს, საოცარ გრძნობას აღძრავს და ადამიანის უსუსურობას მიგახვედრებს: „კაცს ჰგონია, რომ მთელი ქვეყნიერება იმისთვის არის გაჩენილი, რომ ის ბატონია დედამიწისა, ზღვის დანახვა არწმუნებს კაცს, რომ ის შემცდარია ამ აზრში, რომ ზღვა ერთის აღელვებით, ათას კაცს შთანთქავს. ზღვისპირა მცხოვრები ხალხი მეტად განათლებულია, რადგან ზღვას ის უპირატესობა აქვს, რომ სხვა ხალხის მისვლა-მოსვლა, საუბარი, ვაჭრობა ადვილია და ეს ურთიერთობა იძლევა განათლებას“. მაგრამ, სვამს კითხვას მოგზაური, რაში გამოვიყენეთ ჩვენ, ქართველებმა? როგორ ვისარგებლეთ შავი ზღვით? ის სიმდიდრეც არ ვიცით, რომელიც ზღვაშია, მაგრამ სხვა რა გამოვიყენეთ? განა ბუნებას არ შეუძლია ათასი სიმდიდრისა და კეთილდღეობის მოტანა? მაგრამ... და დასკვნა ფიქრისა - „უბედური ხალხი ვართ!“ - ტკივილით ნათქვამი, დარდიანი და სევდიანი ამოოხვრავს. სერგეი მესხის ფიქრისა და განსჯის საგანი ხდება ქართველი ახალგაზრდობა, გიმნაზიის ახალკურსდამთავრებულები, რომლებიც სხვა ხალხთან ერთად გემზე არიან, ქალაქს თამაშობენ და ფოთიდან ოდესამდე ისე მგზავრობენ, ვერც იგებენ. ეს ახალგაზრდები იმდროინდელი გიმნაზიელების ძირითადი ნაწილის სახეს წარმოადგენენ. თუმცა ზოგიერთი ისეთი რამეც თქვას, რაც მათი პედაგოგების მორალურ მხარეს კარგად გვაცნობს. მაგ., ერთმა თქვა, „ერთმა ჩვენმა ახალგაზრდამ ცხრა ცხვარი მიაერთვა

უფროსს და მიიღო ატესტატო, მეორემ - ხუთ-ხუთ მანეთს აძლევდა მასწავლებელს თითო უროკშიო, მესამემ - ერთ მასწავლებელს მოსწავლე საზღვარგარეთ თავისი ხარჯებით წაყვანას დაჰპირდაო“. სერგეი მესხის თვალი და ყური ევროპისკენაა მიმართული. მას სურს, მაშინდელი ევროპა დაგვანახოს. რუსეთის ქალაქებზე აღარაფერს წერს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ რუსეთის ქალაქებიდან ოდესა ყველაზე უფრო ჰგავს ევროპულ ქალაქს, სუფთაა, ლამაზია მდებარეობის წყალობით (სამხრეთ რუსეთი). „მოგზაური“ გადმოგვცემს ევროპის ქალაქებში მიღებულ შთაბეჭდილებას. მის ყურადღებას იპყრობს ვენის გამოფენა. გამოფენის დათვალიერება მას საშუალებას აძლევს მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილოს ყურადღება: რას და ვის უნდა ემსახურებოდეს გამოფენა, რა შთაბეჭდილებას უნდა იწვევდეს, „გამოფენილი საგნების დათვალიერება და გაცნობა, არა თუ მარტო მცოდნე კაცებისთვის და სპეციალისტებისთვის, არამედ ყველასთვის შესაძლებელი და გაადვილებული უნდა იყოს“. გამოფენა უნდა გიქმნიდეს წარმოდგენას, თუ რომელ ქვეყანაში, რომელი ხელობაა უფრო წინ წაწეული, რომელი ხალხი, რომელ საქმეშია გავარჯიშებული, თუ ეს არ არის, ის გამოფენა რა სარგებლობას მოუტანს ხელოვნებას? ვენის გამოფენა კი ძალიან სუსტი იყო ამ მხრივ, უსისტემო, უთავბოლო, თუმცა დიდ ტერიტორიაზე გაშლილი. სერგეი მესხს რომ კავკასიის განყოფილება დააინტერესებდა, ცხადია, და, აი, „მივაგენი დიდი ხნის ძებნის შემდეგ, მაგრამ არც ღირდა, რადგან იქ ისევ ის ძველი საგნებია, რაც შარშანწინ მოსკოვის პოლიტექნიკურ გამოფენაზე იყო“. არაფერზე არ გაგიჩერდება კაცს თვალი, არაფერი არ მიიპყრობს ყურადღებას. შექმნილ ნამუშევრებში უნდა იგრძნობოდეს ხელოვანის დამოკიდებულება. რაც უნდა უბრალო საგანი იყოს, დამთვალიერებელმა უნდა შეატყოს, რომ ამის შექმნაზე ბევრი ღამეა გათენებული, ამ მხრივ გამოირჩევიან იტალიელები“. შეხედავ იტალიის განყოფილების ძეგლებს და სურათებს, რამდენი სიცოცხლე, რამდენი ბუნებითი სიმხურვალე, გრძნობა და ვნება იხატება ყველა ძეგლიდან და სურათებიდან“. აქ აღვნიშნავ სერგეი მესხის დამოკიდებულებას რუსული აზროვნებისა და შემოქმედების მიმართ. შექმნაშიც ხომ არაფერი გრძნობა არ იხატება, ნამუშევრების დაყენებაშიც ვერ იგრძნობ ვერაფერს, დასათვალიერებლად მოსულ რუსის გენერლებს კი არაფერი ეტყობათ ინტერესის, პირიქით, ვერ გრძნობენ თავს კარგად. ეს „შტაცკური“ სამოსიც აწუხებთ და ძლივს დააბიჯებენ, აი, მაშინდელი რუსული ხელოვნება და გენერლები, ვის მფარველობაშიც ვიყავით ჩვენ!

ვენა და გამოფენის სტუმრები: ქალაქი სავსეა სხვადასხვა ქვეყნის ხალხით. გამოვყოფ ურბანიზაციის საკითხს, ისე განსხვავდება ვენელი გერმანელი ბერლინელისაგან, როგორც ჩვენებური გიმნაზიელი და სემინარიელი. სემინარიელი თავისი ფილოსოფიური გამოხედვით, წყნარი მიხვრა-მოხვრით ბერლინელი გერმანელია, ცოტათი უფრო მომეტებული სიცოცხლით, მსუბუქი ხასიათით ჩვენებური გიმნაზიელი ვენელი გერმანელია. რაც შეეხება ვენელ ქალებს, მათს ზნეობას, როგორც სერგეი თავის წერილში აღნიშნავს „ძნელად შეხვდები ქმრიან ქალს ვენაში, რომელსაც ერთი „შინაური მეგობარი“ მაინც არ ჰყავდესო“. ესეც თქვენი ვენელი და გერმანელი ქალების სიყვარული და „იდიალური“ ზნეობა. სერგეი მესხის დამოკიდებულება ზნეობრივი სიყვარულის მიმართ კარგად ჩანს თავისი შეყვარებულის, ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილისადმი, მიწერილ წერილში: „მე ვგრძნობ, შენ მე გიყვარვარ, მე, ვგრძნობ, რომ შენი სიყვარული მამხნევეს, მამაღლებს და მაკეთილშობილებს, ვგრძნობ, რომ ქალის სიყვარულზე უმაღლესი და უტკბილესი არ რა არის დედამიწაზე, ამიტომ მიმაჩნია, რომ მე მაქვს შემთხვევა ვემსახურო ჩემს ქვეყანას“. აი, ასეთი ღირსეული ქართველი ქალის ფონზე სერგეი მესხი ერთმანეთს ადარებს ევროპელი, კერძოდ, გერმანელი და ავსტრიელი ქალების სასიყვარულო ურთიერთობებს. ქართველი ქალების შემდეგ სერგეი მესხი ქართველი მამაკაცების ღირსეულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას.

მიუნხენი: მგზავრობა მატარებლით, თითქმის ცარიელი ვაგონით, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ კარი იღება და შემოდის გერმანელი ქალი. დიალოგი - საიდანაც ირკვევა შიში ქალისა, რომ მიდის მარტო უცხო ქალაქში და სერგეი მესხის დაპირება, მე აქ ვარ! მე ვიქნები რაინდი! მე დაგიცავ! რომელიც უტყუარი პირობაა ერთგულებისა. სერგეი მესხის თვალი და ყური მიუნხენსა და ციურიხში სასწავლებლებსა და განათლების მიმართ დამოკიდებულებაზეა ორიენტირებული. „გამაკვირვა იმ ამბავმა, რომ ზავარიის მეფის სასახლე სასწავლებელთან შედარებით უბრალო ქოხს გავს“. ციურიხი განათლების კერა, თავისი პოლიტექნიკური სკოლით, უნივერსიტეტებით, გიმნაზიებით, ბიბლიოთეკებით, ამიტომაც მოდიან აქ განათლების მისაღებად. ერთი წლის განმავლობაში ციურიხში ყოფნა იმდენს შეგმატებს გონებაში და ცხოვრებაში, რასაც ჩვენთან ხუთ წელს ვერ შეიძენ. ორი კვირა დავრჩი შვეიცარიაში, - წერს სერგეი მესხი და გადმოგვცემს იქაური ხალხის დამოკიდებულებას თავიანთი ქვეყნის მიმართ.

„ყოველი შვეიცარიელი ყველაზე პირველად თავისი მამულის მოყვარულია, შვეიცარიელები გრძნობენ, რომ თავისი ქვეყნის ბედნიერება მათი საკუთარი ბედნიერებაა, ყველა სახალხო სახლებზე ერთი სიტყვა აწერია დევიზით: „მამული და თავისუფლება“.

ციურიხს ევროპის „საუკეთესო კუნჭულს“ ეძახიან. გულდაწყვეტილი გამოვეთხოვე ციურიხს, გულდაწყვეტილი ეს ისე ნათქვამი სიტყვა არაა, აქ ბევრი რამე იგულისხმება, პირველი ის, რომ როგორი განვითარებულია, როგორი ერთიანია საზოგადოების აზროვნება სამშობლოსადმი, მისი კეთილდღეობისადმი, მეორე - მაღლა საფეხურზე დგას კულტურა და განათლება, მესამე - ყველანაირი პირობაა შექმნილი ახალგაზრდების განათლება-განვითარებისთვის და როგორ ესმით ამ ქვეყანაში ხელოვნების და სწავლის ფასი.

აქვე შევეხებით განათლების საკითხს. სერგეი მესხი ყურადღებას ამახვილებს ევროპის ყველა ქვეყნის განათლების სისტემაზე, გვიზიარებს თავის დამოკიდებულებას განათლების მნიშვნელობაზე, განათლება წარმმართველი და მთავარია. „კაცის კეთილდღეობა და წარმატება სწავლისაგან არის განპირობებული, რაც არ უნდა გაჭირვებული და გაღარიბებული იყოს ევროპელი, შვილს მაინც მისცემს სწავლის საშუალებას. „საზოგადოებას იმდენად ესმის სწავლის აუცილებლობა, რომ სკოლების დიდი ნაწილი მათ ხარჯზეა გახსნილი, განვითარებულ ქვეყანაში ქალებიც იღებენ განათლებას კაცებთან ერთად, ჩვენში კი ქალს ამის გაკეთება არ შეუძლია. „მზითვიც იმიტომ გვინდაო, რომ ჩვენი ცოლები ჩვენგან არ იყოს დამონებულიო, ასე ამბობენ ჩვენი კაცები“. ევროპის ყველა ქვეყანაში კი საზოგადოება მიხვდა, რომ განათლება ყველასათვის აუცილებელია, რომ ვერაფერი ვერ მისცემს ერს ისეთ ძალას, როგორც განათლების გავრცელება“ - სერგეი მესხის მსოფლმხედველობა ასეთ გონიერ აღზრდაზეა გადართული.

შემდეგ **ჟენევა**, პარიზის ნამტვერევი... „მე რომ ჟენევაში ვიყავი, გარდაიცვალა ჰერცოგი, თურმე ეს ქალაქი ძალიან შეჰყვარებოდა და 25 მილიონი ფრანკი უანდერძა ამ ქალაქს, უნდა გენახათ რა ამბავში იყვნენ ჟენეველები, რაში უნდა მოეხმარათ ეს ფული, ზოგი ახალი თეატრის ასაშენებლად განსაზღვრავდა, ზოგი უნივერსიტეტის აშენებას მოხმარდესო, ამბობდა. ასეთ გაცხარებულ სჯა-ბაასში იყვნენ თურმე, რომ ფულს მემკვიდრეები გამოუჩნდნენ და ვერ გამოიყენეს ქვეყნის საქმისთვის. როგორც სერგეი მესხი აღნიშნავს ჟენევა ყველაზე

თავისუფალი ქალაქია, რაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში აკრძალულია ან დევნილი, ყველაფერს ნახავთ აქ, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები. იმდროინდელი ჟენევის მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო, მაგრამ სერგეი მესხის აქცენტი შესამჩნევია - ჟენევაში მცხოვრები ხალხის სურვილი, ოღონდ ქვეყნის განვითარება წავიდეს წინ!

პარიზი: „მე არ ვიცი, რა ემართებათ და როგორი გრძნობით შედიან მაჰმადის თაყვანისმცემლები თავის წმინდა ქალაქ ქააბაში, მაგრამ მგონია, რომ იმათი გრძნობა ძალიან უნდა გავდეს აღმოსავლეთიდან პარიზში პირველად შემავალი კაცის გრძნობას“. ზღაპარივით ქალაქია პარიზი, რომლის მიწაზე რამდენიმე ასს შთამომავლობას უცხოვრია, რამდენიმე რევოლუცია მომხდარა, ყველა ნაბიჯი ამ ქვეყნის თავისუფლებისთვის გადაგმულა, პარიზში ცემს სიცოცხლის ძარღვი, ბიბლიოთეკები, წიგნები, გაზეთები, უმაღლესი სასწავლებლები, სულ მუქთადაა ან ძალიან იაფად, ისე რომ ღარიბ კაცსაც შეუძლია იმით სარგებლობა. სერგეი მესხი რომ საფრანგეთში ჩავიდა, ქვეყანა ჯერ კიდევ პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. თუმცა გაკვირვებულია იმ ფაქტით, თუ როგორ შეძლო ამ ხალხმა არაერთი რევოლუციის მოხდენა, ორგანიზება და შესრულება, იმის მიუხედავად, რომ რევოლუციებს ხალხისთვის ბევრი არაფერი სასიკეთო ცვლილება მოუტანია, ხალხი მაინც არ კარგავს იმედს და ბრძოლისუნარიანობას, უკვირს ფრანგი ხალხის მიზანსწრაფვა. საფრანგეთი საუკეთესო წარმომადგენელია ევროპის ცხოვრებისა, - ასე აფასებს სერგეი მესხი საფრანგეთის ცხოვრებასა და რევოლუციებს.

აღნიშნული წერილით ირკვევა:

- 1) სახელმწიფო მუდამ უნდა ზრუნავდეს ქვეყნის განათლების მაღალ დონეზე;
- 2) ჩვენს ქვეყანაში არსებული ზოგიერთი სასწავლებელი და სკოლები საჭიროებდა ცვლილებას;
- 3) ქართველი ქალისა და მამაკაცის ზნეობა და მორალი ევროპის ქვეყნების მაგალითზე კარგად შესამჩნევია.

§4. ქართული ლიბერალური პერიოდული გამოცემები:

„საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“

XIX საუკუნის მეორე ნახევარი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ქართული პრესის განვითარების საქმეში. 1852 წელს გამოიცა **ჟურნალი „ცისკარი“**, რომელსაც ჯერ **გიორგი ერისთავი**, 1857 წლიდან კი **ივანე კერესელიძე** რედაქტორობდა. 1863 წელს **ილია ჭავჭავაძე** აარსებს **ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“**, რომლის ირგვლივაც გაერთიანდა ახალი თაობა. პირველივე ნომერში ილიამ ვრცელი წერილით გააანალიზა ჟურნალის დანიშნულება, რომლის მთავარ ამოცანადაც მან მიიჩნია თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების განხილვა, ლიტერატურისა და მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაცია. „საქართველოს მოამბეში“ ილიამ დასვა საკითხი - რა არის ძალა, რომლის მეშვეობითაც ინდივიდმა და საზოგადოებამ უნდა შეძლოს თვითდამკვიდრება, თვითგანახლება? და თავადვე უპასუხა, რომ ესაა მეცნიერება და ხელოვნება, ანუ ცოდნა და შემოქმედება. „საქართველოს მოამბე“ საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების სურვილით მოეწვინა იმდროინდელ საქართველოს. ჟურნალის დამაარსებელი ილია ჭავჭავაძე და მისი გუნდი კი: „ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის პოპულარიზატორებად და დამკვიდრებლად მოეწვინენ მონარქისტულ რეტროგრადული სულისკვეთებით გაჟღენთილ ფართო საზოგადოებრივ წევრებს“ (ჯოლოგუა 2013: 208).

1864 წელს ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“ არსებობა შეწყვიტა. თუმცა მალევე დაიწყო მცდელობა ახალი გაზეთის გამოცემისათვის და 1866 წელს გამოვიდა **გაზეთი „დროება“**. ეს იყო პირველი ევროპული ტიპის გაზეთი, რომელიც აგრძელებდა „საქართველოს მოამბის“ ლიტერატურულ და იდეურ ტრადიციებს და ემსახურებოდა „ეროვნული შენობის აგების საქმეს ევროპული პრინციპების მიხედვით“ (ჯორჯაძე 1989: 203). „დროების“ გუნდმა მრავლმხრივ დასდო თავისი ამაგი ქართული საზოგადოებრივი აზრის განახლებასა და გაცოცხლებას. „დროებაში“ იბეჭდებოდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ამბები და პოლიტიკური შემთხვევები, არამედ ინფორმაციები სხვა ქვეყნებში განვითარებული მოვლენების შესახებაც. „დროება“ თავისი შინაარსით იყო პირველი ევროპული აზროვნების ჟურნალი. მის ფურცლებზე ნათლად აისახა ეროვნული მისწრაფებები, გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა, მსჯელობა, განიხილებოდა ყველა საჭირბოროტო საკითხი. „დროება“ შეიძლება ჩაითვალოს

საზოგადოებრივი აზროვნების განახლების დასაწყისად, სადაც ეროვნული თვითშეგნების საკითხი ეროვნული პრინციპების მიხედვით გაიშალა. „დროების“ გავრცელების არეალი მარტო საქართველო არ ყოფილა, იგი ვრცელდებოდა რუსეთის ქალაქებშიც და საზღვარგარეთაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 1877 წელს, გამოდის გაზეთი „ივერია“. „ივერიის“ დაარსების პროცესი მარტივი არ ყოფილა. ილია ჭავჭავაძემ დატოვა „დროების“ რედაქციის ჯგუფი, რადგან გამწვავებულ პოლემიკაში იყო ნიკო ნიკოლაძესთან სათავადაზნაურო ბანკთან დაკავშირებულ საკითხებზე. ილიას წამოსვლას „დროების“ სარედაქციო ჯგუფის დაშლაც მოჰყვა. ამ ფაქტის შემდეგ გადაწყვიტა ილიამ საკუთარი გაზეთის გამოცემა. ასე გაჩნდა „ივერია“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ხალხში ეროვნული გრძნობის გაღვივება, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავება. სწორედ „ივერიის“ ფურცლებიდან გაისმა ილიასი და მისი თანამოაზრეების ხმა იმის შესახებ, რომ მწერლობა უნდა ყოფილიყო ხალხის სამსახურში, უნდა აესახა ადამიანთა ცხოვრება სიღრმისეულად, მწერლობასა და ლიტერატურას უნდა ეწინააღმდეგა ერის კეთილდღეობისათვის.

სწორედ ამ აღნიშნულ პერიოდულ გამოცემაში ჩნდება პირველი პუბლიკაციები, რომლებიც შეეხება „ქალთა საკითხს“. თუმცა სანამ ქალთა საკითხს უშუალოდ შევეხებოდეთ, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნეში იწყება იმ შეწყვეტილი კავშირის აღდგენა ევროპასთან, რაც ისტორიულმა კატაკლიზმებმა განაპირობა. საზოგადოებრივი აზროვნების ასპარეზზე გამოჩნდა „სამოციანელთა“ თაობა, რომელთაც განიზრახეს ახალი ევროპული იდეების დანერგვა, საზოგადოებრივი აზროვნების განახლება არა მიმზამველობით, არამედ ტრადიციული ღირებულებების დაფასებისა და პატივისცემის გზით.

იმისთვის, რომ პრობლემური საკითხები კარგად დავინახოთ და ძირითადი აქცენტები გამოვკვეთოთ აღნიშნულ პერიოდში, იმდროინდელ ქართულ პრესას უნდა გადავხედოთ. ვნახავთ, რომ ხშირია ქალების გააქტიურებასთან დაკავშირებით წერილები, პატარა ამბები, მაგ.: „ამ ზამთარს სულ 48 ქალი შევიდა ციურიხის უნივერსიტეტში: 30 - მედიცინის ფაკულტეტზე, 1 - იურიდიულზე... ამ რიცხვიდან ერთი შვეიცარიელი ქალია, ერთი - გერმანელი და ერთი - ავსტრიელი, 44 ქალი რუსია“. ან შემდეგი: „1864 წ. როდესაც პირველად ჩაეწერა ერთი ქალი სტუდენტი ციურიხის უნივერსიტეტში, სულ 232 სტუდენტი კაცი იყო, ახლა ამ ზამთარში 109 ქალია“. 1867

წელს „ცისკარში“ რუსი ქალის **სუსლოვას** ისტორიაა მოთხრობილი, რომელიც იყო ექიმი ქალი, სწავლობდა პეტერბურგში, შემდეგ - ციურხში („ცისკარი“ 1867 წ. N36). 1870 წელს „დროება“ კი საინტერესო ინფორმაციას იძლევა მაშინდელ ევროპის უნივერსიტეტებზე, სადაც ქალები და ვაჟები ერთად სწავლობდნენ („დროება“ 1870 წ. N13). არც იტალიის მოვლენები დარჩენილა ქართული პრესის ყურადღების მიღმა. „დროებაში“ დაბეჭდილია **ერმინია მანელლის** გმირობის ისტორია. ის გარიბალდისთან ერთად იბრძოდა იტალიის თავისუფლებისთვის („დროება“ 1863: N23). „ცისკარში“ დაბეჭდილია პეტრე ჩარეჟოვის წერილი ლეჩხუმიდან „ქალთა ექიმობასა ზედა“. ავტორი აღწერს იმდროინდელ მძიმე მდგომარეობას და ყურადღებას ამახვილებს სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელზე, მიზეზად ასახელებს იმას, რომ ქალებს არ აქვთ უფლება მიიღონ განათლება საექიმო დარგში („ცისკარი“ 1862: N13).

ქართული პრესა დიდ ადგილს უთმობდა ქალთა განვითარების (ემანსიპაციის) საკითხს. ითარგმნებოდა წერილები, ვრცელდებოდა ინფორმაციები ქალების სწავლა-განათლების შესახებ. „დროებაში“ გამოქვეყნებულია **ელისაბედ (ლიზა) ყაზბეგის** წერილი, რომელიც ასეთი შინაარსის შემცველია: „როგორ არ უნდა გვრცხვენოდეს ქალებს, რომ დღემდე ერთი მაგალითი არ ყოფილა ჩვენებური ქალი ასპარეზზე გამოსულიყოს“. ლიზა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და სამეანო საქმეს სწავლობდა, იმ დროისთვის არც ერთი კავკასიელი ქალი არ იყო თურმე უნივერსიტეტის სტუდენტი, ამიტომაცაა ლიზას წერილი ასეთი ტონით დაწერილი .

1870 წლის დასაწყისში დაარსდა „ქართველ ქალთა ამხანაგობა“ (ეკ. გაბაშვილი, ეკ. მელიქიშვილი, ელ. ყიფიანი). მათი დიდი ძალისხმევით, შრომით გამოიცა პირველი კრებული „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“. ეს იყო, როგორც მაშინ სერგეი მესხმა უწოდა, „შესანიშნავი მოვლინება“ ქალებისგან, რომლებიც წინ აღუდგნენ იმ შეხედულებას, რომ „ვინ ქალი და ვინ განათლება, ქმარი შეირთონ და მოისვენონო“. „ქართველ ქალთა ამხანაგობამ“ ნამდვილად მისცა ბიძგი და ინტერესი ქალების სამომავლოდ გააქტიურებას, ახალ ცხოვრების გზაზე დადგომასა და გახედულებას. მოცემული სოციოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ჩნდებიან ქალები, რომლებსაც სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. იწყება მათი ბრძოლა თავის დამკვიდრებისათვის. ამ საქმეში ქართველი ქალები მარტონი არ არიან. მათ გვერდითაა **ილია ჭავჭავაძე** და იმდროინდელი პროგრესულად მოაზროვნე თაობა, რომლებსაც

სწავლა-განათლება რუსეთში და ევროპის ქვეყნებში ჰქონდათ მიღებული, აცნობიერებდნენ ქალის დანიშნულებასა და როლს ფართო სპექტრით.

ილია ჭავჭავაძე ერთი უპირველესთაგანი იყო, ვინც საგანგებოდ წერდა ქალთა საზოგადოებრივი ფუნქციის ზრდის აუცილებლობაზე. ილიას ყურადღების მიღმა არ დარჩენია ქართველი ქალების გააქტიურება და მათი სწავლა-განათლების საკითხი. წერილში „დედათა საქმე და ქალთა განათლება“ მან ვრცლად განიხილა იმდროინდელი ევროპული ვითარება. ილია აცხადებდა, რომ ევროპულ ქვეყნებში ტრადიციულად ვიწრო სპექტრით განიხილავდნენ ქალის როლს, როგორც ქალისას და დედისას. „დედაკაციც ადამიანია, - წერდა ილია, - და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლებების საქმე უნდა ჰღალატებდეს და თხოულობდეს თავის წარმართვას, ამ ფართო გზაზე დგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია ვერაფერ სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილსა და დედაკაცი ადამიანობიდან ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და დობის უღელი გააწევიონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ“ (ჭავჭავაძე 1889: 3).

ცხადია, მოყვანილი ციტატიდან ილია მრავალი ასპექტით ხედავდა ქალს, პირველ ყოვლისა, როგორც ქვეყნის სამსახურში ჩართულ, საზოგადოების აქტიურ წევრს. ილია რომ საყოველთაო განათლების მომხრე იყო და ქალთა განათლების რეფორმის მოსურნეც, თვალსაჩინო ხდება იმავე წერილიდან: „განა ქალი არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერისად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისთვის, აღუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივი ინტერესებისთვის, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, უკვე განათლებული ჰკუთნა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში მისთვის საჭირო იქნებაო“ (ჭავჭავაძე 1889: 3).

ილიას აზრით, ქალი, რომელსაც არ ჰქონდა სწავლა-განათლება, არც ოჯახში იყო მზად კარგი დედობისთვის და ცოლობისთვის, განათლებული ქალი კი არის მომავალი თაობის აღზრდის საწინდარი.

ქალთა განათლების საკითხი განიხილა ილიამ წერილში „ქალთა სასწავლებელი“. „უთავბოლოდ ნათქვამ ფრაზეზად“ აღიქვამდა ილია ქალის ტრადიციულად მიჩნეულ სამ ძირითად დანიშნულებაზე - დედობაზე, ცოლობასა და დობაზე საუბარს. აი, რას

წერს ის: „უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი „უწმინდესი და უსაღვთოესი“ დანიშნულება აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქოს ყველაზე უწინარე იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი და მამასადამე, მინამ დედობას, ცოლობას და დობას იკისრებდეს, ყველაზე უწინარე იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს, დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის, ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, კაი კაცობა და მერე დედობა. კაცს დედობის, ქმრობისა და სხვა ამისთანას გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე“ (ჭავჭავაძე 1889: 2).

ილია ქალისა და მამაკაცის თანასწორობას ასაბუთებს. წერილი ერთგვარი მიმართვაა საზოგადოებისადმი, ვისაც ამის გაგება უჭირს და ქალს მხოლოდ იმ დანიშნულებით განიხილავს, რაც ღვთისგან ისედაც ბოძებული აქვს და განვითარებას არ საჭიროებს. ქალი თავისი ბუნებითა და შეგნებით დედაა, მაგრამ კარგ დედობას განათლება სჭირდება, ქალს სჭირდება შეცნობა გარესამყაროსი, რადგან ისაა ქვაკუთხედი მომავლისა და მან უნდა იცოდეს, როგორ თაობას ითხოვს ერი, ქვეყანა და საზოგადოება.

ილია წერდა, რომ აღმზრდელიობით საქმეში ქალები „მხნე, მოხერხებულნი და დაუღალავნი არიანო“. პუბლიცისტი აღნიშნავდა, რომ თვითმოქმედება ყველაფრის მხსნელი ძალაა და მიესალმებოდა ქალების წამოწყებულ ყველა საქმეს, მას უხაროდა, რომ „ქალებს საკუთარი თვითმოქმედება ფარ-ხმალად აუღიათ, რომ თავისი საკუთარი ძალ-ღონით წინ აღუდგნენ ქალთა დამჩაგრავს გარემოებას და ბედი შემძლებისაებრ თავისკენ მოატრიალონ“ (ჭავჭავაძე 1886: 2).

ილიას სულისკვეთებას ამ საკითხში სრულად იზიარებდა აკაკი წერეთელიც. აკაკი უფრო ისტორიულ კვალს გაჰყვა და ქალის როლი და დანიშნულება თავის წერილში „თამარ მეფე“ ისტორიული რაკურსით წარმოაჩინა. მან შორეული წარსულიდან მოყოლებული, გაიხსენა და მაგალითებით დაგვანახა, როგორ იჩაგრებოდნენ ქალები ძველ დროში სხვადასხვა ერების კულტურაში: „ძველთაგან დაწყებული ჯერ არ ყოფილა დედამიწაზე იმისთანა საისტორიო ერი, რომელსაც სხვადასხვა უბედურების მიზეზად ქალი არ დაესახელებინოს, მაგ.: ბერძნებმა, ტროდის ლაშქრობით აღშფოთებულებმა, ყოველგვარი უბედურების მიზეზად მშვენიერი ელენე გამოსახეს, ებრაელები - დასუსტებასა და დამარცხებას დალილას აბრალებდნენ,

ეგვიპტის ფარაონთა დამხობას - კლეოპატრას აწერდნენ, და სხვანიცა ამგვარადვე ყველა რომ არ ჩამოვთვალოთ“, - წერდა აკაკი (წერეთელი 1990: 484).

ამ ფონზე, აკაკის თქმით, ისტორიულად განსხვავებული იყო დედათა სქესისადმი ქართველთა დამოკიდებულება: „ხალხში ერია ერთი ტომის ხალხი, ივერიელები, ანუ ქართველები, რომ სულ სხვა თვალთ უყურებდნენ ქალებს, უფლებით გათანასწორებულებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და უკეთესს მათგან გაცემით იხსენიებდნენო“, - წერს იგი და ცდილობს, ღვთისმშობლიდან დაწყებული, წმიდა ნინოს სასწაულებრივი ღვაწლით გაგრძელებული და ქეთევან დედოფლის საკვირველი მაგალითით დასრულებული, აჩვენოს ხალხს ქართველი ქალის სიძლიერე, როლი და დანიშნულება: „პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოში, პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ, ერთ უბრალო, მოგზაურ, უძლურ, კაბადოკიელ ქალს, რომელსაც მისივე თმებით შეკონილი ვაზის მეტი არა ეჭირა რა, ფეხქვეშ ემხოზოდნენ მეფენი და დიდებულები, ქეთევან დედოფალი საოცარ მაგალითს უჩვენებს საქრისტიანოს რჯულისა და ეროვნებისთვის წმიდა მოწამეობისას, თამარ დედოფალი უმტკიცებს მის შემდეგ გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთოება, ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ღმობიერებითა და სიყვარულით. აი, ეს სამი ქალი ნათლის სვეტად წინ უძღოდა ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს“ (წერეთელი 1990: 484).

1866 წელს „დროებაში“ გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის წერილი „დედა-კაცის აზრი დედა-კაცზედ“. წერილში განხილულია ქალთა საკითხი ევროპისა და ამერიკის მაგალითზე, როგორ ცდილობდნენ მაშინდელ ევროპულ ქვეყნებში ქალის სტატუსის ამაღლებას. „ყოველი ჭკვიანი ქალი და კაცი ევროპასა და ამერიკაში ებრძვის საზოგადო წყობილებას და იმის ჩვეულებას დედა-კაცის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის“ („დროება“, 1866: N5). გიორგი წერეთელი ამ საკითხის შესახებ მკაფიოდ და პრინციპულად აფიქსირებს თავის დამოკიდებულებასაც და მიმართავს იმ ადამიანებს, ვინც დედაკაცის გათავისუფლებას ეწინააღმდეგებოდა და მიაჩნდა, რომ ქალს, ოჯახის მოვლის გარდა, ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა: „ვისაც ჰგონია, რომ დედაკაცი მარტო კარგი მეოჯახე უნდა იყოს, ისინი ძალიან სტყუიან ამისთვის, რომ შეიძლება კაცი კარგი ოჯახის მომვლელი იყოს და ამასთან კარგი ექიმიც, კარგი ვაჭარიც, კარგი ვეჟილიც, კარგი ისტორიკოსიც, კარგი სახელმწიფო მოღვაწეც, ოჯახობა, როგორც მამაკაცს აგრეთვე დედაკაცს ვერ დაუშლის სხვა რიგ სამოქალაქო სამსახურს“. გიორგი

წერეთელი გამოხატავს თავისი წერილით, რომ ქალის სოციალური სტატუსი მამაკაცისა უნდა გაუთანაბრდეს, ქალს შეუძლია იყოს მამაკაცის თანასწორიც და თანამონაწილედ საზოგადოებრივ საქმიანობაში: „დედაკაცი გათავისუფლდეს მამაკაცის ნივთიერებითის დამოკიდებულებისაგან და ის უფლება მიენიჭოთ, რომელიც მამაკაცს აქვს, რასაკვირველია, ამგვარი თავისუფლება დედაკაცს მიანიჭებს ნამდვილს კაცურ ღირსებას და ამასთან იმის დაჩაგრულს მდგომარეობას აღადგენს“ („დროება“ 1866: N5). გიორგი წერეთლის აღნიშნული წერილი არა მარტო თანადგომის გამომხატველია ქალების მიმართ, არამედ მათი ღირსების საკითხსაც ეხება. გიორგი წერეთელს მიაჩნდა, რომ ქალს უნდა ჰქონოდა პროფესია და დაკავებული ყოფილიყო სასურველი საქმიანობით.

განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ქალთა მდგომარეობით თვალსაჩინო ქართველი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე. ის არიგებდა ქალებს და გამოფხიზლებისაკენ და მოქმედებისკენ მოუწოდებდა, რომ კვნესა და წუწუნი, მათ საზოგადოებისთვის საჭირო და აქტიურ წევრებად ვერ გახდოდა: „როცა თქვენ ქალები არ მიხვდებით, რომ დამხმარებელი თქვენი თავის მეტი არავინ გყავთ, მაშინ თქვენი ბედი სულ სხვა იქნება, იმნაირი რამე ისწავლეთ, რომ თქვენი თავის ხეირიანად რჩენა, თქვენი თავის მოვლა შეგეძლოთ, დაამტკიცეთ, რომ თქვენ არავისი შველა და დახმარება არ გჭირდებათ, მოინდომეთ, ეცადეთ, ერთმანეთს დაეხმარეთ და ბედნიერება თქვენს ხელში იქნებაო“ („დროება“ 1869: N38).

ქართველ ქალებს ჰყავდათ აგრეთვე დიდი გულშემატკივარი ნიკო ინაშვილის სახით. მან 1869 წელს თარგმნა ჯონ სტიუარტ მილის ცოლის წერილი „ქალების გათავისუფლება“ და წინ წაუძმღვარა საკუთარი წერილი - „ქალის დამონება ერთი ორად ხდება შეუწყნარებელი, ავარჯიშეთ ქალის ნიჭი ისე, როგორც ავარჯიშებთ კაცისას და თქვენ დაინახავთ, რისი შემძლებელიც არის ქალი. გაუღეთ მას კარი სამოქალაქო ცხოვრებაში და ის შეიქმნება ისეთივე გონიერი და კეთილ-საიმედო მოქალაქე, როგორც ერთ-ერთი ჩვენთაგანი. ქალს უნდა მიენიჭოს ისეთივე თავისუფლება, როგორიც აქვს მამაკაცს“ („მნათობი“ 1870: N4). ნიკო ინაშვილი წერილში ნათლად გამოთქვამს თავის მოსაზრებას ქალის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ, ვრცლად მიმოიხილავს ქალის სწავლა-განათლების საკითხსაც და ხედავს საჭიროებას, რომ ქალს ჰქონდეს თავისი ადგილი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

ეს თანადგომა, რა თქმა უნდა, მუხტს და ბრძოლის ენერგიას აძლევდა ქალებს. დაიწყო კიდევ მათი გააქტიურების პროცესი, 1870 წელს კი ქალთა პირველი, ერთობლივი შრომის შედეგად იხილა საზოგადოებამ, ესაა თარგმნილი წიგნი „საამო საკითხავთა თხზულებათა“. თარგმანი მომზადდა ევ. გაბაშვილის, ელ. ყიფიანისა და ევ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით. 1870 წელს დაიბეჭდა ევ. გაბაშვილის წერილი „გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლებზედა“. 1871 წელს იბეჭდება ღვინიაშვილის წერილი „ქალების სასარგებლოდ და წინააღმდეგ“. ყველაფერს ამას კი წინ უძღოდა დარია მამაცაშვილის წერილი, რომელიც ერთგვარი მცდლობის გამომხატველია: „ჩვენ ყოველთვის სასიხარულოდ გვაქვს, როდესაც დედათა სქესი წერას მიჰყოფს ხელს, ნამეტნავად ჩვენში, თქვენით ვცნობთ, რომ მოიპოვება გონებაგახსნილი ქალები, რომელიც ზრუნავენ საზოგადო საქმის წარმატებისთვის. დედანო და დანო, დროა გავიღვიძოთ, ჩვენზედ არის განსაკუთრებით დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის წარმატება. განგიცხადებთ უგულითადეს თანაგრძნობას, დავშთები მხურვალე მოსურნე სრულის წარმატებისა ყოველს საქმეში, რაც კი ხალხის განსწავლას და კეთილდღეობას შეეხება“ („დროება“ 1870: N1).

ამ მცირე ისტორიული ექსკურსიდანაც ნათელია, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში ინტენსიურად დაიწყო ქალთა საკითხის აქტუალიზაცია და ქალის სოციოკულტურული როლის ზრდაზე ზრუნვა ქართულ საზოგადოებაში. ეს არ გამოხატულა მხოლოდ წერილობითი თუ ზეპირი განცხადებებით და თანდათან პრაქტიკულ მოქმედებაშიც გადაიზარდა. ფაქტია, რომ როგორც კი პირველი პერიოდული გამოცემა დაარსდა, ქართველი ქალების თხზულებებიც დაიბეჭდა. ეს იყო ჟურნალი „ცისკარი“, რომლის ფურცლებზე ორი ქალის - დარია ერისთავისა და ელისაბედ წერეთლის თითო-თითო ლექსი გამოქვეყნდა. ნაყოფიერად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“ ბარბარე ჯორჯაძემც. შემდეგ ათწლეულებში სულ უფრო მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი გახდა ლიტერატურის სფეროში მოღვაწე ქართველი ქალების გალერეა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალსა და კაცს შორის არსებობს ფიზიოლოგიური და ფიზიკური განსხვავებულობა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალსა და კაცს არ ჰქონდეთ ერთნაირი უფლებები და საკუთარი თავის ერთნაირად გამოვლენის საშუალება. ქალთა ემანსიპაციის საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პროცესით მიმდინარეობდა, საქართველოში კი ქართველი ქალი, რომლის როლი ისტორიულადაც არასდროს

ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების მიღმა დარჩენა და მხოლოდ დიასახლისის ფუნქციის მოვალეობის შესრულება, დიდხანს ვერ შეეგუებოდა ოჯახის მიერ განსაზღვრულ უფლებებს (ქორწინებასთან და სწავლა-განათლებასთან დაკავშირებით). ამიტომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაირღვა სივრცე და გამოჩნდნენ პროგრესულად მოაზროვნე ქალები, რომელთა ინტეგრაციაც მალევე მოხდა საზოგადოებაში.

ქალთა საკითხს XIX საუკუნის ქართულმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო. საქართველოშიც, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, ქალთა საკითხი მსჯელობითა და პოლემიკით მიმდინარეობდა. მაშინდელი პრესა აქტიურად აშუქებდა მსოფლიოში მიმდინარე „ქალთა მოძრაობის“ შესახებ ინფორმაციებს. ქართველ ქალებში გაჩნდა მოთხოვნა სწავლა-განათლების მიმართ. გაჩნდა ინტერესი, ქართველი ქალები საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყვნენ და თავიანთი წვლილი შეეტანათ საქვეყნო საქმეში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი გარდატეხა მოხდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. გამოიცა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, დაარსდა ქართული თეატრი, გაიხსნა სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები, ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა ყველა სასწავლებელში. ქართველ ქალებში გაჩნდა ინტერესი სწავლა-განათლების მიმართ. გაიღვიძა პიროვნულ თავისუფლებაზე ფიქრმა საზოგადოებაში.

თავი II

ქალთა საზოგადოებრივ-პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობა

XIX საუკუნეში

XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღსანიშნავი ფაქტია ლიტერატურული სალონების არსებობა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მაშინდელი საზოგადოების ცხოვრებაში. აღნიშნული საუკუნის 30-50-იან წლებში ალექსანდრე ჭავჭავაძისა და რომან ბაგრატიონის სალონებს შორის იყო მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონიც. ლიტერატურულ სალონებში იკრიბებოდნენ მწერლები და ქართული კულტურის წარმომადგენლები, საუბრობდნენ საზოგადოებრივ საკითხებზე, კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს პოეტები, აქვე აფასებდნენ ნამუშევრებს. ლიტერატურულ სალონებს სტუმრობდნენ როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები, ასევე უცხოელი მოღვაწეები. ლიტერატურულმა სალონებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა XIX საუკუნის ისტორიაში. მანანა ორბელიანის სალონში გადაწყდა ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ქალი არასდროს იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მიღმა, მაინც ქართველი ქალების გააქტიურებამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო ფართო და მრავალმხრივი ხასიათი. ქალთა დიდი ნაწილი პრესის ფურცლებზე აქვეყნებდა წერილებს. ქართველმა ქალებმა თავის წერილებში რეალურად ასახეს იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება და ის დრომოჭმული ტრადიცია, რომელიც ქალის სწავლა-განათლებასთან დაკავშირებით არსებობდა. თუ ქალების წერილებს თვალს გადავაკვლევთ, ნათლად დავინახავთ, რომ ესაა მოწოდება და გამოფხიზლება ქართველი საზოგადოებისა. ესაა მოთხოვნა იმისა, რომ დაფასებული იყოს ქალის სურვილები, ინტერესი და შრომა. ქალის წერილებში გამოკვეთილადაა ნაჩვენები არაერთი პრობლემა, რაც აფერხებდა არა მარტო ქალის განვითარებას, არამედ ქვეყნის განვითარების პროცესსაც.

§1. მელანია მამაცაშვილი-ბადრიძის საზოგადოებრივ- პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობა

როგორც ცნობილია, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქალებს არ ჰქონდათ სწავლა-განათლების მიღებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავის დამკვიდრების უფლება. 1854 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა მელანია მამაცაშვილი-ბადრიძის ავტობიოგრაფიული წერილი, რომელშიც ავტორი ამხელდა, როგორც თავისი ოჯახის, ასევე, ზოგადად, ქალის მიმართ ჩაგრულ დამოკიდებულებას. მელანია მამაცაშვილი თავისი ეპოქისთვის მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო ქალი იყო. მან, პირველმა, საჯაროდ გამოიტანა თავისი პირადი ცხოვრება და ამ ფორმით დაუპირისპირდა იმდროინდელი საზოგადოების დამოკიდებულებას ქალის მიმართ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურულ ჟურნალ „ზურნაში“ გამოჩნდა ქართველი მწერალი ქალი მელანია მამაცაშვილი-ბადრიძე დაუმთავრებელი პატარა მოთხრობით „კატო და ანა“ და თამამი ფსევდონიმით - „ბუდუმჩაია გრუზინსკაია პისატელნიცა“. ეს ფაქტი ყურადღების მიღმა არ დარჩენია გაზეთ „კავკაზის“ მეფელეტონეს. იგი სიხარულით იუწყებოდა, რომ თბილისში პირველი მწერალი ქალი გამოჩნდა და ამ მიღწევას გაზეთ „კავკაზს“ მიაწერდა. გაზეთის დანიშნულებას იწონებდა, რადგან გზას უხსნიდა ყველას და საზოგადოების განვითარებისა და ახალი მწერლების გაცნობის სამსახურში იდგა. „ამჟამად ტფილისის მეფელეტონეს რაღაცა ეადვილება და ეხალისება „კავკაზის“ მკითხველთან გამოსაუბრება, რადგან მას შეუძლიან დაიწყოს იგი ყველაზე ახალ, ყველაზე საოცარ, საქართველოსთვის უჩვეულო და სასიხარულო ამბით. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე უჩვეულო და სასიამოვნო, როგორც აღმოაჩინო, ამცნო საქართველოს ხალხის განვითარება და განათლების ყველა მოღვაწეს ქართველი მწერალი ქალის მოვლენა“ („კავკაზი“ 1854 : N56).

მელანია მამაცაშვილი ნაკლებად ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის. მის შესახებ ინფორმაციას ვიღებთ ავტობიოგრაფიული წერილიდან, რომელიც წინ უძღვის მის ერთადერთ დაუმთავრებელ მოთხრობას „კატო და ანა“. მელანია მამაცაშვილი დაბადებულია ქარელის რაიონის სოფელ რუისში, მისი გვარი „კეთილი აზნაურების“ სახელითაა ცნობილი. თვითონვე წერს: „მოდგმით ნამდვილი ქრისტიანი ქართველი

ქალი გახლავართ იმ ძველი და საჩინო ხის უჩინარი შტოთაგანი, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში ნეტარ ფესვებს, მიწის ძირამდე მალა სტყორცნის ახალ ღეროებს... მეც ამ ხის ჩრდილქვეშ დავიბადე სოფელში, რომელიც ერთ დროს ჩვენი მეფის რეზიდენციას შეადგენდა“. თუ რატომ ამაყობს მელანია თავისი გვარით, ცხადი ხდება სოფელ რუისში გავრცელებული ლეგენდით: „როდესაც საქართველოში თურქ-სელჩუკობა იყო, თბილისს ამირა მართავდა. 1072 წ. გიორგი მეორე რუისის ღვთაების მონასტერში აკურთხეს მეფედ, აქ ცხოვრობდა და მართავდა ქვეყანას, აქვე დაიბადა მისი ვაჟი დავითი (შემდეგში აღმამეზობლად წოდებული). მტერს რომ არ მოეკლა ტახტის მემკვიდრე, რუისელებმა ყველაფერი გააკეთეს და უფლისწულს მალულად ზრდიდა მამაცაშვილების გვარი (კახაბერ კენკიშვილი „კარიბჭე“ – „ჩემი სოფელი“, 2006 : 11.08). როგორც აღვნიშნეთ, მელანია მამაცაშვილის ბიოგრაფია ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისთვის. სოფელში გავრცელებული მოარული ამბების მიხედვით, მელანია არ ყოფილა ჩვეულებრივი სოფლის გოგო, ის ხან ქართულად იცვამდა თურმე, ხან ევროპულად, მისი სახელი კი, მელანია ერთგვარ საზოგადო სახელად ყოფილა გადაქცეული. ქალი რომ სითამამეს გამოიჩინდა ხოლმე, ამბობდნენ: „ესეც მეორე მელანიააო“. ამ სითამამის გამო იყო ალბათ, რომ „აშარსაც“ ეძახდნენ სოფელში. ხელმარჯვე გოგოც ყოფილა მელანია, დილით რომ კაბას გამოჭრიდა, საღამოს უკვე შეკერილი ჰქონდა და იმ კაბით დადიოდა. მელანიას ქმარიც განსხვავებული ყოფილა იმ დროის ბატონთაგან: „ულამაზო, უფულო, ცალთვალზე ბისტგადაკრული, ყურთმაჯებიან კაბაში გამოწყობილი ანჩისხატის უბნის ბატონი - კონა ბადრიძე“. ცოლ-ქმარი მალევე უშვილოები დაშორებულან ერთმანეთს. მელანია მშობლიურ სოფელში დაბრუნებულა. სოფელ რუისში ახლაც დგას მამაცაშვილების ორი სახლი, ერთ-ერთ სახლში უნდა დაბადებულიყო მელანია. სახლები საბჭოთა ეპოქაში ჩამოართვეს მამაცაშვილებს. ერთ სახლში სოფლის საავადმყოფო გახსნილა, მეორეში - საბავშვო ბაღი. როგორც სოფელში გადმოცემით იციან, სახლში არსებული ქონების ნაწილი განადგურდა, დასუფთავდა გარემო და ისე გაიხსნა სახელმწიფო დაწესებულებები.

არქივში დაცულია 1891 წელს შედგენილი სოფელ რუისში მცხოვრები მამაცაშვილების გვარის გენეალოგიური რუკა. როგორც გვიამბეს, გენეალოგიურ რუკაზე მამაცაშვილები მხოლოდ ვაჟებს აფიქსირებდნენ, ქალიშვილები თვითონ წერდნენ თავიანთ სახელებს, მხოლოდ ისინი, ვისაც შვილი ჰყავდა. შესაძლებელია, მელანია სწორედ ამ მოთხოვნების გამო ვერ მოხვდა რუკაზე.

მელანიას სითამამე შემდეგი შემთხვევიდანაც ჩანს. იგი საყვედურით იწყებს ავტობიოგრაფიას და მიმართავს მეფელეტონეს (მიხეილ თუმანიშვილს), რომ მას ერთი წელია იცნობს და არც კი დაინტერესებულა, ვინ არის და რა სურს უსწავლელ ქალს. მელანიას ბავშვობაში სწავლის დიდი სურვილი ჰქონია. აი, რას წერს ის: „ძალიან მინდოდა ენათა შესწავლა, მაგრამ ღმერთმა არ მომცა საამისო შემთხვევა. მშობლებიც მიშლიდნენ, არ უნდოდათ, მცოდნოდა რომელიმე ენა მშობლიურის გარდა. ამის გარდა მუსიკისა და სიმღერის შესწავლის დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენში აზიაში, დედათა სქესს დიდ სირცხვილად ეთვლებოდა“. ამ შემთხვევაში მელანიას ოჯახი კონკრეტულად მარტო მისი ოჯახი არაა, ესაა იმდროინდელი ოჯახების ტიპური სახე და მათი შეხედულებები ქალიშვილის სწავლა-განათლებაზე. მაშინდელი ოჯახების დიდი ნაწილი ძველ ტრადიციას ქალების გათხოვებასთან დაკავშირებით ძალზე უფრთხილდებოდა. მხოლოდ მზითვი და ქალისთვის ხელსაქმის ცოდნა საკმარისი იყო მისი მომავლისთვის. ეს ფაქტი, ცხადია, იწვევდა მშობლებსა და შვილებს შორის გაუცხოებას. მელანია სრულიად უმიზეზოდ გამხდარა ავად. მას კითხვას უშლიდნენ მშობლები, წიგნებს უმაღავდნენ, ოთახში კეტავდნენ და ყოველივე ამის შემდეგ შვილის ავადმყოფობის მიზეზს ვერ იგებდნენ. ვერ ხვდებოდნენ, რომ აუსრულებელმა ოცნებებმა, სწრაფვამ განვითარებისკენ, წიგნის კითხვის სურვილმა შეიძლება ჯანმრთელობა შეგირყოს. მელანიას ავადმყოფობის მიზეზი მშობლების შიშია. ის მუდმივად იმალება. მალავს წიგნებს, ხან მიწაშიც კი მარხავდა, რომ მშობლებს არ ენახათ.

„რამდენჯერ მსმენია დედისაგან, - წერს მელანია, - რომ მე უფრო მიტომ ვუყვარდი, რომ ვგავდი მის დედას ბატონის ასულს მარინეს, როგორც ორი წვეთი წყლისა. განსვენებული ყოფილა საოცრად მახვილი, ჭკვიანი, სათნო და ღვთისნიერი არსება, თავის უკანასკნელ საბადებელს ახმარებდა ეკლესიათა აგებას და ამ ნეტარ საქმიანობაში დალია სიცოცხლის უკანასკნელი დღენი. ჩემს საბრალო დედ-მამას ეგონათ, რომ რადგან გარეგნობით დიდედას ვგავდი, ყველაფერში დავემსგავსებოდი და ისე მშვიდობიანად გავატარებდი ცხოვრებას, მათ სწამდათ, მარინეს აგებული საყდრები ჩემს სახსნელად გამოდგებოდნენ. ამაო იყო ეს რწმენა, მარინეს საყდრები დღესაც არსებობს ქართლის ზოგიერთ კუთხეში, ჩემი ბედნიერება კი, გარემოებათა ბოროტი ძალების მიერ კარგა ხანია დამსხვრეულია“. ფაქტი ნათელია, რას ელოდნენ მშობლები მელანიასგან, რომ მას ტრადიციისამებრ მოუძებნიდნენ საქმროს, გაათხოვებდნენ.

ხელსაქმე კი იცოდა მელანიამ, ოჯახში არ უნდა გაჭირვებოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ მშობლები მთავარს, ეს „შექმნილი“ ბედნიერება იქნებოდა მელანიასთვის ის, რაც მის დაუდგრომელ შინაგან სამყაროს სურდა? დედასა და შვილს შორის ჩუმი კონფლიქტი პატარა ასაკიდანვე დაწყებულა. მელანია მიხვდა მიზეზს, რატომ უყვარდა დედას (შეიძლება ეს სულაც არ იყო ასე), მაგრამ ფაქტია, ბავშვმა, პატარა გოგონამ, იგრძნო დედისგან, რომ ბებიას ჰგავდა და მისნაირ ცხოვრებას აჩვევდნენ. იქნებ ესეცაა მიზეზი, რომ მელანიას შინაგანი პროტესტი გაუჩნდა მშობლის მიმართ. ალბათ დედის დაუფარავმა ნათქვამმა იმოქმედა მელანიას ფსიქიკაზე და ოჯახისაგან რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების გზა აირჩია. მელანიაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სიმშვიდედაკარგული იყო. დედამაც ვერ მიაღწია საწადელს, რომ შვილს ტრადიციული ქართული ოჯახი შეექმნა.

მელანიას არც გათხოვებითა და ახალი ცხოვრებით გაუმართლა. ერთადერთი, რისი მადლობელიცაა ქმრის ოჯახში, იყო ის, რომ კითხვას არავინ უშლიდა და წიგნებიც ბევრი ჰქონდათ. იგი წერს: „პირველად ხელში ჩამივარდა „დაბადება“, სიამოვნებით ვკითხულობდი. ხან მანცვიფრებდა შემოქმედის საქმენი, ხან მაინტერესებდა ადამიანის ცხოვრება ქრისტეს მოსვლამდე. მახსოვს, რომ ამ დროს ჩემი აზრი აფორიაქებული იყო საშინელი გაოცებით. მომაგონდა, რომ ქართველები ცხედარს მკვდარს კი არ უწოდებდნენ, არამედ გარდაცვალებულს, გარდაცვალება ე. ი. სახის შეცვლა ერთი სახიდან მეორეში გადასვლა, ისე რომ ჩვენი ენა პირდაპირ გვიჩვენებს, მკვდრები მხოლოდ გარდაცვლილნი ერთი სახიდან მეორეში გარდასულან და ამ მოსაზრებიდან გადავედი სხვა მოსაზრებაზე, მეჩვენა რომ მეც ოდესმე მეცხოვროს და ახლა კი სახეშეცვლილი ვიყვ“. ეს გრძელი ციტატა გამიზნულად მოვიყვანეთ, რადგან კარგად ჩანს მელანიას შინაგანი სამყარო. მას არათუ წაუკითხავს დაბადების წიგნი, არამედ ფილოსოფიური ხედვით გაუმინაარსებია იგი. საკუთარი თავის მაძიებელი ქალისგან საინტერესო მსჯელობაა. მას სჯერა, რომ სიკვდილი არ არსებობს იმიტომ, რომ ღმერთს არ შეუქმნია იგი. ჩვენ რასაც სიკვდილს ვეძახით, გარდასახვაა ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში. სულიერი სიკვდილი ამ სამყაროშიც შეიძლება. მელანიას სამყაროში საინტერესოდ იხსნება სულთა მოგზაურობაზე ფიქრი დროსა და სივრცეში, თითქოს იგი იცნობდეს პლატონის დროის ფილოსოფიას, რომელიც აწმყო (ახლანდელ) დროს არ სცნობს და ამბობს, რომ დრო ორია: წარსული და მომავალი. ადამიანი ან წარსულშია, ან მომავალს გეგმავს. მელანიას ფიქრები რომ შევაჯამოთ, ის იყო

წარსულში უკვე, მისი ფიქრები კი სამომავლოა. მელანიას ფიქრები რომ სამომავლოა, ცხადია. მას მწერლობა სურს, უნდა, რომ მწერალი ქალის სტატუსით იცნობდეს საზოგადოება. გადაუწყვეტია კიდევ რომანის დაწერა, სათაურიც შეურჩევია: „აზიელი ქალის პირველი განცდა“. თუმცა მისმა დაწერილმა მისივე კრიტიკას ვერ გაუძლო და ნაკუწებად აქცია ნაწერი.

მელანია თავისი ცხოვრების სამ მნიშვნელოვან ეპიზოდს გამოყოფს, რამაც მას დიდი სიხარული აგრძნობინა, ესაა: 1) როდესაც თბილისში ჩამოჰყავს რუსულ ოჯახს და მის გადაწყვეტილებას იწონებენ (გახდეს მწერალი); 2) განახლებული დედაქალაქი, რომელსაც ახალი სიცოცხლის მაჯისცემა ეტყობა; 3) მისი ძმების გამგზავრება რუსეთში, სამხედრო სასწავლებელში.

მელანიას თითოეული სიხარულის განცდას, რა თქმა უნდა, ახსნა და შეფასება აქვს. ის ფაქტი, რომ რუსი ოჯახი არწმუნებს მელანიას, მიზნად მწერლობა დაისახოს, მას ახარებს და საბრძოლველად სტიმულს აძლევს. განახლებულ დედაქალაქში მელანია ვორონცოვის მმართველობის დროინდელ ხანას აღნიშნავს. ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის მეფისნაცვლად ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა ქართული კულტურის აღორძინებისთვის. მიძინებული ერი გამოფხიზლდა, სიცოცხლე დაეტყო ქვეყანას, აფუსფუსდა საზოგადოება, ქართულმა თეატრმა მშობლიურ ენაზე დაიწყო წარმოდგენები, გამოიცა ჟურნალ-გაზეთები, აშენდა სახლები, გაიმართა ვაჭრობა. მელანიამ იგრძნო საზოგადოების გამოფხიზლება, იგრძნო ქვეყნის სასიკეთო მიმართულებით შეცვლა და გახარებულია ამ ფაქტით. მელანიას მესამე სიხარული მის ოჯახს უკავშირდება, როდესაც დიდი ძალისხმევით მოახერხა და ძმები სასწავლებლად გაგზავნა. ოჯახი ამის გამო დაემდურა მელანიას. მისი მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი სიხარული სწორედ მშობლებთან შერიგება და მისი ძმების წარმატებაა.

მელანია მამაცაშვილის ავტობიოგრაფია მნიშვნელოვანია, უპირველესად, იმით, რომ მელანია არის პირველი ქალი, რომელმაც ამხილა იმდროინდელი საზოგადოების აზროვნება და შეხედულებები ქალების განათლების შესახებ. სამაგალითოდ, საჯაროდ საკუთარი ბიოგრაფია გამოიტანა, „კარგად დაწერილი ბიოგრაფია იგივე მხატვრული შემოქმედებაა“ (კოტეტიშვილი 1965: 247). მელანია მამაცაშვილის ბიოგრაფია ნამდვილად არის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი ნიმუში. მასში კარგად ჩანს მაშინდელი საზოგადოების მსოფლმხედველობა. ნათლად ჩანს აგრეთვე, რომ იწყებოდა

ახალი ერა. საჭირო იყო ზოგიერთი საკითხის გადაფასება. ბიოგრაფიაში ნაჩვენებია საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც უჭირს ახალ დროსთან შეგუება.

მელანია მამაცაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი დაუმთავრებელი მოთხრობით შემოიფარგლება. ეს არის „კატო და ანა“, რომელიც დაბეჭდილია „ზურნაში“ („ზურნა“ 1855: N50). მოთხრობა დაწერილი ყოფილა ქართული ასოებითა და რუსული სიტყვებით. როგორც ჩანს, იგი თვით მელანიას გადაუთარგმნია, რადგან ენა შესწავლილი ჰქონდა, ალბათ, წერა - არა (კოტეტიშვილი 1965: 2). მოთხრობა „კატო და ანას“ მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. დასასრული არა აქვს, ალბათ დაკარგულია. მოთხრობაში ნაჩვენებია ქართველი აზნაურის, ძველი თაობის წარმომადგენლის, ლუარსაბ კვრინჩხიყლაპიაშვილის ოჯახი, რომელიც იცავს და მყარად დგას ძველ ტრადიციებზე. მას ჰყავს მეუღლე თამარი და ქალიშვილი კატო. კატო გათხოვების ასაკს მიღწეულია უკვე და თამარს სურს, შვილი ქალაქში გაათხოვოს. პირველი დაპირისპირება ცოლ-ქმარს შორის დედის ამ ფიქრის გაჟღერებას მოჰყვება. თამარი უმტკიცებდა ქმარს: „ქვეყანა იცვლება, უკეთესია კატო თბილისელს მივათხოვოთ, ვიდრე ჩვენს სოფელს, თუნდაც თავადიშვილს, თბილისში ჩვენც ბინა გვექნება, შვილებსაც გავაბედნიერებთ, რუსეთშიც გავგზავნით სასწავლებლათო“. ლუარსაბი აღაშფოთა ცოლის ნათქვამმა. თამარმა ყველა ღონეს მიმართა, დაერწმუნებინა მეუღლე, რომ დრო შეიცვალა, ახალგაზრდა თაობამ უნდა ისწავლოს, გზა მხოლოდ რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდებისთვის იქნება ხსნილი. მაგრამ თამარის მიზანი რეალურად სხვაა, იგი ანგარებიანი აღმზრდელია. „იქიდან დაგვიბრუნდებიან ფულიანები“, - ეუბნება იგი ქმარს. თამარი არც ანგარებიან ქორწინებაზე იტყოდა უარს და მდიდარ საქმროს მოუძებნიდა ქალიშვილს. ფულიანი შვილები „ჩვენს ვალებს გაისტუმრებენ და დაგირავებულ მამულებს დაგვიხსნიან სომხებისგან“ - ასე ფიქრობდა თამარი და ცდილობდა, ქმარიც ამ აზრის სისწორეში დაერწმუნებინა. მიაღწია კიდეც საწადელს. მათ თავიანთი თანასოფლელი თავადი ბურტყალაძე დაიწუნეს და კატოს ბედი მიანდეს ხიხვინ ხიხვინიჩს, რომელსაც უნდა მოეყვანა თბილისიდან სასიძო - თავისი მეგობარი, რუსული „ფურგუნით“.

მოთხრობაში მკვეთრად გამოკვეთილი სახეა ლუარსაბ კვრინჩხიყლაპიაშვილი, რომელიც არის ძველი ადათ-წესების დამცველი კაცი, ოჯახის უფროსი, განხილვის გარეშე უარყოფს ყველაფერ „ახალს“. რუსეთი მის წარმოდგენაში არის „ქვეყანა, სადაც მუდმივი თოვლი იყო, ხალხი - ტლანქი და უხეში, რომლებიც თეთრ დათვებთან

ერთად ცხოვრობდნენ“. იგი იჯერებს აზრს, რომ ხსნის გზა მხოლოდ ამ ქვეყანაშია და უნდა დაემორჩილოს ცოლს.

მოთხრობაში წინა პლანზეა წამოწეული საზოგადოების დეზორიენტაციის საკითხი: ახალი მდგომარეობის გამო დაბნეული ოჯახები, რომელთაც ერთმანეთში ერევათ, რა უნდა დათმონ და რა - არა; რა საჭირო არის განათლება; რატომ გამოხატავენ ქალები განათლების სურვილს. ავტორი რომ თამარის პოზიციისკენ იხრება, ნაწარმოებში ნათლად ჩანს. აქ, ასევე, კარგადაა ნაჩვენები ხიხვინიჩის მიერ სასიძოს მოყვანის სცენა: „ცხენ-და-ცხენ არ იკადრეს მოსვლა, ეტლით უფრო დიდკაცურიაო და ეს ახალი მოდის ეტლი ფურგუნი იყო“. ვინ იჯდა „ფურგუნში“, უცნობია. რა ბედი ელის კატოს, შესაბამისად, არ ვიცით, მაგრამ მთავარი აქცენტი გასაგებია. სავარაუდოდ, აქ იქნებოდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც „ახალი დროის“ დადგომა ყველაფერი ძველის უარყოფად მიაჩნდათ და დროებით ნაშოვნი ფულით შეძენილი ძალაუფლება სხვის თვალის ასახვევად „ფურგუნით“ წარმოადგინეს, ან კიდევ, ეს ახალგაზრდებიც წარმოადგენდნენ საზოგადოების საქორწინო ბიჭების იმ ნაწილს, რომლებიც ცოლის მზითევის ხარჯზე აპირებდნენ ცხოვრებას. „ესენი არიან ავარები, თავზეხელაღებული პირები, რომელთაც „ახალი დრო“ გაუგიათ, როგორც სინდისგარეცხილობა, ყოველგვარი ვაჟკაცობის დაკარგვა, ცინიზმამდე მისული უზრდელობა და მორალური ჯიბგრობა“ - ასე შეაფასა სასიძო და მისი მეგობრები ვახტანგ კოტეტიშვილმა (კოტეტიშვილი 1965: 250). მოთხრობა აქ წყდება, დასასრული დაკარგულია, თუმცა ნაწყვეტიდანაც ბევრი რამ ნათელია: 1) დრო, რომელსაც საზოგადოების გარდატეხის ეტაპი მოჰყვებოდა; 2) დაბნეული საზოგადოება ტრადიციულ ფასეულობებსა და ახალი დროის მოტანილ მოთხოვნებს შორის; 3) თავადაზნაურობა, როგორც თავის გადარჩენის გზების მაძიებელი. „მოთხრობას ტექნიკა არ აქვს გამართული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი შემოქმედება ღირსსაცნობი მოვლენა არის, როგორც ქართული პროზის რესტავრაციის კიდევ ერთი დასაწყისის კიდევ ერთი დოკუმენტი“ (კოტეტიშვილი 1965: 250).

მელანია მამაცაშვილის მოღვაწეობა მნიშვნელოვანია იმით, რომ მან პირველმა გამოიტანა თავისი პირადი ცხოვრება სააშკარაოზე და ამ ფორმით ამხილა მაშინდელი საზოგადოების დამოკიდებულება ქალების მიმართ. მელანია მამაცაშვილმა ერთი პატარა დაუმთავრებელი მოთხრობით აჩვენა, ტრადიციულ ფასეულობებსა და ახალი დროის მოთხოვნებს შორის მყოფი დაბნეული საზოგადოება.

§2. ბარბარე ჯორჯადის პუბლიცისტური და

ლიტერატურული მოღვაწეობა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე და ასევე მწერლობაში პირველი მოღვაწე ქალი ბარბარე ჯორჯაძეა. იგი თავისი ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული ქალია. ის პირველი ალაპარაკდა ქალთა უფლებო მდგომარეობის შესახებ. ბარბარე ჯორჯაძე ღიად გამოხატავდა თავის სურვილს საზოგადოების წინაშე წერილებით, პოეზიით, იმის შესახებ, რომ ქალი და მამაკაცი ღმერთს თანასწორი უფლებებით ჰყავს გაჩენილი და მათ შორის განსხვავება არ უნდა არსებობდესო. ამიტომ იგი მოუწოდებდა მამაკაცებს, რომ დაენებებინათ თავი ქალებისთვის, მიეცათ მათთვის თავისუფლება და ქალი შეძლებდა მამაკაცის „კვალში ჩადგომას“. ბარბარე ჯორჯაძე მოუწოდებდა ახალი თაობის ქალებს, რომ ეზრუნათ საკუთარი მომავლისთვის, თორემ „ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ვეღარა გაგვასწორებს რაო“.

ბარბარე ჯორჯაძე პუბლიცისტური მოღვაწეობით გამორჩეული და გაბედული ქალია. იგი პირველია, ვინც პრესის ფურცლებზე იღია ჭავჭავაძესთან პოლემიკური წერილებით გამოჩნდა და ამით ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ქალებსაც შეუძლიათ მსჯელობა, კრიტიკა და აქვთ აზრის გამოხატვის თავისუფლება. მამაკაცი, ვინც არ უნდა იყოს, ვალდებულია მოუსმინოს და პატივი სცეს მის წინააღმდეგ გამოთქმულ შენიშვნას თუ კრიტიკას. ცნობილია, რომ იღია ჭავჭავაძემ დამცინავად უპასუხა ბარბარე ჯორჯაძის კრიტიკულ წერილს, რომელიც ქვემოთ არის გაშლილი. აქ მთავარი ის არის, რომ ქალმა თავისი აზრის თავისუფლად გამოხატვა შეძლო და კრიტიკული წერილი პრესის ფურცლებზე მოათავსა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში ბარბარე ჯორჯაძე არის პირველი ქართველი ქალი, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებებს, წერილებს, მოთხრობებს, პიესებს, ლექსებს იმდროინდელ პრესის ფურცლებზე აქვეყნებდა.

ბარბარე ჯორჯაძე დაიბადა 1833 წელს სოფელ ქისტაურში (კახეთი). მშობლები, დავით რაფიელის ძე ერისთავი და ნინო ამილახვარი, იმ დროისთვის განათლებული ადამიანები ყოფილან. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: რაფიელი, ბარბარე, ნინო, სოსიკო. მათგან მხოლოდ რაფიელს უსწავლია. სწორედ ცნობილი პოეტის, რაფიელ ერისთავის

დაა ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე. ბავშვები დედით ადრე დაობლებულან, მათ ზრდიდა ბიძა - დილაგარდისა. აღმზრდელმა ქალმა დიდი წვლილი შეიტანა ბავშვების განვითარებაში, ასევე მათ განათლებაშიც. ის უკითხავდა მათ სასულიერო წიგნებს და ასწავლიდა საჭირო ხელსაქმესაც. ბარბარე ძალიან ადრე, 12 წლის ასაკში, გაათხოვა ოჯახმა.

მწერალი და დრამატურგი ქალი, მარიამ დემურია, რომელმაც ასევე დააარსა ჟურნალი „ნაკადული“, ბარბარეს მონათხრობს მისი ჯვრისწერის შესახებ ასე იხსენებს: „საზოგადოდ იმ დროისათვის ქალებს ძალიან ადრე ათხოვებდნენ და მეც ისეთი პატარა ვიყავი, ჯვარს რომ გვწერდნენ, თამაშობა მეგონა, როდესაც მღვდელი ქორწინების წესს ასრულებდა. ამ დროს ეკლესიაში ღამურა შემოფრინდა, დავინახე თუ არა ღამურა, მღვდელი, მღვდელი, შენი ჭირიმე, გაჩუმდი, მე მგონი, ჩემი იადონი შემოფრენილა და მინდა დავიჭირო“.

ბარბარე ერისთავის მეუღლე, ზაქარია ჯორჯაძეა. ის სამხედრო პირი იყო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ქონება „პრიკაზში“ ჰქონდათ დაგირავებული, ზაქარია კი სხვადასხვა ქალაქში დადიოდა სამუშაოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ბარბარე გრემში ცხოვრობდა. არაერთხელ უნახავს კახეთის აოხრება ლეკების მიერ, არაერთხელ გადაურჩა სიკვდილს. ერთხელ ხატები გაუტანია გადასარჩენად და როდესაც დაბრუნებულა, სახლი დამწვარი უნახავს და საცხოვრებელი შამილის ჯარისაგან გაზიდული. „წარმოიდგინეთ, რარიგად შევწუხდებოდით“, - წერს ის. მისმა ოჯახმა ბევრი გაჭირვება გადაიტანა, დაგირავებული ადგილ-მამულები და ქონება დაკარგა. ბარბარეც იძულებული იყო, სოფელი დაეტოვებინა და თავის ქმართან ერთად მოხეტიალე ცხოვრება დაეწყო. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბარბარეს მუდმივი საცხოვრებელი ადარ ჰქონია, იგი შვილებთან ცხოვრობდა.

ბარბარეს და ზაქარიას სამი შვილი ჰყავდათ, ნოშრევანი, მიხეილი და მანანა. ნოშრევანი თავნება და ჯიუტი ბიჭი იყო, 12 წლის გაიქცა სახლიდან და დიდი საფიქრალი და დარდი გაუჩინა ოჯახს.

1860 წელს რაფიელ ერისთავი ზუგდიდის დროებითი მმართველობის საბჭოს წევრი იყო, იქ მუშაობდა ზაქარიაც. ისე შეაწუხა თურმე მამა და ბიძა ნოშრევანმა, რომ რაფიელ ერისთავი სწერდა დას: „ავიკლო ნოშამო“. ბარბარეც გულისტკივილით წერდა მმას შვილის ამბავს, რომ ნოშრევანი ორ მეგრულ აბრაგთან ერთად კახეთში ჩასულა და

მეზობლების აწიოკებას ცდილობდა. სთხოვდა რაფიელს, იქნებ დაარიგო და დამეხმარო, რომ მისი ცხოვრება შეიცვალოსო. ცოტა ხნის შემდეგ მიწერილ წერილში, რომელიც უთარილოა, ბარბარე მაღლიერია ძმისა, პატივისცემისა და დახმარებისთვის მაღლობას უხდის მას (კ.კ.ხ.ე. ფ. 970-972).

მიხეილი ლენქორანში ცხოვრობდა (აზერბაიჯანი). მეუღლის სიკვდილის შემდეგ ბარბარე ხშირად იყო ლენქორანში შვილთან. ბარბარეს ცხოვრებას დის გათხოვებამ არდაგანში და შემდეგ მისმა ნაადრევმა სიკვდილმაც მძიმე კვალი დააჩნია. როგორც წერილებიდან ირკვევა, ის ვერ ეგუებოდა დის ნაადრევ გათხოვებას და მისგან შორს ცხოვრებას. ლექსიც აქვს მიძღვნილი ასეთი სათაურით „ჩემს დას - ნინო ჭავჭავაძეს“.

ბარბარე ჯორჯაძე 1895 წელს ლენქორანში, ვაჟთან მიმავალი, გზაში, გომბორის ახლოს გარდაიცვალა. დასაფლავებულია თელავში თავისი ძმის, რაფიელის გვერდით. ბარბარე ჯორჯაძის გარდაცვალების ამბავს მაშინდელი პრესა სამძიმრის წერილებით ეხმაურება. ჟურნალი „მწყემსი“ დაწვრილებით აუწყებს მკითხველს კნეინა ბარბარე ჯორჯაძის გარდაცვალების ამბავს: „10 აპრილს ის გაემგზავრა თბილისში და თბილისიდან აპირებდა შვილთან ლენქორში წასვლას, ავიდა თუ არა ეტლზე, კნეინას გულის ფრიალი აუტყდა და ბოლოს თავბრუ დაესხა. ბევრი ეცადნენ, მაგრამ კნეინა ვერასგზით ვერ მოუბრუნებიათ, ამ დღეს საღამოთი მოასვენეს თელავში“ („მწყემსი“ 1895: N8). ჟურნალი „კვალი“ ვრცელ სამძიმრის წერილს ბეჭდავს და ემშვიდობება სამშობლოსა და ერის მოყვარე მწერალ ქალს - „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი მამულისა და ერის მოყვარე მწერალ ქალი, ბარბარე“ („კვალი“ 1895: N77). გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ განცხადებას, რომ ბარბარე ჯორჯაძის საფლავზე ძეგლის დადგმისთვის საგანგებო კომისია შემდგარა, რომელიც აგროვებდა შემოწირულობის თანხას („ცნობის ფურცელი“ 1896: N20).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული საზოგადოებრივი მოვლენები და ბარბარე ჯორჯაძე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ეს იყო პირველი ქალი საქართველოში, რომელიც იმ დროს ქალების უფლებების შესახებ ალაპარაკდა.

ბარბარე ჯორჯაძემ, თავისი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების მიუხედავად (იგი სისტემატიურად აქვეყნებდა პიესებს, ლექსებს, მოთხრობებს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე), საზოგადოების ყურადღება ილია ჭავჭავაძესთან საპასუხო პოლემიკით მიიქცია. ილია ჭავჭავაძე თავის წერილში, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“

1861 წელს გამოქვეყნდა, გარდა თარგმანის ნაკლისა, განიხილავდა ენის საკითხს. როგორც ცნობილია, ახალი, სამოციანელთა თაობა, „თერგდალეულები“, აქტიურად იბრძოდნენ ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისთვის. მათ არ აკმაყოფილებდათ ანტონ კათალიკოსოსის „სამი სტილის“ თეორია, რომელმაც სალიტერატურო ქართული ენის განვითარება შეაფერხა. მათი მიმდევრების ენა იყო ხელოვნური, რომელსაც წყაროდ ჰქონდა სასულიერო ლიტერატურა, თეორეტიკა, პათეტიკა სასულიერო დოგმებისა. ილიას ზემოთ აღნიშნულმა წერილმა დიდი აღშფოთება გამოიწვია მაშინდელ საზოგადოებაში. ბარბარე ჯორჯაძე იყო პირველი ქალი, ვინც „ცისკრის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილი „თავად ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზე“ და „პასუხის პასუხი“.

მოვლენების კარგად დასანახად თვალი გადავავლეთ „ცისკრის“ ფურცლებზე გამართულ პოლემიკას, რომელიც ლიტერატურულ საკითხებზე დავით დაიწყო. ილია ჭავჭავაძე თავისი წერილის, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან „შემლილის“ თარგმანზედა“, დასაწყისში აღნიშნავს, რომ „ქართული ანბანის ხუთი ასო, რომელიც თითქმის აღარ იხმარებოდა და მათი მნიშვნელობის ასოები გვექონდა ანბანში, საჭირო აღარ იყო და ხმარებიდან ამოღებით გამარტივდებოდა ანბანი“. მაგალითად, წერდა ილია: „ეს ასოები სულ არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში, თუ ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, გავსცეთ პასუხი და გამოვუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“ („ცისკარი“ 1861: N12). აქვე ილია დაწვრილებით განიხილავს თარგმანს, ავტორსაც და მის სუსტ შემოქმედებაზეც საუბრობს, რომ კოზლოვი არც თავად არის დიდად ღირსეული პოეტი, მისსავე ქვეყანაში არ არის დაფასებული და მის ლექსებსაც აკლია პოეტობის კვალი: „კოზლოვის შემლილი რა გადასათარგმნი იყო ან თუ თარგმნი, ისე უნდა თარგმნო, რომ თავისი სახე არ დაკარგოს, არც რუსის გოგომ, არც იქაურმა ყოფამ, ეს მთარგმნელს ვერ მოუხერხებია და ისედაც უბრალო ნაწარმოები მთლად დაუმახინჯებია“ („ცისკარი“ 1861: N12). ციტატიდან ნათლად იკვეთება ილიას პოზიცია არა მატო კოზლოვის მიმართ, არამედ მთარგმნელის მიმართაც. მთარგმნელის მიმართ შენიშვნები ილიას ფაქტებით აქვს გამყარებული და არაერთი მაგალათი მოჰყავს ნათარგმნიდან. გარდა იმისა, რომ თარგმანში დაშვებული იყო შეცდომები, ილია განსაკუთრებულ ყურადღებას ენის საკითხს უთმობდა, მთარგმნელის ენას იწუნებდა: „უენო ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენაო“. ჟურნალ „ცისკარსაც“ საყვედურობდა, რომ ასეთი ნაწარმოები

დაბეჭდა, თუმცა ირონიულად მადლიერია, ვითომდა „ცისკარმა“ ისეთი მოლექსეები და პროზაიკოსები გაგვაცნო, რომლებიც მკითხველს მალევე დაავიწყდებათ. წერილი მთავრდება მრავალმხრივ დამაფიქრებელი ნააზრევით, რომ ის სამი ღვთებრივი საუნჯე, რაც მამა-პაპათაგან შემოგვრჩენია, დასაცავია და საპატრონო: „მშობელ მამასაც არ დავუთმობთ ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას, ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, - წერდა ილია ჭავჭავაძე და ამ მოწოდებით ამთავრებდა თავის კრიტიკულ წერილს („ცისკარი“ 1861: N12). გამოქვეყნებისთანავე ილიას წერილმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ზედიზედ სამი წერილი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ: თავადი გიორგი ბარათაშვილისა, თავადი რევაზ ერისთავისა და კნენა ბარბარე ჯორჯაძისა. გიორგი ბარათაშვილის საპასუხო წერილი დაცინვაა ილიას კრიტიკული წერილის მიმართ. ფაქტი ცხადყოფს, რომ წერილი უსაფუძვლოდ დამცინავადაა დაწერილი, რომელშიც არანაირი კრიტიკა არ არის! ვითომდა თავგების და ობის მიერ შექმულ „ცისკრის“ ნომრებს შორის, რაც თავად ბარათაშვილის სკივრს შემოუნახავს, მხოლოდ „ცისკრის“ ის ნომრებია გადარჩენილი, რომელშიც ილიას ლექსებია დაბეჭდილი. „ვიფიქრეთ, თავგები მუზიკის დიდი პატივის მცემლები არიან და ეტყობა, რომ უფ. ილია ჭავჭავაძის ლექსები უნდა იყვნენ უეჭველად სხვა ღირსებათა გარდა, დიდი კეთილხმოვანი“, - წერს გიორგი ბარათაშვილი, და კიდევ „ნაცვლად მადლობისა, რომ იმის ლექსებს ყური არავინ ათხოვა, შეემზადა პეტერბურგში, როგორითაც დონ კიხოტი, მარცხენა ხელში ეპყრა ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები, მარჯვენა ხელში - ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ გამოილაშქრა საქართველოზე, რათა ძალ-და-ძალ აელო დაფნის გვირგვინი“ („ცისკარი“ 1861: N6). ასეთი ვითომდა კრიტიკული წერილებიდან, რომელიც ბრალდება უფროა, ვიდრე კრიტიკა მაინც გამოკვეთილად აღსანიშნავია კნენა ბარბარე ჯორჯაძის ორი წერილი, სადაც მან ღიად გამოხატა, რომ აღზრდილი იყო ანტონ კათალიკოსის „კატელორიებზე“. კარგად იცოდა ძველი მწერლობა, ალბათ, როგორც ქალს შიში ჰქონდა სიახლისა, მისი მიღებისა და გათავისებისა, ამიტომაც მისი წერილი ერთგვარი მიმართვაცაა ილია ჭავჭავაძისადმი და მხილებაც იმდროინდელი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელსაც არ ესმოდა, რომ „ხალხია ენის კანონის დამდები“.

„ჩვენ როგორც შევიტყვეთ, ბატონებო, - წერს ბარბარე ჯორჯაძე, - ილია ჭავჭავაძე გაზრდილი გახლავთ უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდნენ მრავალ საგნებს

და, რასაკვირველია, სწავლას მიღებულია, მაგრამ, აი, საკვირველი უპირველესი საგანი არ შეუძენია და ლიტერატორობს კი, თუმცა კი მაღალ სასწავლებელში არ ვყოფილვარ და თუ არა მაღალ სასწავლებელში, შინიდანაც გარეთ არ გავსულვარ, რომ ყოვლის მწერლისთვის საჭირო და აუცილებელია იცოდეს თეორეტიკა, ანუ სწავლა ხელოვნებისთვის - ვთხოვთ, შეასმინოს ჩვენს გაუნათლებელ გონებას, მაგ განათლებულმა სტუდენტმა, რა მნიშვნელობა აქვს ამ ლექსებს: ესთეტიური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი, ხომ იცის რომ ჩვენ „ცისკრის“ მკითხველები უფრო მეტნი ვეგულებიან სოფლებში, სადაც ესთეტიური იქნება და საჭმელადაც მივიღოთ“ („ცისკარი“ 1861: N6). იგი ვრცლად ეხება ილიას წერილს, აცხადებს და ამტკიცებს თავისი თანამოაზრეების თვალსაზრისს, რომ ლიტერატურა უნდა შეიცავდეს დარბაისლურ ენას. მიმართავს ილიას, რომ თუ ის წერს - „ენა საღვთო რამ არისო“, მაშინ რაღატომ ხმარობს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: „წირპლიანი“, „აგანგალა“, როგორ იყენებს მიმართავს - „რითმებით მორახუნე“, ამ სიტყვების ხმარება ნუთუ არ იყო ენის შეურაცხყოფა? კნენა ბარბარე ჯორჯაძე ნამდვილად იყო მათ მხარეს, ვისაც მიაჩნდა, რომ „ნამდვილ ქართულ ენას ბაზარში და ჩორჩო ბაზარში კი ნუ დაუწყებენ ძებნასო“- („ცისკარი“ 1861: N6), რომ ამბობდნენ. ილიას არც ერთი მის მიმართ დაწერილი ბრალდება უპასუხოდ არ დაუტოვებია, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანი მაინც ბარბარე ჯორჯაძის მიმართ დაწერილი პასუხებია, რომელშიც კარგად ჩანს ქალის გაბედულების მიმართ განსაკუთრებულად დამცინავი დამოკიდებულება. ილიას საპასუხო წერილს აქვს წამმღვარებული ეპიგრაფი, სადაც წერს - „ჩვენი ლიტერატურა საცეკვაო დარბაზად უნდა გადააკეთონ და უკვე ქალებსაც ეპატიჟებინ. ჩვენი ლიტერატორები ფრაკებში და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი მოდის კაცებად უნდა აქციონ, ენერჯის ნაცვლად მოწიწებას ეთაყვანებინ, გრძნობის ნაცვლად ზრდილობიანობას, აზრი მოდის, ფრაზები თუნდ არ შესცვალონ მოხდენილობა - გადამეტებული პრანჭიობით და კრიტიკის ნაცვლად კომპლომენტი იხმარონ“ („ცისკარი“ 1861: N6). ილია წერილში ბარბარე ჯორჯაძის კრიტიკას არაფრად მიიჩნევს, პირიქით, იუმორით უყურებს ამ ფაქტს და ამბობს, რომ ეს არის შინიდან გამოუსვლელი ქალი, რომელიც დასცინის უნივერსიტეტის განათლებას და ჰგონია, რომ თეორეტიკა მხოლოდ ცალკეული ასოების ა, ბ, გ, დ და ა. შ. სასწავლებლადაა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ასოები სიტყვებში. ასოების ხმარებას სწავლა არ უნდა, სიტყვები თვითონ არიან მასწავლებლები, რომელი სიტყვის თქმას და დაწერას რა ასო სჭირდება. ანბანის განსაზღვრება ხელოვნება არ

არის, ხელოვნება არის სახეში განხორციელება იდეისა და აზრისა, „მაგ: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია, სულ სხვადასხვანაირად გამოხატავენ იდეას. მათი გარჩევა იდეისგან გამოთქმაშია შესაძლებელი. „უბედურება ჩვენი ის არი, ვბეჭდავთ თუ არა ანბანის თეორეტიკის კანონით ლექსებს, გვგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამ შევძინეთ“, - წერს ილია („ცისკარი“ 1861: N6). ბარბარე ჯორჯაძე არ შეუშინდა ასეთ მკაცრ კრიტიკას და კვლავ დაბეჭდა ცისკარში წერილი - „პასუხის პასუხი“, სადაც ახლა უკვე ილიას პოეზიის განხილვას შეეცადა: „მისი ლექსი სუბუქ ფრთათა ხან მეჯლისში შეფრინდება“ და „აგერ მერცხალი ჭყვივის“ „სუბუქი“ და „ჭყვივის“ ლექსისთვის შეუფერებელი სიტყვებიაო. რა თქმა უნდა, ილიამ უპასუხა წერილს და სრულიად დამაჯერებლად დაასაბუთა, თუნდაც ის, რომ ჭყვივლზე შეიძლება გაგახსენდეს არა მარტო ღორის ჭყვივლი, არამედ ბავშვის: „ყმაწვილს ნუ აჭყვივლებთო“; „ფრინველი ჭყვივისო“. იმავენაირად ხსნის სიტყვა „სუბუქს“. იშველიებს ძველი მწერლების ნაწერებიდან მაგალითებს: „თამარ წყნარი პირმცინარი“ - სიტყვა „პირ“, თქვენი ლოგიკით, ქართული არ არისო? იგივე რუსთაველთანაც: „მოდგა თეთრტაიჭოსანი“ „თეთრ“ არც ეს ყოფილა ქართული მაშინო. დავა გრძელდებოდა, ბარბარე ჯორჯაძეს დამცველიც გამოუჩნდა იმერეთიდან, რომელმაც დაბეჭდა ასეთი შინაარსის წერილი „ცისკარში“, რომ ქუთაისში „ცისკარი“ არავის აღარ უნდა იმიტომ, რომ მხოლოდ ბარბარე ჯორჯაძისა და ჭავჭავაძის დავაა და მეტი არაფერი იბეჭდებაო: „ვიღაც ჭავჭავაძე აუტყდა და აღარა სცილდება იმ კახელს ჯორჯაძის კნენას, შეუსაბამო სიტყვებით იხსენიებს, რისთვის? სიმართლისათვის და ამ შვენიერი ლექსების წერისთვის?“ („ცისკარი“ 1861: N9). ილიამ ჩამოაყალიბა ცისკარში კრიტიკის არსი და მნიშვნელობა, აგრძნობინა ძველ თაობას, რომ საჭირო იყო სიახლე, დრო მოითხოვდა საზოგადოებრივი აზროვნების შეცვლას, ზოგიერთი რამის გამარტივებას, თუმცა ილიას „ცისკარში“ წერის ნება აღარ მისცეს. ივანე კერესელიძემ ძველ თაობას ემხრობოდა, ამიტომ საჭირო იყო სხვა პერიოდული გამოცემა, სადაც ახალი თაობა ფრთებს თამამად გაშლიდა. 1862 წლის „ცისკარში“ ვკითხულობთ: „მომავალ 1863 წლიდან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რედაქტორი ჟურნალისა ილია ჭავჭავაძე“ („ცისკარი“ 1862: N10). თაობათა უთანხმოება 1861 წელს დაიწყო, ქართული ენის საკითხებზე დავით. „ძველებს არ ესმოდათ, რა უნდა მომხდარიყო ქართულ აზროვნებაში, ამ აზროვნების გამოცოცხლებისთვის“ (ჯორჯაძე 1989: 153). 1863 წელს კი ორი თაობის გაყოფა ნათლად გამოჩნდა: „ორი ბანაკი თავთავის

ორგანოებში უკვე დარაზმულია“ (ჯორჯაძე 1989: 164). როგორც აღვნიშნეთ, ძველ და ახალ თაობათა შორის დაპირისპირების პირველი ეტაპი იყო: ენის საკითხები, ლიტერატურის საკითხები, ესთეტიკისა და ხელოვნების საკითხები, მაგრამ მალევე ეს საკითხები გასცდა ლიტერატურულ საზღვარს და იდეათა შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. ძველი თაობა, ანუ „მამათა თაობა“ (გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ანტონ ფურცელაძე, ლავრენტი არდაზიანი, ბარბარე ჯორჯაძე...) ახალ თაობას, ანუ „შვილთა თაობას“, სამოციანელებს (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი...) დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების პირველი ეტაპი ილიასადმი ბრალდებებით შემოიფარგლა, რომ ის აუბრალოებდა ქართულ ენას და ხალხური მეტყველების თეორიები შემოჰქონდა. უთანხმოება შემდეგ თანდათან გამწვავდა. პოლემიკა ეხებოდა ბატონყმობის გაუქმებისა და მიწების გლეხებზე გადაცემის საკითხებს. აზრი ყოველთვის ორად იყოფოდა. 1871 წელს კი, როდესაც საქართველოს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე ესტუმრა, ქართველ ხალხს უნდოდა გამოეყენებინა შემთხვევა და თხოვნით მიემართათ იმპერატორისთვის. „ძველ თაობას“ სამხედრო სასწავლებლის გახსნის სურვილი ჰქონდა, „ახალ თაობას“- უნივერსიტეტის. თათბირიც შედგა, მაგრამ მეფის მოხელეების გავლენით, რომლებთანაც, ცხადია, სიახლოვე ძველი თაობის წარმომადგენლებს უფრო ჰქონდათ, კადეტთა კორპუსი გაიხსნა. ამ ფაქტმა დაპირისპირება ახალ ფაზაში შეიყვანა. რაც შეეხება ბარბარე ჯორჯაძისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობას, ბარბარე ჯორჯაძემ თავისი წერილი „პასუხის-პასუხი“ ასეთნაირად დაამთავრა - „დიდო პოეტო! ახლა კი დრო არის შევრიგდეთ, დალოცვილო, კარგად იცით და დარწმუნებული ხართ, აქ მტრობა არაა არის რა, არც ყმაზედ და არც მამულზედ, არამედ მცირედი დავა სიტყვიერების ღირსების დაცვაზედ და ეს შერიგებაც ამით იქნება, თქვენ სურვილისამებრ, როგორც თქვენ ინებებთ, ახლა კი მშვიდობით და თუ გსურთ კიდევ მეორედ ნახვამდინ“. ბარბარე ჯორჯაძის წერილებიდან იკვეთება: 1) თვითშეფასება; 2) ილია ჭავჭავაძის ნიჭის დაფასება. ბარბარე გრძნობს, ვინ არის ილია, გრძნობს ახალი დროის მოსვლას, ამიტომ მისი წერილები ანალიზის შესაძლებლობას ადვილად იძლევა. თვითონვე აღნიშნავს, ახალ საქმეში ჯერ არაფერი გამეგებაო. მიუხედავად საკითხის ცოდნისა თუ არცოდნისა, ცხადია, რომ „ყველაზე დიდი ბრძოლა ძველთაგან ილია ჭავჭავაძეს ბარბარე ჯორჯაძემ გაუწიაო“, - წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი. ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკით ბარბარე ჯორჯაძე ნამდვილად გაბედულ ქალად ჩნდება.

აკაკი წერეთელი წერდა: „პირდაპირ და შეუპოვრად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ერთი ახალგაზრდა ქალი და ეს ქალი იყო ბარბარე ჯორჯაძე“. მაგრამ როგორც ქალს და არა მარტო ქალს, ზოგადად, ძველ თაობას შიში ჰქონდათ სიახლისა, მასთან შეგუებისა. „რაც უფრო მეტად ცდილობს ადამიანი ძველის შენარჩუნებას, მით უფრო მეტად განიცდის შიშს წარმავლობის წინაშე“ (რიმანი 2013: 170). ამგვარმა შიშმა შეიპყრო ძველი თაობა. ის, რაც მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში ჰქონდათ, ახალ თაობას ახალი ხედვითა და მიდგომებით უნდა ჩაენაცვლებინა. წარმავლობის შიში აშინებდათ, თორემ რეალურად მათი საქმიანობა ქვეყნის მომავლის სასიკეთო მიზნებს ემსახურებოდა. როგორც ვთქვით, ბარბარე ჯორჯაძე იყო პირველი ქალი, რომელმაც ღიად დააყენა საკითხი ქალთა უფლებების შესახებ, მათ შორის სამოქალაქო უფლებების მინიჭებისა, საყოველთაო განათლების აუცილებლობისა.

რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით საყურადღებოა ბარბარე ჯორჯაძის წერილი „**ორიოდე სიტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ**“ („კვალი“, 1893 : N14), კერძოდ:

1) ქართველი კაცები ცდილობდნენ, დაეჩაგრათ და დაემცირებინათ ქალის ღირსება;

2) სწავლა და განათლება ქალის საქმე არ არის. რადგანაც შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს, „ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ! სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო“;

3) მხოლოდ მამაკაცს ჰქონდა ძალა, ნიჭი და უნარი მმართველობისა: „ყოველგვარი თავისუფლება, ქვეყნის მმართველობა ხელთ მიპყრიაო,“- ამბობდა თამამად კაცი.

წერილში ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის ქალთა მდგომარეობა. ბარბარე ჯორჯაძეს დასმული აქვს საკითხი, რომ ქალებს მიეცეთ სწავლა-განათლების უფლება; ბარბარე ჯორჯაძე ახსენებს კაცებს იმ ფაქტსაც, რომ, როცა ისინი სამშობლოს იცავდნენ, წერაკითხვის, ენისა და ანბანის გადამრჩენელი ქალი იყო. მაგრამ მის წერილში გულისტკივილია გამოხატული და ის მძიმე ბრალდებები, რასაც მამაკაცები ქალების მიმართ უსაფუძვლოდ აყენებდნენ. „პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის“, - წერს ბარბარე ჯორჯაძე, - „ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწეროს და დიდად ცდილობენ, ეს თავისი ამხანაგი ყოველის

გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ, სიყრმიდანვე ამას ჩასმახოდნენ: შენ, რადგანაც შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი უნდა იყოს, ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ, სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო, თვითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობისა და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავ ცის კიდემდე, ჩემი დამაბრკოლებელი არ რა არის რა, ვიმჭერმეტყველებ, ვისწავლი, ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო, გაიფართოვა გზა და დედაკაცი ვითომ ვალდებულებაში ჩააგდო, თუ მე არა, ლუკმას ვერ შესჭამო, უფრო რომ დაემონებინა, მამაკაცმა ოჯახშიც კი არად ჩააგდო დედაკაცის შრომა, უპირატესობა თვითონ დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: თქვენ ჭკუა არ გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არცა რა გესმით“ („კვალი“ 1894: N14). წერილში ამბობს ბარბარე ჯორჯაძე, რომ ღმერთისთვის არაა გარჩევა „არცა დედაკაცთა და არცა მამაკაცთაო“. ღმერთმა შექმნა ადამის შემწედ თავისი მსგავსი ქალი, „აწესე, ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი“, რაც ადასტურებს იმას, რომ ორი ერთმანეთის მსგავსი ადამიანი ერთმანეთის შემწე, გვერდში მდგომი და თანასწორია. ბარბარე ჯორჯაძემ იცის ეს საკითხი, ამიტომაც იშველიებს მაგალითად ქალთა მდგომარეობისა და როლის ნათელსაყოფად.

ბარბარე ჯორჯაძემ შეადგინა და გამოსცა წიგნი „სრული სამზარეულო“, რომელიც 1874 წელს დაიბეჭდა ექვთიმე ხელამის სტამბაში და მალევე გაიყიდა. მისი ქალიშვილი იგონებს, რომ ბარბარე კარგი დიასახლისი იყო და ცდილობდა სხვებისთვისაც ესწავლებინა ეს საქმიანობაო. თუ ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულო წიგნს გადავხედავთ, XIX საუკუნის საქართველოში უცხო არაა ნაყინი, „ჟელე“, „ბლანმანჟე“, „შარლოტა“. უცხო კერძებთან ერთად გემრიელი ნუგბარის რეცეპტებიც ბევრია. წიგნს აქვს რჩევა-დარიგებების გვერდი ახალბედა დიასახლისებისთვის, მაგ.: „შეინახეთ ნახარში წვენი, მარილი სადილს უნდა დააკლოთ“ და ა. შ. კითხვისას რეცეპტების ტერმინოლოგიას ეტყობა რუსული გავლენა, თუმცა ფაქტია, რომ ეს წიგნი ქართული კულინარიის დიდი განძია. თუ გააცოცხლებთ ბარბარეს სამზარეულოს წიგნს, თუნდაც წარმოდგენაში, მისი ბარბარიზმებით, საჭმელების ვარიაციებით, ნამდვილად გაცოცხლდება თქვენ თვალწინ XIX საუკუნის თბილისი იმდროინდელი ყოფითი კულტურით, ყავის სმითა თუ შოკოლადის მოდულებით, ბაზრითა თუ აფთიაქით.

ბარბარე ჯორჯაძის ბიოგრაფიის გაცნობისას ცხადად დავინახავთ, რომ ის იყო ქალი, რომელიც არ უშინდებოდა პრობლემებს, არ ურიგდებოდა უსამართლობას, გაბედულად, თამამად და ღიად გამოდიოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე, ამხელდა მამაკაცისა და ქალის ურთიერთობების დეტალებს, ცდილობდა ღირსეული ადგილი ჰქონოდა ყველა ქალს, როგორც ქვეყნის სამსახურში, ისე მწერლობაში, ხელოვნებაში, თეატრსა და ოჯახში.

ბარბარე ჯორჯაძის ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელია სევდა, ტკივილი, მელანქოლია, ქალისთვის დამახასიათებელი ცრემლნარევი ემოციური განცდა; წამყვანი პატრიოტიზმი და სოციალური მოტივია. მის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ბუნების სურათების ასახვასაც. აღსანიშნავია ე. წ. მიძღვნილი ლექსები, რომლებიც ბარბარე ჯორჯაძემ მიუძღვნა არაერთ საზოგადო მოღვაწეს, მწერალსა თუ პოეტს, მაგ.: დიმიტრი ყიფიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, აკაკი წერეთელს.

ბუნების მშვენიერებას ბარბარე ჯორჯაძე თავისებურად აღიქვამდა. მის მიერ დანახული მშვენიერება მკითხველისთვის უცხოა. წარმოდგენაშიც ძნელია, გააცოცხლო და დაინახო ის, რისი დახატვაც მწერალ ქალს სურდა. ბუნება ნაჩვენებია, თუმცა განცდა, რომ ამ სილამაზის ფონზე რაიმე საინტერესო მოხდება, ნაკლებია, ანუ წყლის ჩხრიალი თუ ხეების ფოთლების ჩურჩული, აყვავებული ვარდები თუ ბაღი, რომლებიც მარტოობით მოწყენილნი არიან, უეფექტო დატვირთვითაა წარმოდგენილი. მაგ.: ლექსი „არაგვს“:

„ყვირის და მორბის არაგვი მკვირცხლი,
აპობს და არღვევს კლდეებთა ფიცხლად
განაკვეთს დიდ ზვირთთა ვითა ისარი,
არაგვი ჩემი, ლომი ის არი.“

მოცემულ სტროფში გამახვილებულია ყურადღება არაგვის სიძლიერეზე, მის შეუპოვარ და დაუდგრომელ ბუნებაზე, თუმცა, ცხადია, ამ ლექსის შინაარსიდან გამომდინარე ძნელია, შეაფასო არაგვის მიდამოების სილამაზე, მხოლოდ ფაქტია, რომ მდინარე არაგვი კლდეებს შორის მოედინება, ამიტომ უშიშარია და შედარებულია ნადირთა მეფე ლომს. ბარბარე ჯორჯაძეს რომ იზიდავს არაგვის სიძლიერე და შეუპოვრობა, მთლიანი ლექსის წითელი ხაზია, იგი არაერთგან აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ არაგვი არანაირ დაბრკოლებას არ უშინდება:

„ზღუდენი სალთა მაღალ ქარაფნი,

გარს შემორტყმიან როგორც დარაჯნი,
ვით საპყრობილეს შეუმწყვდევიათ,
მაგრამ არაგვი ვერ უძლევიათ,
და იგი ისევ ამაყად არის!“

არაგვი მეზრძოლია, ბევრი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის მნახველი, „გადასდის თავზე მდულარე ქაფი“, პირზეც ჩამოსდის „ოფლისა ლაფი“, მაგრამ მაინც გამარჯვებული მდინარეა. ბარბარე ჯორჯაძის ლექსმა „არაგვს“ აღძრა ასოციაცია და გაგვახსენა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა,“ რომელიც 1839 წელს დაიწერა. პოემის მეორე კარი არაგვის თვალწარმტაცი ბუნების დახასიათებით იწყება, რომლის ფონზეც იკვეთება სამშობლოს ფიქრითა და დარდით გამსჭვალული ორი პიროვნება (მეფე და მისი მსაჯული). დრამატიზმით აღსავსე მშობლიური ბუნების საშუალებით პოეტი მომაჯადოებელ ჩარჩოს უკეთებს მეფისა და მსაჯულის მწუხარე სახეს. მოცემულ პოემაში არაგვს ღრმა დატვირთვა აქვს, მას შეუძლია ადამიანების გუნება-განწყობილების შეცვლა, არაგვის ხეობა სალბუნია ადამიანის ტკივილისა. მხოლოდ მდინარე არაგვის მნახველს შეუძლია ზუსტად განიცადოს ის სიცოცხლისა და მოძრაობის განცდა, სიხარული, რაც მთის მდინარის მჭექარე ხმას შეუძლია განაცდევინოს:

„მორბის არაგვი, არაგვიანი
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს“.

არაგვის ხმაური სიცოცხლეს ანიჭებს ირგვლივ ყველაფერს, სიცოცხლის მინიჭება კი დიდი ძალაა. „ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო, მობიბინენო, შვებით მომზირნო“- წერს პოეტი და ჩნდება განცდა, რომ არაგვის ხეობაში მარადიული სიცოცხლეა. ბარბარე ჯორჯაძის ლექსში „არაგვი“ არაგვის სიძლიერეა ხაზგასმით ნაჩვენები. მხოლოდ მდინარე არაგვი წარმოგვიდგება თვალწინ. მისი შემოგარენის (არაგვის ხეობის) დანახვა და წარმოდგენა რთულია. ალბათ, როგორც ქალი, არაგვის სიძლიერემ და შეუპოვარმა ბუნებამ მოხიბლა, თან მდინარე არაგვზე ფიქრისას შეუძლებელია არ გახსენებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ულამაზესი სტრიქონები, არაგვის შემოგარენის პეიზაჟის გამომხატველი, ალბათ გავლენაც განიცადა. ვერ გაექცა

დიდი პოეტის ესთეტიკური მშვენიერებით გადმოცემულ არაგვის მომაჯადოებელ სილამაზეს, რამაც დააწერინა ალბათ ლექსი.

აკაკი წერეთელი იხსენებს, რომ ბარბარე ჯორჯაძე სოფლიდან ჩამოსულა და ივანე კერესელიძესთან ყოფილა სტუმრად. თურმე აკაკიც მისულა ივანე კერესელიძესთან, სტუმრის ოთახში შესულა და გაცემა ვერ დაუმალავს: „სტოლთან იჯდა, ერთი საკმაოდ მსუქანი, თვალ-ტანადი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მუხლი-მუხლზედ გადაედვა და ზედ ერთი ფურცელი ქალაღდი დაედვა, ლექსს წერდა, ეს იყო მისი ლექსი „არაგვი“ („კვალი“ 1893: N14). თუ არა მუხლებზედ დადებული ფურცელი, ისე წერა არ შეეძლო თურმე.

ბარბარე ჯორჯაძე იყო გაბედული ქალი, მიუხედავად მძიმე ცხოვრებისა, ცდილობდა, სულ მოძრაობაში ყოფილიყო, არ უყვარდა უმოქმედობა და უმოძრაობა, სულ მუდამ ფხიზლად იყო და სხვასაც მოუწოდებდა აქტიური ცხოვრებისკენ:

„აღსდექით კმარა, ხომ გათენდა და რაღას ელით?

შესჭვრიტეთ მზესა საიმედოდ სიცოცხლის ნიშანს.

მაგ თქვენს მამულსა აყვავებთ მიწვდებით მიზანს,

თუ მუშაობას და მხნეობას თქვენ შეუდგებით“.

ასეთ მოწოდებას იძლევა ლექსში „გაზაფხული“. ბარბარე ჯორჯაძე ხაზგასმით ამბობს, რომ სამშობლოს კეთილდღეობა და აყვავება მაშინაა შესაძლებელი, თუ მისთვის თავს არ დაიზოგავ და იშრომებ. როგორც ცნობილია, გაზაფხული ახალი სიცოცხლის დასაწყისის სიმბოლოა მხატვრულ ლიტერატურაში, მიძინებული ბუნება ცოცხლდება, მოქმედებას იწყებს. ეს სიმბოლური დატვირთვა აქვს ლექსს „გაზაფხული“, რომ ზამთრისგან მიძინებული გონება და სხეული მოქმედებაში მოიყვანონ ადამიანებმა. გაღვიძების დროა: „ხომ უნდა გვეღირსოს გაღვიძება“, მიძინებული ბუნებაც კი ცოცხლდება და ახალ ცხოვრებას იწყებს, ამ დროს კი „ადამიანებს ისევ სძინავთ და სიზმრისა ტკბილი ზმანება, გულს გასჯდომიათ და არა ჰსურთ გამოფხიზლება“. ეს „ძილი“ აწუხებს მწერალ ქალს, მხოლოდ ტკბილ სიზმარში აყვავებული და ბედნიერი ქვეყანა მიუღებელია მისთვის, ამიტომაცაა ლექსი მოწოდება სიფხიზლისკენ, სიცოცხლისკენ, მოქმედებისკენ.

სამშობლოს ბედნიერ მომავალზე ფიქრია გადმოცემული ლექსში „ნატვრა“. ლექსის შინაარსით ნათელია, რომ პოეტი არ ნატრობს არც სიმდიდრეს, არც ქონებასა და ოქრო-მარგალიტებს, არც სასახლეებს, მისი ნატვრაა სამშობლოს ბედნიერება, მისი

სიძლიერე და სიმტკიცე, ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის კეთილდღეობა. მწერალი ქალი ნატრობს, რომ არ იყოს ძმათა შორის შური და ბოროტება:

„ძმა ძმას მტკიცედ მხარში ედგას,
ამხნეებდნენ ერთმანეთსა,
ყველა ქრისტეს მცნებას ადგეს,
ადიდებდნენ მარად ღმერთსა.
მსწრაფლად ბნელნი გაგვინათლდეს,
და აჰყავდეს მთა და ველი,
მაგალითად ჩვენ გვსახავდეს,
თვით განთქმული უცხოელი“.

ბარბარე ჯორჯაძე ნამდვილი პატრიოტი ქალია, მისთვის სამშობლოს სიყვარული წარმართველია. ყველა ლექსს შლიეფად მიჰყვება ნოსტალგიის განცდა ჩვენი ქვეყნის საამაყო წარსულისა, სამშობლოს ბედია მწერლის ფიქრისა და ნატვრის მთავარი საგანი. მოცემული ლექსები მხატვრული ხერხებით, რითმითა და რიტმით, რა თქმა უნდა, სუსტია, მაგრამ შინაარსობრივად ნამდვილად ჩანს, რა აწუხებს მწერალ ქალს. მისი მოწოდება ფხიზლად ყოფნა, მოქმედება და შრომაა.

რომანტიკული ელფერი დაჰყვება ლექსს „ვერანის ციხე ვახტანგ გორგასლანისა“. ლექსში განდიდებულია ვახტანგ გორგასლის მეფობის დრო, გადმოცემულია გმირული თავგანწირვა სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილებისა. მწერალს აწუხებს ახლანდელი მდგომარეობა. ვერანის ციხე, რომელიც იყო მტრის შემოსევის დროს თავშესაფარი, იდგა მაღალ მთის წვერზე, მყარად, თლილი ქვებით აშენებული, ასასვლელი ჰქონდა კლდის კიბე, ახლა იავარქმნილია. წარსულში აქ ვახტანგ მეფე იფარავდა თავის ხალხსა და სამეფოს, მაგრამ ახლა – „სად არს მეფეო იგი ძლევანი?“ – კითხულობს ავტორი მის თვალწინ ახლა ასეთი სურათია:

„ოჰ! აწ ვერანა ვალალიანი,
დამრტდა აწ შენზედ მზე ნათლიანი
და შემოგრტყმია ნისლ-ცრემლიანი,
ციხესა ძველსა ცვარ-გრძნობიანი,
გიგონებ, გტირი მწარ სიტყვიანი
ამაოისგან გულ ცეცხლიანი“. (1860.14.11)

ესაა აწმყოთი უკმაყოფილო პოეტის განცდა - ვერანის ციხე, რომელზედაც არავინ ზრუნავს, არავის ადარდებს. ეს ყოველივე პოეტ ქალს სამშობლოს ისტორიის მივიწყებად მიაჩნია. ლექსი შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მოსაზღვრე რითმითაა დაწერილი, მაგრამ ხშირად რითმა დარღვეულია.

ლექსში „ლენქორანი“ გადმოცემულია ბარბარე ჯორჯაძის განცდები ლენქორანისკენ მიმავალ გზაზე. როგორც ცნობილია, ბარბარე ჯორჯაძეს არ უყვარდა ლენქორანში წასვლა, მაგრამ გამოსავალი სხვა არ იყო, შვილთან პერიოდულად მიდიოდა. გზაზე მიმავალი, ალბათ, კვლავ სამშობლოს წარსულს იხსენებდა. „სპარსთაგან წინაპრით ტანჯვას, თვალწინ მიხატავს მაგონებსო“, - წერს იგი. ალბათ, ამიტომაც არ უყვარდა ლენქორანი. თითქოს დანაშაულის გრძნობა აწუხებს, იქ რომ მიდის, იქ, სადაც ოდესღაც:

„მოსახამდნენ ტყვედ ქართველთ,
ზოგს თეირანსა ჰგზავნიდნენ
და ზოგს მტარვალთა ბრძანებით
აქვე უწყალოდ სტანჯვიდნენ“.

ლექსის ავტორი ნატრობს, რომ იქ არ დალიოს სული და არ ამოეწუროს სიცოცხლის დღეები. მისთვის სამშობლოში სიკვდილია ბედნიერება: „შემთხვევით გადმოვიკარგე, მოვშორდი ტკბილსა სამშობლოსო“. ავტორს იმედი აქვს, დაინდობს ბედისწერა. ალბათ, თხოვნა იმდენად დიდი და გულწრფელი იყო, ეს ნატვრა აუხდა, კნეინა ბარბარე ჯორჯაძე ლენქორანში მიმავალი გზაში გარდაიცვალა და მშობლიურ მიწაში განისვენებს.

ბარბარე ჯორჯაძის ლექსებმა: „მუამთის მწირი“ და „მოჩვენება“ აღძრა ასოციაცია ილია ჭავჭავაძის „განდეგილთან“ შინაარსობრივ მსგავსებაში. ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიეთ, დაწვრილებით წარმოვადგინოთ ლექსის შინაარსი. ბარბარე ჯორჯაძის ლექსი „მწირი“ 1853 წელს ჟურნალ „ცისკარშია“ დაბეჭდილი. ლექსს აქვს „ცისკრის“ რედაქციის მაღალი შეფასება: „ცისკრის“ რედაქცია უღრმესის გულით შესწირავს მაღლობას ქალბატონ პოეტს, კნეინა ბარბარე ჯორჯაძეს ამ ჩინებული ლექსის გამოგზავნისთვის და კვლავ იმედოვნებს, არ მოაკლებს ჩვენს ჟურნალს თავის ბრწყინვალე კალმის ნაღვაწ შრომას“. ახლა რაც შეეხება ლექსს, მწირის სამყოფელი მთის კიდეზე მდებარეობს, ირგვლივ მშვენიერი ბუნება იშლება. ასწლოვანი ხეების ჩრდილი

სასიამოვნო სიგრილეს სძენს ტაძრის გარემოს, მოჩუხჩუხებს კამკამა მდინარე, ყვავის მრავალგვარი ყვავილები, ასეთია ბარბარე ჯორჯაძის მწირის საცხოვრებელი:

„მთიდან ჩამოღმა რიყესა ვრცელსა
მიხრილ-მოხრილი ბილიკი მისდევს,
მის გზისა ახლოს შენობა მოსჩანს
ზღუდე ავლია თლილის ქვებისა“.

ილია ჭავჭავაძის განდეგილიც ასეთ მიუვალ ძნელად მისასვლელ, კლდეში გამოკვეთილ ტაძარში ცხოვრობს:

„სადაც დიდებულ მთასა მყინვარსა ორბნი არწივნი ვერ შეჰხებიან.

სად წვიმა-თოვლი ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან“.

განდეგილობაში მყოფებთან სტუმარი მიდის. ბარბარე ჯორჯაძის მწირი ეკითხება სტუმარს: „მითხარ შენ, შვილო, ვინ ხარ, რა გინდა?“. იმავე შეკითხავს სვამს განდეგილიც: „ვინა ხარ? კაცი თუ მავნე, აქ მოგზავნილი ემშაკისაგან?“. ეს არის შეკითხვა, რომელიც გამოხატავს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რომ ადამიანებს, რომლებმაც თავი უძღვნეს უფალს, აქვთ შიში საცდურისა. ამიტომ სტუმარსაც სიფრთხილით ეპყრობიან, თუმცა სტუმართმოყვარეობის წესს იცავენ, დიდი პატივისცემით მასპინძლობენ. „სტუმარი ხომ ღვთისაა“. სტუმარ-მასპინძელს შორის დიალოგი ჩვეულებრივი მოვლენაა. ტაძარში მისულ დაუპატიჟებელ სტუმრებს, მით უმეტეს, გაუჩნდებოდათ შეკითხვები. სტუმრების შეკითხვებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მწირთან მისული მგზავრი ინტერესდება, რომ თუ ღმერთისთვის ყველა ერთია, რატომ უნდა მოგინდეს მწირადა ყოფნა და მარტოობა? - „არა ვრწმუნდებით თვალითვე ნახულს: მეფე გლახაკი თანავსწორდებით!“. მსგავსი საკითხი აინტერესებს განდეგილთან მისულ ქალსაც; „ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“. ჩვეულებრივი ყოველდღიური ყოფით მცხოვრები ადამიანებისთვის რთული გასაცნობიერებელია განდეგილობის მკაცრი ცხოვრების წესი. ამიტომაცაა შეკითხვები მსგავსი. სტუმრობის მიზეზიც სხვადასხვაა: მწირთან გამიზნულად მიდის მოსალოცად კაცი, განდეგილთან - შემთხვევით, მწყემსი ქალი. სხვადასხვაა განდეგილობის მიზეზებიც. მწირმა განდეგილობის გზა მთელი შეგნებით გადაწყვიტა, დათმო წუთისოფელი, აქ მას ბედნიერების მოლოდინი აღარ აქვს. მწირი ჰყვება თავის ამბავს, რომ ჰყავდა ოჯახი, იყო სახელგანთქმული თავადი, ჰყავდა ულამაზესი უფროსი შვილი კასია. ერთხელ ალავერდის ტაძარში კასია ნახა სიმონ ჯანიძემ, ასევე განთქმულმა

ვაჟკაცმა და შეუყვარდა. კასიას გათხოვებისთვის ემზადებოდა ოჯახი, სიხარული სუფევდა შინ. ტრადიციულად, გაკითხვა ნათესავებში, ნიშნობის სამზადისი, მაგრამ ხდება უბედურება. ლეკები დაესხნენ თავს თავადის ოჯახს და დაუხოცეს ცოლ-შვილი. „მე ვგონებ ვარ თურმე მათ მკვდარიო“, - ამბობს მწირი. დამნაშავედ უგრძნია თავი, რომ მარტო თვითონ გადარჩენილა ცოცხალი; ყველა დაუსაფლავებია, სასიძოც, რომელიც ლეკებთან ბრძოლაში დაიღუპა; ქონება მონასტრისთვის შეუწირავს და ასე წამოსულა მწირად.

ბარბარე ჯორჯაძის „მწირი“, რა თქმა უნდა, „განდეგილს“ მხატვრულობით, თემისა და საკითხის მრავალფეროვნებით ჩამორჩება. „მწირში“ არაა შიში საიქიო ცხოვრებისა. მწირი ამ წუთისოფლიდან საიქიო ცხოვრებისთვის გამიზნულად წასულია, აქ აღარავინ ჰყავს, იცის, რომ „იქ სიცოცხლეა“. სიცოცხლის მიმნიჭებელი ადამიანები იქ ცხოვრობენ, ზეციურ სამყოფელში, მათთვის ყველაფერი დათმო, მოწყალება გაიღო და ახლა მშვიდადაა მონასტერში. არც მისი სტუმარის შეკითხვებია ღრმად მრავლისმთქმელი, მაგრამ საინტერესოა იმ მხრივ, რომ ბარბარე ჯორჯაძე პირველია ამ თემატიკით. ის პირველი დაინტერესდა მწირობისა და განდეგილობის ყოფა-ცხოვრებით, ასახა მწირის ცხოვრება, გამოკვეთა მიზეზები და გამოიწვია ინტერესი ამ თემის აქტუალურობისა, რასაც მოჰყვა აკაკის „მეუდაბნოე“ 1859 წელს, შემდეგ - ილიას „განდეგილი“ 1883 წელს, სადაც ეს თემა უფრო გაიშალა, გაღრმავდა და ბევრი პრობლემური თუ ცხოვრებისეული საკითხი წამოჭრა.

ბარბარე ჯორჯაძის ლექსი „მოჩვენება“, რომელმაც ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“ გაგვახსენა, შემდეგი შინაარსისაა: კავკასიონის მთის წვერზე დგას თეთრად შემოსილი ყავარჯნიანი მოხუცი და გადმოჰყურებს ივერიას:

„ფიქრით განვსჭვრეტდი ამ წუთისოფლის ტურფას მშვენიერს შემკულს ბუნებას.
ამ დროს ვიხილე მოხუცი კაცი ზედ კავკასიის წვერზედ მდგომარე,
დაყრდნობილ იყო ოქროს ყავარჯენს, თეთრად მოსილი სპეტაკ მკრთოლვარე“.

„აჩრდილიც“ „მოჩვენების“ მსგავსი მოხუცია, მთის წვერზე მდგომი:
„და მომევიღინა მე კაცი დიდი, მთის წვერზე მდგომი მოხუცებული,
ვითა ქვეყანა ის იყო მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული“.

ბარბარე ჯორჯაძის მოხუცი-მოჩვენება წუხს იმაზე, რომ ხალხი შეიცვალა და იყიდება მამა-პაპათა დანატოვარი მიწა-წყალი, ადამიანებს ერთმანეთის ნდობა და

სიყვარული აქვთ დაკარგული, დავიწყებული აქვთ, თუ რა არის ადამიანის დანიშნულება:

„ნუთუ აქამდის კიდევ ვერ მიხვდით, რაც არს სოფელში ნამდვილ ცხოვრება, რა ტვირთი ამევეს კაცსა კაცური, რა არის მისი დანიშნულება?“.

ყვარჯნიანი მოხუცი ადამიანის მთავარ მონაპოვრად თავისუფლებას მიიჩნევს - „შებორკილება ბნელში შემწყვდევს, მწარე სიკვდილზედ უარესია, ბრძენთ ასე უთქვამთ, თავისუფლებას ამისთვის ძევსო დიდი ფასია“, - ათქმევინებს ავტორი მოხუცს. მოხუცმა გააჟღერა მთავარი სათქმელი, ადამიანთა არსებობის ფასდაუდებელი მონაპოვარი, რისთვისაც ღირს თავგანწირვა და გაუჩინარდა. მისტიკურია ნაწარმოებების სათაურები: „მოჩვენება“ და „აჩრდილი“, ერთი და იმავე ცნების მატარებელი სიტყვები. „მოჩვენება“ - ილუზია არარსებული ვინმე და რამე, რომელიც წარმოესახებათ, როგორც რეალურად არსებულის დანახვა; „აჩრდილი“ - იგივე მოჩვენება, ლანდი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავა). „მოჩვენებაც“ და „აჩრდილიც“ მაშინ ჩნდება ადამიანების თვალსაწიერში, როცა შინაგანი სამყარო განცდას ვეღარ იტევს და მხსნელს, დამრიგებელს, გზის მაჩვენებელს ეძებს. ორივე ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები „აჩრდილიცა“ და „მოჩვენებაც“ ერთნაირად ქრება.

„მსწრაფ გადმოეშვა ცისა ლაჟვარდას,
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემსა ქვეყანას,
მახარობელი ტკბილ იმედისა“, - ასე გაუჩინარდა აჩრდილი.

„ქარმა გაჰფანტა მსწრაფლად ღრუბელი, მაგრამ არა სჩანს არცა ცხოველი.

კავკასიის მთა თოვლით მოსილი მხოლოდღა იდგა, როგორც დამცველი“, - კავკასიონის ღრუბლებმა გააქრო მოჩვენება.

„მოჩვენებამაც“ და „აჩრდილმაც“ მთავარი სათქმელი თქვა, იმედი დატოვა, ერთმა უკეთესი მომავლის ნიშნად ცისარტყელა გამოსახა ცაზე, მეორემ კავკასიონის მთების სიძლიერეში ასახა ქვეყნის მომავალი ბედი.

აკაკი წერეთლის პოეზიას რომ დიდად აფასებდა ბარბარე ჯორჯაძე, ეს გამოჩნდა მისი ლექსებიდან, სადაც წერს: „დავხარი აკაკის კალამსო“. პატივისცემას ამჟღავნებს მისი, როგორც პიროვნების, ასევე შემოქმედების მიმართ. აკაკის პოეზიას რამდენიმე საინტერესო საკითხით აფასებს: 1) ესაა მისი ენა, მახვილი და მეტად ბასრი, რომელიც

სულ სიმართლეს ლაპარაკობს და წერს; 2) შეუძლია სასიამოვნო და მწარე სათქმელი ისეთნაირად შეაზავოს, რომ მტერსაც და მოყვარესაც შესაბამისი დოზით გაუზიაროს; 3) ცხოველებისა და ფრინველების ისეთნაირად გარდასახვის უნარი, რომ ვისაც ამსგავსებს, მან თავისი თავი ამოიცნოს; 4) წერს გრძნობით, რასაც განიცდის და რაზეც წუხს; 5) ჩამოთვლილ ნიშან-თვისებებს მიაწერს ნიჭსა და ბედს, რომელიც ერთ-ორ ადამიანს თუ დაჰყვება. ესაა ის ძირითადი საკითხები, რისთვისაც ბარბარე ჯორჯაძე აკაკის პოეზიას აფასებდა.

როგორც ჩანს, აკაკიც პატივს სცემდა ბარბარე ჯორჯაძეს, ამხნევებდა და აფასებდა მას. აკაკი წერეთელი ასეთ შეფასებას აძლევდა მის ლექსს „დედა-შვილს“: „განსჭვრეტა საგნებისა რიგიანი და მართალი აქვს, დასამტკიცებლად ჩემი სიტყვისა, წაიკითხეთ მისი ლექსი „დედა -შვილს“ („დროება“ 1868: N3). რას გულისხმობდა აკაკი, ცხადია. დედა რვა წლის შვილს სასწავლებლად უშვებს და არიგებს, რომ უკვე დიდია და სხვა თვალთ უნდა დაინახოს მოვლენები, არ უსმინოს იმ ადამიანების ლაპარაკს, ვისაც სწავლა ფუჭად დროის კარგვა ჰგონია. „გმართებს სიმშვიდე, განსჯა, მოთმენა, მაცდურ ცრუ მოძღვრებს ნუ ერწმუნები“, - არიგებს დედა შვილს. ბარბარე ჯორჯაძემ აჩვენა ისეთი დედის ტიპი, რომელიც ზრუნავს მომავალი თაობის სწავლა-განათლებზე, ზრუნავს ქვეყნის მომავალზე. შვილს უღვიძებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, უხსნის, რომ მისი სწავლა საჭიროა ქვეყნისთვის, უსწავლელ კაცს არც სამშობლო არ უყვარს: „სამშობლო უყვარს ყოველ დიდ სწავლულს, ზრუნავს დაცემულს თვის ხალხს უშველოს“. აი, მაგალითი, როგორი უნდა გაიზარდოს შვილი (მომავალი). მან უნდა იცოდეს, რომ „წმინდა მამულის არის მცენარე“. ლექსის მთავარი სათქმელი ესაა! დანარჩენი ღვთის ნებაა, დედა ილოცებს შვილისთვის და ღვთისმშობელს შეავედრებს მის მომავალს.

ბარბარე ჯორჯაძე ქება-დიდებათ იხსენიებს იმ ადამიანების ღვაწლსა და შრომას, ვისაც ლექსებს უძღვნის, მაგ.: ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი ერთგვარი დატირებაცაა მისი ცხედრისა. ბარბარე ჯორჯაძე წუხს, რომ ასეთი ნიჭიერი პოეტი ახალგაზრდა გარდაიცვალა. ლექსი, სავარაუდოდ, 1893 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედრის განჯიდან თბილისში გადმოსვენების დროსაა დაწერილი. ამას გვაფიქრებინებს ლექსში მოყვანილი სტრიქონები:

„სული უკვდავი გახრწნილ ძვლებსა მიგიძღვა წინა,

და ყოველ ქართველს, შენს წინ ქედი მოადრეკინა

ვით ტყვედ ნამყოფ შვილს მოგეხვივნე აღტაცებითა.

მიგიღეს ტრფობით შემოგწირეს მსხვერპლი ქებითა“.

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედრის გადმოსვენებას ეროვნული მანიფესტის ფორმა ჰქონდა, როცა დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

ბარბარე ჯორჯაძე ლექსს უძღვნის დიმიტრი ყიფიანს, ხოტბას ასხამს და ქება-დიდებას არ იშურებს თავდადებული მამულიშვილის მიმართ:

„შენ დიდებულმა საქართველომ, როდესაც გშობა

ჭკუა-გონებით, დიდის ნიჭით ბრძნულად შემკული

ბრძოლაში გმირი, მამულისთვის თავგანწირული“.

ასე მოკლედ, მაგრამ კარგად არის ნაჩვენები დიმიტრი ყიფიანის თავდადება. მისი მტკიცე ხასიათი სალ კლდესაც კი შეადარა ბარბარე ჯორჯაძემ: „იდექი მტკიცედ, ვით სალი კლდე მიუდრეკელი“.

ბარბარე ჯორჯაძის პოეზიის გაცნობისას ხშირია ხსენება წმინდანებისა, უფლისა, ღვთისმშობლისა, მაგალითად, ლექსი „დედა -შვილს“:

„ბნელი განდევნე ქრისტეს სახელით

წილხვედრილი ხარ შენ ქალწულისა

იგი დაგიცავს თავის საფარვლით“.

ლექსში „აკაკი წერეთელს“ ვკითხულობთ: „ედემის მსგავსს შენსა წალკოტს\ მხეცის გუნდი ახვევია“. ლექსში „დიმიტრი ყიფიანს“ ბარბარე ჯორჯაძე თავდადებულ მამულიშვილს აბრაამის წიაღში უძებნის განსასვენებელს:

„აბრაამისა წიაღსა შინა რა მიგიღებენ

ნათლის გვირგვინსა სიხარულით თავს დაგადგამენ

დღეს ქართველებმა წმინდათ რიცხვში უნდა შეგრიცხონ“.

ამ მოყვანილი მაგალითებიდან აშკარაა, რომ ბარბარე ჯორჯაძე ღვთის მოშიშია. ეტყობა ცოდნა სარწმუნოებისა, დაცვა და პატივისცემა რჯულისა. დიმიტრი ყიფიანის სულის აბრაამის წიაღში განსვენებაც არაა შემთხვევითი. ბარბარე ჯორჯაძემ იცის, რომ სანამ სასუფეველი დამკვიდრდებოდა, ადამიანის სული აბრაამის წიაღში განისვენებდა, სადაც სული არ იტანჯებოდა და სასუფეველის მოლოდინის ნეტარებას ეძლეოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გაბედულება და სითამამე, რაც ბარბარე ჯორჯაძემ კაცების მიმართ დაწერილი ლექსით („კაცებს“) გამოხატა. იგი ლექსითაც არ მორიდებია პროტესტს ქალების უუფლებო მდგომარეობის შესახებ. ლექსი შეკითხვების

შემცველია და პასუხებს მოითხოვს, შეკითხვებიც ისეა დასმული, რომ აშკარად გაბედული ნაბიჯია ქალის მხრიდან იმ დროისთვის. მაგ.: „როგორც ნივთი დაგიპყრევართ და არა გაქვთ ჩვენი ნდობა“, ან კიდევ: „მშობელ დედას, ცოლს და ასულს ასე როგორ დაამდაბლებთ?“. ბარბარე ჯორჯაძე, შეიძლება ითქვას, იყო პირველი ქალი, ვინც ქალთა უფლებების შესახებ ღიად ალაპარაკდა და ქალების უუფლებო მდგომარეობაში ბრალი კაცებს დასდო, რომ ისინი არ ზრუნავდნენ სათანადოდ ქალებზე, არ აფასებდნენ და არად აგდებდნენ მათ შრომას. ბარბარეს არც ისტორიული წარსული დავიწყებია, ლექსში ნახსენებია თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი, წმიდა ნინო, რომელთა ღვაწლი დღესაც შარავანდედად ადგას ჩვენს ქვეყანას და იძლევა ფაქტს ქალების ყველანაირი საქმის შესაძლებლობის შესახებ. ლექსი მოწოდებით მთავრდება, ერთგვარი მიმართვით კაცებისადმი: „დარწმუნდით, რომ ამხანაგად შევქმნილვართ და უნდა ვიყოთ!“. ესაა ბარბარე ჯორჯაძის ძირითადი სათქმელი, რომელიც არა ერთხელ თქვა და მისი შემოქმედების მთავარი ხაზია, რომ ქალი და კაცი თანასწორი უფლებების მქონე ორი ერთნაირი პიროვნებაა.

ბარბარე ჯორჯაძის ლექსების შეფასებას მისივე წერილებით დავიწყებთ. აი, რას წერს ძმას, რაფიელ ერისთავს, 1862 წელს ლაილაში: „ძმაოჯან რას დამცინი პოეტოპაზედ“ (კ.კ.ხ.ც. N968) და კიდევ თავის ლექსებს „დაჩხაპნულ ლექსებს“ ასე იხსენიებს (კ.კ.ხ.ე.ც. N876), თან სთხოვს რაფიელს „ტოჩკა“, „ზაპეტაია“, სადაც მე ნიშნები დავსვი, იქ აკლდეს, დაუმატე, ხომ იცი, მე სუსტად ვარ ამაზედა“ (კ.კ.ხ.ე.ც. N971). როგორი თვითკრიტიკულია თავისი შემოქმედების მიმართ, კარგად ჩანს წერილებიდან.

მისი ლექსების განხილვისას ირკვევა, რომ ბუნება, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს მის პოეზიაში, უეფექტოა, მხოლოდ დანახვაა ბუნებისა. აღქმა და განცდა სუსტია. „მისი ლექსების ფორმა მძიმეა და მოუქნელი, მისი ქვეყანა ჩვეულებრივ სევდიანია“ (კოტეტიშვილი 1965: 165). ასეთია ბარბარე ჯორჯაძის პოეზია. უფერული, სევდიანი, მელანქოლიური, მაგრამ მაინც საინტერესო სოციალური შტრიხებით, მოვლენების თავისებური აღქმით, სითამამით, რაც იშვიათი მოვლენა იყო მაშინ ქალის მხრიდან.

ბარბარე ჯორჯაძე, როგორც დრამატურგი და პიესების ავტორი, ყველაზე მეტად საინტერესოა. მისი პიესებიდან აღვნიშნავთ და გამოვყოფთ პიესებს „შური“, „რას ვეძებდი, რა ვიპოვე“, „მკითხავი“.

გიორგი ერისთავის თეატრის დაშლის შემდეგ ქართული წარმოდგენები სისტემატიურად აღარ იდგმებოდა. შემთხვევით გამართულ წარმოდგენებზე „ხალხი დადიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული წარმოდგენა იყო“. ეს იყო გარდამავალი პერიოდი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მომზადების პროცესში. აი, 1879 წლის პირველ სექტემბერს ილიას, აკაკისა და დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით დასი შეიქმნა და სეზონი გაიხსნა სწორედ ბარბარე ჯორჯაძის პიესით: „რას ვეძებდი, რა ვიპოვე“. პიესა 1865 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა. იგი კომედიურ ჟანრს განეკუთვნება და გადმოცემულია თავად იულონ სიმირიძის ცხოვრება. „დაგლეჯილი ჩერქესკა“ და ჩითის ახალუხით წარმოდგენილი თავადი გაჭირვებულ ყოფაზე მიუთითებს, ზნეობრიობა და ხასიათი კარგად ჩანს მაშინ, როცა „დროშკით ჩაივლის ვაჭრებთან, ახალი ტანისამოსის შეკერვა უნდა, ბედის საძებნელად ქალაქში წასვლა, რომ ერთი მზითვიანი ქალი იპოვოს. იულონი არის თავადის სახე, რომელიც წლების განმავლობაში სხვისი შრომით ცხოვრობდა, ახლაც ასე იოლი გზით უნდა გამდიდრება. „მზითვიანი ცოლის“ თხოვნით ეკონომიკურ მდგომარეობას გაიუმჯობესებს. მართლაც, იულონი არ ერიდება და ცოლად ირთავს სომეხ ქვრივ სოსანა მესანთლოვას. მესანთლოვა, მიუხედავად იმისა, რომ მახინჯია და ამას თავად ხვდება, ხვდება იმასაც, რომ მდიდარია და შეიძლება გათხოვდეს, მეტიც, კნეინა გახდეს. ქორწინება შედგება, მაგრამ ქვრივი ქონებას არ უყოფს იულონს. იულონი იმედგაცრუებული და მოტყუებული რჩება უკვე მეორედ. პირველი ქორწინების სცენა იყო, როდესაც იულონი მაჭანკალმა, მაქთალამ, მოატყუა და ოსანას ნაცვლად სხვა ლამაზი ქალი აჩვენა. ესაა პიესის სიუჟეტი. მთავარი ის დრო და ყოფითობაა, რაც პიესაშია ნაჩვენები:

1) სომეხი ვაჭრების სოციალური მდგომარეობა (თბილისელი სომეხი ვაჭრები ცდილობდნენ ქართველ თავადიშვილებთან დამოყვრებას, რათა საზოგადოებაში თავიანთი მდგომარეობა აემაღლებინათ);

2) ბარბარე ჯორჯაძის პიესის პერსონაჟები ზუსტად ასახავენ იმდროინდელ საზოგადოებას. ყველა იმ სოციუმის წევრია, ვის გვერდითაც პიესის ავტორს ცხოვრება უწევს;

3) მაჭანკლობა და მაჭანკლები (ესეც იმ პერიოდისთვის, იოლი ფულის შოვნისთვის მომგებიანი სამსახური იყო, ამიტომ ყველა მაჭანკალი ჰგავს ერთმანეთს. დადიან სოფელ-სოფელ სარფიანი საქმის გარიგების მიზნით. ზოგჯერ შეურაცხყოფასაც

იტანენ, ოღონდ გარიგების ფული აიღონ, მატყუარები, მოხერხებულები და ცბიერები არიან).

პიესა წარმატებით დადგმულა, დიდი მოწონებაც დაუმსახურებია. 1879 წლის 1 სექტემბერს, წარმოდგენის შემდეგ, გაზეთ „დროებაში“ სერგეი მესხი წერდა: „პირველად ქართულმა სამუდამო ტრუჰმა გახსნა წელს წარმოდგენების სეზონი და სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ კარგად გახსნა“. აქვე სერგეი მესხი აღნიშნავს: „მშვენიერი ენითა და შინაარსითაა დაწერილი ეს პიესა, სცენის მხრითაც ის არც ერთ ჩვენ გერისთავის დროინდელ პიესებს არ ჩამოუვარდება, ზოგიერთ მათგანს კიდევაც სჯობია“ („დროება“ 1879: N182). იმავე გაზეთ „დროებაში“ რეცენზენტი აქებს ავტორს: „კნ. ჯორჯაძის კომედია ერთ საუკეთესო ორიგინალურ კომედიად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ლიტერატურაში, ჩინებული სასცენო მშვენიერი ენით დაწერილი კომედია გამოუყვანია“. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ რეცენზენტი აღნიშნავს, რომ „ავტორი პიესისა კნ. ბარბარე ჯორჯაძისა გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე იმ დროს, როდესაც ჩვენი ახალი მწერლობა ფეხს იდგამდაო“ („ცნობის ფურცელი“ 1898: N703).

„რას ვეძებდი, რა ვიპოვე“ ერთ-ერთი საუკეთესო პიესაა XIX საუკუნის სამოციან წლებში. იუმორით გაჯერებული, ნაჩვენებია იმ დროინდელი ცხოვრებიდან მტკივნეული ფრაგმენტები, თავადების ყოფა-ცხოვრება, მაჰანკლობა, როგორც სამსახური, მზითვიანი ქალის ძებნა და მასზე ქორწინება, როგორც საქმიანი გარიგება. პიესის დადებით შეფასებას უარყოფითიც მოჰყვა გაზეთ „ივერიაში“. ილია ჭავჭავაძე სთხოვდა თეატრის გამგეობას, რომ „იშვიათად შეაწუხონ ხოლმე ეს პიესა, რადგან ეს უმარილო პიესა მსახიობთა როლებს ისე გამოუკეთებიათ, ისე მარილიანად თამაშობდნენ, რომ ერთბაშად სიამოვნებას მოჰყვენენ მთელს თეატრსო“ („ივერია“ 1886: N228). წერილიდან ჩანს, რომ წარმოდგენის წარმატებას მხოლოდ მსახიობების კარგად შესრულებას უმაღლის ილია, თორემ ისე „არც ჩლავი იქნებოდა და არც ფლავიო“.

გამოხმაურებამ, დადებითმა თუ უარყოფითმა შეფასებამ, ვფიქრობთ, თავისი სათქმელი თქვა პიესაზეც, დადგმაზეც, შესრულებაზეც, შემსრულებლებზეც და ავტორზეც. ქართული თეატრი ბარბარე ჯორჯაძის პიესით გაიხსნა ჯერ კიდევ მაშინ, ქალის სამსახიობო როლის შემსრულებლები კაცები რომ იყვნენ. გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „ქალები ვერ ბედავდნენ სცენაზე გამოსვლას, ყველა სირცხვილზე სდებდა თავსო“ („დროება“ 1879: N182).

ბარბარე ჯორჯაძის შემდეგი პიესა „შური“ 1862 წლის 17 თებერვალს წარმოადგინეს სახაზინო თეატრში საქველმოქმედო საქმის მიზნით. პიესის შინაარსი ასეთია: თავადი ვახტანგ ზარიბაძე, რომელმაც მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ქონება, ბედნიერად ცხოვრობს ქალიშვილ-სოფიოსთან ერთად. მათთან სახლში იზრდება ობოლი გოგონა სიდონია, რომელსაც ვახტანგი შვილივით ზრდის, თუმცა სიდონია მადლობის მაგიერ ბოროტებას სჩადის, როდესაც იგებს სოფიოსა და ლევანის სასიყვარულო ამბავს. ლევანი რომ მას დარჩეს, თავიდან იშორებს სოფიოს და წყალში გადააგდებს. როცა ჰგონია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ქონებაც მას დარჩა და ლევანიც, სწორედ ამ დროს გამოჩნდება სოფიო და სიდონიას ბოროტებას ფარდა აებდება. პოემა მნიშვნელოვანია იმ მიმართულებითაც, რომ მებატონე ვახტანგ ზარიბაძეს სურს გლეხების განთავისუფლება მიწით. საინტერესოა ვახტანგ ზარიბაძის დიალოგი მეგობართან, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი კვლავ ძველ დროს შენატრიან, სწავლისთვის დროის კარგვა და მით უმეტეს უცხოეთში სასწავლებლად სიარული ხომ უსაქმურობააო. „ევროპელების მიზანძვა რას გამოგვადგება, დავიღუპებით“, - ამბობს ის. ზაალს არ მოსწონს ახალგაზრდა თაობა ფულის გულისთვის რომ ჰყიდის დანატოვარ ქონებას. დროის ცვლა, ახალი დროის დადგომის ნიშნები, კარგად ჩანს პოემაში. „უწინ ჩვენგანს ფული რომ გაუჭირდებოდა, მაშინვე ნათესავი ან მეგობარი სიამოვნებით ხელს გაუმართავდა“, ახლა სხვა დროა, - ამბობს ზაალი, თუმცა თავად ყველასთან კარგ დამოკიდებულებაშია. მაგრამ ის, რომ გლეხების განთავისუფლება მიწით უნდა, ამ დიალოგის ფონზე ცოტა არადამაჯერებელია. რამდენიმე ძირითადი აქცენტის გამოყოფა მაინც შეიძლება:

1) ბატონისა და ყმის ურთიერთობა (ბატონი ზარიბაძე ყმების მოყვარული და მათზე მზრუნველია, სურს, გლეხები მიწით გაათავისუფლოს, ყმებიც ბატონის მადლიერები არიან);

2) ახალი დროით უკმაყოფილება (პიესაში ჩანს, ზარიბაძისა და მისი მეგობრის, თავადი ზაალის დიალოგი. ისინი ძველ დროს შენატრიან, ერთმანეთთან ჩივიან, რომ ახალმა ცხოვრებამ დაკარგა „მეგობრული სიყვარული, შეურყენელი სინდისი, მტკიცე სარწმუნოება“);

3) ახალი მოთხოვნები და სწავლასთან დამოკიდებულება (ვახტანგ ზარიბაძე წინააღმდეგია საზღვარგარეთ სწავლისა, რომ ახალგაზრდები „ფიქრით თავს იჭლევენ, რაც ევროპაში გვინახავს, რატომ ის ცხოვრება არ გვაქვსო“);

4) სიდონიას და სოფიოს დაპირისპირება, როგორც სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება (სიკეთე - სოფია, სიდონია - ბოროტება) და როგორც თითქმის ყველა ნაწარმოებში, ბოროტება ვერ ერევა სიკეთეს.

წარმოდგენილი აქცენტებით ჩანს მწერალი ქალის დამოკიდებულება ბატონისა და ყმის მიმართ, ავტორი ქალის სიმპათიები მებატონეთა მიმართ.

პოემა „შურის“ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, არ წყდებოდა ტაში და აჟიოტაჟი მწერლის მისამართით, სანამ ლოჟაში მჯდომი ავტორი არ წამოდგა და „არ გადაუხადა მადლობა მდაბლად თავის დაკვრით“ (კიკნაძე 1987: 82-83). პიესაში ქალების როლი მამაკაცებმა შეასრულეს. ჟურნალი „ცისკარი“ წერდა: „ამ ჩვენმა მწერალმა ქალმა ჩვენს ლიტერატურას აჩუქა მახვილგონივრულად დაწერილი დრამა, სადაც გამოყვანილია ყოველი ჩვეულება ახლანდელი საუკუნისა“ („ცისკარი“ 1862: N2). ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, ვახტანგ კოტეტიშვილი, წერს: „ბარბარე ჯორჯაძის ნაწარმოებებიდან უნდა აღინიშნოს სამმოქმედებიანი დრამა „შური“, რომელიც, უნდა ითქვას, კარგად არის შესრულებული, აქ ახალი ეპოქის სუნთქვაა ნაჩვენები მთელი თავისი ზერელობით, უჭკუო წამბამველობით და ფულის გაბატონებით“ (კოტეტიშვილი 1965: 68).

ბარბარე ჯორჯაძეს აქვს ისტორიული დროის ამსახველი პიესა „მშვენიერი კეკელა“, სადაც წარსულის ისტორიული მომენტებია ასახული. მძიმე მდგომარეობის ფონზე გარსევანისა და კეკელას სასიყვარულო ურთიერთობა ვითარდება. გარსევანი ქვეყნის თავისუფლებას ეწირება, კეკელა ირანელებს შაჰთან მიჰყავთ. პიესის წაკითხვისას ადვილი მისახვედრია, რომ ბევრი ფაქტი გაზვიადებულია და ისტორიის ცოდნაც არასრულყოფილია. რა თქმა უნდა, იმდროინდელ პრესას არ გამოჰპარვია და შეფასების გარეშე არ დაუტოვებია ეს ფაქტი, შეფასებას ილიას წერილით დავიწყებთ: „ახალი დრამების გამო“, სადაც ილია მოუწოდებს და აფრთხილებს კიდევ დრამის დამწერ ავტორებს, რომ, ვინც ისტორიული დრამის დაწერას გადაწყვეტს, მან სიღრმისეულად უნდა იცოდეს ისტორია, რადგან მკითხველი შეიძლება შეცდომაში შევიდესო და არასწორი, დამახინჯებული წარმოდგენა შეექმნას ზოგიერთ ფაქტზეო. გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნდა რეცენზია, რომელშიც ვკითხულობთ: „სულთანსა და ყაენს ძველად ჩვენი მეფეებისა და თავადების ქალები მიჰყავდათ, საკმაო არ უნდა ყოფილიყო დრამის შესადგენადო“ („შრომა“ 1881: N16). მიუხედავად ამგვარი შეფასებებისა, ეს პიესა იყო დრამატული. იმდროისათვის კი დრამატული

ნაწარმოებებისა და პიესების სიმცირე იყო, ამიტომაც, თუ ამ კუთხით შევხედავთ, საინტერესო მოვლენაა, რადგანაც ნელ-ნელა ჩნდებოდა და ფეხს იკიდებდა დრამატურგია.

პიესა „მკითხავი“ მარტივი სიუჟეტით ვითარდება, მთავარი პერსონაჟია ქალი, თინა, რომელმაც ეკონომიკური გაჭირვებისთვის თავის დაღწევის მიზნით იოლი ცხოვრების გზა აირჩია და მკითხაობა დაიწყო. ის ატყუებს სოფელს, ცრურწმენას ადვილად იჯერებს ხალხი და სჯერათ მისიც, თუმცა პიესის ბოლოს თინას ფარისევლობა და თვალთმაქცობა გამომჟღავნდება, საშუალოზე გამოდის მისი ტყუილებიც. თინა მარცხდება. ამ პიესაშიც ცნობილი ფაქტია წარმოდგენილი. მკითხაობა განსაკუთრებულად სოფელში გავრცელებული პროფესია იყო. ამიტომ ამბავი ნაცნობია. რაც შეეხება დადგმას, „მკითხავის“ დადგმა დაგეგმილი ყოფილა, თელაველ ახალგაზრდებს უნდოდათ სცენაზე მისი გატანა 1877 წელს (კიკნაძე 1987: 87).

ბარბარე ჯორჯაძის დრამატული შემოქმედებიდან კარგად ირკვევა, რომ იგი როგორც დრამატურგი ხშირად კრიტიკის ობიექტი იყო, თუმცა მისი პიესების დადგმას მხარსაც უჭერდნენ ქართულ სცენაზე. რაფიელ ერისთავის არქივში აღმოჩნდა ბარბარეს წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ჩემი პიესა მივიღე გუმბინ, რომელმაც მასიამოვნა, შენი მშვიდობისათვის დიდად გმადლობთ, შრომასა და კარგი გასწორებისთვის, შენი შემეცნებით ეხლავე გამოდგება, თუ კრიტიკას დამიწუნებენ, არც იმას ვინაღვლი, მწერ, ცალკე წიგნადმე ნუ დაბეჭდავ, არ გაიყიდებო“. წერილი არაა დათარიღებული, ამიტომ რომელ პიესაზეა საუბარი, ძნელი მისახვედრია, არც რაიმე მინიშნებაა, ერთი რამ ცხადია: რომ რაფიელ ერისთავი ეხმარებოდა დას სამწერლობო საქმეში, ურჩევდა და აკვალთანებდა, ბარბარე უჯერებდა ძმას, მისთვის, როგორც ჩანს, ავტორიტეტი იყო რაფიელ ერისთავი.

საინტერესოა ბარბარე ჯორჯაძის კიდევ ერთი წერილი რაფიელ ერისთავის პირადი არქივიდან, საიდანაც ირკვევა, რომ ბარბარე ჯორჯაძეს აქვს ჩანაფიქრი, შეადგინოს „დედაენა“. იგი წერს ძმას: „ქართული ანბანის შედგენა მინდოდა, „დედაენა“ რომ არის, ის არ მომწონს, ამისთვის რომ ახლანდელ დროში ზღაპარს არ უნდა შეეჩვიოს ყმაწვილი, უფრო გონება გაუშალოს, რაც მისთვის არის გაუგებარი, გააცნოს ის, რაც არ არის საჭირო, არ უნდა, მე ამის შედგენა მინდა“, და იქვე აგრძელებს: „სკოლის მასწავლებლები სჩიოდნენ, მოვაცოლებთ ხოლმე ყმაწვილს ანაბანასა და რამდენი ხანი სწავლობს და როდის როდის გავა ბოლოში და აღარა აქვს დასასრულიო, ანბანი მთელი

მხატვრულობით უნდა შეისწავლოს ბავშვმა, დაჭრილებიც უნდა იყოს ცალკე და წიგნებშიც ასე დახატული, ჯერ ანბანს შეისწავლი ასოებით, მერე იმავე ასოებით შეერთებულ კითხვას ისწავლის“ (კ.კ.ხ.ე.ც. N970, 971).

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებაში არის პროზაული ნაწარმოებებიც, მოთხრობები. მისი მოთხრობები, ძირითადად, ეყრდნობა ფაქტოლოგიურ მასალას, ამიტომ ცოტა მძიმე წასაკითხია; არის იუმორის ნიშნებიც, თუმცა სუსტია. დაწვრილებითაა გადმოცემული თვალთ ნანახი და განცდილი შამილის ჯარის შემოსევები კახეთში, მის ნაწარმოებებში დახატულია საინტერესო ისტორიული ეპიზოდები. ეს ითქმის მოთხრობების იმ ციკლზე, რომელშიც იმამი შამილის შემოსევაა ასახული.

„შამილის ჯარის ჩამოსვლის დროს კახეთში 1854 წ. 4 ივლისს ახმეტაში, ქისტაურსა და თელავში“: წერილები სამი ნაწილისგან შედგება და ასახავს, რა ხდებოდა შამილის შემოსევების დროს აღნიშნულ ქალაქებში. მაგ.: ახმეტაში ნაჩვენებია ოთარ და ლუარსაბ ჩოლოყაშვილების ოჯახები, ისინი მეზობლები და ბიძაშვილები არიან; მშვიდი, კარგი ურთიერთობა აქვთ; თავისუფალ დროს ერთად თამაშობენ ნარდს. ერთ დღესაც მოდის თელავიდან ვინმე ალექსანდრე და მოაქვს ამბავი ლეკთა შემოსევის შესახებ. კარგადაა ნაჩვენები სოფლის გახიზვნისა და გადამალვის სამზადისი: როგორ იფხვებიან ადამიანები წყალში, როგორ უჭირთ ერთმანეთის მიტოვებაცა და წაყვანაც. არის იუმორნარევი ეპიზოდები, თუმცა ტრაგედია ისეთი მძიმეა, იუმორის სისუსტე უფრო თვალშისაცემია, ვიდრე გასაღიმებელი ან სასიამოვნოდ წასაკითხი.

შამილის ჯარის შემოსვლას ქისტაურში დიდი ემოცია ახლავს იმიტომ, რომ ბარბარე ჯორჯაძე თვითმხილველია ამ ფაქტისა და მისი ოჯახი ჩართული იყო შამილთან ბრძოლაში: „როდესაც მამაჩემმა გაიგო, შამილმა თავისი ჯარი კახეთზე უნდა გამოათარეშოსო, მაშინვე ჩემთან გადმოვიდა და თავისთან წამიყვანა, რადგან ჩემი მეუღლე ჩოლოქის ომში „დრუჟუნაში“ იყო წასული იმჟამადო“, - წერს ის. დაწვრილებითაა აღწერილი, როგორ აწიოკდა ხალხი, შეაბეს ურმები და მთებს მიაშურეს. „დედაკაცები წივილ-კივილით მირბიან, ერთი იძახის, უი, შვილო ვანოო!.. მეორე: - ვაიმე, გლახავ!.. იცემენ გულ-მკერდზე ხელებს და ლოყებს იკაწრიან, არის ერთი ღრიალი და არეულობა“. თუმცა სასწაული, ლეკები არსად ჩანან. თურმე მეძროხეებს ერთმანეთი მიუტოვებიათ და იმათ ღრიალზე კაცებს თოფები დაუცლიათ, სოფელში ვინც დარაჯები იყვნენ, იმ თოფების ხმა ვერ გაურკვევიათ და ჰგონებიათ,

ლეკები დაეცნენ სოფელსო. „მეორე დღეს მამაჩემი თელავიდან დაბრუნდა და გვიამბო, რომ ლეკის ჯარი კურდღელაურიდანვე გაბრუნდა უკანო“, - გვიამბობს ბარბარე ჯორჯაძე. მიუხედავად იმისა, რომ წერილი იუმორისტულია და სასიხარულო ფაქტიცაა, რომ სოფელი გადარჩა, იმდენად მძიმე იყო შეშინებული ხალხის მდგომარეობა, რომ ძნელია, სიხარულის განცდა დაგეუფლოს.

შამილის ჯარის შემოსვლა თელავის გაღმა მხარის სოფლებში ივლისის ცხელ დღეს მოხდა. სიცხისაგან ეზოებში ვეღარ ისვენებდა ხალხი, გრემის ორღობეში ჩამოუვლია გზირს და დაუძახია: „ჯარიანობაა! ჯარიანობაო!“. შექმნილა მითქმა-მოთქმა, შიშმა და გოდებამ დაისადგურა თურმე, რიჟრაჟზე წამომლილა ლეკთა ჯარი, ორ ნაწილად გაყოფილა: ერთი ნაწილი შილდისკენ წასულა, მეორე ნაწილი - გამოდმით ალაზნისკენ. შილდაში წაუკიდეს თურმე სახლებს ცეცხლი. შექმნილა სისხლისღვრა. თავადიშვილი დავით ჭავჭავაძე ივანე ჯორჯაძის გალავანს იყო შეხიზნული, როცა შილდის ციხეს ცეცხლი წაუკიდეს. თელაველებმა დახმარება გადაწყვიტეს. რუსეთიდან ახლად ჩამოსულია კოტე ჭავჭავაძე (კოტე ჭავჭავაძე იყო ახალგაზრდა თავადი კაცი, ცხოვრობდა რუსეთში და ახალდაქორწინებული კახეთში ნათესავების სანახავად იყო ჩამოსული). კოტესაც მოუსურვებია ბრძოლაში წასვლა და გაჰყოლია ჯარს. შემდეგ აღწერილია კოტე ჭავჭავაძის ტრაგიკული ბედი, როგორ მოკლა ის შუა ალაზანში შამილის ჯარმა. ეს იყო მისი საბედისწერო სტუმრობა საქართველოში. მეორე ეპიზოდში მოთხრობილია ვინმე თამარის გმირობა, რომელიც არის თავად თამაზ ჯორჯაძის ცოლი. ის გაუშვა ქმარმა შედარებით უსაფრთხო ადგილას, რომ გადამალულიყო. თამარი გაექცევა გზაში დადევნებულ ლეკებს და თელავის „ნაჩალნიკთან“ მივა და მიმართავს: „სირცხვილი არ არის? თქვენ კაცები ხართ და მე დედაკაცი, რატომ ალაზნისპირას არ გაჩერდით და რამდენსაც ალაზანში შემოსულ ლეკს ჰნახავდით, ტყვიით გული არ გაუგმირეთო?“. რამდენ ხანს გაგრძელდა თელავში ლეკიანობა, ამბავში ნათქვამი არაა, თუმცა ბარბარე ჯორჯაძე წერს: „ჩვენ თელავში აღარ დაგვაყენა მამაჩემმა, მუხრანს წაგვიყვანა მთელი სახლობა ნიკოლოზ-მუხრანბატონის სახლში, სანამ მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდაო“.

ამ სამი წერილიდან ცხადია, რომ ის უმძიმესი ტრაგედია, რაც შამილის ჯარის შემოსევებს ახლდა კახეთში, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსული ქალისთვის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა, ამიტომაც მძიმე წასაკითხია მისი ნაამბობი. იგი მხატვრულობას მოკლებული, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით

გადმოცემული ამბავია, რომელიც კარგად ასახავს იმდროინდელი კახეთის მდგომარეობას, ხალხის გასაჭირს, ადამიანების შიშს.

ბარბარე ჯორჯაძის კალამს ეკუთვნის ასევე მოთხრობა „ალავერდობა“. ალავერდობის დღესასწაულზე ხალხი სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა მოსალოცად. ასე იმყოფება იქ მათა ამუარძის ოჯახი, რომელთაც პატარა შვილი ბიჭი ჰყავთ. დღესასწაულზე ღამისთევის დროს ოჯახს ბავშვს შეუცვლიან და საწოლში გოგონას ჩაუწვენენ. როგორც ამბავი, მხოლოდ სიცილის მომგვრელია, სხვა რაიმე მხატვრული ხერხის დანახვა ძნელია. დიალოგია ოჯახში ბავშვის ძებნასთან დაკავშირებით, შიში კვლავ, რომ ლეკები ჩაიდენდნენ ამ საქციელს, თუმცა ირკვევა, რომ ყველაფერი სხვაგვარადაა. ბიჭი ბოდბეში იზრდება და ისინი უკვე დიდები კვლავ ალავერდობის დღესასწაულზე ხვდებიან ერთმანეთს, შეხვედრა ქორწილით მთავრდება. მსგავსი ამბებია მოთხრობებში: „დარეჯან გულის პასუხი“ და „სოფლის ხევთა პირში“. აღნიშნული მოთხრობებიც სასიამოვნოდ იკითხება. სასიამოვნოში ვიგულისხმეთ, რა თქმა უნდა, მსუბუქად საკითხავი ამბავი, ცოტა იუმორი იმ მძიმე მდგომარეობის ფონზე, რაც მაშინ კახეთში იყო და რასაც ბარბარე ჯორჯაძე აღწერდა.

მოთხრობაში „დიკლო-შენაქოში“ ნაჩვენებია კავკასიის მთის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები ხალხის ტრადიცია, კერძოდ, ქისტების, ხევსურებისა და თუშებისა. ამ ხალხს ტრადიცია ჰქონდა, რომ თუ ერთი თემი მეორე თემს მოციქულებს მიუგზავნიდა, ზავი დავდოთო, და ორივე მხარის სურვილი იყო, ზავს დადებდნენ, გაცვლიდნენ ტყვიასა და ქუდს. ტყვია ვაჭკაცობას ნიშნავდა, ქუდი - ნამუსს. ასე იდებოდა ზავი, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა თავდასხმა, დაწიოკება ზავდადებულ მხარეებს შორის. 1834 წელს დიდოს სოფელმა დაარღვია დადებული ზავი და თუშებს დიდი უბედურება დაატყდათ თავს.

საყურადღებო წერილია „წარმოება არაგვის ერისთავთა“, რომელიც 1861 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“ („ცისკარი“ 1861: N3). წერილი ბარბარე ჯორჯაძის ერთგვარ კვლევადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან გამყარებულია ბარბარე ჯორჯაძის მიერ მოძიებული მასალებით, ისტორიული გუჯარებით, გადმოცემული ფაქტოლოგიური მასალით. იგი წერს: „ერისთავნი მამა-პაპათა ისტორიაში მეფეთა წინ იხსენიებოდნენ, უპირველეს გვართა შორის, თვით სახელის გამოთქმაც განმარტავს თვის უპირატესობასა“; „არაგვის ერისთავნი, რომელზეც მე მოგიოთხრობთ, ძველთაგანვე მომდინარეობს, ჩვენში იტყვიან, რომ ვითომც ყოფილიყვნენ პირველად გვარად

დუდარუკოვნი, ჩერქეზიდან გადმოსულნი, რომლის ჩამომავალნი ოდესღაც იმყოფებიან ჩერქეზში თავადობის სახელისწოდებით დუდარიკოვად, მათ საქართველოში გადმოსული მეფეთაგან ნამსახურობით მიუღიათ ერისთაობა და არაგვის მთელი ხეობა სჭერიათ, მათ შორის ქართლში შინდისი და ტირძნისი. ერისთაობა ასე სახელისავით გადაეცემოდათ თითოს შვილთა და შვილის შვილთა მათთა“. რადგანაც წერილი დიდია და ბევრი ისტორიული პირი, გუჯარი თუ წერილია ნახსენები, ვგიქრობთ, საინტერესო იქნება. ამიტომ წერილის ასლი თან ერთვის ნაშრომს.

ბარბარე ჯორჯაძის ძირითადი მოთხრობები და წერილები იბეჭდებოდა „ცისკარში“. ივანე კერესელიძესა და ბარბარე ჯორჯაძეს განსაკუთრებული ურთიერთპატივისცემა იგრძნობა მათსავე წერილებიდან. ივანე კერესელიძე იგონებს ბარბარესთან სტუმრობას გრემში: „რაც რამ შესანიშნავი საგანი იყო ყველაფერი მაჩვენა, დიდი პატივისცემით მომეპყრო“. „ცისკარშივე“ დაბეჭდა ივანე კერესელიძემ თავისი „გრემის ნაქალაქევი“ წარწერით: „გუბღვნი კნ. ბარბარე ჯორჯაძისას“. ბარბარე ჯორჯაძეც ძმასთან, რაფიელ ერისთავთან, მიწერილ წერილში გამოხატავს დიდ მაღლიერებას ივანე კერესელიძისადმი: „სხვა მე არ შემინახვდა, მე რომ იმან შემინახაო“ (კ.კ.ს.ხ ე.ც. N984).

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებითი გზა მრავალმხრივ საინტერესოა, მან ყველაფერში სცადა ბედი: პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში. რაც შეეძლო, თავი არ დაუზოგავს. იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალი.

მას თავი არ დაუზოგავს არც ერთი მიმართულებით. აქ წარმოდგენილია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალები, ასევე, მის სიცოცხლეში დაბეჭდილი და გამოქვეყნებული თხზულებები, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედება მრავალფეროვანია, საინტერესო და საგულისხმო ეპოქის შესწავლის თვალსაზრისით. ბარბარე ჯორჯაძის ცხოვრების გზა რთულია, მას მძიმე დროს, ეპოქების გზაგასაყარზე მოუწია ცხოვრება. ასეთივეა შემოქმედების გზაც, თუმცა იყო დაფასება, აღიარებაც და პატივისცემაც; მაგ.: აკაკი წერეთელი წერდა: „ის სოფიოები, რომელზედაც გულდაწყვეტით ქვითინებს ბარათაშვილი, დღეს აღარსად არიან. ზოგი, დიახ, ღირსი დედაკაცები არიან, რომლების რიცხვშიაც, ჩვენი აზრით, უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს ბარბარე ჯორჯაძეს, იგი

კეთილად ამოქმედებს თავის გონებას, განსჭვრეტა საგნებისა რიგიანი და მართალია („დროება“ 1868: N3). აკაკი მას ლექსსაც უძღვნის:

„სევდით სავსე სახედ ქალი, გულში ალი ეკიდება
და წამწამზედ კურცხალი მარგალიტებრ ეკიდება,
იგი მცირე მარგალიტი გრძელი ამბის შემცვლელია,
თვით დამდნარის გულის წვეთი ვარდ-ღაწვების შემწველია.
ქართლის მწარე აწმყო ბედი, გამქრალი ძველი დიდება
და მომავალი იმედი მასში ერთად იხატება“.

1861 წლის მარტში ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა გიორგი ანდრონიკაშვილის ლექსი „კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას“:

„ივერ ქალთა შორის აღმოჩნდა მწერალად,
რომლით ღირსი ხარ ტკბილსა სიმზედ გვეყვანდეთ სამღერლად“.

ასევე, ნ. დადიანმა „ივერიაში“ გამოაქვეყნა ბარბარე ჯორჯაძისადმი მიძღვნილი ლექსი: „ბევრი კარგი უწერია, \ლიდის ხნიდან მოღვაწეობს \რიგს არ აკლებს არც მოთხრობას \ხან კამათშიც იბრძვის მხნეობს \მღერის ლექსს წყობილსა \ზოგჯერ დრამას მოიზრეობს \“. ამ ლექსით კარგად ჩანს ბარბარე ჯორჯაძის მრავალმხრივი შრომა. „სასიამოვნო საუბრის ენით წერს, ცნობისმოყვარეა, კითხვაში და მსჯელობაში დახელოვნებული“ (ბაქრაძე 1981: 180).

თავად ბარბარე ჯორჯაძე წერს: „ბალები, ტანცები, ვეჩერები, ყოველივე თუკი წავალთ, არის, ყოველი ქალი თუ კაცი მადლობას მეუბნება, ერთმანეთს თითოთ უჩვენებენ, ეს მწერალი ქალი არისო“ (კ.კ.ხ.ე.ც. N986). ამ ერთი პატარა წერილით კარგად ჩანს მაშინდელი თბილისის საზოგადოება და ბარბარე ჯორჯაძის სიხარული, რომ მას იცნობს ხალხი.

ბარბარე ჯორჯაძემ ლიტერატურული მოღვაწეობა ჟურნალ „ცისკარში“ დაიწყო, აქვეყნებდა წერილებს, ლექსებს, ბარბარე ჯორჯაძე ღიად საუბრობდა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე, მის შემოქმედებას ბევრი აკრიტიკებდა, მაგრამ ის, ამას არ შეუშინდა, მის გაბედულ ხასიათს ადასტურებს ისიც, რომ ბარბარე ჯორჯაძე იყო ერთადერთი ქალი, რომელმაც ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკა გახედა (ქართული ენის მოდერნიზაციის საკითხთან დაკავშირებით).

§3. ეკატერინე გაბაშვილის პუბლიცისტურ-საზოგადოებრივი

მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, იმ მდგომარეობის ფონზე, სადაც ყველას, ქალსა და კაცს სული ეხუთებოდა, სადაც სიყვარული არ იყო თავისუფალი და გრძნობებზე ტრადიცია ბატონობდა, სადაც გათხოვებისა და ქორწინების საკითხს ქონება და წოდება განსაზღვრავდა, ადამიანის სული დაცლილი და გამომშრალი იყო რწმენისგან და ტრადიციულად შემორჩენილი რწმენით სულდგმულობდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდის ქალი, რომლის მოღვაწეობის ღრმად გაცნობისას ირკვევა, რომ, თუ შეიძლება ვინმეზე ითქვას ხალხის და სოფლის გულშემატკივარი, თამამად შეიძლება ითქვას ეკატერინე გაბაშვილზე.

ეკატერინე გაბაშვილი დაიბადა ქალაქ გორში 1851 წლის 16 ივნისს. მამა, რევაზ ბაადურის ძე თარხნიშვილი (თარხან-მოურავი), იყო თავადაზნაურთა წრის წარმომადგენელი. იგი ჯერ იყო სასამართლოს მდივანი, შემდეგ - ვექილი. დედა, სოფიო ბაგრატიონი, ვახტანგ ბაგრატიონის ერთადერთი შვილი იყო. მამა მას მამულის მემკვიდრედ ზრდიდა, ვაჟკაცურ ჩვეულებებს უნერგავდა. სოფიო ბაგრატიონი ჯირითობდა, ნადირობდა, სროლაში ტოლს არ უდებდა ვაჟკაცებს, ამავე დროს შეეძლო ეცეკვა ლეკური, ემღერა ტკბილი ხმით. ოჯახის წევრები ეკატერინეს ამსგავსებდნენ სოფიოს. ბებია, ბარბარე ამირალოვი, რომელმაც იტვირთა დედით დაობლებული შვილიშვილების აღზრდა, მეტად მძიმე და რთული ხასიათის ქალი ყოფილა. იგი წინააღმდეგი იყო ქალის სწავლა-განათლებისა. ამის გამო ოჯახში ხშირად იყო დამაბული მდგომარეობა. ბებიას სურდა, პატარა კატოს ხელსაქმე ესწავლა, თუმცა მამამ თავისი გაიტანა და შვიდი წლის ეკატერინე ქალაქ გორში პოლკოვნიკ ფალავანდიშვილის ქვრივს, მაიკოს, მიაბარეს, რომლისგანაც ეკატერინემ წერა-კითხვა და რამდენიმე ლოცვა ისწავლა. 1859 წელს ეკატერინე თბილისში ჩამოიყვანეს და გერმანულ სკოლაში მიაბარეს, შემდეგ უკვე - მადამ ფავრის პანსიონში. მამა იყო ეკატერინეს ცხოვრების მიმართულების მიმცემი. „ყველაზე დიდი სიხარული იყო, როცა ბავშვებს მამა გორის ციხეზე აგვიყვანდა და გმირულ წარსულ ამბებს გვიყვებოდაო“. ასევე, დიდი კვალი დატოვა ეკატერინეს ცხოვრებაში სოფელმა და სოფლის ყოფამ. სოფელ ფლევისა (სურამთან) და ახალქალაქში (ნოსტე და ერთაწმინდა) გაიარა ეკატერინეს ბავშვობამ. თიბვა, მკა, მდინარე, ტყე - ეს ის გარემო იყო, სადაც ეკატერინე

თავისუფლებას გრძნობდა და უშუალო მონაწილე ხდებოდა ხალხის ცხოვრებისა. ეკატერინეს უმაღლესი განათლება არ მიუღია ეკონომიკური მდგომარეობის გამო, იგი თბილისიდან ქალაქ გორში დაბრუნდა. თუმცა არ შეჩერებულა, სულ ცდილობდა განათლების მიღებას, კითხულობდა რუსულ და უცხოურ ლიტერატურას. ეკატერინე გაბაშვილის ლიტერატურულ თუ სამწერლობო და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა ასე იწყება:

1871 წელს „დროებაში“ ეკატერინემ დასაბეჭდად მიიტანა მოთხრობა „გაბედნიერება“. პეტრე უმიკაშვილმა (დროების თანამშრომელმა) წაახალისა თურმე ახალგაზრდა ქალი, მოთხრობაც დაუბეჭდა, „პირველი ბელეტრისტი ქალიც უწოდა“ და „დროებაში“ თანამშრომლობაც შესთავაზა. ეკატერინე სიხარულით დათანხმდა შეთავაზებას. დაიწყო თანამშრომლობაც და მუშაობაც, იგი ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთ დღესაც გიორგი წერეთლის ოჯახში მიწვეულ „დროების“ თანამშრომლებსა და ქართველ საზოგადოების წევრთა შორის ეკატერინე გაბაშვილიც აღმოჩნდა. ამ საღამოს ესწრებოდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც საჯაროდ „კაცია-ადამიანს“ კითხულობდა. აქ გაიცნო ეკატერინემ ილია, აქვე გაიცნო მან ალექსანდრე გაბაშვილი, განათლებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც გატაცებული იყო „ხალხოსნური“ იდეებით, სოფლის მეურნეობის პირობების გაუმჯობესებისთვის ადგენდა პროექტებს. მას სჯეროდა, რომ სიდატაკეში მყოფი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება მიწის სწორად დამუშავებით შეიძლებოდა. სწორედ ამ საკითხმა დააახლოვა ეკატერინე და ალექსანდრე. აზრთა თანხვედრამ განაპირობა მათი ქორწინება. ეკატერინე იმავე 1871 წელს ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ზაქარიას ძე გაბაშვილს. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ცხოვრება სოფელ თხინვალში, გაბაშვილის მამულში დაიწყო და თეორიული აზრების პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ. ფერმა დაარსეს, თუმცა მხოლოდ თეორიამ ვერ განავითარა გამოუცდელი ცოლ-ქმრის წამოწყება. მათ დახმარება და მხარდაჭერა ვერ მიიღეს. სოფლის ცხოვრების მძიმე ტვირთი, რომლის ზიდვასაც ახალგაზრდები შეეჭიდნენ, რეალურმა სურათმა მალე დაშალა. ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. ეკატერინესა და ალექსანდრეს 11 შვილი ჰყავდათ, მათგან მხოლოდ ხუთი გაზარდეს: ორი ვაჟი და სამი ქალიშვილი. ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს სოფელ ახალქალაქში. მისი ნეშტი გადმოასვენეს და დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ეკატერინე გაბაშვილი 1881 წელს გამოვიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. მას შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, იყო დაინტერესებული ქართველი ხალხის ცხოვრებით, თვალ-ყურს ადევნებდა ყველა პოლიტიკურ თუ სოციალურ პრობლემას. „19 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი, - წერს ის, - მალე დავწვრილმვილდი, ძლიერ ხელმოკლე ოჯახში ვცხოვრობდი. მე არ დავუმორჩილდი საზოგადო ხვედრს დედაკაცისას, ამისთვის დიდი ბრძოლა დამჭირდა. მე იმ ვიწრო კედელს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას ეძახიან და რომელიც შთანთქავს ხოლმე ხშირად დედაკაცის სულიერ არსებას, პატარა ჭუჭრუტანა გავუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას“ (ეკ. გაბაშვილი, „ჩემი წუთისოფელი“). ეკატერინე გაბაშვილი შორიდან კი არ ადევნებდა თვალს ცხოვრების მდინარებას, არამედ აქტიურად ერთვებოდა მასში და მრავალმხრივ მოღვაწეობდა:

- 1) ის იყო მწერალი ქალი, რომელიც უშიშრად, შეუპოვრად გამოდიოდა და არ ერიდებოდა საჭირობოროტო საკითხებზე საუბარს;
- 2) ის იყო ერთ-ერთი იმ ქალთაგან, ვინც ღიად ამხელდა ქალთა უუფლებო მდგომარეობას;
- 3) იგი ღიად მოუწოდებდა გლეხებს, გაეგოთ და გაეაზრებინათ სწავლის აუცილებლობა.

1870 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა ეკატერინე გაბაშვილის წერილი „გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე“. იგი წერილში ხაზგასმით საუბრობს სწავლა-განათლების აუცილებლობაზე: „განა ვერ ხვდებით? როგორ ყველაში გჯობიათ სწავლულნი ხალხნი, როგორც გონივრობაში, ისე ცხოვრებაში, თუ ჭამით, თუ სმით და ჩაცმით? სწავლას უფრო ადვილად მოაქვს კეთილი ცხოვრება, დღიური ლუკმა მარტო ხვნითა და თესვით მოიპოვება? არა, თქვენნაირ მხვნელ-მთესველს კარგი ცხოვრება ვერ უპოვნია და ვერც თქვენ იპოვნით იმიტომ, რომ ხვნა და თესვასაც სწავლა უნდა, ამიტომ ხვნა და თესვასაც სწავლა უნდა, სწავლა დიდი სამკაულია კაცისთვის და მარტო სწავლას შეუძლია გამოიყვანოს ხალხი ამ უმეცარი მდგომარეობიდან, რომელშიც აქამდისინ არიან ჩაფლული“. ასეთი პრაქტიკული მიდგომით, სწავლისადმი ინტერესის გაღვივებით ცდილობდა, გლეხები დაერწმუნებინა, რომ მათ შვილებს ესწავლათ. მხოლოდ სწავლას შეეძლო, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოეყვანა ხალხი, ოღონდ ამ ხალხს დაენახა და შეეგნო სწავლის აუცილებლობა, არ დაეშალათ შვილებისთვის განათლების მიღება. „არიან კიდევ სხვა ბევრი გზები ცხოვრებისა, - წერდა ის, - „ხელოვნება,

ოსტატობა, მხატვრობა, მწერლობა და სხვა, ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს შვილებს არ შეუძლია ასრულება ყველაფრისა, სწავლას ბევრი რამ შეუძლია. შენიშნულია, რომ წარჩინებული კაცნი ხშირად უფრო თქვენისთანა ხალხისგან გამოდიან“ („დროება“ 1870: N1). ასეთი ხერხით ცდილობდა, ეკატერინე გაბაშვილი ადამიანებისთვის მძიმე მდგომარეობა განათლების არქონით აეხსნა და მიეხვედრებინა სოფელში მცხოვრები ადამიანები სწავლის სიკეთეში.

ქალის უუფლებო მდგომარეობას ეკატერინე გაბაშვილი პატარაობიდან გრძნობდა და განიცდიდა. ბებია, რომელიც მისი განათლების მიღებას ვერ ეგუებოდა, ხშირად სახლის კარს უკეტავდა და სახლში არ უშვებდა. ამ გზით ცდილობდა ეკატერინეს სწავლისადმი სურვილი დაემარცხებინა. გათხოვდა და ოჯახურ საქმეებს თავს ვერ აღწევდა. დილის ხუთ საათზე ადგომა და გვიან ღამემდე დაუღალავად შრომა, ოთხ კედელში გამოკეტილი ოცნებები, სულ ეს იყო მაშინდელი ქალის მდგომარეობა. ამ ყოფამ შექმნა მოთხრობა „ფრთებდაგლეჯილი“, სადაც ნაჩვენებია მწერალი ქალის, ქეთოს, ცხოვრების ერთი დღე. მოთხრობაში მკაფიოდ ისმის დედამთილის სიტყვები რძლისადმი: „ვის გაუგონია, გენაცვალე, გათხოვილი ქალი, გაზეთები და წერილები“. მოთხრობაში ნაჩვენებია ქმარი, რომელიც ცოლს არაფრად თვლის, მწერალი გულისტკივილით გადმოგვცემს ნასწავლი და განათლებული ცოლის ბედს, თუ როგორ ცდილობს, აუხსნას ქმარს, რომ პატივი სცეს მას: „მე და შენ ერთნი ვართ“. თუმცა სადაა ერთობა, მხოლოდ ჩაგვრას ქალისა და თავის დახსნის გზის ძიება. ეს პატარა მოთხრობა საგანგებოდ წარმოვადგინეთ იმიტომ, რომ ავტობიოგრაფიულია. ქალთა უუფლებობა რომ აწუხებდა ეკატერინეს, მის ყველა მოთხრობაში ჩანს, მას სჯეროდა, ამიტომ ათქმევინებს ქეთოს: „ადამიანები ბოროტნი და შურიანი რომ არ იყვნენ, შეიძლებოდა, ოჯახის მოვლაც და საზოგადო საქმეც შეეერთებინა დედაკაცს, აქ მხოლოდ საჭირო იქნებოდა ცოტაოდენი დათმობა და პატივისცემა“. მართლაც, ქალს ცოტაოდენი დაფასება და პატივისცემა რომ ჰქონოდა, თავისუფლად შეეძლო საზოგადოებრივი საქმისა და ოჯახის საქმის ერთნაირად კეთება, მაგრამ არ იყო პატივისცემა ქალისა. მისი სურვილები და ოცნებები არ უნდა გასცდენოდა ოჯახს. კაცი მუდმივად ბრალს სდებდა ქალს. ეკატერინეს გულისტკივილით ნათქვამი: „წადით თქვენ და თუ ვერ მოგყვით, მაშინ გვიკვირებთ და თუ თქვენ თვითონ ტორტმანებთ, მაშასადამე, ორთავეს ერთად თქვენც და ჩვენც ჯერ ჩანჩალი, უფერულეობა, გვხვდა წილად და ერთმანეთს ნურას ვსაყვედურობთ“ („ივერია“ 1885: N209). წერილში ნათლად ჩამოყალიბებული

უსაფუძვლო უპირატესობა მამაკაცისა, აბსურდული ბრალდება ქალის მიმართ, რომ ის არაა თანასწორი მამაკაცისა. ეკატერინე გაბაშვილი იმ დროის ქალთაგან ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე იყო, მისი სახელი ისმოდა ილიასა და აკაკის გვერდით. არ ყოფილა არც ერთი საზოგადოებრივი საქმე, რომ ეკატერინეს მონაწილეობა არ მიეღო. ეკატერინე გაბაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ქალთა სკოლა გორში. მან თავისი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარებაში. ეკატერინე გაბაშვილი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (1879-1927), ამავე საზოგადოების გამგეობის წევრი (1880), საპატიო წევრი 1914 წელს.

ეკატერინე გაბაშვილის თაოსნობით დაარსდა ქალთა კლუბი 1905 წელს („მაშინ ჩვენ ქალებიც ავხმაურდით, პირველმა კრებამ, რომელიც ჩემს სახლში იყო გამართული, იმდენი მსურველი გამოიწვია, რომ არამც თუ ჩემს სადგურში, მთელი ქუჩა სავსე იყო“ - „ჩემი წუთისოფელი“). 1895 წლიდან 15 წელი ხელმძღვანელობდა ეკატერინე ქალთა სამკერვალო სკოლას, რომელიც თავის სახლში ჰქონდა გახსნილი. ეკატერინე გაბაშვილს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ბიბლიოთეკის დაარსებაში, ასევე მუშაობდა „მთარგმნელ ქალთა კოლეგიაში“. ეკატერინე ჩაბმული იყო ქალების მიერ წამოწყებულ საქველმოქმედო საქმიანობაში და ცდილობდა, დახმარება გაეწია საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ახალგაზრდებისთვის. იგი იყო პირველი ინიციატორი საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსებისა. მონაწილეობდა ჟურნალების „ნობათისა“ და „ნაკადულის“ დაარსებაში.

ეკატერინე გაბაშვილი, ცხადია, განსხვავებულია იმ ეპოქის ქალებისგან. მისი აქტიური ცხოვრება, კერძოდ, მასწავლებლობა 1868 წელს იწყება. 17 წლის ასაკიდან, როცა პანსიონი დაამთავრა და მშობლიურ ქალაქ გორს დაუბრუნდა, მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ყოფილიყო მასწავლებელი. ზაფხულობით, როცა ეკატერინე სოფელში მიდიოდა, მის სახლში მუდამ ბავშვების ხმა ისმოდა. ის ასწავლიდა სოფლის ბავშვებს წერა-კითხვას სრულიად უსასყიდლოდ. შუადღის შემდეგ დიასახლისების ჯერი დგებოდა. თავის მოგონებაში წერს: „მამაკაცები მინდორში იყვნენ, სთიბავდნენ, მე კი ვფიქრობდი, დედაკაცების შესაფერად მომეწყო ჩემი დრო და საქმიანობა, ვუკითხავდი, ვებაასებოდი, ხელსაქმის ნიმუშებს ვუჩვენებდი, მე კი კმაყოფილი ვიყავი“ („ჩემი წუთისოფელი“). სოფელში დაწყებული მასწავლებლობა გაგრძელდა ქალაქ გორში, სადაც ეკატერინემ დაუზარელი შრომით „კარგი მასწავლებლობის“

სახელი მალევე დაიმკვიდრა. „რადგან ჩემი მეთოდი სწავლებისა უფრო ადვილი იყო, გავუწიე მეტოქეობა „შინა ოსტატებს“, - წერს ის. სკოლის გახსნისთვის პირველი ნაბიჯის გადადგმაც აქედან იწყება. სომხების ეკლესიაში გალავნის ერთ პატარა მიკუნჭულ, დაბალ ოთახში, მოქალაქეთა თხოვნით და ეკატერინეს ძალისხმევით, სკოლა გაიხსნა. პირველი ნაკადი ორმოცდაათი მოზარდი ქალიშვილი იყო. მათი მესამედი იყო ქართველი. ეკატერინე მაშინვე მიხვდა, რომ გორელი სომხობა უკვე თითქმის გაქართველებულიყო, ამიტომაც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენითა“ და მისივე დარიგებით, რომ „სწავლების დაწყება იმ ენაზე წავა წარჩინებით, რომელზედაც ბავშვი ლაპარაკობსო“, მასწავლებლობას შეუდგა. მეთოდმა გაამართლა. ცხრა თვის განმავლობაში ეკატერინეს მოსწავლეები ეუფლებოდნენ ორივე ენას, ქართულსა და რუსულს. გამოცდები, რომლებიც საჯარო იყო, წარმატებით ჩააბარა ყველა მოსწავლემ და ეკატერინემაც მოიმკა თავისი შრომის ნაყოფი. ეს იყო პირველი მისი წარმატებული საქმიანობა. გათხოვების შემდეგ სოფელ თხინვალში საცხოვრებლად წასული ეკატერინე ქალთა სკოლას დააარსებს. იმ მიტოვებულ და მივიწყებულ სოფელში დაუზარლად და ენთუზიაზმით იწყებს მასწავლებლობის მძიმე საქმეს. თუმცა მალევე დაწვრილშვილდება. ქმრის გარეშე მარტო სოფელში ცხოვრება უჭირს და თბილისში გადმოდის მეუღლესთან. ის თბილისში სხვა საქმეებში ერთვება.

აღსანიშნავია, რომ ეკატერინე გაბაშვილისთვის თავის დროზე მამას უთქვამს: „ის კაცი, რომელიც სამ ადამიანს მაინც ასწავლის წერა-კითხვას, მადლიერების ღირსია, ვინძლო, ეცადო, შენც მადლიერება დაიმსახუროო“. მან გაამართლა მამის „ანდერძი“. „კატო ბუნებით პედაგოგი იყო, კიდევაც იმით აიხსნებოდა, რომ იგი ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა, სკოლაში, ოჯახსა თუ ქუჩაში, აგროვებდა წერა-კითხვის უცოდინართ და გატაცებით წერა-კითხვას ასწავლიდა. კატო, მართლაც, რომ მოძრავი სკოლა იყო და მისი დახმარებით მრავალს აუხელია თვალი“ (მიქაბერიძე 2015: 158). ეს შეფასება ცხადყოფს ეკატერინეს დაუღალავ პედაგოგიურ შრომას. მას ეს საქმე სიკვდილის ბოლომდე არ დაუმთავრებია. ის იყო მთელი თავისი არსებით პედაგოგი, ღირსეული და მისაბამი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკატერინე გაბაშვილს თავის სახლში გახსნილი ჰქონდა პროფესიული სკოლა. სკოლის გახსნასა და არსებობას, რა თქმა უნდა, მატერიალური სახსარიც დასჭირდებოდა, მარტო შემოწირულობით ვერ ისაზრდობდა. აღნიშნული სკოლის გახსნის საკითხით ეკატერინემ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა. ილია ჭავჭავაძე დიდი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. ილია

ისედაც იყო ყველა ადამიანის გვერდზე მდგომი, ვინც სასიკეთო საქმის წამოწყებას ცდილობდა. ეკატერინესთვის ილია იყო გზის მაჩვენებელი, მრჩეველი. იგი მუდამ დიდი პატივისცემითა და მოწიწებით მიმართავდა ხოლმე ილიას. ცნობილია, რომ სკოლა 1895 წელს გაიხსნა. ჭრა-კერვის გარდა ეკატერინე თავად ასწავლიდა სხვა საგნებსაც, მართავდა საღამოებს, მაგ.: მოსაწვევ ბარათებში ვკითხულობთ, რომ ჭრა-კერვის სკოლის მოწაფენი მართავენ სალიტერატურო დილას, ეპატიჟებიან აკაკი წერეთელს - „ღვთაებრივო აკაკი! წაიკითხავენ თქვენს შეუდარებელ „გოგია მეზონგურეს“, თუ გაგვაბედნიერებთ და გვეწვევით, დიდად გაგვახარებთ“. და კიდევ - „ბატონო ილია, უმორჩილესად გთხოვთ სამკერვალო სკოლის გამგეობა, ამავე სკოლის მოწაფეთა სალიტერატურო საღამოს ეწვიოთ“. მოსაწვევი ბარათია გაგზავნილი ექვთიმე თაყაიშვილთან: „ხელსაქმის სკოლის გამგეობა გთხოვთ, ეწვიოთ მოწაფეთა მიერ გამართულ სალიტერატურო დილას, თქვენი მონა მორჩილი, ეკატერინე გაბაშვილი“.

(23. 2 12 სთ. გაბაანთ ქ. 3). ოლლა გურამიშვილისადმი მიწერილი წერილით ირკვევა, რომ სკოლის გაუმჯობესების საქმე ნელა მიდის, გაუმჯობესება არ ეტყობა, მაგრამ არჩეულ გზას არ უხვევს: „300 მანეთი თავადაზნაურთა ბანკმა გვიწყალობა, 300 მანეთი ქალაქმა. შევინახეთ სკოლის თანხის განსამტკიცებლად“, - წერს ეკატერინე ოლლა გურამიშვილს. ამავე წერილში სწერს ოლლას, რომ ეკატერინე სარაჯიშვილმა გააგებინა ახალი სკოლის მოწყობის ამბავი, ვითომდა თქვენი სახლი უნდა გადმოსცეთ ჩვენი სკოლის გამგეობასო, რამდენად სიმართლეს შეესაბამება ეს ამბავი, საიდუმლოდ სთხოვს, გააგებინოს, თუ რამდენად მართალია ეს ხმაო?“ ძალიან წვალობდა ეკატერინე სკოლის არსებობისთვის, სულ იყო სირთულეები, განსაკუთრებით ფულადი გასაჭირი.

ეკატერინე გაბაშვილის თაოსნობით, ქალთა გარკვეულმა ჯგუფმა ბიბლიოთეკის დაარსების სურვილით წ. კ. გ. ს. მიმართეს. ეკატერინეს სურვილი იყო, დაეარსებინათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო. შეაგროვეს კიდევ შინაური ბიბლიოთეკებიდან წიგნები და გახსნეს ბიბლიოთეკა ნაქირავებ ბინაში. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკები დააარსეს ქალაქის სხვადასხვა უბანში (კუკია, ავლაბარი, ვერა), ეს საქმე დიდხანს არ გაგრძელდა, წ. კ. გ. ს.-მ ვერ გადაიხადა ბინის ქირა და ასე წვალეებით შეგროვებული წიგნები ბინის მეპატრონემ ქუჩაში გადაყარა. „როცა ჩვენი ვაივაგლახით შეგროვებული წიგნები ქუჩაში ვნახე გამოყრილი, თვალთ დამიბნელდა, გული შემეკუმშა“, - წერს ეკატერინე. ბიბლიოთეკა არსებობდა მისი ქმრის, გაბაშვილის, ბინაშიც, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ რუსეთიდან გადმოსახლებული რევოლუციონერები. მეუღლის

ბიბლიოთეკამ, როგორც ჩანს, დიდად შეუწყო ხელი ეკატერინეს ინტელექტუალურ განვითარებას. თორემ გორში მაშინ ბიბლიოთეკა ან სხვა რამ სამკითხველო გარემო არ არსებობდა. ეკატერინეს ბებიას კი მხოლოდ სახარება და რამდენიმე წიგნი თუ ჰქონდა სახლში.

ეკატერინე გაბაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა თეატრის განვითარების საქმეში. იგი არის ერთ-ერთი პირველი ქალი, რომელმაც მსახიობის როლი მოირგო და თავისივე დაწერილი პიესის გმირი ითამაშა. „მე გავმართე წარმოდგენა, ჩემი იყო პიესა და ვთამაშობდი მე“, - წერს ის. 1879 წელს ახალქალაქის მაზრაში დაიდგა პიესა, სადაც ნაჩვენები იყო, როგორ უშლიდნენ ახალგაზრდა ქალს წიგნების კითხვას, ხალხში გასვლას, მამაკაცებთან საუბარს. ეკატერინეს ამ თამაშმა ნაბიჯმა მაშინდელი საზოგადოება განაცვიფრა, თუმცა ბევრ ახალგაზრდას მსახიობობისკენ უბიძგა. ეკატერინემ ამ ნაბიჯით ყველას უთხრა ხმამაღლა, რომ არც ერთი პროფესია სამარცხვინო არ იყო (მაშინ ქალებს ეთაკილებოდათ მსახიობობა). ეკატერინემ ბევრი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიიღო, მაგრამ არ შეშინდა, პირიქით, მან წარმოდგენები სხვადასხვა ქალაქში გამართა. არაერთხელ ითამაშა გორის სცენაზე, თბილისში, სურამში. „როცა თეატრმა მოქალაქეობა დაიმკვიდრა საზოგადოებაში, - ამბობს ეკატერინე გაბაშვილი, - მე, რასაკვირველია, ჩამოვედი სცენიდან.“ კარგად ჩანს მისი ცხოვრებიდანაც, რომ ეკატერინეს მსახიობობა არ უნდოდა, მან სტიმული და მოტივაცია მისცა სხვა ქალებს, რომ გაბედული ნაბიჯები გადაედგათ საზოგადოებრივ და სამომავლო საქმეში.

ქართველი ქალბატონების, ძირითადად, დიასახლისების ერთმა ჯგუფმა, ეკატერინე გაბაშვილის ხელმძღვანელობით, გადაწყვიტა, საქველმოქმედო მიზნით პატარა სავაჭრო ბაზრობა გაემართათ და აღებული თანხით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს დახმარებოდნენ. ეკატერინესთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტი განუზომელი იყო. მისი რჩევისა და დარიგების გარეშე არანაირ საქმეს არ იწყებდა. სავაჭრო საქმეზე რჩევისთვისაც ილიას მიმართა. ილიას უთქვამს, „ვაჭრობის საქმე კონკურენციაზეა დამოკიდებული, ქართველი ქალი კონკურენციას გაუწევს თბილისელ გაქნილ ვაჭარს? შეძლებს ერთ ლიტრ ერბოში ნახევარი ქონი გაურიოს და ერთ ფუთ ჩაის ნახევარი ფუთი ბალახბულახიო?“. თუმცა საქმის გაკეთების სურვილი იმდენად დიდი იყო, რამდენიმეჯერ სცადეს ეკატერინემ და ოღლა გურამიშვილმა საქველმოქმედო

ბაზრობის გამართვა, დიდი სარგებელი ვერაფერი ნახეს და აღარც გაუგრძელებიათ. ეკატერინეს სურვილი კი, დახმარებოდა სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს, არ განელებულა. ნინო ყიფიანისადმი მიწერილი წერილით ირკვევა, როგორ ცდილობდა ეკატერინე, გაეხარებინა ახალგაზრდა სტუდენტები: „ძვირფასო შვილად საგებელო ნინა, წ. კ. გ. ს. სასარგებლოდ კონცერტი გაიმართა, ვიყავი წასული, მინდოდა გამეხარებინე, როგორმე ფული მემოვნა თქვენთვის უნივერსიტეტში შესატანი, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩამიარა“ (კ. კ. ს. ხ. ფ. N176-177-178 ნინო და მარიამ ყიფიანებისადმი გაგზავნილი წერილები 1904 წ.). ასე ერთგულად ცდილობდა ეკატერინე გაბაშვილი სტუდენტების გვერდზე დგომას. აქაურ მდგომარეობასაც უხსნიდა, რომ „ათასი ბეგარა დაგვიწესეს საზოგადო საქმეებისთვის“. ამით ამართლებდა აქაურ მდგომარეობას და ამხნევებდა საზღვარგარეთ მყოფ სტუდენტებს.

1895 წელს ეკატერინე გაბაშვილმა „ქალთა კლუბი“ დააარსა. „პირველმა კრებამ, რომელიც ჩემს სახლში იყო გამართული, იმდენი მსურველნი გამოიწვია, არამც თუ ჩემს სადგურში, მთელი ქუჩა სავსე იყო“. ეკატერინე მუდამ ქალების გვერდით იდგა, პასუხობდა მის წინააღმდეგ დასმულ ათასგვარ კითხვას, ამხნევებდა ქალებს და ცდილობდა, რეალობა დაენახებინა მათთვის: „რამდენჯერ ყოფილა ყოველი თქვენგანი, ბატონებო, მოწმე, როდესაც ძმა ბრუნდება შინ სწავლითა და მეცნიერებით აღჭურვილი, ბეჩავი და კი მოწიწებით შეჰყურებს“. ეკატერინეს ეს ერთგვარი მოწოდება ცხადყოფს, როგორ ცდილობს, დაანახოს ქალებს კაცებთან სწორუფლებიანობა, ვითომდა რატომ ვერ შეძლებს ქალი სწავლა-განათლებას, საზოგადოებაში თავისი ადგილის დამკვიდრებას? პრობლემას, როგორც ჩანს, ქალში ეძებდა, ამიტომაც ცდილობდა, თავად ყოფილიყო მაგალითი ქალებისთვის თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით.

ეკატერინე გაბაშვილი, როგორც ვთქვით, იყო წ. კ. გ. -ის გამგეობის წევრი. მას აქტიური მონაწილეობა მიუღია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. კარგად ერკვეოდა „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ ვარიანტებში. სხვა რა გზა გაიარა ეკატერინემ აღნიშნულ სამსახურში მაგალითისთვის, მოვიყვანო რამდენიმე ოქმს და წერილს. ერთ-ერთი წერილით იგი აღნიშნავს თავისი მწერლობის ღვაწლს და სწერს წ. კ. გ. ს.-ს, გამოსცეს მისი ნაწერები: „ვეფხისტყაოსნი, რომ წ. კ. ს. უალაგო და უდავო არ იქნება ჩემი ნაწერების შეგროვება და გამოცემა“ (1921 წ.). ერთ-ერთი ოქმით ირკვევა, რომ ქალთა კომიტეტის საზოგადოების ხარჯით გამოცემულა მისი მოთხრობები,

„რომელზედაც დანახარჯი ფული მაშინვე გადავიხადე ჩემი იუბილითგან შემოსული ფულით, რომელიც სულ უკლებლივ გადავეცი წ. კ. გ. ს. მე არავითარი ანგარიში და წარმოდგენა არ მაქვს იმ გამოცემის შესახებ, ვგონებ, არც თვითონ საზოგადოებას, უწინ, როცა ყოველი გამოცემა საქველმოქმედო იყო და ქართულ წიგნს გასავალი არ ჰქონდა, ყოველი ავტორი და მეც ვთვლიდით დიდ ბედნიერებად იმ მოწყალებას, თუ ვინმე გვიჩვენებდა ჩვენს ნაწერებს“. იმავე წერილში არის თხოვნა წ. კ. გ. ს.-ის მიმართ: „მეც ცხოვრება გამიჭირდა, მეტ ჰონორარს მოვითხოვ, იმდენს, რამდენიც თვით საზოგადოებას აქვს მიღებული სხვა ავტორების დასაჯილდოვებლად“ („ეროვნული არქივის მასალები“ 2012: 16. 2). ერთ-ერთი ოქმით ირკვევა, რომ ეკატერინეს სურვილი აქვს, ცალკე წიგნად გამოიცეს აქა-იქ გაზეთებში გაბნეული უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დაწერილი მოთხრობები: „ვფიქრობ, რომ ისინი შეადგენენ ერთ კარგ მოზრდილ ტომს“. შემდეგი სურვილიც ამავე წერილში ირკვევა: „გამოიცეს საყმაწვილო მოთხრობანი, ან სულ ერთად შეგროვილნი ერთ დიდ ტომად, ან წვრილ-წვრილ პატარა წიგნაკებად, როგორც გამომცემელი საზოგადოება თავის სასარგებლოდ დაინახავს.“ („ეროვნული არქივის მასალები“ 2012:16.2). კიდევ ერთი თხოვნა წ. კ. გ. ს.-ის მიმართ, საიდანაც ეკატერინეს პიროვნება ჩანს: „1890 წ. წ. კ. გ. ს. გამოსცა ჩემი წიგნი, მაშინ ბ. მიქაბერიძე იყო საზოგადოების მდივნად, ვთხოვე, გამოცემაში მოეცა 100 მანეთი, მიწოდდა, რაიმე სამახსოვრო საჩუქარი მიმეძღვნა კოტე მაყაშვილისადმი, რომელსაც ნიჭიერ კაცად ვთვლიდი, მერე 100 მანეთის წამოღება მძიმედ მივიჩნიე, 25 მანეთი მდივანს დავუბრუნე, 75 მანეთით ვიყიდე საჩუქარი („ეროვნული არქივის მასალები, 2012:16.2). 1898 წლის 27 ოქტომბერს გაგზავნილი წერილით ეკატერინე გაბაშვილი კვლავ სთხოვს ქ. შ. წ. გ. ს. გამოიცეს მისი მოთხრობები: „ჩემი სურვილია, გამოიცეს ყველა მოთხრობანი ერთ წიგნად კარგ ქალაღზედ, ზოგიერთი იმ სურათებით, რომელიც შეიძლება, შევიძინო „ჯეჯილის“ რედაქციიდან, გამოიცეს საახალწლო სათაურით „საახალწლო ფეშქაში ბავშვებს“, მიეცეს ავტორს 1900 წელს 10 თუმანი გონორალად, თუ მაშინ ცოცხალი იქნება, თუ არა და ეს ათი თუმანი მიემატოს სალიტერატურო ფონდს“ („ეროვნული არქივის მასალები“ N2050-1-2) და კიდევ 1909 წ. 4 ივნისით დათარიღებული წერილი: „ვთხოვ წ. კ. გ. ს. თუ იკისრებს, კვლავ გამოსცეს საბავშვო მოთხრობების მეორე წიგნი და დამინიშნოს 100 მანეთი იმ პირობით, რომ 100 მანეთი ჩამერიცხოს საწევრო შემოსატანად, რადგან ჩემი უთაურობით თუ გულმავიწყობით რიგზედ ვერ შემაქვს წლიური შემოსატანი და შერაცხულ ვიყავ იმ

წევრთა სიაში, რომელთათვისაც 100 მანეთი შესატანად სავალდებულოა“ (ეროვნული არქივის მასალები N1179-14).

საიუბილეო კომიტეტის 1911 წლის 17 იანვრის ოქმიდან ცნობილია, რომ „6 მარტს ეკატერინე გაბაშვილის იუბილის გადახდა დადგინდა“. კრებამ დაადგინა, რომ „ეკატერინე გაბაშვილის თხზულებათა საიუბილეო გამოცემის შესახებ მიენდოს კნ. ანეტა დიასამიძეს, შუამდგომლობის გაწევა მთავარ გამგეობასთან ქალაქის ვაჭრობის ფირმებთან საჭირო თავდებობის გაწევის გამო. იმავე კნ. ანეტა დიასამიძე შეეკითხოს ეკ. გაბაშვილს, თანახმა არის თუ არა თხზულების სალიტერატურო შესწორებაზე და თუ თანახმაა, მიენდოს თუ არა ეს შრომა გრ. ყიფშიძეს, ეთხოვოს ლ. ბოცვაძეს, შეეკრას პირობით მესტამბეს ეკ. გაბაშვილის თხზულებათა გამოცემის შესახებ“ („ეროვნული არქივი“ 1911: N1179-1).

ჟურნალი „ჯეჯილი“ და ეკატერინე ცალკე მიმდინარეობაა მის ცხოვრებაში, როგორც ვთქვით, მას დიდი წვლილი მიუძღვის ჟურნალის გამოცემის საქმეში. იგი ბოლომდე დარჩა ჟურნალის უახლოეს თანამშრომლად. ყველა ნომრის მასალას ეცნობოდა თურმე, მეთვალყურეობდა ჟურნალის გაყიდვის საქმესაც. მისი საარქივო მასალის გაცნობისას ირკვევა, რომ მას ადარდებს „ჯეჯილის“ ბედი. თხოვნის წერილს უგზავნის საქართველოს პატრიარქს, კირიონ სამაგლიშვილს: „ყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო, მოწყალეო მწყემსმთავარო! იმედი მაქვს, რომ, როგორც ჩვენი ერის სულიერ მწყემსად განგებით დადგენილი, განათლებული და ჭეშმარიტი მოკეთე ჩვენი ქვეყნისა, კეთილი ინებეთ და ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რათა თქვენის სამწყოსს სამრევლო სკოლებისთვის დარიგებული იქმნას „ჯეჯილის“ ნომრები“ (1900 წ.კ.კ.ს.ხ.31-10). წერილს ხელს აწერს „ჯეჯილის“ მზრუნველი კომიტეტი. ეკატერინეს მიზანი, რომ პერიოდული გამოცემა „ჯეჯილი“ ბავშვებისთვის ერთადერთი ჟურნალი იყო, რომელიც მათ ზნეობრივ და გონებრივ აღზრდას უწყობდა ხელს, ნათელია. ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ჟურნალის არსებობა არ შეჩერებულიყო. ეკატერინე გაბაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ერთი მთლიანი შეუქცევადი პროცესია, რომელიც მუდამ მოქმედების, წინსვლისა და ქვეყნის სასიკეთო საქმისთვისაა მომართული.

ეკატერინე გაბაშვილმა თითქმის ყველა მხატვრულ ნაწარმოებში ასახა სოფლის მაშინდელი ყოფა, ქალთა შეზღუდული უფლებები, დაჩაგრული ადამიანები, გაჭირვებაში მყოფი ბავშვების ცხოვრება. იგი არის ხალხოსანი მწერალი, თუმცა, ალბათ,

თავისი ცხოვრებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი პირველი ხვდება ხალხოსნურ უტოპიურობას, მაგრამ სოფლის სურათების ჩვენება, გლეხების ცხოვრების ასახვა, არასოდეს შეუწყვეტია. ასე ჩამოყალიბდა მისი, როგორც რეალისტი მწერლის, მსოფლმხედველობა.

ეკატერინე გაბაშვილი თავისი ეპოქის შვილია, იგი ხალხოსან მწერლად მიიჩნევა, არის აზრიც, რომ ილიას ფესვებზე გაზრდილი რეალისტური სკოლის წარმომადგენელია (ქარელიშვილი 198: 198). თუმცა, ფაქტია ისიც, რომ მას ბავშვობიდანვე აწუხებდა და აინტერესებდა სოფელში მცხოვრები ხალხის ბედი, თავს არ იშურებდა, განათლებული ყოფილიყო ყველა და ამისი აუცილებლობა დაენახვებინა ხალხისთვის. თავდაპირველად შესაძლებელია, გაიტაცა ხალხოსნურმა იდეებმა, ალბათ, მეუღლემაც ითამაშა ამაში დიდი როლი. ამიტომაც დასახლდნენ სოფელში, მაგრამ ეკატერინე მალევე მიხვდება და დარწმუნდება, რომ ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება შეუძლებელია. წლების განმავლობაში მონობის უღელქვემ მყოფი გლეხის თვალსაწიერი მიწა იყო და სხვა არაფრის დანახვა არ უნდოდათ. მათთვის განათლების აუცილებლობა ურმის მეხუთე ბორბალივით მოჩანდა. ანასტასია თუმანიშვილისადმი მიწერილ წერილში ეკატერინე წერს: „სოფელში ცხოვრება უფერულია. საინტერესოს ვერაფერს გაცნობებ. სოფელში ცხოვრება მომწყინდა. ყოველი ჩემი პლანები ცხოვრებაზე უსაფუძვლო გამოდგა, სასოფლო სკოლა რიგიანად ვერ მიდის, სულ ექვსი შეგირდი მყავს, ექვსისთვის არ ღირს შრომა, მეტადრე მაშინ, როცა ჩემი საკუთარი შვილები უაქიმობის მიზეზით ბევრჯერ სნეულებაში არიან. ამ ერთ წელს როგორც იქნება, გავუძლებ“ (კ. კ. ს. ხ. ე. ფ. N0468N 344). ეკატერინე მიხვდა ხალხოსნური იდეოლოგიის უტოპიურობას. კიტა აბაშიძე ასე აფასებდა მის შემოქმედებას: „ეკატერინე გაბაშვილის კალამს თავის დღეში არ აუსახავს უფერულის ყოველდღიურობის აღწერა, იგი იმას არ გამოხატავდა, რაც ყოველ ნაბიჯზე წინ შეგეფეთება, იგი უფრო იშვიათ მოვლენებს ეცნობა, ისეთ მოვლენებს, რომლებიც ყოველმხრივ შესაძლებელია, მაგრამ შაბლონური არ არის“ („ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“).

ეკატერინე გაბაშვილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული დაუღალავი, ამოუწურავი ენერჯის ქალია. ის იყო ყველგან სიტყვითაც და საქმითაც, ადამიანების კეთილდღეობაზე ფიქრი და ზრუნვა იყო მისთვის მთავარი. ასწრებდა და ახერხებდა ყველაფერს, უყვარდა და ფიქრობდა სამშობლოს ბედზე. მას აქვს ჩანაწერი, სადაც

ვკითხულობთ: „სამშობლო და კაცობრიობა პირველია, ის რაც ჩემთან განუყრელია, ჩემი არსების ნიადაგს შეადგენს, ჩემი თვალის ხედვის მასწავლებელია, ჩემი ზნეობისა და ჩვეულების სარკეა, ჩემი დედა ენის სამშობლო, ჩემი შვილთა და შვილიშვილთა სადგური, ჩემი მშობელთა და ძვირფასთა დაკარგულთა სავანე, ჩემთვის, როგორც ქართველი დედაკაცისთვის, ჩემი სამშობლო ეგოისტური სიყვარულია, ჩემი სამშობლო რომ დაავადებულია, კვნესის, განა არ მოგეხსენებათ, ქალისთვის ყოველი გრძნობა დახშულია მაშინ, როდესაც იმისი სატრფო კვნესის, ბედნიერი არ არის“ (კ. კ. ს. ხ. ე. ფ. N800. 1905 წ). წერილს „პატრიოტიზმის შესახებ ჩანაწერი“ ასე აწერია. ეტყობა კიდევ ნაწერს მოზღვავებული ემოცია სამშობლოს სიყვარულისა, ვერდატეული და ჩანაწერად ფურცელზე გადატანილი. ეკატერინე გაბაშვილის საზოგადოებრივ ცხოვრებას მისივე შეფასებით დავამთავრებ: „ჩვენ ხალხში და ქვეყანაში მეც ჩემი წილი სარგებლობა მოვიტანე, ის მაინც მოვახერხე, რომ 30 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ღმერთს პატიოსნებასა და სინდისს ვემსახურებოდი“ („ჩემი წუთისოფელი“).

ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედების გაცნობისას იკვეთება ოთხი ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხი:

- 1) მწერალი ქალი, როგორც ქალების თავისუფლებისათვის მებრძოლი;
- 2) თავისუფალი არჩევანის მომხრე სიყვარულში;
- 3) სოფელში მცხოვრები ადამიანების გაჭირვებული ყოფის ასახვა;
- 4) დაჩაგრული ადამიანების გულშემატკივარი.

ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედების ძირითად მოტივს წარმოადგენს სოფლის ცხოვრების მძიმე და გაუსაძლისი ყოფა. ჰუმანური გრძნობებით დაწერილ მოთხრობებს მკითხველი ცრემლებამდეც კი მიჰყავს. მისი უბრალო, მარტივი ენა ადვილად გასაგებია მკითხველისთვის. ნათლად გადმოცემული ფაქტები, გასაგებად ნათქვამი ამბავი ცხადად წარმოგვიდგენს იმდროინდელი საზოგადოების პრობლემებს.

ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობა „დიდ ხევაში“ პირველი ნაწარმოებია, რომლითაც მწერალი ქალი საზოგადოებამ გაიცნო. რომანი 1881 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა. თავად ეკატერინე გაბაშვილი ასე იგონებს ნაწარმოების დაბეჭდვის ამბავს: „რომანი „დიდ ხევაში“ - მივუტანე ეკატერინე მელიქიშვილს (კეკეს), სერგეი მესხის მეუღლეს, ივერიაში გადასაცემად. კარგა დრო გავიდა, მე ვერ ვხედავდი მეგობართან მისვლას, მეშინოდა, რომ მეკითხა ჩემი მოთხრობის შესახებ. ერთ საღამოს გავბედე და მივედი. ის მწვანე აბაჟურჩამოფარებულ ლამფასთან იჯდა, პაპიროსებს იკეთებდა. ვერ

დამინახა. როცა გაიგო, ვინც ვიყავი, გაეცინა და მითხრა: „ნეტავ ერთი საათით ადრე მოსულიყავი, შენი ყურით გაგეგონა ლაპარაკი შენი მოთხრობის შესახებ, აქ იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ვლადიმერ მიქელაძე და სერგეი მესხი. ილიამ თქვა: უთუოდ მაგ ქალს ზეპირად აქვს დასწავლილი ვიქტორ ჰიუგოს რომანები, რომ მაგგვარად მიუღწევია იმის სტილის მიმსგავსებასო და რა მანქანით გადარჩენილა „რუსინკების“ გამრავლების დროს, რომ ქართული ცოდნა არ დაუთრგუნიაო. - მიქელაძემ რაღა თქვა? - შევეკითხე კეკეს. მიქელაძე ტურგენევს რაღაცით გამსგავსებსო. სერგეი შეწინააღმდეგებია, გაუცინია და თუ მართლა მაგ ახალგაზრდას რაიმე ჩანასახს ატყობთ მომავალი ბელეტრისტისას, ხელი უნდა წარვუმართოთ“. მოთხრობის დაბეჭდვის ისტორია ნათელია. შეფასებებიც ცხადყოფს, რომ შემთხვევით ფრაზად ვერ მივიჩნევთ ამ მოღვაწეთა გამოთქმულ მოსაზრებებს ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობის შესახებ, რადგანაც ეს არის ეპოქა, როცა ლიბერალურად მოაზროვნე თაობა გამოდიოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და უპირისპირდებოდა დრომოჭმულ ტრადიციებს, რომლებიც აფერხებდნენ ადამიანთა გარკვეული ნაწილის განვითარებას. მოდიოდა ეპოქა, სადაც ქალსაც და კაცსაც თვითონ უნდა განესაზღვრათ და გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი, სადაც პიროვნების თავისუფლება და არჩევანი იქნებოდა უმთავრესი საკითხი. ქალს უნდა ეპოვა თავისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უნდა ესწავლა, ემუშავა და თავისი სურვილით შეექმნა ოჯახი.

მოთხრობა „დიდ ხევაში“ მოგვითხრობს ქალ-ვაჟის სიყვარულის ამბავს, რომელიც ბედნიერების მომტანი უნდა იყოს, მაგრამ ტანჯვა-წამებადაა გადაქცეული. რომანის მთავარი პერსონაჟები პავლე და მარო არიან. მაროს მიმართ ეპითეტებს არ იშურებს მწერალი ქალი: „მაღალი, წარმოსადეგი გოგო, ხორბლისფერი კანით, მაყვლისფერი თვალები, ფართო ცხვირი, ალისფერი ტუჩები, სასიამოვნო და ცოცხალი სახე. მარო თავის ამხანაგებში მარგალიტივით გამოირჩეოდა. სიმღერასა და დაკვრაშიც საუკეთესო იყო. ამავე დროს ძალზედ შრომისმოყვარე. სოფლის ყველანაირი სამეურნეო საქმე ეხერხებოდა: კალოს გაშლა, ძნის მიწოდება, სიმინდის მოჭრა. მარო თავისი კეთილი თვისებებიდან გამომდინარე ყველას უყვარდა დიდ ხევაში“ (გაბაშვილის 1983). პავლესაც არანაკლები ეპითეტებით ახასიათებს მწერალი: ჭკვიანი, ზრდილობიანი, კეთილი გულის მქონე, დაჩაგრული მეზობლების მოსარჩლე, მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა პავლეს, იგი დიდი ხნის წასული იყო სოფლიდან ქალაქში, თავადის ოჯახში იზრდებოდა და სოფლის შრომას გადაჩვეული იყო. პავლეს და მაროს

ერთმანეთი შეუყვარდათ. სიყვარულმა სრულიად შეცვალა პავლე, შრომაც შეუყვარდა და სოფელიც: „შენ ოღონდ მარო მომეცი, - ეუბნება პავლე მაროს მამას, - ექვს თვეზე ყველაფერი მექნება: ახალი სახლიც, საქონელიცა და ფულიც, დღეიდან ჩემი სიზარმაცე შეიცვლება და რაღამც მაროს იმედი მექნება, ჩემი ღონე ერთი ათასად გადამექცევა“ (გაბაშვილი 1983: 10-40).

ორივე ოჯახმა ქორწინებისთვის მზადება მალევე დაიწყო. მოახლოვდა ბედნიერების დროც, თუმცა ერთმა უბრალო მიზეზმა უკუღმა დაატრიალა ახალგაზრდების მომავალი ცხოვრების ბედი. მარო, პავლეს დის მაზლის შვილი იყო და სოფელში ხალხი ამბობდა, რომ მათი ქორწინება ნათესაურ კავშირს ეფუძნებოდა, ამიტომ ერთმანეთს ცოლ-ქმრად არ ერგებოდნენ. მღვდელმაც უარი განაცხადა ჯვრისწერაზე იმ ფაქტით შეშინებულმა, რომ მართლა ნათესავეები არ აღმოჩნდნენ და ლუკმაპური არ დაეკარგო, არ დავისაჯო შეცდომისთვისო. „არა, ქვეყანა ისე უგუნური არ იქნება, ჩვენი გული ამოგლიჯოს და ფეხით გაჰქელოს!“ - გაიძახოდა პავლე, თუმცა ფაქტი დადგა, პავლე და მარო უძღურები აღმოჩნდნენ სოფლის წინაშე. შეყვარებული წყვილი ვერ გაუმკლავდა ხალხის აზრს მათი ნათესაობის შესახებ. ხალხს ასე სწამდა! მხოლოდ სიყვარული საკმარისი არ აღმოჩნდა.

მაროს და პავლეს მშობლები თანაუგრძნობდნენ, მაგრამ არ უბრძოლიათ, როგორმე ხელი შეეწყოთ მათი ქორწინებისთვის, პირიქით, მაროს ორსულობის ამბავს რომ გაიგებს მამამისი, ფიქრობს, სად და როგორ გადამალოს მარო, სანამ მოტყუებით ვინმეს მიათხოვებს და „კანონიერი“ დედის სტატუსს მიანიჭებს. სხვისი ცოლობა გახდიდა თუ არა ბედნიერს შვილს, ეს მშობლებს არ აინტერესებთ, საკუთარ თავზე ფიქრი მეტია, არ შერცხვენილყვნენ სოფელში. მარომ პატივი უნდა სცეს მამის გადაწყვეტილებას, უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მის აზრს, ამიტომაც მაროს პროტესტი სუსტია, უფრო ხვეწნაა, თხოვნაა, არ გაათხოვონ სხვა კაცზე: „მე ცოცხალი თავით სხვაზე ჯვარს არ დავიწერ, ჩემი ქმარი პავლეა და მეორე ქმარი მე არ მინდა!“ - მხოლოდ ესაა მაროს ამბოხი, მაგრამ ქალს ვინ უსმენდა? ვინ ეკითხებოდა აზრს?

მაროს სხვა კაცზე ჯვრისწერის ამბავმა პავლეს ყურამდეც მიაღწია. ტრაგიკულად ვითარდება პავლეს ბედი. ცხოვრებისგან გაბოროტებული და გონებადაბნელებული პავლე ხანჯლით მოკლავს მაროს, თვითმკვლელობასაც აპირებს, მაგრამ გარს შემოხვეული ხალხი ნებას არ მისცემს, თავი მოიკლას. პავლე ხდება მკვლეელი,

თვითმკვლელი. მაროსა და პავლეს ცხოვრება იმ ადამიანებმა შექმნეს და წარმართეს, რომელ საზოგადოებასაც ისინი განეკუთვნებოდნენ.

რომანში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მღვდლის პიროვნება, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი იმ უბრალო მიზეზის გამოც, რომ მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ვფიქრობთ, პავლესა და მაროს ბედის შეცვლაც შეეძლო, იგი აპირებდა კიდევ ჯვრისწერას, თანხმობაც განაცხადა, გასამრჯელოს აღებაზეც შეთანხმდა წყვილის ოჯახებთან, მაგრამ გეზულობს ამბავს, რომ სასულირო პირების ცხოვრებას გადაამოწმებდა საგანგებოდ გამოყოფილი ადამიანების ჯგუფი, ამიტომ შეშინდა და უარი განაცხადა ჯვრისწერაზე. ერთი მღვდელი რამდენიმე სოფელს ემსახურება, არ უნდა შემოსავლის გარეშე დარჩეს, ამიტომაც არ შეეწინააღმდეგება სოფელში მცხოვრებ ხალხს, არ სურს მარჩენალის გადამტერება, არსებობისთვის ბრძოლაა მთავარი, ამიტომაც უარს ამბობს ჯვრისწერაზე. მღვდელიც იმ საზოგადოების ნაწილია, შესაბამისად, მორალური პასუხისმგებლობა მომხდარ ტრაგედიაზე მასაც ეკისრება.

ეკატერინე გაბაშვილის რომანში დატრიალებული ამბიდან, ნათლად ჩანს მწერლის დამოკიდებულება სოფელში არსებული მძიმე მდგომარეობის მიმართ. როგორაა შეზღუდული ადამიანის თავისუფალი ნება, როგორ შეუძლია ხალხს, განსაჯოს და ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. რომანის წაკითხვის შემდეგ რჩება აზრი, რომ სიყვარული, რომელიც ბედნიერებისა და თავისუფლების მომტანია, სოფელ დიდ ხევში ღირებულებაწაშლილი გრძნობაა, რომელიც თითქოს არც არსებობს. ის ფაქტი, რაც რომანის მთავარი ამბავია, ბევრი გლეხის ოჯახის ტრაგედიაა. მხოლოდ მაროსა და პავლეს ბედი არ გადაწყვიტა სოფელმა. ეს ტკივილი აწუხებს მწერალ ქალს, რომელიც მის სხვა მოთხრობებშიც ასე მძიმედ აისახა.

მოთხრობა „ორ-ენა და ქუჩე“ ძნელია, აუღელვებლად და ემოციის გარეშე წაიკითხოს მკითხველმა. მოთხრობა ბუნების პეიზაჟის აღწერით იწყება. პეიზაჟი ისეთი სიცხადითაა აღწერილი, გვამზადებს ქალ-ვაჟის სასიყვარულო ამბის მოსასმენად: „ჩამავალი მზე ნათელ სხივებს ჰფენს შემოდგომის გაყვითლებულ ტყეს, ირგვლივ ყველაფერი ლამაზია, ფერადია, ახალგაზრდების ჟრიამული და ხმაური აყრუებს სოფლის მშვიდ საღამოს, უკრავენ, ცეკვავენ, სოფელში ღვინია, საცეკვაოდ შეკრულ წრეში ორი ახალგაზრდა ცეკვავს. ქალი - ლამაზი, კოპწია, მაისის ვარდივით გადაშლილი ლოყა-ტუჩებით, თეთრი სუფთა კაბით, თავზე ყვითელბაღდადმოხვეული, ბიჭი - ლომი, მხარბეჭკადაჭიმული ეშხიანი“ (გაბაშვილი 1932 „ორენა და ქუჩე“). ეს

ქალ-ვაჟი ორ-ენა და ქურქა. ქურქე იყო დედისერთა მზითვიანი ქალი, პირველი საპატარძლო სოფელში. მამამისი ამაყობდა გასათხოვარი ქალით და შვილს აზნაურის გოგოს ადრიდა. თედო (ორ-ენა) სხვა კუთხიდან გადმოხვეწილი ბიჭი იყო, თავს მოჯამაგირეობით ირჩენდა. ორ-ენას და ქურქეს ერთმანეთი შეუყვარდათ.

ნაწარმოებს განვიხილავთ რამდენიმე მთავარი აქცენტის მიხედვით:

1) ქალის უკანონოდ ორსულობის საკითხი (რა განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ ქალი უკანონოდ დაფეხმძიმებულიყო და გამხდარიყო მისივე გაჩენილის მკვლეელი);

2) მშობლების დამოკიდებულება ორსული შვილების მიმართ (და არამართო); მშობლებისა და შვილების გაუცხოვების საკითხი;

3) გამოსავალის ძიება - ორსული შვილების გათხოვება სხვაზე.

ნაწარმოებში ქურქეს მშობლები სასტიკი წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ მისი არჩევანის. მოკვლაც კი დაუპირეს შვილს. მამას ახალი თავსატეხი უჩნდება, შვილის ორსულობის ამბავს როცა იგებს. იგი ფიქრობს, ვის მიათხოვოს ორსული ქალი. მალევე ვკითხულობთ: „ჩარდახიანი ურემი, რიგიანად მზითვით დადებული გავიდა სოფლიდან, არც მაცრები, არც მეჯვარე არ მისდევდა პატარძალს, გვერდით უჯდა შუახნის კაცი ჭადარამორეული ორმოცდაათი წლის ჭარმაგი, ნაქვრივალი, ოთხი შვილის მამა“. ექვსი თვის დაქვრივებულ კაცს ოჯახში მომვლელი სჭირდებოდა და ქურქეს მამამაც შვილის გათხოვების ამბავი მალევე მოაგვარა, თუმცა საქმე ასე ადვილად არ მოგვარდა. უბედურებას უბედურება მოჰყვა, ქვრივმა კაცმა მალევე შეიტყო ქურქეს ორსულობის ამბავი და თავისივე მზითვით მშობლებს უკანვე დაუბრუნა ქალი. გასაკვირი ფაქტია, რომ მშობლები არ ფიქრობენ შვილის მდგომარეობაზე, მის უბედურებაზე. ისინი ნერვიულობენ, თუ რას იტყოდნენ მეზობლები, როდესაც ამ ამბავს გაიგებდნენ. რა უნდა ეთქვათ ხალხისთვის, აი, რა იყო მათი მთავარი საფიქრალი. ქურქე მშობლებმა ბნელ, ნესტიან ბოსელში შეაგდეს, მშობლებმა გაწირეს ორსული შვილი. ქურქე ბოსელში იმშობიარებს და ახალდაბადებულ ჩვილს მოკლავს (ბოსლის იატაკზე დაახეთქებს). ქურქეს დაიჭერენ, გაასამართლებენ და ათი წელი ციმბირში გადასახლებას მიუსჯიან. ორ-ენა მოწყალებას თხოულობს ქურქა-ქურქა, იგი უკვე ცალხელა, დაგლეჯილი სამოსით დგას სასამართლოს კიბეების კუნჭულში, როცა ქურქეს განაჩენი გამოაქვთ.

მოთხრობის დასაწყისშივე აღვნიშნეთ მოთხრობის განსაკუთრებულობა, სიმძიმე და ემოციური ფონი. იშვიათი თავგადასავალია, იშვიათი უბედურებაა. ეკატერინე

გაბაშვილი ქალ-ვაჟის გაცნობისთანავე ხაზს უსვამს მატერიალურ მდგომარეობას, რომელიც განმსაზღვრელი აღმოჩნდა წყვილის სიყვარულში. სოფელი თვლის, რომ მათი ქორწინება შეუფერებელია, მათი სიყვარული სასაცილოა. ესაა ცინიზმი, აი, სადამდე მიდიოდა ადამიანთა განვითარების დონე, რომ ადამიანური თვისებები და ღირებულებები მათთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. მოთხრობა ტრაგიკულია. აქ არაა გადმოცემული მხოლოდ ქალ-ვაჟის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. აქაა მშობლებისა და შვილების ხიდრატეხილი ურთიერთობაც. რა უნდა იყოს იმაზე შემზარავი, რომ მშობელი ასე წირავს საკუთარ შვილს, მშობლიური სითბოსა და სიყვარულის ნაცვლად ბნელ, ნესტიან ბოსელში მიუჩენს საცხოვრებელს ორსულ ქალს. მოთხრობაში გამოფიტული, ცარიელი, ყველა ღირსებისგან დაცლილი, ანგარებიანი ადამიანებია დახატული. კითხულობ და მიჰყვები ქუჩეს ცხოვრების გზას, ხვდები, რამ მიიყვანა ის ამ არაადამიანურ ქმედებამდე. ის მიიყვანა იმ გარემომ, რომელიც მის ირგვლივაა, უსიყვარულო, შეუბრალებელი და სასტიკი ადამიანებით სავსემ. რა თქმა უნდა, ქუჩე არაა მართალი, მაგრამ ისეთივე დამნაშავეა ის საზოგადოება, რომელმაც ლამაზი, სიფრიფანა გოგო ბოროტმოქმედად აქცია.

ეკატერინე გაბაშვილისთვის მიუღებელია შეყვარებული წყვილების ეს უბრძოლველი მორჩილება, განსაკუთრებით ქალების დუმილი, მიუღებელია ჩამორჩენილი ადამიანების ის საზოგადოება, რომელიც გზას უხშობდა სიყვარულში არჩევანის თავისუფლებას. „ორ-ენა და ქუჩე“ 1883 წელს დაიწერა. ნაწარმოებს არა მარტო ქართველი მკითხველის ყურადღება მიუპყრია, არამედ სომეხი მკითხველისაც, რადგან იგი სომხური პრესის ფურცლებზეც მოხვდა, დაიბეჭდა ჟურნალ „მურჭაში“ (1894: N6.). ჟურნალ „არმაგანში“ დაბეჭდილია ასეთი შეფასება: „მწერლის კალამი მიმართულია არაადამიანური ჩვევებისა და წესების, მშობლების დესპოტიზმისა და საზოგადოების გულგრილობის წინააღმდეგ“ (1894: N27). სომეხი კრიტიკოსი სურსერი იმავე გაზეთში რომანტიკოს ქალს უწოდებს ეკატერინე გაბაშვილს და მის მარტივ ენას იწონებს.

მსგავსი სიუჟეტია მოთხრობებში: „გურგენაულის ბაბო“, „მტარვალის ციხე“, „ნათლილება ღამეს“, „დილა ტყეში“. თითქმის ყველა ჩამოთვლილ მოთხრობაში გადმოცემულია სოფლის წესსა და კანონებს აყლილი ოჯახები, რომლებიც სპობდნენ სიყვარულის თავისუფლებას, მაგ.: თუ ოჯახში უფროსი ვაჟი საქორწინოა, უმცროსი ვერ დაქორწინდებოდა („გურგენაულის ბაბო“), ქალის გათხოვების საკითხს მისი ოჯახი

წყვეტდა. ქალის არგუმენტი: „სხვა მიყვარს“, საერთოდ არ განიხილება, სუსტი და სასაცილო მტკიცებულებაა. ქალის პროტესტი თავისთავზე ატეხილი უბედურებაა. მხოლოდ ესაა იმ დროის სოფელი, ესაა მწერალი ქალის ტკივილი და მძიმე რეალობაზე წერის მიზეზი.

მოთხრობაში „მტარვალის ციხე“ ზემოთ ჩამოთვლილი აქცენტებით თავისუფლად განიხილება, თუმცა შემოდის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი - ანგარებიანი ქორწინება. თავადი ერთადერთ ქალიშვილს კომპში ზრდის, არც არავინ იცნობს და ვერც ვერავინ ხედავს. მამას განზრახვა აქვს, შვილი მიათხოვოს ოსეთის მეფისწულს, თუმცა სიყვარულმა შეაღწია თამარის კომპში, მას უყვარს შავარდენი, ერთი უბრალო სოფლელი ბიჭი. საშობაო დღესასწაულს აღნიშნავენ თავად ზაალის ოჯახში. ზაალს შენიშნული ჰყავს შავარდენი კომპის ეზოში, ამიტომაც ეჭვობს თავისი შვილის სიყვარულს შავარდენის მიმართ. თამარიც დაატარებდა ფიქრებს, რომ მამას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, გრძნობდა, რომ შავარდენს არ მიათხოვებდნენ: „თუ მამაჩემი ძალს მოიხმარს, თუ მეფის ძეს მიმათხოვებენ, თავს მოვიკლავ“, - ფიქრობდა ის. როცა ლხინში ყველა ერთობოდა და მხიარულობდა, ზაალმა საკენწლად გამოიწვია შავარდენი. შავარდენმა - „მზად ვარო“ - ამის თქმაც ძლივს მოასწრო, როცა ზაალმა „მტაცებელი მხეცივით“ ერთი ნახტომით მისი თავი სუფრაზე გააგორა. მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. სანამ ხალხი გონს მოვიდა, თამარმა სარკმელი გამოაღო და ძირს გადაეშვა. სწორედ ამ დატრიალებული უბედურებების გამო დაარქვა სოფელმა ამ ციხეს „მტარვალის ციხე“.

მოთხრობა იმდენად უშუალოა, რომ ერთი ამოსუნთქვით იკითხება ეს მძიმე ამბავი. აქ მოტანილია და გადამდებია ყველა პერსონაჟის განცდა და მღელვარება. მოთხრობა მხატვრული ღირებულებებით გამოირჩევა, პოეტური სილამაზითაა გადმოცემული სტროფები თხრობის დროს; მაგ.: „ჩამოიწყვიტა მკერდზე საკინძე“, „ნაზად ემთხვია ბაგეს სატრფოსას“, „ხელთუქმნელ ნაკვთს ჰგავდა მარმარილოსას“, „სისხლით მისით მთლად შეიღება უბე და კალთა“. მოთხრობაში კარგად ჩანს, როგორ შეუძლია ეკატერინე გაბაშვილს გადმოსცეს მძიმე ამბავი ისეთი ემოციით, რომ გაითავისოს მკითხველმა და წარმოიდგინოს ყველა დეტალი ისე, თითქოს შემსწრეა მოვლენებისა.

მოთხრობაში „ნათლისღების ღამე“ ნაჩვენებია ორი ოჯახის ცხოვრება. ინტერესი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მწერალი ქალი ეხება ურბანიზაციის საკითხს. უკეთესი

მომავლის იმედით სოფლიდან ქალაქში წამოსულან ადამიანები. სოფელში გამოკეტილია სახლები. მათი მაცხოვრებლები ქალაქში, პატარა ფიცრულისგან აშენებულ ქოხებში არიან შეხიზნულნი. ავტორი გვიჩვენებს ნაქირავებ, სარდაფის მსგავს მიწურებში მცხოვრებთა ოცნებებს, ისინი ოცნებობენ ნამდვილ ქალაქელობაზე. ურბანიზაციის საკითხი მასშტაბურია. მწერალი ეხება ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანების ცხოვრებასაც.

მოთხრობაში მნიშვნელოვანია სწორედ ის ფაქტი, რომ იტალიელი ჯოვანი, რომელმაც იცის, რომ იტალიაში ქალი სრულიად თავისუფალია, ჩაგრავს და მონად აქცევს ქართველ ცოლს.

მთაწმინდის უბანში ერთ მყუდრო სახლში პირველ სართულზე ცხოვრობს ქეთევანი შვილიშვილთან ერთად, მეორე სართულზე კი - ჯოვანი და მარინა. ისინი იტალიელები არიან. ჯოვანი ლოთია, მისთვის სულერთია, სადაა, სად ცხოვრობს, ძირითადად, უგონოდ მთვრალი ბრუნდება სახლში. მარინა ძლიერი და მშრომელი ახალგაზრდა ქალია, „დარდით ყვითლად ჩამომხმარი“. მის სახეს ჯერ კიდევ ეტყობა სინაზე. მარინას და ჯოვანის გოგონა ჰყავთ, ადელი, რომელიც ნაადრევად დაქალბებული, გონებრივადც დაბრძენებულია. დუხჭირი ცხოვრების გამო ბავშვობის უდარდელობა არ უგრძნია. მეორე შვილი წლინახევრისაა, შიმშილისაგან უჭირს სიარული. ჯოვანი უკრავდა დუქანში, მარინა კი მღეროდა. აღებული ფულით ჯოვანი ერთობოდა, ბავშვები სულ არ ადარდებდა. უკვე ნათელია, როგორი უბედური ქალია მარინა: სიცივე, შიმშილი, უსახლკარობა, ლოთი ქმარი, ორი საცოდავი ბავშვი და ყველაფერ ამას ემატება ჯოვანის მოთხოვნით დუქანში სიარული და სიმღერა. ერთ დღესაც მარინას მიხუტებული ჰყავდა თავისი პატარა მომაკვდავი შვილი, ქმარი კი სასიმღეროდ დუქანში წასვლას აძალბებდა. „დახედე ამ შენს საცოდავ ბავშვს, ერთი საათიც ვეღარ გაატანს, როგორ დავტოვო? მომეცი ნება, მე დავუხუჭო ჩემს შვილს თვალები“, - ეხვეწებოდა მარინა ქმარს. ჯოვანიმ თავისი გაიტანა. მარინა წავიდა და ხალხით გაჭედებულ დარბაზში ქმრის დავალებას ასრულებდა. ხმაშიც ეტყობოდა, რომ მარინა ტიროდა, ნელ-ნელა ძალა ეცლებოდა, ძლივს იდგა. მას ყურადღებას არავინ აქცევდა. ასე დაეცა სიმღერის დროს და გარდაიცვალა. მარინა მოკვდა. ამ დროს მის სახლშიც დიდი უბედურება დატრიალდა. ადელს, დედის მოლოდინში, ჩამქრალი ლუმელის წინ ჩასძინებოდა. გულში მკვდარი და ჰყავდა ჩახუტებული. მაგიდაზე მდგარ ლამფას ცეცხლი გაუჩნდა და ხანძარი გაჩნდა. ქეთევანი ბავშვის სანახავად ავიდა

მარინასთან და ეს ამბავი დახვდა. ადელი გადაარჩინა, თავისთან წაიყვანა. ჯოვანი გაქრა, გადაიკარგა. არც დაინტერესებულა შვილების ბედით. ადელი ქეთევანმა გაზარდა შაქროსთან ერთად. „ადელის სახეს ემზი და სინაზე არ აკლდა, შავი შთაგონებით აღსავსე თვალები მომხიბვლელობას მატებდა, ანკარა წყაროსავით ხმა ჰქონდა, კრიალა სიმღერით სიცოცხლის ხალისი შეჰქონდა ოჯახში“. შაქროც მშვენიერი ბიჭია, პატოსანი, მშრომელი, ხელოსანი. მათი მეგობრობა „ტკბილი და სასიამოვნო“ გახდა. ხარობს ორი ერთმანეთზე შეყვარებული ადამიანის გული. ამ დროს გამოჩნდა ჯოვანი. რა თქმა უნდა, ისეთი პიროვნებისგან, როგორც ჯოვანია, კარგს არ მოელის მკითხველი, ამიტომ ეს დამაბულობა და ჯოვანის ზრახვები აფიქრებს და აფორიაქებს მას.

ჯოვანი ხვდება შაქროსა და ადელის სიყვარულს, ამიტომ იგი სახეცვლილი შედის ქეთევანის ოჯახში, როგორც შვილის ცხოვრებით დაინტერესებული მამა. ადელს სიმღერას ასწავლის. ისე იქცევა, ძნელი მისახვედრია, რა განზრახვა აქვს გულში. ადელისა და შაქროს ქორწინების დღეც დაინიშნა. ჯოვანისაც ეტყობა სიხარული. ქორწინების წინა დღეს იგი სთხოვს სასიძოს, დედის საფლავზე წავიდეს ადელი. ასე გაიტყუა ჯოვანიმ ადელი ვერის სასაფლაოზე და თავისი გეგმების განხორციელებას შეუდგა. გზაში ესაუბრება შვილს ქეთევანის გადატაკებულ ოჯახზე და ცდილობს ბედნიერი მომავალი დაანახოს: „ოჰ, შენ რომ იტალია ნახო, სადაც შენი მამა-პაპა დაბადებულა, იქ დედაკაცი სრულიად თავისუფალია, ნება აქვს, იბრწყინოს სიკეკლუციტ, შენ აქ შემწყვდეული ხარ ერთ სოროში, ერთ ბრიყვს აქვს უფლება, შენი ცქერით დატკბეს, შენ ისეთი ხმა გაქვს, დიდ ადგილს დაიკავებ მსოფლიოში. ახლა კი მხოლოდ მთაწმინდის კლდეები გისმენენ“ (გაბაშვილი... 1953 წ.). ასე არიგებს მამა შვილს. ადელს არც ესმოდა მამის საუბარი, ყურსაც არ უგდებდა, მაგრამ როდესაც ჯოვანი ეუბნება შვილს: „მოდით, შვილო, გავკრათ და გავიპაროთო“, ადელი შეშინდება, შეკრთება და ინტერესდება: „მამა, შენ მაგას ნამდვილი გულით მირჩევ?“ მერე ცდილობს, რეალობა დაანახოს მამას, ის გზა აჩვენოს, რაც გაიარა: „ჩემი იტალია დღეს ეს მთაწმინდის კუნჭულია, მე უბედურ, მიტოვებულ ბავშვს კარი გამიღეს, ტკბილი სიტყვით გული მომიღებეს, ჩემი სიმღერა აბედნიერებს შაქროს, ქეთევანს და ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია“ („ნათლისღების ღამე“). ზუსტად გადმოსცა ადელმა ამ სიტყვებით თავისი გრძნობა, რომ საქართველო მისი სამშობლოა, ბედნიერება მისთვის აქაა, მატერიალური გაჭირვება არაფერია, როცა სულში დღესასწაული და ბედნიერების

მოლოდიანია. ადელის სპეტაკი, სუფთა და უბიწო შინაგანი სამყარო სიზუსტით დაგვანახა მწერალმა. ჯოვანის მომზადებული ჰყავდა ეტლი სასაფლაოსთან, მეეტლის დახმარებით შეათრია ადელი ეტლში და გაიტაცა. ნიჟნის ბაზრობა იყო ადგილი, სადაც ადელის ხმის წყალობით მამამისს ბევრი ფულის შოვნის იმედი ჰქონდა. ადელის ცხოვრება როგორ გაგრძელდა, მოთხრობის ფინალში ვხედავთ. ცხოვრების ბინძურ წუმპეში ჩაძირული, სრულიად სახეცვლილი ადელი, ცეკვავს, მღერის და ამაში გასამრჯელოს ითხოვს, ის ხალხის მრავალმხრივ გამართობი ქალია. კოცნა, დამცირება, დაცინვა, შეურაცხყოფა ადელისთვის ჩვეული მდგომარეობაა. ამ ფაქტს შაქროც შეესწრება, ერთ დღეს მეგობრებთან ერთად დუქანში მისულ შაქროს მომღერალი ადელი ლანგრით ხელში მიადგება. მათი შეხვედრის სცენა დაუვიწყარია მკითხველისთვის. ესაა დაბნევა, სირცხვილი, ტკივილი, გაშეშება, ერთად გადმოცემული. მწერალი ღრმად იხედება ადელის სულიერ სამყაროში, ადებს კარს და მკითხველისთვისაც მარტივად გასაგებს ხდის ადელის განცდებს: „სახეზე მკვდრისფერი გადაჰკრავს, ხელიდან სინი გაუვარდება და გულწასული კედელს გაეკრა“. გვიანი იყო ხალხით გაჭედული დუქანი ნელ-ნელა დაცარიელდა. ადამიანების თვალს შაქროსა და ადელის უცნაური შეხვედრა შეუმჩნეველი დარჩა. შაქრომ იმ დამეს მტკვარში თავი დაიხრჩო, ადელი აღარავის უნახავს, გადაიკარგა. მოთხრობის გმირების განსაკუთრებულობა მათი ცხოვრების სირთულიდან გამომდინარეობს. მწერალი ქალი ღრმად სწვდება თითოეულის სულიერ სამყაროს. მკითხველი ზუსტად ხვდება და გრძნობს, თუ რამდენ მეტამორფოზას გადის ამა თუ იმ პერსონაჟის სულიერი სამყარო. შაქრომ ვერ აიტანა ადელის ასე გაუბედურება. მისთვის ადელი წმინდა, სპეტაკ ქალად აღიქმებოდა ბოლომდე, მიუხედავად იმისა, ისინი ერთად არ იყვნენ. შაქრო რომ სულ ფიქრობდა საყვარელ ქალზე, ეს ადვილი მისახვედრია მკითხველისთვის. შაქროსთვის ტრაგედიაა ადელის ასეთ მდგომარეობაში ნახვა. მისი სიწმინდე შეიბილწა, გაირყვნა, ამიტომაც ასეთი მძიმე განაჩენი გამოუტანა თავს. ადელის სახეზეც შესამჩნევია, რომ მასაც არ უნდა ჰქონოდა ადვილი და ბედნიერი ცხოვრება. მწერალი კარგად გადმოსცემს და მკითხველს აგებინებს, რომ ადელის გულშიც არ გამქრალა სიყვარული, მის სახეს ეტყობა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა და ბედს შეურიგდა, მიუხედავად ცეკვა-სიმღერისა და გაპრანჭვისა, ტანჯვა-წამების კვალი მაინც ეტყობოდა სახესა და თვალების სიღრმეს. ნაწარმოების კითხვისას ნათელია, რატომ არ დაუბრუნდა ადელი შაქროს. მან ვერ გაბედა შაქროსთან დაბრუნება, რცხვენია, ერიდება, პატიოსანი ცხოვრების გზას

აცდენილი ქალი ვედარ ბედავს სატრფოსთან კვლავ დაბრუნებას. ყველაზე უარყოფითი პერსონაჟი ნაწარმოებში ჯოვანია. ადამიანი, რომელსაც ყველასთვის უბედურება მოაქვს და არასდროს დაფიქრებულა ამაზე. მისთვის მთავარი ფულის შოვნაა და ამ მიზნით დახშული გონება სხვა ვერაფერზე ფიქრობს. ვითომდა ევროპელი ჯოვანი, რომელიც შვილს ქალის თავისუფლებაზე ესაუბრება, ჩაგრავს საკუთარ ცოლს, სრულ მონად ჰყავს ჯოვანის მარინა, იყენებს მხოლოდ შემოსავლის წყაროდ. ესაა ნაწარმოების მთავარი სათქმელი, ადამიანების სულიერი სამყაროს გაცნობა, მათი ფიქრების სწორად გადმოცემა, ემოციის განცდა მკითხველზე, მათთან ერთად იმ გზის გავლა, რომელიც თითოეულმა პერსონაჟმა გაიარა. ეს არც ისე ადვილი საქმეა.

ეკატერინე გაბაშვილმა შეძლო და დაგვიხატა ადამიანები, რომელთაც უარი თქვეს საკუთარ თავზე. გვიჩვენა ის გარემო, ის ყოფა და ის საზოგადოება, რომელთაც მისი ნაწარმოებების გმირები თვითუარყოფამდე მიიყვანეს და მათ სიცოცხლის სურვილი დააკარგვინეს.

ეკატერინე გაბაშვილს რომ კარგად შეეძლო ადამიანების სულის სიღრმეებში ჩაწვდომა და მათი ტკივილის მკითხველამდე მიტანა, თითქმის მის ყველა მოთხრობაში იგრძნობა, მაგ.: „ყვავილს ზამთარმა უსწრო“. ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ნინო იყო „კეთილი, ნაზი, როგორც ზეფირი, მორცხვი, როგორც გაზაფხულის ყვავილი, ტკბილხმიანი, როგორც იადონი“. ისეთი მხატვრული დახასიათებაა ნინოს გარეგნული სილამაზისა, ადვილი მისახვედრია, როგორი სათნო და კეთილი იქნება მისი სულიერი სამყარო. ნინოც იმ ეპოქის შვილია, მოქმედებს ოჯახის მდგომარეობიდან გამომდინარე, თხოვდება უსიყვარულოდ, იმ მიზნით, რომ ვალებიდან გამოიხსნას ოჯახი. ეკატერინე გაბაშვილმა სიღრმისეულად გადმოსცა ნინოს შინაგანი სამყაროს მდგომარეობა გათხოვების შემდეგ. ნინოს სახიდან სიხარული გაქრა, მის თვალებში ჩაქრა სიცოცხლის სხივი. ნინოსთვის ცხოვრება მძიმე აღმოჩნდა, გაუჭირდა: „მე ვფიქრობდი, რომ ვიქნებოდი კეთილი მეუღლე, ტკბილი დედა ჩემი შვილებისა და ჩემს გაბედულობას ამით ვანუგეშებდი, სინამდვილე ჩემი ახალი ცხოვრებისა მეტად სასტიკი აღმოჩნდა, ტვირთი ფრიად მძიმე იყო, მე ვერ ვზიდე!“.

ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებს მწერლის ტკივილიც ეტყობა. მისი მოთხრობების ყველა პერსონაჟი მოქმედებს და აზროვნებს დროის შესაფერისად. ნინომაც, შაქრომაც, მარინამაც და სხვა ნაწარმოების გმირებმაც იციან, რომ მათ მომავალ ცხოვრებას გადაულახავი დაბრკოლება უნდა შეხვდეს. სიყვარული განიხილება,

როგორც განწირული გრძნობა და არა ბედნიერების მომტანი მდგომარეობა. ოჯახის შექმნას თავისი მიზანი აქვს. თუ ქალი მზითვიანი არ არის, თუ საქმროს მატერიალურად დუხჭირი მდგომარეობა აქვს, როგორ შეიძლება ქორწინება?! ესაა იმ დროის სოფლის ტიპური ვითარება: ღირებულებადაცლილი ადამიანები, ქონებრივ და მატერიალურ ყოფაზე გათვლილი ურთიერთობები... ამიტომაც ისინი ვერ ითავისებენ ჭეშმარიტი სიყვარულის არსს.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გაიჟღერა აზრმა, რომ ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობები ერთგვარად ენათესავება გი დე მოპასანის შემოქმედებას. ეს მინიშნება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენთვის, გვეძებნა საერთო მათ შემოქმედებაში:

- 1) ეს არის ნატურალური ხედვა და რეალისტურად გადმოცემული ამბები;
- 2) გი დე მოპასანის შემოქმედებითად აღზევება 1880-იანი წლებიდან იწყება;
- 3) ქალი იყო ორივე მწერლის შემოქმედებითი შთაგონების წყარო;
- 4) წინააღმდეგობები, მათი დაძლევა ან გადალახვის სურვილი.

მსგავსება შესამჩნევია მოპასანის ნოველებთან იმ კუთხით, რომ მოპასანიც ცდილობდა, მხოლოდ ფაქტები და ადამიანის ქცევები გადმოეცა. „პერსონაჟის ფსიქოლოგია კი ისე უნდა იმალეობდეს წიგნში, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში იმალება ადამიანთა ქცევაში“, - წერდა ის. მოპასანის ნოველების გმირებსაც უჭირთ სხვა ადამიანების გაგება, როგორც ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობების გმირებს. მაგ.: მშობლებს უჭირთ შვილებს გაუგონ. მთავარი კავშირი ეკატერინე გაბაშვილისა გი დე მოპასანთან კი შემდეგშია:

გი დე მოპასანისთვის ქალი ცხოვრების აზრია, თუმცა მისი ნოველების კითხვის დროს გრჩება განცდა, რომ მას არ ესმის ქალის და აუბედურებს მას¹, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალში ხედავდა ენერგიას, მამოძრავებელ ძალას. მოპასანი, ჩვენი მწერალი ქალის მსგავსად, სწვდებოდა ქალის არსს და ჩადიოდა მისი სულის სიღრმეში. შეეძლო, შეემჩნია ის, რაც სხვებისთვის ნაკლებად შესამჩნევია, მაგრამ ორივე მწერლის პერსონაჟი ქალები უბედურები არიან და მუდამ სირთულეების პირისპირ დგანან. „არ არსებობდა ისეთი მწერალი, რომელიც ასე გულახდილად ფიქრობდა, რომ ცხოვრების ხიბლი და აზრი ქალშია, მის სიყვარულშია. ამასთანავე არ არსებობდა ისეთი მწერალი, რომელიც ასე ცხადად აჩვენებდა ყველა საშინელ მხარეს, რაც ქალს ბედნიერებისკენ

¹გი დე მოპასანის ნოველები: „ფუნთუშა“, პირველი თოვლი“, „ხეივანი“, „მამა“, „ემმაკი“.

მიმავალ გზაზე ხვდებოდა, აშიშვლებდა მოვლენებს და ტოვებდა მის ცხოვრებას ასე“ („პასრედნიკი 1894: „წინასიტყვაობა გი დე მოპასანის თხზულებებისთვის“) - ეს არის გი დე მოპასანის ტოლსტოისეული შეფასება, რომელიც თამამად და გაბედულად შეიძლება მიესადაგოს ეკატერინე გაბაშვილსაც. რაც შეეხება წინააღმდეგობებს, ეკატერინე გაბაშვილთან პრობლემას წარმოადგენს წლების განმავლობაში ბატონყმურ წყობილებაში გამოზრდილი ხალხი, გამდიდრების სურვილით დაბრმავებულნი. გი დე მოპასანთანაც წინააღმდეგობით სავსე ცხოვრებაა, თუმცა გამოსავლის ძიება ნაკლებია, რადგან განცდაა იმისა, რომ, რაც უნდა იბრძოლო, მაინც ეჯახები ისეთ წინააღმდეგობას, რომელსაც ვერ გადალახავ. ეკატერინე გაბაშვილიც გრძნობდა, რომ ბრძოლა უმედეგო იყო იმ გარემოში, რომელშიც მის გმირებს უხდებოდათ ცხოვრება. მისი გმირები ვერ გაუძლებდნენ ამგვარი წინააღმდეგობების დაძლევას. ეკატერინე გაბაშვილის მხრიდან ძალზედ გაბედული ნაბიჯია იმის ხმამაღლა თქმა, რომ ადამიანებს სიყვარულში არჩევანის თავისუფლება სურთ მაშინ, როცა ქალ-ვაჟის სიყვარული ღრმა განცდად არ განიხილებოდა და ქორწინებები ჩვეულებრივი საქმიანი გარიგება იყო.

მოთხრობაში „თამარის ნუგეში“ ძირითადად გამოკვეთილი აქცენტებია:

1) ნაწარმოების მთავარი გმირი ქალი, თამარი, ჰგავს ავტორს;

2) ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ჰგავს ჩერნიშევსკის მოთხრობის „რა ვაკეთოთ“ პერსონაჟს - ანა პავლოვნას.

მოთხრობა თამარის დახასიათებითა და სასტუმრო ოთახის აღწერით იწყება: „თამარი იყო ახალგაზრდა ქალი, ოცდაორი წლის, დიდი შავი თვალები ჰქონდა, შავი კულულა თმა, ოდნავ გაპოხილი ზომიერი ტუჩები“. თამარი გონიერი ქალია, მისი საუბარი ყველას აოცებს. თამარის სასტუმრო ოთახი მზის სხივებითაა გაბრწყინებული, ფანჯარაზე თაიგულები დევს, იატაკზე ხალიჩაა, ბუხარში ცეცხლი გუზგუზებს. მაგიდაზე წიგნები და მოსწავლეების გასასწორებელი რვეულები არის დალაგებული. ოთახის აღწერისასაც იგრძნობა თამარის ხასიათი. ის, როგორც ჩანს, მოწესრიგებული ქალია. თამარს გულის სწორიც ჰყავს შერჩეული, ლევან მამუკაშვილი. თამარი იდეალური პერსონაჟის სახეს ქმნის მოთხრობაში. იგი კეთილი, სათნო, მშრომელია, იცის ხელსაქმე, მღერის, უკრავს, კითხულობს, ახალგაზრდებს წერა-კითხვას ასწავლის. ამბობს კიდევ მწერალი: „თამარისნაირმა ქალებმა ღალატი არ იციან“.

ლევანიც კარგი ახალგაზრდაა, მას ოფიციალურ სამსახურში არასდროს უმუშავია, საფრანგეთში განათლებამიღებულია და სოფელში გლეხებს ეხმარება,

ზრუნავს მათ განვითარებაზე ისე, როგორც თამარი. თამარსა და ლევანს ერთნაირი აზრები აქვთ სოფლის განვითარებასთან დაკავშირებით, მათი სურვილი გლეხების ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრია. „თქვენი თავი თქვენს ქვეყანას უფრო უჭირს, მისი კეთილდღეობისთვის იმოქმედეთ“, - ეს სიტყვები თამარის პირით თქვა მწერალმა ქალმა. თამარის ნათქვამმა ამ სიტყვებმა სოფლელი ბიჭის, გიორგი ედიშერაშვილის, ცხოვრებაც შეცვალა. გიორგი გადაწყვეტს, მიიღოს უცხოეთში სწავლა-განათლება და დაუბრუნდეს სოფელს. მოთხრობა „თამარის ნუგეშის“ მთავარი პერსონაჟი ქალი თამარი ჰგავს ნაწარმოების ავტორს თავისი ცხოვრების წესით. ეკატერინე გაბაშვილიც ცდილობდა, წერა-კითხვა ესწავლებინა ბავშვებისთვის, განათლების დონე აემალლებინა გლეხებისთვის, ყოფილიყო სოფელში და თავისი წვლილი შეეტანა სოფლის განვითარების საქმეში. თამარი ძალიან ჰგავს აგრეთვე რუსი მწერლის, ჩერნიშევსკის, რომანის გმირს, ანა პავლოვნას („რა ვაკეთოთ“). ჩერნიშევსკის რომანშიც ნაჩვენებია რუსული სოფელი თავისი ყოფითა და პრობლემებით და ამ სოფელში მცხოვრები ქალი ვერა, რომელიც თამარივით კეთილი, სპეტაკი და მშრომელია. იგი ჩვენი მწერალი ქალის მსგავსად სოფელში აყალიბებს საქსოვ სახელოსნოს ქალებისთვის, ეწევა აღმზრდელი საქმიანობასაც; თამარივით უყვარს მუსიკა, თეატრი, კითხვა. ვერა პავლოვნაც და თამარიც ცდილობენ, მათ გვერდით ყველა ბედნიერი იყოს და თავს არ ზოგავენ ამისთვის. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ნაწარმოები ჰგავს ავტორს. ეს შესამჩნევია ვერა პავლოვნას ხასიათში. „მე არ მსურს სხვისი თავისუფლების შეზღუდვა, მინდა, ვიცხოვრო, როგორც მინდა, არ მსურს ვინმეს მოსმენა!“ - ასეთია ვერას საუბრის ტონი. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკი იყო რევოლუციონერი დემოკრატი. ის გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის თითქმის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, თუმცა იგივე ჩერნიშევსკი ხატავდა მომავლის ბედნიერ ადამიანებს, ჰარმონიულ ცხოვრებას, სადაც არ იქნებოდა განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, მოეწყობოდა საერთო კულტურული დასვენებები. ადამიანს სადაც უნდოდა, იქ იცხოვრებდა. იგი რევოლუციური გზით ფიქრობდა არსებული რეალობის შეცვლას, ამიტომაც მისი ვერა პავლოვნაც მკაცრი და მეამბოხე, სწრაფად სურს ცვლილებები. თამარი კი კეთილშობილია, დამთმობი, მშვიდობიანი გზით, ლიბერალურად ცდილობს, მოახდინოს ცვლილებები. როგორც იყო თავად ეკატერინე გაბაშვილი, თამარი ჰგავს მას შრომისმოყვარეობით, გლეხი ხალხის ტკივილის გაზიარებით. იგი ცდილობს სოფლის ცხოვრებაში ცვლილებებსა და ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედების ცალკე თემაა საბავშვო მოთხრობები: „ღვინია გადაიჩეხა“, „მაგდანას ლურჯა“, „თინიას ლეკური“, „კონა“, „ჩვენი კაკლის ხე“, „საახალწლო სურათები“, „საახალწლო საჩუქარი“, „როგორ შეხვდა სვიმონიკა ახალ წელს“... ეკატერინე გაბაშვილი თავისი მოთხრობებით ცდილობს, ბავშვებს დაანახოს რეალობა. მას, როგორც ადამიანის სულის სიღრმის მკითხველს, ბავშვების სათუთი სულიერი სამყაროს ამოცნობაც არ უჭირს. ეკატერინე გაბაშვილმა, როგორც გამოცდილმა პედაგოგმა, იცის, რომ ბავშვს ყველაფერი უნდა მიაწოდო, მოამზადო მომავალი ცხოვრებისთვის, დაანახო სიკეთე და ბოროტება, არ მოარიდო რეალურ ფაქტებს. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ცხოვრების გზაზე დაბრკოლება ბევრია, ბედნიერება მიიღწევა მიზანდასახულობითა და შრომით. ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო მოთხრობების ხიბლი იმაშია, რომ ის არა მარტო შავ-თეთრ ფერებში ხატავს ფაქტებს, არამედ აფერადებს მათ; მძიმე ამბავს ისე გადმოსცემს, მოქმედების ადგილი და გარემო ზედაპირული და მშრალი არ არის, ბავშვის წარმოსახვისთვის ადვილად მისაწვდომია. ეკატერინე გაბაშვილი, როგორც დედობრივი განცდის მქონე მწერალი, მეტი გულისხმიერებით ეკიდება ბავშვის ბუნებას. ზუსტად ასახავს ბავშვების უმნიშვნელო ტკივილსაც კი. განსაკუთრებული ემოციებითაა დატვირთული მისი საახალწლო მოთხრობების სერია. გადამდებია განცდა, ის სიხარული და ბედნიერება, რაც ახალი წლის დღესასწაულს ახლავს თან. ზოგიერთი ბავშვისთვის კი ეს ყოველივე ტანჯვაა და ვერ აღიქმება დღესასწაულად. ეკატერინე თავისი მოთხრობებით აჩვენებს ბავშვებს, რომ ერთმანეთის მიმართ კეთილი დამოკიდებულება არის ის, რასაც მოაქვს ბედნიერება. „ხედავთ, სხვისი სიხარული ჩვენთვის რა ბედნიერებაა!“- ხშირია მის საბავშვო მოთხრობებში მსგავსი შინაარსის ფრაზები. ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობების პერსონაჟი ბავშვები არიან მზრუნველები, უპირისპირდებიან დაბრკოლებებს, ებრძვიან უსამართლობას, იციან სწორი და არასწორი მიმართულება (მაგ.: სვიმონიკა, მაგდანას შვილები).

ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო მოთხრობების გაცნობისას გამოიკვეთება სამი ძირითადი საკითხი, რაც ბავშვებში აუცილებლად უნდა ჩაინერგოს: 1) სიკეთე; 2) თანაგრძნობისა და თანაგანცდის უნარი; 3) უანგარო სიყვარული. ამიტომაცაა, ალბათ, ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობები ღია. ხედავს ბავშვი, რა შეუძლია სიყვარულსა და სიკეთეს. „როგორ უნდა განვითარდეს ბავშვი? უნდა ვაჩვენოთ მათ კარგია და ცუდიც, მაგრამ არ უნდა მივუთითოთ, რა კარგია და რა ცუდი. ბავშვმა თვითონ უნდა

გამოიცნოს ქმედება, მით უმეტეს, არ უნდა ვუთხრათ ბავშვებს, რა რის გამოა კარგი და რა რის გამოა ცუდი.“ ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო მოთხრობებიდან კარგად ჩანს, როგორ ფიქრობდა ის მომავალ თაობაზე, მათ გონებრივ სიჯანსაღეზე, მას ღრმად სჯეროდა მომავალი თაობის მიზანდასახულობის, სამართლიანობისა და გაბედულების.

ეკატერინე გაბაშვილმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე სამწერლო ასპარეზზე. მის მოთხრობებში იგრძნობა ავტორის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. რასაც აღწერს, აღწერს გულახდილად, ცხადად, ეს იქნება სიყვარული თუ სიძულვილი. ალბათ, ამიტომაცაა რომ მისმა ნაწარმოებებმა სასკოლო სახელმძღვანელობის მრავალმხრივ შინაარსობრივ ცვლილებებს გაუძლო და ყოველთვის სასწავლო საპროგრამო მასალაშია. მისი ცხოვრება მისივე მოკლე ციტატით შეიძლება შევაფასოთ და დავინახოთ. პატარა ამონარიდით ირკვევა ის დიდი და რთული გზა, რაც ეკატერინე გაბაშვილის ცხოვრებას თან სდევდა: „შევეცადე, ორი აგური მაინც დამედო იმ წმინდა საძირკველზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ჩაჰყარეს ჩემი ქვეყნის საუკეთესი შვილთა. ორი აგურის მიმატება საზოგადო სამსახურპლოზე დიდი რამ არ არის, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, საცა არაა, იქ ცოტაც ბევრად გამოჩნდებაო“ (ქეთევან ირემამე, „ლიტ. მედალიონები“, 1945 წ.). ეკატერინე გაბაშვილს ძალა და ენერჯია არ დაუშურებია, ქვეყნის განვითარების საქმეში თავისი წილი წვლილი რომ შეეტანა. მან დიდი წვლილი დასდო ქართულ მწერლობას. მისმა ნაწარმოებებმა ზედმიწევნით კარგად ასახა იმდროინდელი საქართველოს სოციალური პრობლემატიკა. როგორც ვთქვით, ეკატერინე გაბაშვილი იყო საზოგადო მოღვაწე ქალი, ის მუდმივად იყო ჩართული ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო ყველა საქმეში.

ეკატერინე გაბაშვილის ცხოვრება, მისი პიროვნება, მოღვაწეობა და შრომა არაერთმა იმდროინდელმა საზოგადო მოღვაწემ შეაფასა. მოვიტანთ რამდენიმე შეფასებას მისი, როგორც მწერალი ქალის, ცხოვრების ნათელსაყოფად:

„თქვენ ნუ დაივიწყებთ, რომ ქალებში მწერლის სახელი პირველად თქვენ გეკუთვნით და რაც უნდა მოხდეს, კალამი ხელიდან არ დასტოვოთ.“

(პეტრე უმიკაშვილი)

„კატო ბუნებით პედაგოგი იყო, კიდევაც იმით აიხსნებოდა, რომ იგი ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა, სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში თუ სოფლად, აგროვებდა წერა-კითხვის უცოდინართ და ახალგაზრდული გატაცებით ყველას წერა-კითხვას

ასწავლიდა, კატო მართლაც რომ მოძრავი სკოლა იყო და მისი დახმარებით მრავალ ქართველს აუხელია თვალი.“

(ალექსანდრე მიქაბერიძე)

„ეკატერინე გაბაშვილს ცხადად ემჩნევა სამხატვრო ნიჭი ავტორისა, უნარი დაკვირვებისა, ფანტაზია - ეს დედა შემოქმედებისა, გრძნობა ზომიერებისა და სიყვარული, ღვთიური სიყვარული ხელოვანი ოსტატისა იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც გვისურათებს, თვალწინ გვიყენებს“ (გრიგოლ ყიფშიძე შეფასება, 1898 წ., გამოცემულ ეკატერინე გაბაშვილის კრებულზე „საყმაწვილო მოთხრობანი“, ჟურნალი „მოამბე“, 1898 წ. N3).

„ზრახვათა სიწმინდით, სამშობლოს ინტერესებისადმი ერთგულებით, ჰუმანური გრძნობებით, იგი მკითხველის გულს ინადირებს და აღმზრდელობით გავლენას ახდენს მასზე, ქალბატონი გაბაშვილის ნაწარმოებებს გააჩნიათ აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ღირსებანი: მოძველებულ გამოთქმათაგან თავისუფალი წმინდა ლიტერატურული სტილი, მახვილი, მხატვრული ალღო.“

(ალექსანდრე ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1916 წ.).

„ეკატერინე გაბაშვილი იმედებით აღვსილი კაცის სულისა და მოქმედების გაუმჯობესებისა და გამშვენიერების შესაძლებლობის მქადაგებელია, ნიადაგ იმის განმტკიცებაშია, რომ კაცს, რაც უნდა პირუტყვი იყოს, მაინც ღვთის სული აქვს ჩაბერილი. იგი მთელი ცხოვრების მაწყევარი არ არის, არამედ მოვლენას უთავსებს მთელს თავის გატაცებულს ზიზღსა და აღშფოთებას.“

(კიტა აბაშიძე, 1912 წ., „ეტიუდები“).

„მის საბავშვო მოთხრობებში მოიპოვება არაერთი ღირსება, რომელიც ძვირფას ნაწარმოებად ითვლება, ავტორის მშვენიერი ქართული ენა შეადგენს უმთავრეს ღირსებას.“

(იაკობ გოგებაშვილი, „საახალწლო ფემქაშის გამოსვლის შესახებ“, 1884 წ.).

„მშვენიერია, დაკვირვებას ნიჭიერებაც არ ჰკლებია, ენაც ჩინებული აქვს.“

(დ. აბდუშელიძე, ჟურნალი „იმედი“ 1881: N1).

1911 წელს ქართული თეატრის დაბადებიდან სამოცი წლის იუბილე გადაიხადეს. ეკატერინე აკაკიმ გამოიყვანა ხალხის წინაშე, ბავშვების გუნდი ყვავილებს უფენდა. აკაკიმ მოკლედ ისაუბრა ეკატერინეს ღვაწლზე, ხელზე ეამბორა თურმე.

1871 წლის პირველი იანვრის ჟურნალ „დროებაში“ დაბეჭდილ წერილზე „გლახკაცის აზრი სასოფლო სკოლაზედ“ ეკატერინე თარხან-მოურავი აწერს ხელს, შემდეგ ყველა ნაწარმოები გაბაშვილის გვართაა ხელმოწერილი.

ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოებების ცხრა კრებულია გამოცემული. საბავშვო მოთხრობა 1952-1953 წლებში გამოიცა ორტომეულად. მათში სამოცამდე მოთხრობაა შესული.

ეკატერინე გაბაშვილი მწერალ ქალთაგან პირველია, რომელმაც დაამკვიდრა პროზის მცირე ჟანრი: პატარა მოთხრობა, ნოველა, მან თავისი ნიჭიერებით, ულვეი ენერგიით, თავის შემოქმედებაში რეალისტურად ასახა სოფლის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება. ეკატერინე გაბაშვილი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ქალთა პროფესიული სკოლის ხელმძღვანელი, ჟურნალ „ჯეჯილის“ თანადამაარსებელი. იგი თავის წერილებში და მხატვრულ ტექსტებში ღიად ამხელდა ქალთა ჩაგრულ ყოფას, მოუწოდებდა ქალებს, რომ ყოფილიყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები და ეკეთებინათ სასურველი საქმე.

§4. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის საზოგადოებრივ-

პუბლიცისტური, ლიტერატურული და მთარგმნელობითი საქმიანობა

ანასტასია თუმანიშვილის მოღვაწეობა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საქართველოში სათაკილოდ ითვლებოდა ქალის მუშაობა. მიუხედავად ამისა, ანასტასია თუმანიშვილი 1872 წლიდან იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. შეადგინა „ქალიშვილთა წრე“, რომლის მუშაობის მიზანი იყო ქართველი ქალების საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანა; აარსებს „მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას“, სადაც გაერთიანებული იყვნენ ქალი მასწავლებლები, ექიმები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივ აღსანიშნავია.

ანასტასია თუმანიშვილი დაიბადა 1849 წლის 25 აგვისტოს ქალაქ თბილისში, იმდროინდელი საზოგადოების ერთ-ერთ ცნობილ ოჯახში. პაპა, ბირთველ თუმანიშვილი, მეფე გიორგის მდივანი იყო, მამა, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, ლიტერატორი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. ანასტასიას ოჯახი ძალზედ სტუმართმოყვარე იყო. აქ თავს იყრიდნენ იმდროისთვის გამოჩენილი ადამიანები, მათ

შორის: მწერლები, პოეტები, ქვეყნის ბედით დაინტერესებული პიროვნებები, პრესის რედაქტორები, მაგ.: გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომლები. იმართებოდა საუბრები ლიტერატურაზე, პოლიტიკურ საკითხებზე. სხვა თავადაზნაურული ოჯახებისაგან განსხვავებით, მიხეილ თუმანიშვილის ოჯახი გამოირჩეოდა იმითაც, რომ მათ სახლში არსებობდა „წიგნის კულტი“. ოჯახს ჰქონდა დიდი ბიბლიოთეკა, რომელსაც მუდმივად ახალ-ახალი წიგნებით ავსებდნენ. მიხეილ თუმანიშვილი იწერდა რამდენიმე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთს. ასეთმა ატმოსფერომ, ცხადია, განსაზღვრა ამ ოჯახში მყოფი ბავშვების ბედი. ანასტასიას ძმა, გიორგი, 9 წლის ასაკში აკეთებდა ხელნაწერ ჟურნალს.

ანასტასიას ჰყავდა ორი და და სამი ძმა: ბარბარე, ნინო (გარდაიცვალა ნაადრევად), გიორგი, ვასილი და კონსტანტინე. შვილების სწავლა-განათლებაზე ოჯახმა იზრუნა. ანასტასია 1858 წელს მადამ ფავრის პანსიონში მიაბარეს. „რა ტირილი მქონდა, შვიდი წლით უნდა მოვშორებოდი ჩემს სახლს“ („დროება“ 1881: N65. „ინსტიტუტკას დღიური“), - წერს ის მოგვიანებით. ევგენია იაკობის ასული ფავრი იყო სოვეტნიკის ქვრივი. იგი იღებდა ბავშვებს აღსაზრდელად, ასწავლიდა საგნებს: მათემატიკას, წერა-კითვას და ფრანგულ ენას. მის სასწავლებელში დადიოდნენ თავადაზნაურების შვილები, წარჩინებული მოქალაქეების შვილები. მადამ ფავრი ცდილობდა, ბავშვები გაეზარდა ევროპულ ყაიდაზე, ამიტომაც დიდ ყურადღებას უთმობდა გარეგნულ მხარესა და მანერებს. „იმდენად სწავლით არ ტვირთავდნენ, რამდენადაც წვრთნიდნენ“, რადგან, მათი აზრით, ქალიშვილი უნდა იყოს მოკრძალებული, ჩუმი, თავაზიანი და გულუბრყვილო, ვით უცოდველი ბავშვი, ვით არაამქვეყნიური არსება. ქალიშვილმა რომ არ იცოდეს, სად არის ქალაქი სტოკჰოლმი და დაივიწყოს გამრავლების ტაბულა, ეს მას ეპატიება, მაგრამ თუ იგი სადა და უბრალო იქნება ქცევით, თუ ვერ მოახერხებს ფრანგულ ლაპარაკს, ან ისე ჩაცმას, თმების დავარცხნა-დაკულულებას, როგორც მის სახესა და გარეგნობას უხდება, ეს მას თავის დღეში არ ეპატიება. ასეთი ქალიშვილი ძალიან იოლად შეიძლება დარჩეს სულ გაუთხოვარი, თუნდაც მდიდარი იყოს“ („მადამ ფავრის პანსიონის ქალთა აღზრდის ამოცანები“, კარპოვის მოგონება, 1941: 7). ეს იყო პრიორიტეტი მადამ ფავრის სასწავლებელში მისულ გოგონათა სასწავლო პროცესში.

მადამ ფავრის პანსიონიდან ანასტასია გადაიყვანეს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში. ინსტიტუტში სწავლების განსხვავებული კურსი იყო. ისწავლებოდა:

„სადმრთო რჯული“, ისტორია, გეოგრაფია, ქართული ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, მათემატიკა, პედაგოგიკა, ხატვა, მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, ხელსაქმე. თუმცა იყო მძიმე მდგომარეობა იმ მხრივ, რომ იყო მკაცრი რეჟიმი, არ ერიდებოდნენ ადამიანების ღირსების შელახვას. სტუდენტთაგან ზოგიერთი ვერ ეგუებოდა ასეთ რეჟიმსა და დამცირებას. 1875 წლის 14 მაისს ძმისადმი გაგზავნილ წერილში ანასტასია წერს: „ჩვენში მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, ინსტიტუტში რომ პატარა ხანძარი მოხდა, ერთმა პაწია გოგონამ, ვინმე შენგერტმა, ცეცხლი წაუკიდა და თვითონ კი მამა დავითისკენ გაიქცა (როგორც თვითონ თქვა, იმისათვის, რომ იქიდან ეყურებინა, როგორ გიზგიზდებოდა საძაგელი ინსტიტუტის შენობა). ჯერ აპირებდნენ, ავადმყოფად გამოეცხადებინათ იგი, მაგრამ, როგორც ამბობენ, ისე ჭკვიანურად უპასუხა თურმე დაკითხვის დროს, საქმე გამომძიებლისთვის გადაუციათ. ცეცხლი მალე ჩააქრეს, მაგრამ მისი გაჩენის მიზეზი კი ყველას აინტერესებს. ამბობენ, უფროსს მეტად სასტიკი დასჯა შემოუღია, ეს გოგონა ბარბაროსულად დაუსჯია - თავი გაუპარსვინებია, რაღაც ბლუზა ჩაუცმევია და პატარა, მყრალ საკუჭნაოში დაუმწყვდევია ცარიელ პურსა და წყალზე. „თუ ამ საქმეს არ მიაფუჩიჩებენ, მოსალოდნელია უნივერსიტეტის რეფორმა“. მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, ანასტასიამ შვიდი წელი გაატარა პანსიონსა და უნივერსიტეტში ერთად. იგი მიეკუთვნებოდა მოსწავლეთა იმ კატეგორიას, რომელიც უსამართლობასა და შეურაცხყოფას არ ეგუებოდა.

1865 წელს ოჯახში დაბრუნდა. „რა ლხინი, რა სიამოვნება მომელოდა შინ! ჩვენისთანა ნასწავლი აღარავინ გვეგონა... მართლაც, ახალი გამოსული, თითქოს ძილისაგან დაბნედილი, ვეცემოდი აქეთ-იქით, დილით და საღამოთი სულ იმ ფიქრში ვიყავი, დრო როგორ გავატარო და ჯავრი ამოვიყარო ამ ერთ წელიწადში“ (ლიტ. მუზეუმი. ხელნაწერთა განყოფილება N2.22-56). ანასტასია არ დააკმაყოფილა უნივერსიტეტში მიღებულმა ცოდნამ, მუდმივად ახლის ძიების სურვილი კლავდა გონებას: „ვაი, ამ საწყალს, არც ქართული, არც რუსული ლაპარაკი კი არ ვიცოდი, თუმცა ხუთ წელიწადი ოთხ კედელშუა ვიყავი დამწყვდეული“ (ლიტ. მუზ. N22-96 ხელნაწერთა ფონდი).

რადგანაც ანასტასიას მამა აქტიურად იყო ჩართული შვილების სწავლა-განათლების საკითხში, იგი ურჩევდა გოგონებს მათთვის შესაფერის ლიტერატურას, ადევნება თვალყურს სასწავლო პროცესს. ანასტასიას ჰქონდა მამის დახმარების იმედი, თუმცა იმხანად მიხეილ თუმანიშვილს დავალებული ჰქონდა კავკასიაში საგლეხო

რეფორმის მომზადების საქმე (1864 წ.). ამიტომ ანასტასიამ თვითგანათლებას მიჰყო ხელი. მანამდე იყო პერიოდი, როცა ანასტასია ისვენებდა, დადიოდა წვეულებებზე, მეგობრულ შეკრებებზე (სობრანიეში), თუმცა მალევე მიხვდა, რომ იქ სიარული დროის კარგვა იყო.

„სულ ყველანი მარტო იმაზე ფიქრობენ, რომ შეძლებული ქმრები იშვოვნ, - წერს ის - ერთმანეთს არ ზოგავენ, როგორ იშვოვნ საქმროები, განა მერე ძიძა და გამდელი არ გაუზრდით იმათ შვილებს? რა თქმა უნდა, სწავლისთვის მოწყურებული ქალი ასეთ საუბარს დიდხანს ვერ მოუსმენდა. მსგავსი დიალოგია ე. წ. „კრუჟოკშიც“ - ფერუმარილით გადაპრანჭული ქალები, გართობა და სხვის ბედზე საუბარი: „სიყვარული ხომ ფუჭი კაკალია! საცა შეძლება იქნება, მხიარულებაც იქ არის“ („დროება“ 1861: N65). ეს საკითხია დღის წესრიგში, რაც ანასტასიასთვის სრულიად მიუღებელია.

„მალე მომბეზრდა ამნაირი დროის გატარება“, - ამბობს ანასტასია და კითხულობს ბევრ წიგნს. თუმცა მალევე ხვდება, რომ მხოლოდ წიგნის კითხვით ვერაფერს მიაღწევს. „კითხულობ და მგონია, მთლად ჩემი სიცოცხლე, რომ ამაში გავატარო, მაინც ბევრი არა გამომივა რა“ (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ანასტასია თუმანიშვილის ფონდი N11). ანასტასიას ენერგია და შესაძლებლობა სხვას ეძებდა, მისი მიზანი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზი. ამიტომ კითხვის დროს ხშირად ჩაფიქრდებოდა ხოლმე. დედას მისი ფიქრი აშინებდა, რადგან თავად იყო ქალების სწავლის წინააღმდეგი. „დედაჩემი იყო გამჭრიახი გონების, კაი მეოჯახე ქალი, თავის შრომითა და ყაირათით გამოჰყავდა თავისი ქმარ-შვილი, თუმცა შეძლებული ოჯახის ქალი იყო და მის მამას შეეძლო მიეცა სწავლა, მაგრამ ქალების სწავლის წინააღმდეგი იყო და არც გასაკვირვებელია, ჩემს დროსაც უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ეგრევე ფიქრობდა“ („დროება“ 1861: N66). ეს ფიქრი აწუხებდა ანასტასიას დედასაც, რომ შვილი სწავლას არ გადაჰყოლოდა. მიაჩნდა, რომ, რაც საჭირო იყო, ის განათლება ჰქონდა ამიტომ კითხვის დროს ხშირად ეუბნებოდა თურმე ანასტასიას: „შვილო, განა შეიძლება, ამდენი კითხვა? სახელმწიფოს ხომ შენ არ გაბარებენ, დროა, დახე შენს ტოლებს, თუ ჩემგან ამორჩეულ საქმროს არ ნდომულობ, შენ თვითონ მაინც ამოირჩიე, ლამაზი არა ხარ, თუ შეძლება, თუ გვარიშვილობა გაკლია?!“ („დროება“ 1861: N65). საწინააღმდეგო აზრი ჰქონდა მამას: „ყმაწვილი ქალები უნდა კარგად განვითარებულიყვნენ, იცოდნენ მუზიკა და სხვადასხვა ქვეყნის ენები“. ოჯახი კონფლიქტურ მდგომარეობამდე

მიდიოდა. გოგონებს, ანასტასიასა და მის დას, ბარბარეს, მამის გავლენა ჰქონდათ, მამის სჯეროდათ. ბარბარეს უნდოდა, გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების ბიოგრაფიები აღეწერა და ხელი შეეწყო ადამიანებისთვის, რომ მათი წაკითხვით კარგი საქმეების კეთების სურვილი გაეღვიძებინა ხალხში. ეს საქმე დიდ შრომას მოითხოვდა. ანასტასია გვერდში ედგა დას, მას პირველ მასწავლებლად მიიჩნევდა. თუმცა, ფაქტია, რომ ოჯახი გაიყო, მამა გოგონების მხარეს იყო, დედას კი სურდა, ქალიშვილები გათხოვილიყვნენ. გოგონების სურვილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა იყო: „ამიტომ ჩვენ ბრძოლა დაგვჭირდა, მე და ჩემს დას. ის იყო სუსტი აგებულებისა და მგრძნობიარე. ვერ აიტანა და გარდაიცვალა“, - წერს ის (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ანასტასია თუმანიშვილის ფონდი N11).

ანასტასია არ დანებდა. მან მტკიცედ გადაწყვიტა, აეტანა და გაეძლო ყველანაირი ცხოვრებისეული სირთულეებისთვის. ანასტასიამ მტკიცედ გადაწყვიტა, დასდგომოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზას, ჩაბმულიყო მაშინდელი ცხოვრების ფერხულში. პირველი მცდელობა მწერლობა იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ძმამ, გიორგიმ, დაუწუნა ნამუშევარი, რადგან არის ანასტასიას წერილი ძმისადმი, სადაც იგი წერს: „რად დასცინი ჩემს სამწერლობო ნიჭს? დამიჯერე, პრეტენზიაც არა მაქვს მასზე და განა მართო ამით შეიძლება საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა? („საარქივო მასალები მე-19 ს. 70-იანი წლები“, 1965: 106). ანასტასია თუმანიშვილი გრძნობდა, რომ საზოგადოების გამოცოცხლების ეტაპი იწყებოდა. გამოიცემოდა ჟურნალ-გაზეთები: „დროება“, „კრებული“, „ტიფლისკი ვესტნიკი“. მოდიოდა ახალგაზრდა თაობა ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით, ლიბერალ ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის განვითარების ახალი მოდელი მოჰქონდა: უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, სათავადაზნაურო ბანკის დაარსება, საგლეხო რეფორმა, სწავლა-განათლება ყველას, სკოლები ყველა სოფელს. ჯერ კიდევ არ არსებობდა მუდმივი თეატრალური სცენა (1878-1879 წლებში წარმოიშვა). თბილისის არტისტული ჯგუფი აწყობდა საჯარო ლექციებს იმ დანიშნულებით, რომ გაეწიათ უმაღლესი სასწავლებლის მაგივრობა. ლექციას კითხულობდნენ ძირითადად ადგილობრივი მასწავლებლები, ჩამოსული მეცნიერები. 1871 წელს დაიწყო ლექციების კითხვა. ახალგაზრდა მეცნიერი, მედიცინის დოქტორი, ი. რ. თარხან-მოურავი, რომელიც კითხულობდა ლექციებს ცოცხალი სხეულის სხვადასხვა ორგანოების აღნაგობასა და ფუნქციებზე, ატარებდა ცდებს ცხოველებზე, იზიდავდა მსმენელს მარტივად გასაგები და საინტერესო საუბრით:

„ამჟამად თბილისს სხვა საქმე აღარ აქვს გარდა თარხნიშვილის ლექციებისა. ყველამ გაიღვიძა, პირველ ლექციაზე 200 კაცმა მოიყარა თავი. ბოლო ლექციაზე 600 მსმენელი მოგროვდა. რა თქმა უნდა, მანდილოსნები სჭარბობენ“, - ეს ბარბარე თუმანიშვილის წერილია ძმასთან მიწერილი (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ანასტასია თუმანიშვილის ფონდი N11 1871.7.11). ანასტასია ხშირად დადიოდა ძმასთან და დასთან ერთად ლექციებზე. „ტასო ისეთი აღტაცებულია ლექციებით, სიხარულისაგან დაფრიალებს“, - ბარბარემ ანასტასიას სიხარულიც შეატყობინა ძმას (1871:22.10). თარხნიშვილი ახალი მეთოდებით ცდილობდა, გზა გაეკვლია ადამიანებისათვის ფიზიოლოგიაში, დაენახვებინა მსმენელისთვის გარემოსა და ადამიანის ურთიერთკავშირი. „ადამიანის ყველა მოქმედება წარმოიქმნება გარეგანი გარემოს გავლენით“, - ამბობდა ის. მისი ძირითადი სალექციო კურსი მოიცავდა ადამიანის ნერვული სისტემის, მოძრაობის გაშიფვრას. ეს იყო სიახლე იმდროინდელი ახალგაზრდებისთვის და არა მარტო.

ანასტასია აქტიური მსმენელი იყო. როდესაც თარხნიშვილმა ლექციების კურსი დაასრულა, ანასტასია თუმანიშვილმა ხელი მოაწერა ლექციების გაგრძელების მსურველთა 120-კაციან სიას. თარხნიშვილის ლექციებმა მაშინდელ ახალგაზრდობაზე დიდი გავლენა მოახდინა. ქალების ის ნაწილი, რომელთაც ინსტიტუტი ჰქონდათ დამთავრებული, ციურიხში სწავლის გასაგრძელებლად წავიდა. ანასტასიამ ცოდნის გაღრმავებას მიჰყო ხელი, დაიწყო ნერვული სისტემისა და ზოოლოგიის შეწავლა, ასევე, თავის ტვინის რეფლექსიები, ლოგიკა, ფილოსოფია. მიხეილ თუმანიშვილს მიაჩნდა, რომ ევროპული ენების ცოდნა აფართოებდა გონების მასშტაბს. ანასტასიას მიაჩნდა, რომ ფრანგულ ენას ვერ ფლობდა სათანადო დონეზე, ამიტომაც სახლში მოიწვია მასწავლებელი, შენიე. ახალგაზრდა ქალი კვირაში ორჯერ ფრანგულ ენაში ამეცადინებდა. ანასტასია აღფრთოვანებული იყო ამ ფაქტით. იგი სწერს ძმას: „გულმოდგინედ ვსწავლობ ფრანგულ ენას, ვწერ ამბებს და ვთარგმნი. ჰოდა, მალე უნდა შევისწავლო, თორემ სირცხვილია; სავარჯიშოდ, რამდენიმე ხნის შემდეგ, შეგვიძლია, ერთმანეთს ფრანგულად ვწეროთ“ (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ანასტასია თუმანიშვილის ფონდი N49 1871.15.12).

1873 წლის შემოდგომიდან ანასტასია გერმანული ენის შესწავლას შეუდგა. მუსიკის სწავლაც გადაწყვიტა და როიალზე ხშირად ამღერებდა პატრიოტული ლირიკის ლექსებს. ამავე 1873 წელს ანასტასია ჩაეწერა ივანოვის ბიბლიოთეკაში და ბევრს კითხულობდა. ოჯახსაც ჰქონდა აბონემენტი ვახმანის წიგნის მაღაზიისა და

ახალ-ახალი წიგნებით ივსებოდა საოჯახო ბიბლიოთეკაც, თუმცა ანასტასია მუდამ იმაზე ჩიოდა, რომ „თბილისში არაფერი არ ხდება, აქ ცხოვრება ფუჭია და უფერული“. მმისადმი მიწერილ წერილში კი ვკითხულობთ: „გარშემო ისეთი სიცარიელეა, საჭიროა, ძლიერი ხასიათი და გონება. ჩვენ იმასდა ვაკეთებთ, რომ ვსხედვართ და ვკითხულობთ მთელი დღეობით. მე წავიკითხე დობროლიუბოვის პირველი ტომი. რამდენი ცოდნა აქვს, მარტივად წერდა“ (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ანასტასია თუმანიშვილის ფონდი N11). ცოტა მოგვიანებით დაწერილ წერილში ვკითხულობთ: „წავიკითხე დობროლიუბოვის „ტემნო ცარსტოვო“, უფრო მეტს მოველოდი. თუ ეს იდეები ჩემთვის საანბანო გახდა, აგრერიგად არ მომეწონა, ან იქნება მე თვითონ ვიყო დამნაშავე“ (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ანასტასია თუმანიშვილის ფონდი N11). მისი კერძო ხასიათის წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ანასტასია სულ კითხულობდა. მისი ძირითადი საქმიანობა თვითგანათლება იყო. „ტასო ზის გარშემოხვეული ერთის მხრით ახლადმიღებული „პეტერბურგსკიე ვედომოსტებით“ და „ნედელიებით“, ხოლო მეორეს მხრით - „დროებით“. და ხარბად ათვალეირებს, თუმცა ამასთანავე დროს უწილადებს გენტნერსაც და თავის საყვარელ გერმანულ ენასაც. ამის გარდა ლექციაზე მივდივართ „კრუჟოკში“, წაიკითხავენ მასწავლებლები ბოკიჰ - ქიმიაზე, გორძიევსკი - სიტყვიერებაზე („საარქივო მასალები მე-19 საუკუნის 70-იან წლები“ 1874: 12.2).

ანასტასია თუმანიშვილი ადრიდანვე დაინტერესებული იყო ბავშვების აღზრდის პროცესით, ეცნობოდა სათანადო ლიტერატურას. ხშირად სწერდა წერილებს ძმას და სთხოვდა, დაწვრილებით ეცნობებინა იქაური (რუსეთის) ამბები სწავლების სისტემაზე. „წავიკითხე ლევ ტოლსტოის სტატია. ისე დამაჯერებლად აკრიტიკებს ახალ პედაგოგებს, რომ სურვილი აღმემრა, ახლო გავეცნო მის მეთოდს, ამიტომ ვაპირებ მისი ანბანის ყიდვას“, - სწერს ძმას. ანასტასიას პედაგოგიკით დაინტერესებაზე დიდი გავლენა მოახდინა სპენსერისა და ალფონსო ესკიროსის აღზრდის თეორიებმა. მათი მთავარი აზრი აღზრდასთან მიმართებით ის იყო, რომ ადამიანის (ბავშვის) განვითარებას მთლად კაცობრიობის განვითარებას ადარებდნენ. აღზრდის პერიოდში ბავშვს უნდა გაევილო ყველა ის საფეხური, რომელიც კაცობრიობამ გაიარა. გონება თავისით უნდა ვითარდებოდეს, ხოლო აღმზრდელი უნდა აწვდიდეს ბავშვს საჭირო საზრდოს. ესკიროსის თეორიები ქადაგება იყო იმისა, რომ ბავშვი დამოუკიდებელი პიროვნებაა. „ბავშვის გაზრდა უნდა მიმდინარეობდეს საზოგადოების რაიმე გავლენის გარეშე (ხელთუბნელი 1941: 24). ასეთმა დიდმა ინტერესმა ბავშვების აღზრდის

მიმართულებით და უცხოური ლიტერატურის კითხვამ საზღვარგარეთ წასვლის სურვილი ანასტასიასაც გაუღვიძა. პირველი მცდელობა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა იყო. თუმცა დედა წინააღმდეგი იყო, მას არ უნდოდა ქალიშვილის გაშვება. დედამ ასეთი ხერხით ანასტასიას წასვლა გადააფიქრებინა: „დღეს ჩემისთანა მხიარული, მგონი, არავინ არ უნდა იყოს. დედაჩემმა დამითმო ერთი ოთახი და დავიწყე ბავშვების სწავლება. ჯერ ექვსის მეტი შეგირდი არ მყავს, მაგრამ იმედია, ჩვენი უბნები შემეჩვევიან და გამომიგზავნიან თავიანთ შვილებს“ („დროება“ 1981: N65-66).

დედამ ანასტასიას სურვილი უცხოეთში წასვლაზე დროებით სხვა მიმართულებით გადაიტანა, თუმცა ანასტასიას დაუდგრომელი და მუდამ ახლის მაძიებელი ბუნება ადვილი დასამორჩილებელი არ იყო. პირადი წერილების გაცნობისას ადვილი მისახვედრია, თუ როგორი ინტერესით არის ანასტასია, ცოტა შურითაც იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მაშინ ციურიხში სასწავლებლად წავიდნენ (ოლივო გურამიშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი). 60-70-იან წლებში შვეიცარიაში, ციურიხში, ბევრი სტუდენტი სწავლობდა. იქ რუსეთისა და ევროპის ემიგრაციის ცენტრი იყო. ანასტასიასაც, რა თქმა უნდა, გაუჩნდა წასვლის სურვილი. სულ ეძებდა ამის შესაძლებლობას და დროს, როგორმე გაენდო მშობლებისთვის თავისი განზრახვა, თუმცა მის ცხოვრებაში ერთი მძიმე რამ მოხდა. 1873 წელს გარდაიცვალა ანასტასიას და, ბარბარე. ანასტასიამ ისე განიცადა თურმე მომხდარი, ეშინოდათ, დარდით არ გადაჰყვეს ამ ამბავსო. 1875 წელს გარდაეცვალა მამა - მიხეილ თუმანიშვილი. წასვლის დრო აღარ იყო, ანასტასია დედას მარტო ვერ დატოვებდა, ამიტომ, როდესაც მისი ძმა, გიორგი, დაბრუნდა სამშობლოში, ანასტასიამ მაშინ გადაწყვიტა წასვლა.

1876 წელს ანასტასია ჩავიდა ჟენევაში (შვეიცარია). ის ძირითადად ბავშვების აღზრდის ხერხებს ეცნობოდა. ჟენევიდან საფრანგეთში წავიდა. საფრანგეთში განსაკუთრებულად აინტერესებდა, თუ როგორი იყო იქ ბავშვთა აღზრდის მეთოდიკა. იმყოფებოდა რამდენიმე სკოლაში, აინტერესებდა, თუ როგორ იმართებოდა პროცესები პრაქტიკულად. გაეცნო სკოლამდელი აღზრდის მეთოდებსაც „როცა წავედი, - წერს ის, - ვიგრძენი, ავადმყოფი დედის მიტოვებას ვერ შევძლებ და არც იმედი მქონდა, რომ ექვს წელს შევძლებდი უმოქმედოდ ყოფნას და ისეთი სწავლის შეძენას, რომელიც უფრო ჯიბეს გამოადგებოდა“ („ერი“ 1910: N2). ანასტასიამ, როდესაც რეალურად ნახა და

შეისწავლა მდგომარეობა, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება აღარ მოისურვა და გადაწყვიტა, მალევე დაბრუნებულიყო საქართველოში და საქმის კეთება დაეწყო.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ანასტასია თუმანიშვილმა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება დაიწყო. იგი ჩართული იყო ქვეყნისთვის საჭირო ყველა საქმეში, მუშაობდა დღედაღამ, მისი თვალი და ყური სწვდებოდა და ისმენდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო იმდროინდელი სწავლა-აღზრდის მიმართულებით. 1879 წელს იგი ღიად, პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე თავისი ნაშრომით „თარგმანი ფრანგულიდან ვალტერ სკოტის „ჰირლანდიელი ქვრივი“ („მოთხრობანი“ გამოც. ქართველ მთარგმნელ ქალთა მიერ). 1884 წელს გახსნა სოფელ ხელთუბანში სკოლა. 1886 წელს ანასტასია თუმანიშვილმა საკუთარი სახსრებით იყიდა ნაკვეთი, სადაც ბავშვებისთვის საერთო საცხოვრებელი, საფუტკრე და ბაღი გააშენებინა. 1883 წელს ანასტასიამ სხვა ქალებთან ერთად შექმნა საზოგადოება, რომელიც ეხმარებოდა გაჭირვებულ მასწავლებლებს. 1883 წელს „დროებაში“ N225 დაიბეჭდა ანასტასია თუმანიშვილის წერილი „საზოგადოების საყურადღებოდ“. იგი გამოეხმაურა ქალთა ჩაგრულ ყოფას, ღიად დააყენა საკითხი მათი მძიმე შრომის პირობების შესახებ. 1886 წელს ანასტასია თუმანიშვილი აირჩიეს „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების“ ხელმძღვანელად.

1890 წელს ანასტასია თუმანიშვილი აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად. ანასტასია თუმანიშვილმა 1890 წელს გამოსცა პერიოდული, საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“. 1891 წელს ანასტასია თუმანიშვილისა და ეკატერინე მელიქიშვილის თაოსნობით გაიხსნა პირველი სამკითხველო კუკიის უბანში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ანასტასია მაინც არ ჩერდებოდა. პარალელურად ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას („რობინზონ კრუზოს“ თარგმანი, რომელიც სამჯერ გამოიცა; ჩარლზ დიკენსის „დავით კოფერფილდის“ ნაწყვეტები; „რიკი-ტიკი-ტავის“ თარგმანი...) გამოსცა საბავშვო წიგნები: „მოლალური“, „ხუთი ამბავი“, „ხატაური“ (რადიარდ კიპლინგი). მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ნათელია, თუმცა ეს გზა არც ისე ადვილი იყო, მით უმეტეს, ქალისთვის. ეკატერინე მელიქიშვილი წერს თავის მოგონებებში: „ტასო მეტყოდა - კატო, დღეს ბანკის წლიურ მოგებას ანაწილებენ, წავიდეთ, ვნახოთ, გავიგოთ, ვინ რას იტყვის ქალების სასარგებლოდ“ (ლიტ. მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, ეკატერინე მელიქიშვილის წერილები N22-96), მაგრამ თურმე იქ მისულები ვერ ბედავდნენ ხმის

ამოღებას. ძალიან განიცდიდნენ ამ ფაქტს: „გვინდოდა, ჩვენი აზრი და გულისტკივილი გვეთქვა, მაგრამ ვერ ვბედავდით“. ამიტომაც იყო, რომ ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი და ანასტასია თუმანიშვილი კალმით და ღია წერილებით დაუპირისპირდნენ ამ მდგომარეობას, შეადგინეს ქალიშვილთა წრე და თარგმნიდნენ ისეთ ლიტერატურას, რომელიც ამხელდა ქალთა უუფლებო მდგომარეობას და ეწეოდა ქალის შესაძლებლობათა პროპაგანდას. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქალების მდგომარეობას შეცვლიდა. ამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებდა, ეხმარებოდა ქალ მასწავლებლებს: „რა საშუალებით შეიძლება ქალებს ხელი ისე გავუმართოთ, - წერდა ის, რომ შეძლონ თავის დარჩენა? ავადმყოფობის დროს როგორ იშოვოს იმან სესხით ფული“. მას ძალიან აღელვებდა ქალი მასწავლებლების ბედი, განსაკუთრებით მათი, ვინც თავისი შრომით ოჯახებს ინახავდა. ის ყველგან წამოაყენებდა ხოლმე ამ საკითხს და დახმარებას სთხოვდა ყველას, რათა როგორმე შეემსუბუქებინა ქალის მძიმე ტვირთი. არწმუნებდა სოფელში გლეხებს სწავლის აუცილებლობაში და რომ ქალების განათლება საჭირო და აუცილებელი იყო მათი სასიკეთო მომავლისთვის.

სკოლის გახსნისთვის ანასტასიამ ბევრი დაბრკოლება გადალახა. ჯერ გლეხების დარწმუნება იმაში, რომ მომავალი თაობისთვის განათლება აუცილებელია, რადგან ისინი იქ სკოლის საჭიროებას ვერ გრძნობდნენ. შემდეგ ის სოფლის მამასახლისთან დაასმინეს. მამასახლისი სოფლის მცხოვრებლებს მიემხრო. ანასტასიამ ძალიან ინერვიულა ამაზე და მძიმედ ავად გახდა. ხელთუბნიდან თბილისში დაბრუნდა, როგორც კი გამოჯანმრთელდა, კვლავ საქმეს დაუბრუნდა. „აშენებას დიდი ძალ-ღონე მოუწია, ყველას ველრიჯებოდი და ვისაც მოვატანიხებდი ტივებს, უსათუოდ საუკეთესოს თავად მიმაღავდნენ. ქვიშისა და ქვის მოსატანად ფარაჯები უნდა მეყიდნა, სამირკვლის მოსათხრელად ღვინო უნდა დამელევიებინა. კალატოზი, რომელსაც ფული წინდაწინ წაღებული ჰქონდა, უცებ მოკვდა“. (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ფ. ანასტასია თუმანიშვილის ფონდი N473). ასე აშენდა შენობა, რომელშიც სხვა სოფლებიდან სწავლისთვის მოსული ბავშვები უნდა დაბინავებულიყვნენ. პირველ ოქტომბერს სკოლის გახსნაც საზეიმოდ დაიგეგმა. ანასტასია განიცდიდა და ნერვიულობდა სტუმრების პატივისცემაზე, რომელთა შორის იყვნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო დიასამიძე, იოსებ დავითაშვილი (იოსებ დავითაშვილს თავისი ხელით გაკეთებული სახაზავები უჩუქებია სკოლისთვის). ბავშვებს ეცვათ საზეიმო სამოსი, ღარიბ ბავშვებს ანასტასიამ თავის ხელით შეუკერა ტანსაცმელი). სკოლა გაიხსნა, მაგრამ მთავარი პრობლემა წინ

იყო - ანასტასიას მოწვეული მასწავლებელი გამოუცდელი აღმოჩნდა, ბავშვებს ფიზიკულტურულ ვარჯიშებს ასწავლიდა და ამ ფაქტმა მშობლების უკმაყოფილება გამოიწვია. ანასტასია იძულებული გახდა, სხვა პედაგოგი მოეძებნა. მალევე ხელთუბნის სკოლაში მასწავლებლად თედო რაზიკაშვილი იწყებს მუშაობას. თავადაც პოეტი, შესანიშნავი მოსაუბრე, უბრალო, მარტივი ენით გადასცემდა ბავშვებს ამბავს. 15 წელი იმუშავა თედო რაზიკაშვილმა ხელთუბნის სკოლაში. ანასტასია მუდმივად თვალ-ყურს ადევნებდა სკოლის საქმიანობას, ხშირი მიმოწერა ჰქონდა თედო რაზიკაშვილთან; ცდილობდა, არაფერი გამოჰპარვოდა, სკოლისთვის დროულად მიეწოდებინა საჭირო მასალა, რადგან ხშირად ჩასვლას ვერ ახერხებდა. თუ ვინმე სკოლას დაამთავრებდა, ცდილობდა, ჩასულიყო და საჩუქარიც გადაეცა სკოლადამთავრებულისთვის. ცნობილია, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ მოაწყო ლატარია, რაიმე სარგებელი რომ მოეტანა საზოგადოებისთვის. ანასტასიამ გამოითხოვა ხელთუბნის სკოლიდან მოსწავლე გოგონების საუკეთესო ნამუშევრები და მონაწილეობა მიიღო გათამაშებაში, რათა ცოტა რამით დახმარებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. „ამ ცოტა ხანში იწყება „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლო ლატარია და გთხოვთ, საჩქაროდ მოგვაწოდოთ სკოლის ხელსაქმეები, რომლებიც ხეირიანია და შეთავებული. ისე გაახვიეთ, რომ არ დაიფანტოს“ (დოკ. 20\2 254 12-4 1896 წ.).

არსებობს თედო რაზიკაშვილთან მიწერილი ანასტასია თუმანიშვილის წერილების მთელი წყება, საიდანაც ირკვევა, თუ როგორ ზრუნავდა ანასტასია სკოლის მდგომარეობაზე, სასწავლო პროცესზე. რამდენიმე საინტერესო წერილია მათი მიმოწერიდან: „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ ორი დღის წინ გადაუწყვეტია, რაც მეტი წიგნები და დაფებია, საზოგადოებას უკან დაუბრუნდესო. ხოლო ანასტასია თუმანიშვილს, სკოლის მზრუნველს, გადაეცეს 25 მანეთი. ამისთვის იყიდოს სკოლისთვის როგორც ორი ჯიბის დანა, ისე რაც აუცილებელი საჭირო იყოს. მე ჯერ ძალიან შევწუხდი-აქედან, იქ რას გავაწყობ-მეთქი, მაგრამ რაკი თქვენც გამოუცდელი ხართ მებელის ყიდვაში, ასე გადავწყვიტე: გორში მყავს ერთი კარგი ნაცნობი ოჯახი ექიმი ფურცელაძისა, იმისი ცოლი ჩემი კაი მეგობარია და ყიდვაში გამოცდილი ქალია. სახელი გახლავთ ეკატერინე. იმასაც ახლა მივწერ წერილს და როდესაც გინდათ ნახეთ, გამოართვით მებელის და დანების ფული და როცა მებელს იყიდის, ან გააკეთებინებს მამასახლისს, უბრძანეთ, უქმ დღეს ჩააგზავნოს ურემი და ამოატანინეთ. თქვენ მხოლოდ ჩაიბარეთ, მიღებული ნივთების სია გამოუგზავნეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოებას“... იმავე წერილში ვკითხულობთ: „აქ მომზადებული მაქვს გაზეთები და წიგნები სკოლისთვის, საწმენდი ტილოები. როგორც რომ წამომსვლელს ვიშოვნი, მოგაწვდით. იმედი მაქვს, სკოლაში სწავლას კარგად წაიყვანთ და მოწერის დროს მაცნობებთ, როგორ მიდის სწავლის საქმე. შემის თაობაზე ვიყავი „უპრავლენიაში“. თუ საქმე გვიანდება, ნახეთ ჩვენი სოფლის პრისტავი, რომელიც ახლად არის დანიშნული, სთხოვეთ, ის დააჩქარებინებს. ჩვენი სკოლის მზრუნველია კნ. ასიკო ერისთავი, ახლა აპირებს სოფელ რეხაში დასახლებას, უთუოდ როგორც მპირდება, ხშირად გნახამსთ. იქნებ პრიუტის საქმე როგორმე მოაწყობთ“ (ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის წერილები...1890: დოკ. 20\9 230).

მასწავლებლებზე რომ ზრუნავდა, ეს მისი ბიოგრაფიიდან ჩანს. თედო რაზიკაშვილისადმი მიწერილ წერილში კი ვკითხულობთ: „ერთი რამ მაწუხებს, რომ უფულოდ იქნებით. მანდ რომ ვიყავ, მინდოდა, სესხით მომეცა თქვენთვის ფული, მაგრამ ვეღარ გაგიბედეთ თქმა. ეხლა თუ გჭირთ, სთხოვეთ ფურცელადის ცოლს, ჯამაგირის მიღებამდე გასესხებთ. ამის თაობაზე მივწერ“ (წერილები..1890: დოკ.20\9 230) - „მაბათს ვაპირებ ხელთუბანში ამოსვლას, იმედი მაქვს, სოფელში დამიხვდებით და სწავლაც იქნება. სხვათა შორის, უნდა ამოვუტანო საჩუქრები იმ ყმაწვილებს, ვინც შარშან გაათავეს სწავლა. აქტი გავმართოთ კვირას. სკოლისთვის წიგნები და რვეულები ტავრით გამოუგზავნიათ, მგონი, კალანდაძის სახელზე“ (წერილები 1892: 15.10 დოკ.20/9 235).

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქალთა გათავისუფლების იდეა ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევდა. საზოგადოებაში ნელ-ნელა გამოჩნდნენ ექიმი ქალები, ქალთა დიდი ნაწილი მასწავლებლის პროფესიას ეუფლებოდა. მართალია, ეს მძიმე შრომა იყო, მაგრამ ქალებისთვის ხელსაყრელ პროფესიას წარმოადგენდა, ნაკლები კონფლიქტი მოჰქონდა ოჯახში. განათლება საკუთარი თავისა და აღზრდა ახალი თაობის ქვეყნისთვისაც სასიკეთო საქმე იყო. ანასტასია თუმანიშვილი მუდამ ქალი მასწავლებლების ქომაგი იყო, მუდამ ცდილობდა, სათანადოდ დაფასებულიყო მათი შრომა, ამიტომაც აირჩიეს იგი „მასწავლებელ ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარედ. ანასტასია ეხმარებოდა გაჭირვებულ მასწავლებლებს, დადიოდა და სთხოვდა ყველას, შემოეწირათ ორგანიზაციისათვის. თავად თუ ვინმე გაჭირვებული მასწავლებლის შესახებ გაიგებდა, ჩუქნიდა თურმე ფეხსაცმელს, ტანსაცმელს. „მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას“ ეხმარებოდნენ ყველა პროფესიის ადამიანები: ექიმები, იურისტები...

ისინი კითხულობდნენ ლექციებს, უწევდნენ მატერიალურ დახმარებასაც ხელმოკლე მასწავლებლებს. მალევე არსებულმა საზოგადოებამ გახსნა საკვირაო სკოლა თბილისში, სადაც დაინერგა სწავლების ახალი მეთოდები. ანასტასია თუმანიშვილი იყო საკვირაო სკოლის მასწავლებელი, დროებით ხელმძღვანელობდა კიდევ ამ სკოლას.

„მასწავლებელ ქალთა ორგანიზაციის“ მიერ მხოლოდ საკვირაო სკოლის პროექტი არ განხორციელებულა. ანასტასიას მიერ წარდგენილი პროექტების მთელი სია არსებობს, რომელთაგან ნაწილი განხორციელდა, ნაწილი - არა. მაგ., შეიქმნა: საბავშვო ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკა მოზრდილთათვის, ასევე, მოხუც მასწავლებელ ქალთა თავშესაფარი.

1891 წლის ზაფხულში ანასტასიამ ახალი ცხოვრება დაიწყო მეუღლე გიორგი წერეთელთან ერთად. მან ჯვარი დაიწერა ხელთუბნის ეკლესიაში. გიორგი და ანასტასია მეგობრობდნენ. ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, ჟურნალ „დროების“ გამომცემლობაში. ერთ საქმეზე ფიქრმა, საერთო ინტერესებმა შეუწყო ხელი მათ ქორწინებას. გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი იმ დროის საზოგადო მოღვაწე იყო, პეტერბურგიდან 1866 წელს დაბრუნდა და მას შემდეგ წერდა, აქვეყნებდა წერილებს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, იყო „დროების“ რედაქტორიც. ის ასწავლიდა ქართულ ენას ქალთა ინსტიტუტში, გაკვეთილებს ატარებდა ყიფიანის კერძო პანსიონში. მიხეილ თუმანიშვილს წაუკითხავს გიორგი წერეთლის „მგზავრის წერილები“ და ყურადღება მიუქცევია ნიჭიერი ახალგაზრდისთვის, მისი გაცნობა მოუსურვებია. გაცნობის შემდეგ გიორგი ხშირად სტუმრობდა თუმანიშვილების ოჯახს. ცხადია, რომ ანასტასიასა და გიორგის მრავალმხრივი მეგობრობა აკავშირებდათ. მაშინდელი საზოგადოება ანასტასიასა და გიორგის შეუღლებას დიდ მოვლენად მიიჩნევდა. ეს იყო ორი ნიჭიერი, მშრომელი და სამომავლო ინტერესების მქონე ახალგაზრდა, რომლებსაც პირად კეთილდღეობაზე მეტად საზოგადოების გამოფხიზლება და ქვეყნის მდგომარეობა აღელვებდათ. „როდესაც ხარკოვში ამბავი მოგვივიდა თქვენი ქორწინებისა, მაშინ ყველამ ვთქვით, ახლა კი „ჯეჯილი“ დაპურდაო“ (ილია ალხაზიშვილის წერილი ანასტასიას, ლიტ. მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი N473. 1892.23.12). ასეთი ხუმრობანარევი სიმართლე უთქვამთ მეგობრებს. გათხოვების შემდეგ ანასტასიას შრომა გაორმაგდა, მას დაემატა საზრუნავი - ქმრის მამული იმერეთში, საჩხერის რაიონში, სოფელ გორისში.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ცალკე მიმართულებაა მის ცხოვრებაში. იგი 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჟურნალს, თუმცა მისი დაარსების ისტორიამ და ანასტასიამ რთული გზა განვლეს. 1882 წელს საქართველოს ეგზარქოსად იანოვსკი დაინიშნა, რომელსაც სპეციალური პროგრამა ჰქონდა შედგენილი, თუ რა გზებით შეძლებდა ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლებას. მისი წერილი „სასწავლო გეგმა დაწყებითი სკოლის ადგილობრივ მოსახლეობას შორის და ამ სკოლაში რუსული ენის დაყენება“ ამგვარ შინაარსს შეიცავდა, რომ პირველი კლასის მოსწავლეებს მხოლოდ სწავლების პირველ ნახევარში უნდა ესწავლათ მშობლიური ენა, მეორე ნახევრიდან უკვე რუსული ენა და პატარ-პატარა მოთხოვნები რუსულ ენაზე. ამ ეტაპის შემდეგ სწავლება სულ რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. ასეთი მიმართულების პერიოდში, როცა ჟურნალის დაარსებაზე უარი მიიღეს იაკობ გოგებაშვილმა და ეკატერინე გაბაშვილმა, ანასტასია თუმანიშვილი წერს შუამდგომლობას საბავშვო ჟურნალის გამოცემის ნებართვის შესახებ. ანასტასია ზემოთ ხსენებული საზოგადო მოღვაწეებისგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ მას პრივილეგია ჰქონდა უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. მამამისს სტუმრობდა იანოვსკი ოჯახში და ეს ურთიერთობა არ დაუკარგავს მომავალში. ანასტასიას მმა, გიორგი, მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა.

ანასტასიამ წერილის ნებართვის მიღების მოთხოვნა ამითაც გაამყარა: „ჩემს წიგნებს მინდა პერიოდული გამოცემის ფორმა მივცეო“. 1889 წლის ოქტომბერში ანასტასიამ ჟურნალის გამოცემის ნებართვა მიიღო (შინაგან საქმეთა მინისტრმა პლევემ დაამტკიცა ჟურნალი). 1890 წლის პირველი იანვრიდან ახალი ჟურნალი უნდა დაბადებულიყო. ანასტასიამ სათავადაზნაურო სკოლის შენობაში მოიწვია იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და ახალი ამბავი აცნობა: „ახალი წლის ღამეს კი ანასტასია თუმანიშვილმა თავისთან სტუმრად მიიპატიჟა მეგობრები, შემდეგ უკვე ჟურნალ „ჯეჯილის“ თანამშრომლები: ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ბაქრაძე. დიმიტრი ბაქრაძეს შემდეგი სიტყვები უთქვამს ანასტასიასთვის: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ქალი უკეთ წაიყვანს ამ საქმეს და ბოლოსაც გაიყვანს“ (მინაშვილი 1979: 55). სახელი „ჯეჯილი“ ჟურნალს იაკობ გოგებაშვილის რჩევით დაარქვეს და სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა, როგორც თაობის აღზრდის სიმბოლო. „ჯეჯილის“ პროგრამა ასეთია:

- 1) მოთხოვნები, ამბები, ზღაპრები, ბიოგრაფიები;

2) ლექსები;

3) მეცნიერება და ხელოვნება;

4) ნარევი;

5) წვრილმანი;

6) საბავშვო, პედაგოგიკური, საჭადრაკო თამაშობანი, რებუსები, ამოცანები, იგავები, ანდაზები;

7) ილუსტრაციები;

8) სასიმღერო ნოტები, განცხადებანი.

„ჯეჯილის“ პირველი ნომერი გამოვიდა. ეპიგრაფად წამმღვარებული ჰქონდა იოსებ დავითაშვილის (ხალხოვანი პოეტი) ლექსიდან ორი სტროფი: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო“.

პირველივე ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ბაზალეთის ტბა“, რომელიც პირველად „ჯეჯილში“ გამოქვეყნდა. ანასტასიას იაკობ მანსვეტაშვილის მეშვეობით თხოვნით მიუმართავს ილიასთვის, დაეწერა ჟურნალისთვის რაიმე. ილიას გარდა პირველ ნომერში ბევრმა ცნობილმა სახელმა და გვარმა გაიჟღერა: აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, იაკობ გოგებაშვილმა.

1890 წელს ჟურნალი დიდი ძალისხმევით გამოვიდა. ილია ჭავჭავაძემ კარგი შეფასება მისცა ამ საზოგადოებრივ მოვლენას: „მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალისთვის. არც გული და ჭკუა არის დავიწყებული ერთისაც და მეორისთვისაც. საკმაო შრომაა ჩადებული. „ჯეჯილის“ რედაქციას ძალიან კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენი მოზარდი თაობისთვის“ („ივერია“ 1890: N1). ანასტასია ზრუნავდა ჟურნალის ყოველ ნომერზე, ეძებდა რუსულ ჟურნალებში საინტერესო მასალებს, რომ გადაეთარგმნა. სთხოვდა მწერლებს გამოეგზავნათ „ჯეჯილისთვის“ მასალები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სპეციალურ განყოფილებას მცირეწლოვანთათვის. „ჯეჯილის“ ათი წლის იუბილისადმი მიძღვნილ საღამოზე ანასტასიამ ფართო საზოგადოებას დაწვრილებით გააცნო თავისი მიზნები: „ათი წელი შესრულდა, რაც მე ჟურნალ „ჯეჯილს“ გაწოდებთ საკითხავად. მე და ჩემი თანამშრომლები ვცდილობდით, რომ თქვენ დედაენაზე წერა-კითხვა გესწავლათ და დედ-მამისა და ძმების, სამშობლოს სიყვარული ჩაგნერგოდათ გულში. ჩვენ გვსურდა, კითხვა შეგყვარებოდათ, შეჩვეოდით მას უსაქციელო დროის გატარების მაგივრად. „ჯეჯილიდან“ კარგი ამბების ამოკითხვით სიამოვნებით გაგეტარებინათ დრო, თავი

შეგექცივნათ და ჭკუა გესწავლათ“ („ჯეჯილი“ 1900: N1). აკაკი წერეთლის შეფასებით, „არც ერთი ყოველთვიური ან დროგამოშვებითი გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისე სათანაგრძნობო ჩემთვის, როგორც ეს პატარა ჟურნალი. უნიკალური ქვეყნად არ რა არის რა, მაგრამ ის არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საყმაწვილო ჟურნალი უხეიროდ გამოდიოდა. აბა, დააკვირდით ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენს მწერლებს, თუ ყველა ნაწარმოები სხვისი ნასუფრალი არა გამოდგეს. საკვირველია, რომ იგივე ავტორები, როცა საყმაწვილოს რასმე წერენ, მაშინ კი თითქო თავის საკუთარ კალაპოტში დგებიან. ბავშვების ბუნება და მოთხოვნილება ყველგან ერთი და იგივეა, ამიტომ საბავშვო რამეში მიბადვა არ ეჩხირება კაცს თვალში“ („ჯეჯილი“ 1899: N12). ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს ჟურნალის დამსახურება და სწორი გზით სიარული.

„ჯეჯილი“ ხშირად იყო პოლემიკის ობიექტი, რადგან ანასტასია თავის ჟურნალში დაბეჭდილი მასალით ბავშვებს აწვდიდა ყველა სახის ინფორმაციას, აჩვენებდა კარგსა და ცუდსაც, აჩვენებდა ცხოვრების სირთულეებს. დადებითი გმირების გვერდით ყოველთვის იყვნენ უარყოფითი გმირები, სიკეთეს სჭირდებოდა ბოროტების დამარცხება, ადვილად არ მიიღწეოდა დასახული მიზნები. 1898 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ლ. ბოცვაძის ფელეტონი, სადაც გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბავშვებისთვის მიწოდებული მასალა უნდა იყოს ისეთი, რომ ბავშვებს საინტერესო ცხოვრებისკენ უბიძგოს, მომავლის შიში გაუქროს, რათა ცხოვრება მშვენიერად აღიქვანო. ბავშვის გონება ისეთია, ცდუნებამ არ წაიტყუილოსო. რა თქმა უნდა, ანასტასია თუმანიშვილს პასუხის გარეშე არ დაუტოვებია არც ერთი წერილი. ის სულ ამბობდა და წერდა, რომ ბავშვი ესაა პიროვნება და მან ადრეული ასაკიდანვე უნდა იცოდეს ცხოვრების დაბრკოლებების შესახებ, არ უნდა გავზარდოთ თვალეზავიანი, უნდა იცოდეს, რომ ცხოვრება რთულია, უნდა შევაჩვიოთ რეალობას, იმ გარემოსა და სოციალურს, რომელშიც ცხოვრება უწევთ.

როგორც არ უნდა იყოს, ჟურნალ „ჯეჯილის“ როლი დიდია, რადგან 1) ქართული საბავშვო ჟურნალი აქამდე არც არსებობდა და საბავშვო ლიტერატურასაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა; 2) საბავშვო ლიტერატურა, როგორც ცალკე მიმდინარეობა, არ იყო ჩამოყალიბებული.

ანასტასია თუმანიშვილი, როგორც პედაგოგი ფიქრობდა, რომ ბავშვებს უნდა ჰქონოდათ ცალკე საკითხავი, საინტერესო ლიტერატურა, რომელიც მათ პერიოდულად

მიწოდებოდათ და კითხვის ჩვევას, სწავლის სურვილს, ქართული ენის სიყვარულს ჩაუნერგავდა.

ანასტასია თუმანიშვილის სარედაქტორო საქმიანობა მხოლოდ „ჯეჯილით“ არ შემოიფარგლება. 1893 წელს ანასტასიამ და მისმა მეუღლემ, გიორგი წერეთელმა, დაარსეს ყოველკვირეული ჟურნალი „კვალი“. ახლად დაქორწინებული ცოლ-ქმარი ხაშურის რაიონის სოფელ ბრილში იმყოფებოდა სტუმრად ნიკო დიასამიძესთან. ნიკო ანასტასიას ოჯახის ნათესავი იყო. შეძლებული მემამულე, საზოგადო საქმის ქომაგი და გულშემატკივარი, არ ზოგავდა ფულსა და შესაძლებლობას სალიტერატურო გამოცემისთვის. ნიკო დიასამიძემ ახლად დაქორწინებულებს დიდი ნადიმი გადაუხადა. ამ საქორწინო ნადიმზე, 1891 წლის 6 სექტემბერს, ჩაეყარა საფუძველი ახალი, ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემის საკითხს. ლხინში მიწვეულმა სტუმრებმა ხელი მოაწერეს შემოწირულობის სიას, გამომცემლად გიორგი წერეთელი დასახელდა. „ნიკოს უნდოდა, ეს შემთხვევა გამოეყენებინა, რათა „ჯეჯილს“ დახმარებოდა“ (ს. მგალობლიშვილი გვ.: 40), თუმცა აღმოჩნდა, რომ ახალი ჟურნალი „კვალი“ იზადებოდა, რომელმაც მომავალში მართლაც დატოვა კვალი ქართული აზროვნების ისტორიაში. ახალი ჟურნალის გამომცემელიც ანასტასია იყო. თავიდან „კვალი“ „ჯეჯილის“ დამატებად გამოდიოდა, მაგრამ ეს ფაქტი არ გამოჰპარვია საცენზურო კომიტეტს. მალევე შეცვალეს პოზიციები, ყოველკვირეული ჟურნალი „კვალის“ დამატებად აქციეს ჟურნალი „ჯეჯილი“. 1894 წლამდე ჟურნალები „კვალი“ და „ჯეჯილი“ ერთმანეთის დამატებად გამოდიოდა. 1894 წელს ჟურნალი „კვალი“ დახურეს, როგორც „მეფის რუსეთისთვის მავნე აზრების მატარებელი“. მის კვალს გაუყენეს მისივე დამატება „ჯეჯილი“. ანასტასიამ დაიწყო ბრძოლა „ჯეჯილის“ აღდგენისთვის. ექვსი თვე გრძელდებოდა პროცესი, თუმცა ანასტასია ამ ექვსი თვის განმავლობაში არ გაჩერებულა და კეკე მელიქიშვილთან, ალექსანდრე სარაჯიშვილთან, ნიკოლოზ ავალიშვილთან ერთად საბავშვო წიგნების გამომცემლობა „სხივი“ დაარსა. 1902 წელს თბილისში გაიხსნა ახალი ქალთა სკოლა, რომელიც შემდეგ მისი მისამართის მიხედვით „ყაზბეგის სკოლად“ იწოდებოდა. რუს მასწავლებელ ქალთა ჯგუფს პატარა სკოლა ჰქონდათ ვერაზე გოგონებისა და ბიჭებისთვის. სკოლა ქალაქის დახმარებით სარგებლობდა. სკოლას საზოგადო მოღვაწე ქალი ოლღა კაიდანოვა ხელმძღვანელობდა. მოხდა ისე, რომ სახსრების უქონლობის გამო სკოლა იხურებოდა. ანასტასიას ინიციატივით, მოლაპარაკება გაიმართა კაიდანოვასთან. კაიდანოვამ დაუთმო მათ

მიწის ნაკვეთი, რომელზედაც სკოლა და მოხუც მასწავლებელთა თავშესაფარი ააშენეს. ანასტასიას ძალისხმევით სკოლამ 1908 წლამდე იარსება. იყო მუდმივი დავა იმაზე, თუ რა ენაზე უნდა ყოფილიყო სწავლება. ანასტასიამ ბევრი იბრძოლა, მაგრამ ბოლოს სკოლა მაინც დაიხურა. 1905 წელს სოფელ ხელთუბნის სკოლაც დაიხურა. რევოლუციური პროპაგანდისტების თედო რაზიკაშვილი დაიჭირეს, სკოლაში დამსჯელი რაზმები ჩააყენეს და შენობა და ეზო მთლიანად ააოხრეს.

1908 წელს ანასტასია თუმანიშვილის ინიციატივით დაარსდა საზოგადოება „განათლება“, რომელიც სახალხო განათლების საქმეს ემსახურებოდა და დიდი წვლილიც შეიტანა ამ საქმეში. საზოგადოებას მრავალი ქველმოქმედი გამოუჩნდა, რომელთა შემწეობითაც ანასტასია ქალთა სკოლას ინახავდა, მასთან არსებულ პროფესიულ განყოფილებებს ეხმარებოდა. მან, ასევე, ჩამოაყალიბა სამხატვრო სახელოსნო.

ანასტასია 75 წლის ასაკშიც არ ისვენებდა. იგი ჩაერთო სახელმწიფო კომისარიატის მუშაობაში საბავშვო წიგნების გამომცემლად. მისი ხელშეწყობით გამოიცა ქალთა აღმანახის რამდენიმე ნომერი. ასევე, სურდა ჩამოეყალიბებინა ძიძათა კურსები სახელწოდებით „აკვანი“, სადაც ახალგაზრდა ქალები დაწვრილებით შეისწავლიდნენ ბავშვის აღზრდისა და მოვლის საქმეს, ლექციას წაიკითხავდნენ საუკეთესო პროფესორები და ექიმები. „ქართველი ახალგაზრდა ქალი გამოიფიტა, - წერდა ანასტასია თუმანიშვილი, - ის თავის ჯანმრთელობას ყურადღებას არ აქცევს, არც იცის ბავშვის მოვლა, მისი გაჩენა აშინებს. ეს ჩვენ გვლუპავს. ნუთუ არ უნდა ვუპატრონოთ ამ საქმეს? გავწიოთ პროპაგანდა ყველამ, რომ ჩაეწერონ მსმენელებათ“.

(„ქართველ მწერალ ქალთა აღმანახი“, 1926: 138). ლექცია უნდა ჩატარებულიყო მაშინდელი შრომითი სკოლის შენობაში, სადაც პარალელურად მიმდინარეობდა კურსები საბავშვო ბაღის მასწავლებელთათვის. ანასტასია თურმე გახარებული იდგა სკოლის შესასვლელთან, მოსულან ახალგაზრდებით. მას თვალები უბრწყინავდა, ამდენ დაინტერესებულ ქალს რომ ხედავდა, მაგრამ ისინი საბავშვო კურსებისკენ გარბოდნენ. ლექცია მაინც ჩატარებულა. ეკატერინე მესხი, თავად ანასტასია თუმანიშვილი, სოფიო კალანდარიშვილი და ერთი-ორი ყოფილა კიდევ. სიამოვნებით ისმენდნენ ლექციას, რომელიც პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა („მწერალ ქალთა აღმანახი“, 1926: 138).

ანასტასიას პუბლიცისტიკიდან რამდენიმე წერილია მნიშვნელოვანი. უპირველესად აღსანიშნავია 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი „ინსტიტუტკას

დღიური“, რომელიც კარგ ინფორმაციასა და მასალას იძლევა ანასტასიას პიროვნების შესახებ და იმდროინდელ თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების ფიქრებსა და სურვილებსაც ამხელს. „ინსტიტუტკას დღიურებიდან“ გასაგები ხდება ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც ანასტასიას ბიოგრაფიას ქმნის. გარდა ავტობიოგრაფიული ნაწილისა, წერილიდან შეიძლება გამოიყოს მაშინდელი ახალგაზრდების გასართობი ადგილები და ის პრიორიტეტები, რომლებისთვისაც საზოგადოება აღნიშნულ ადგილებს სტუმრობდა. ეს იყო „სობრანია“ და „კრუჟოკი“. „კრუჟოკში“ შედარებით მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები იყრიდნენ თავს. ქალები ერთმანეთს ჩაცმა - დახურვასა და სილამაზეში ეჯიბრებოდნენ. „ერთხელ მოუკაზმავი მივედი. ბრჭყვიალა, ვარაყიან სახლში რომ მოსულხარ, ფერუმარილიც კარგად წაგეგლისაო. არ იცი, რომ აქ ღიმილიც კი ნასესხები აქვთ? სულ ამას ლაპარაკობდნენ. იმას რა კარგი კაბა აცვია, რა სასიამოვნოა ამ კაცთან ცეკვა, რომელსაც ხვალ თავსაც არ დავუკრავ. დღეს როგორღაც მხიარულება არ არის“ („დროება“ 1881: N66)... ცხადია, ანასტასიასთვის მოსაბეზრებელი იქნებოდა ასეთი ადგილები. მას ქვეყნის ბედი აფიქრებდა, სურდა, თავისი შრომით რამეში გამოსდგომოდა ქვეყანას. როგორც ჩანს, ხშირად საყვედურობდნენ მეგობრები: „რა არის ქალო, ეგრე გამოცვლილხარ, აღარ გვეკარები. ან ავი თქვი ან კარგი“. ანასტასიას ფიქრები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას უკავშირდებოდა: „მე სულ სხვა დროს ტარება მომწონდა. სიხარული იქ არის, საცა ორიოდ ქალი და კაცი შეიყრება და თავიანთ მდგომარეობაზე და წიგნებზე ლაპარაკობენ“, - წერს ის („დროება“ 1881: N66). ასეც მოხდა, ანასტასია თუმანიშვილმა თავისი ცხოვრება, ძირითადად, მომავალი თაობის სწავლა-განათლების საქმეს დაუკავშირა.

როგორც უკვე ითქვა, „ჯეჯილი“ 1895 წელს დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სწორედ ამ ფაქტის გამო გამოაქვეყნა ანასტასია თუმანიშვილმა წერილი სათაურით „მკითხველების საყურადღებოდ“. „ნუთუ მართლა ასე გაღარიბდა ჩვენი ქვეყანა და ცხოვრება, რომ საყმაწვილო ჟურნალი ვერ ვასულდგმულოთ. ნუთუ ასე გულცივად უნდა მოვექცეთ ჩვენი ქვეყნისთვის ამ მეტად სასარგებლო საქმეს და მით გავუხადოთ საეჭვოდ და საფიქრალად მას თავისი არსებობა?“ („ჯეჯილი“ 1895: N5). თითქოს გამოაფხიზლა საზოგადოება ანასტასიას განგაშის ზარმა. „ჯეჯილს“ გამოუჩნდნენ გულშემატკივრები, განსაკუთრებით მოსკოველი სტუდენტები. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, ეთარგმნათ და ცალკე წიგნებად გამოეცათ საბავშვო

ნაწარმოებები, მაგრამ რომ გაიგეს ჟურნალს საფრთხე ემუქრებოდა, გადაწყვიტეს თარგმნილი მასალა ჯერ ჟურნალში დაებეჭდათ. „სასარგებლო საბავშვო ჟურნალის მოსპობა ძალიან სანანებლად მიგვაჩნია, - იწერებოდნენ მოსკოვიდან, - ყოველი ქართველისთვის სამწუხარო უნდა იყვეს, რომ ცარიელზე დარჩნენ ეს ცქრიალა ცნობისმოყვარე ბავშვები, რომელნიც გაფაციცებით ელიან ხოლმე ყოველ ნომერს „ჯეჯილისა“ (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ანასტასია თუმანიშვილის ფონდი N486).

1897 წელს დაიბეჭდა ანასტასიას ღია წერილი მოსკოველი სტუდენტების მიმართ. წერილის შინაარსი მაღლიერების გრძნობის გამოხატულებაა. „სწორედ თქვენი დახმარების იმედმა მაიძულა, ჩემი საყვარელი, მაგრამ უბედური საქმე გავაგრძელო, იმის პასუხად, თუ როგორ წავიყვან საქმეს. უნდა მოგახსენოთ, ხელისმომწერი ისე მცირენი არიან, რომ ჟურნალის არსებობა განსაცდელშია“ („კვალი“ 1897: N10). როგორც ჩანს, წერილით კვლავ დააფიქრა საზოგადოება იმის შესახებ, რომ ერთადერთი საბავშვო ჟურნალი განსაცდელში იყო. „ქართლს, კახეთს, გურია-სამეგრელოს, ამერ და იმერს ამ ერთადერთ საყმაწვილო ქართულ ჟურნალს იმდენი გასავალი, იმდენი ხელისმომწერი არა ჰყავს, რომ მისი არსებობა განსაცდელშია“, - წერდა ის („ცნობის ფურცელი“ 1897: N131).

1897 წელს კვლავ შეექმნა პრობლემები „ჯეჯილის“ ყოველთვიურად გამოცემის საქმეს. ჟურნალ „კვალში“ ანასტასია თუმანიშვილი აქვეყნებს წერილს სათაურით „საზოგადოების საგულისხმოდ“. იგი წერილში მიმოიხილავს „ჯეჯილის“ არსებობის წლებს და თავის თავდაუზოგავ შრომას. „ექვსი წელიწადია, რაც მე ვიკისრე იმისთანა ძნელი საქმე, როგორცაა საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა. იმედი მქონდა, რომ შრომით, საქმის სიყვარულით, ენერჯიის დახმარებით გავიტანდი ამ მძიმე უღელს. ამასთანავე მოველოდი, რომ კრიტიკაც სწორ გზას მიჩვენებდა და საზოგადოება თანაგრძნობას არ მომაკლებდა. „ჯეჯილის“ გამოსვლას პირველ წელს (1890 წ.) სამოცი თუმანი დავადე, არაფრათ მივიჩნიე, მაგრამ დანარჩენმა ხუთმა წელიწადმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო, მაგრამ ადვილი არ არის ამ საქმის მიტოვება, რომელსაც ადამიანი შეაღწევს თავის სულსა და გულს“ („კვალი“ 1885: N48). ანასტასია თუმანიშვილმა, მართლაც, ბევრი იწვალა და თავისი წერილებით, თხოვნებით 30 წელიწადი აცოცხლა ჟურნალი. „ჯეჯილის“ ათი წლის იუბილეს საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა ანასტასია თუმანიშვილმა. სტატიაში „პაწია მკითხველებს“ ვკითხულობთ იმ სურვილებისა და მიზნების შესახებ, რომლებისთვისაც ჟურნალი ათი

წელი გამოდიოდა. პუნქტებადაა ჩამოყალიბებული ის ძირითადი საკითხები, რომელთაც ჟურნალი ახორციელებდა. პირველი დანიშნულება ჟურნალისა იყო ის, რომ ბავშვებს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა ესწავლათ, დედ-მამისა და სამშობლოს სიყვარული ჩანერგვოდათ გულში. მეორე - ეს იყო კითხვის სიყვარული. „ჩვენ გვსურდა, კითხვა შეგყვარებოდათ, შეჩვეოდით მას უსაქციელო დროის გატარების მაგივრად. „ჯეჯილიდან“ კარგი ამბები ამოგეკითხათ, თავი შეგექციათ და ჭკუა გესწავლათ“, - წერდა ის. აქედან ცხადია ჟურნალის დანიშნულება. ჟურნალი განკუთვნილი იყო პატარა მკითხველთათვის, რათა მათთვის ესწავლებინა წერა-კითხვა, აღეზარდა ისინი პატრიოტებად, რათა ისინი გასცნობოდნენ ბევრ საინტერესო ამბავს. ამ ამოცანის შესრულება ადვილი საქმე არ იყო. ანასტასია თუმანიშვილის ცხოვრება და სამწერლობო აპარეზზე მოღვაწეობა მისივე ჩანაწერებით, ალბათ, ყველაზე კარგად შეფასდება. „ახლა თქვენ სიმამაცეზე და სწავლაზეა დამყარებული სამშობლოს ხსნა“, - წერდა ის მომავალი თაობის გასაგონად. „ჩვენ, მოხუცებულებს, სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენი სწავლა-განათლება გულადობასთან ერთად დაიხსნის სამშობლოს და ხელს შეუწყობს მის აყვავებას. კარგად აღზრდილი ადამიანები ესაჭიროება და გამოადგება სამშობლოს. მე თქვენი დედა და ბებია, სულ იმ ფიქრში და ცდაში ვარ, როგორ აღეზარდო თქვენში ძმობა, ერთობა, კაცთმოყვარეობა. შეგაყვართ თქვენი ძვირფასი და ტურფა საქართველო“ (კ. კ. ს. ხ. ე. ც. ანასტასია თუმანიშვილის საარქივო ფონდი N176). ეს შეგონება თავიდან ბოლომდე გასდევს ანასტასია თუმანიშვილის ცხოვრებას.

ანასტასია თუმანიშვილი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საბავშვო მწერალი. მან დიდი ამაგი დასდო ქართულ საბავშვო მწერლობის განვითარებას. ის მუდმივად იყო მომავალი თაობის სწავლა-განათლებისთვის მეზრძოლი და გულშემატკივარი. ანასტასია თუმანიშვილის წერის სტილი მარტივია, ენა - ცოცხალი და ადვილად გასაგები, ფაქტები - ცხადად და უბრალოდ გადმოცემული. მის შემოქმედებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი აქცენტი: 1) სიკეთის - როგორც ჩვევის გამომუშავება ბავშვებში; 2) ბრძოლის ჟინი და შემართება; 3) შრომის ჩვევის გამომუშავება; 4) გაუნათლებელი ადამიანების ნაკლოვანებების ჩვენება; 5) ერთგულების მნიშვნელობა; 6) სიძუნწე, როგორც მავნე ჩვევა. ყოველივე ეს ის თვისებებია, რომლებიც ბავშვებს ადრეული ასაკიდან ცხოვრებისეული მაგალითებით, საინტერესო ამბებით უნდა გამოვუმუშაოთ. ანასტასია თუმანიშვილის პატარ-პატარა

მოთხრობების კრებულია „მოლაღური“, რომელიც 1881 წელსაა გამოცემული. წიგნი ასეა დასათაურებული: „საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოთარგმნილი ანასტასია თუმანიშვილის მიერ“. კრებულში ბევრ საინტერესო ამბავს ამოიკითხავს როგორც ბავშვი, ასევე მოზარდი. ანასტასია თუმანიშვილის მიერ მოთხრობილ ამბებში ცხოველები და ფრინველები გამოყვანილნი არიან სიმბოლური დატვირთვით. მაგალითად: ლომი სიძლიერის გამომხატველია, ძაღლი - ერთგულების, მგელი - ბოროტების, მელა - ცბიერი და მატყუარაა და ა. შ. ცხოველების საუბარი, მათი ურთიერთდამოკიდებულება უფრო შთამბეჭდავია ბავშვებისთვის და დიდ ინტერესს იწვევს მათში.

მოთხრობაში „მოჭიკჭიკე მერცხალი“ მოგვითხრობს ახირებულ ტიტინზე, რომელიც ზოგჯერ შემაწუხებელიც კი იყო მშობლებისთვის. როდესაც ოჯახი ბაღში დასასვენებლად იყო გასული, ნუცამ მერცხლის გაუთავებელი ჭიკჭიკი გააკრიტიკა. მშობლებმა ადვილად მიახვედრეს ნუცა, თუ როგორია სხვებისთვის მისი გაუთავებელი საუბარი. „ნუცა უთავბოლო საუბარს გადაეჩვია“, - გვეუბნება მწერალი. მოთხრობა პატარაა, მაგრამ საინტერესო წასაკითხი ბავშვებისთვის. მოთხრობაში „ჭიანჭველა“ მშრომელი ადამიანის მაგალითი ჰყავს მოყვანილი ანასტასია თუმანიშვილს. ბავშვს, რომელიც გამუდმებით წუწუნებდა და გულსაც ვერანაირ საქმეს უდებდა, ბიძამ ჭიანჭველის შრომა ანახა. ჭიანჭველამ თავისზე დიდი ტვირთი დანიშნულ ადგილამდე მიიტანა, ბევრი იწვალა, მაგრამ საქმეზე თავის დანებება არც უცდია. მოთხრობის მთავარი გმირი, პატარა შაქრო, დააფიქრა ჭიანჭველას შრომამ და გაიფიქრა, ახლა კი ადვილად ვიპოვი საქმესო. ანასტასია თუმანიშვილს სურდა, ასეთი მაგალითებით დაეფიქრებინა ბავშვები თავიანთ საქციელზე. ინტერესი გამოეწვია ცხოველებისა და ფრინველების ცხოვრებისადმი, რათა ბავშვებს ფიქრის უნარი გასჩენოდათ. საინტერესო მოთხრობაა „მტრობის სამაგიერო“. სათაურიც ინტერესს იწვევს. როგორ შეიძლება მტერს სამაგიერო გადაუხადო? პატარა მოთხრობაში კარგადაა ნაჩვენები ის არამიწიერი ქმედება, რაც ერთმა მსახურმა ჩაიდინა. ბატონი და მსახური ქუჩაში მიდიოდნენ, გზაში ვიღაც მათხოვარი მოწყალებას ითხოვდა. მსახური შეეხვეწა ბატონს, მოწყალება მიეცა მათხოვრისთვის და სახლშიც წამოეყვანა. ბატონი აუსრულებს თხოვნას მსახურს. მსახური თავგადადებული უვლიდა მათხოვარს. ბატონს უკვირდა, ეგონა მსახურს მისი ვალი ჰქონდა. ერთხელაც ჰკითხა, თუმცა სულ სხვა პასუხი მიიღო: „არა, ბატონო, უცხო კი არ არის, არც ვალი მაქვს, ეგ ჩემი დაუძინებელი მტერი იყო“. მოთხრობაში კარგადაა

ნაჩვენები სამაგიეროს გადახდის მაგალითი. მისი წაკითხვა გულგრილს ვერ დატოვებს მოზარდს. „გიყვარდეს მტერი შენი“ - მაღალზნობრივი ადამიანური გამოხატულებაა, რომელიც მსახურმა ზედმიწევნით კარგად შეასრულა. გაჭირვებულის დახმარებაზე, კაცთმოყვარეობაზე მოგვითხრობს „ღარიბი მოწყალე ცხენის ამბავი“. ცხენის პატრონი დიდად მოწყალე კაცი იყო, ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა. ცხენიც ჰგავდა პატრონს. ერთხელ პატრონმა ცხენი სხვას ათხოვა. მეზობელი გაბრაზებული დაბრუნდა უკან და ცხენის პატრონს უსაყვედურა: „თუ შენი ცხენით მგზავნიდი, ქისაც შენი უნდა გაგეტანებინა“. ცხენს თურმე პატრონის ქმედება დაუმახსოვრებია და ყველა მათხოვართან და გაჭირვებულთან ჩერდებოდა, სანამ მოწყალეობას არ მოიღებდა მასზე მჯდომი მხედარი. რა თქმა უნდა, ცხენს სიკეთის აღქმა არ აქვს, მაგრამ მეზობელს ნებსით თუ უნებლიეთ გააკეთებინა სიკეთე და დააფიქრა მის ირგვლივ მყოფი ბევრი სხვა გაჭირვებული ადამიანების ცხოვრებაზე.

ანასტასიას სიზარმაცის მაგნი ჩვევაზე არაერთი ნაწარმოები აქვს დაწერილი, მათ რიცხვში შედის „სულელი პეტრე“. პეტრე ზარმაცია. არსად დადის, არც შრომობს, სიღარიბეში ცხოვრობს და ამას მიჩვეულია. გარდაეცვალა ნათესავი, რომელიც ქონებას პეტრეს დაუტოვებს. პეტრე იძულებულია, წავიდეს. გზად მდინარეა გასავლელი. უცოდინრობისა და სიზარმაცის გამო ფიქრობს, რომ იქნება წყალმა დაიკლოს ან სულაც გამოილიოს, მერე გადავა მეორე ნაპირზე. ზის და ელოდება მდინარის გამოღვევას. ამასობაში ქონებას სხვები მისაკუთრებენ. ეს მოთხრობა იმის კარგი მაგალითია, თუ რა შეიძლება დაემართოს ზარმაც ადამიანს. თვითონაც ხომ ვერაფერს შეიძენს, სხვის ნაჩუქარსაც ვერ მოუვლის. სიზარმაცეს ეხება მოთხრობა „თილისმის ყუთი“. აქ გადმოცემულია, როგორ ჩააბა ზარმაცი ქეთევანი „თილისმის ყუთმა“ ცხოვრების ფერხულში. ქეთევანს შერცხვება თავისი სიზარმაცის.

ანასტასია თუმანიშვილს, როგორც ჩანს, სიზარმაცე მიაჩნდა მომავალი თაობის ყველაზე მძიმედ დასაძლევ პრობლემად. ის ყველგან შრომაზე, მოძრაობაზე, მოქმედებაზე ამახვილებს ბავშვების ყურადღებას. „ფულის ქისაში“ ანასტასია თუმანიშვილი მოგვითხრობს ამბავს ერთი პატარა ბიჭის შესახებ, რომელმაც დაკარგა ქისა. მასში ედო ცოტაოდენი ფული, რომ ოჯახში საჭმელი ეყიდა. ბიჭი ტიროდა. მონადირეებმა დაინახეს მტირალი ბავშვი და ამბავი გამოჰკითხეს. მერე ქისები აჩვენეს. მას უნდა ეთქვა, რომელი იყო მისი ქისა, მაგრამ ბიჭმა თავისი ქისა ვერ ამოიცნო. მონადირეებმა სიმართლის თქმისთვის ბავშვს ფული აჩუქეს. გახარებული ბიჭი

სოფელში სიხარულით ჰყვებოდა ამ ამბავს. მისმა თანატოლმა ბიჭმა იფიქრა, მეც ასე მოვიქცევი, მონადირეებს მოვატყუებ და ფულს მაჩუქებნო. ასეც მოიქცევა, მაგრამ მონადირეები ტყუილში გამოიჭერენ და შერცხვენილს გაუშვებენ სოფელში. ტყუილის სასტიკი გამობაა მოთხრობაში, რომელსაც შერცხვენა მოჰყვება.

„მეფის ამორჩევა პირუტყვებში“, „გადია ძაღლი“, „ლომი“, „სხვისი ძრახვა ადვილი ყოფილა“ - ამ მოთხრობებით ანასტასია თუმანიშვილი ცდილობდა, ეჩვენებინა ზნეობრივად მაღალი ადამიანური თვისებების ფონზე ზნეობრივად დაბალი ადამიანური თვისებები. ამ თვისებების მქონე ადამიანების ქმედება ბავშვს თავად უნდა გაეანალიზებინა. ესაა ამ მოთხრობების ძირითადი დანიშნულება. მოთხრობაში „ფერიას გორგალი“ ნაჩვენებია უმადური, სულსწრაფი ადამიანი, რომელსაც სურს, ყველანაირი ამქვეყნიური სიამოვნება სწრაფად მიიღოს. ფერია გორგლის დახმარებით ექვს თვეში ყველა გზას გაივლის, ექნება ძვირფასი სასახლე, ეყოლება შვილები, შვილიშვილები, იცხოვრებს ბედნიერად, მაგრამ მძიმე სენით დაავადდება. სურს სიკვდილი, თუმცა ეშინია გორგალს ძაფი გამოსწიოს და სურვილი უთხრას. მიღებული სიამოვნებით ტკბობა ტანჯვად ექცა. ესაა უმადური ადამიანის ხვედრი, რომელიც მუდამ უკმაყოფილოა იმით, რაც აქვს და უკეთესი მომავლისთვის კი არ შრომობს, სხვადასხვა ხერხით ცდილობს, მიაღწიოს მიზანს, თანაც რაც შეიძლება ჩქარა.

კრებული „მოლადური“ პატარ-პატარა საინტერესო მოთხრობების კრებულს, რომელშიც წამყვანი თემები ერთგულება, მოთმინება და სიკეთეა. აქ დაგმოხილია სხვისი ცხოვრების განკითხვა, ტყუილი, შური. მასში ბევრ სასარგებლოს და საინტერესოს ამოიკითხავს მკითხველი. ეს პატარა მოთხრობები ზრდიდა და აყალიბებდა მოზარდის გონებას, უღვიძებდა ინტერესს ამა თუ იმ ცხოვრებისეულ საკითხზე.

„ხუთი ამბავი“ - ყმაწვილების საკითხავი (ფრანგულიდან გადმოღებული 1888 წ.): პატარა კრებულში მოთხრობილია სოფელში მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებული ადამიანების ყოფა-ცხოვრება. მოთხრობილი ამბები ბატონყმობის შემდგომ პერიოდს ეხება, როცა მშობლები ჯერ კიდევ ეძებენ მდიდარ მემამულეებს, რათა მოჯამაგირედ გაუშვან შვილები და ამით ლუკმაპური მოიპოვონ. პეტრეც ასეთი ბიჭია. მის ოჯახს უჭირს. ერთმა შეძლებულმა ოჯახმა ცხვრების მოსავლელად წამოიყვანა ბიჭი მშობლებისგან. მშობლებს გაუხარდათ, ისინი ფიქრობდნენ, რომ ცხვრების მოვლას შეეჩვეოდა და მერე საქონლის მოვლას შეძლებდა. „პატარა პეტრუა არც ზარმაცი იყო,

არც ცუდი ბიჭი და თავის საქმესაც ბეჯითად ეკიდებოდა“, მაგრამ ერთხელ ამხანაგებში გაერთო და ცხვარი დაავიწყდა. ამის გამო ბატონი ძალიან გაუბრაზდა და დასაჯა. მშვიერი გაუშვა დასაძინებლად. პეტრე საბძელში მიიმალა და დიდხანს ტიროდა. ფიქრობდა გაქცევაზე. გაიქცა კიდეც, მაგრამ კაჭკაჭის ხმა, რომელიც მოეჩვენა, რომ მისი ბატონის ხმა იყო და გაიძახოდა, დააბრუნეთ, დააბრუნეთო, ყურებში ჩაესმოდა. აქ კარგად არის გადმოცემული ბავშვის შიში და განცდა, გადაწყვეტილების მიღებაზე ფიქრი. რა ქნას? - დაბრუნდეს ბატონთან თუ გაუდგეს გზას და დაიკარგოს. ბავშვი ვერ უძლებს მარტოობის შიშს. თუ წავა, ხვდება, რომ მარტოობა ელოდება, უცხო გარემო. ამიტომ იძულებულია, დაბრუნდეს. პეტრე არის ბავშვობაწართმეული ბიჭი. მათი მშობლებიც არ ზრუნავენ პეტრეს მომავალზე. ცხვრის ფარის შემდეგ პეტრე საქონლის მწყემსი გახდებოდა, ესაა მშობლებისთვის პეტრეს განვითარების ეტაპები. მოზარდი მკითხველი აუცილებლად შეიცოდებს პეტრეს, გაითავისებს მის განცდებს, შეიბრალებს და ასეთი ყოფის გაუმჯობესება მოუხდება; დასახავს მიზანს, არ იყოს პეტრესნაირი ბავშვი, ისწავლოს რაიმე საქმე, ხელობა და მოჯამაგირეობის მძიმე ტვირთი არ აიკიდოს პატარა ასაკში.

მოთხრობა „ობოლი ქალის დედოფლის“ მთავარი პერსონაჟი რვა წლის თიკაა, რომელსაც მშობლები გარდაეცვალა და ბიძა ზრდის. მია სვიმონს ორი შვილი ჰყავს - ბაბო და კატო. ბავშვები განებივრებულები არიან, სათამაშოებიც აქვთ, სწავლობენ კიდეც. სასწავლებლად თიკაც მიიყვანეს, მაგრამ თიკა, თავისი ბიძაშვილებისაგან განსხვავებით, გაკვეთილებს რომ დაამთავრებდა, თხა უნდა წაეყვანა სამწყემსად. კატო სულ ეჯიბრებოდა თიკას, მოსვენებას არ აძლევდა, დასცინოდა კიდეც. თიკა ბიძის ხათრით იტანდა. თიკას ოცნება სათამაშო თოჯინა იყო, ბაბომ შეუკერა ბამბისგან და აჩუქა. თიკას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თხას რომ მწყემსავდა, თოჯინა წაიყვანა და კლდეში დამალა, კატოს რომ არ დაეშავებინა მისთვის რამე. ასე ყველასგან ჩუმად თამაშობდა დიდხანს. ერთხელაც დიდი წვიმა მოვიდა და წყალდიდობამ დატბორა ყველაფერი. თიკა ხიდიდან აკვირდებოდა ადიდებულ მდინარეს, ცალ ხელში თხა ჰყავდა თოკით და ებლაუჭებოდა, მეორე ხელში - თოჯინა ეჭირა. ამ დროს საიდანღაც გამოიქცა კატო, სტაცა ხელი თოჯინას და წყალში გადააგდო.

მოთხრობაში ნაჩვენებია სამი პატარა გოგონა, რომლებიც არაფრით არ ჰგვანან ერთმანეთს და სამ სხვადასხვა ტიპს ქმნიან. თიკა - მშრომელი, ერთგული გოგონაა. უყვარს ყველა, ხვდება, რომ ბიძის ოჯახი ზრუნავს მასზე, ამის გამო ითმენს ყველაფერს,

ცხოვრობს თავისი ოცნებებით. ბაბო კეთილი გოგონაა. მას უყვარს თიკა, ცდილობს არ აწყენინოს, შეძლებისდაგვარად დაეხმაროს, თანაუგრძნობს თიკას და ამშვიდებს. კატო შურიანია. იმდენად შურიანი, რომ ბოროტებაშიც კი გადასდის. მას არ მოსწონს, როცა ეუბნებიან, რომ თიკა ლამაზია, სულ ცდილობს თიკას დამცირებასა და დაჩრდილვას; არ აქვს შებრალების უნარი. მოთხრობაში სამივე გოგოს საქციელი ისეა გადმოცემული და ნაჩვენები, მინიშნებაც არ არის, ვინ ჩაიდინა კარგი საქციელი და ვინ - ცუდი. მკითხველმა თავად უნდა გააკეთოს დასკვნები. ანასტასია თუმანიშვილს თავად ჰქონდა ასეთი აღზრდის მეთოდი წაკითხული. არჩევანი თავად უნდა გააკეთოს მოზარდმა, თითონ უნდა განსაზღვროს, ვისი საქციელია კარგი და რატომ, ან პირიქით. მოთხრობებში „ბაბაჯანას ჩუსტები“, „წარწყმინდა წამხედურობამ“ და „ოზი გელდე“ გადმოცემულია იუმორისტული, თავშესაქცევად წასაკითხი ამბები: როგორ მოაკვლევინა მეწაღემ მაიმუნს თავი; რა უბედურება გადახდა თავს ბაბაჯანას თავისი უგუნურების გამო; რა ბედი ეწია ცხენს - ოზი გელდეს, რომელიც დოღში პირველობას არავის უთმობდა. კრებული „ხუთი ამბავი“ საინტერესო მოთხრობებს აერთიანებს. მოთხრობები ისეა შერჩეული, რომ მოზარდს სხვა ამბების წაკითხვის სურვილსაც გაუჩენს.

საინტერესოა მოთხრობა „ხატაურში“, რომელიც გადმოღებულია რუსულიდან (რუსულიდან გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ, 1881 წ.).

ხატაური პატარა ფისოა, რომელიც დედა-შვილმა, ანნამ და ნუცამ გაზარდეს. ანნა მასწავლებელი იყო, ამიტომ შვილისთვის მხოლოდ ზაფხულობით იცლიდა, დანარჩენი დრო სულ ბავშვებს ამეცადინებდა. ნუცა ძალიან შეეჩვია კატას, უვლიდა, აჭმევდა, ასეირნებდა, ასწავლიდა კიდეც, როცა თვითონ მეცადინეობდა. ერთხელ, როცა ნუცამ ხატაური საგანგებოდ გამოპრანჭა, ლურჯი საყელო შეაბა და სასეირნოდ წაიყვანა, ტყეში ორი ბიჭი შეხვდათ, პეტო და სანდრო. ბიჭები ძალს ასეირნებდნენ და კატას დაადევნეს. ხატაური დაიკარგა. ნუცა ნაღვლიანი დაბრუნდა შინ, მაგრამ საოცრება: კატა სახლიდან მოეგება ნუცას. ამის შემდეგ ბიჭები ხშირად დადიოდნენ ნუცას ეზოსთან, ნუცა ძალავდა ხატაურს, ეზოში არ გამოჰყავდა. მაგრამ ერთ დილას ხატაური გაქრა, დაიკარგა. ოჯახი მიხვდა, ხატაურს ბიჭები წაიყვანდნენ. ანნა იძულებული გახდა, წასულიყო მათთან და კატა დაებრუნებინა. თავადის ოჯახმა პატივისცემით მიიღო სტუმარი, გაუკვირდათ კატის ამბავი, რადგან ბიჭებს უთქვამთ, ვიპოვეთ კატაო. მოსამსახურე გოგონას დაუძახეს და კატის მოყვანა დაავალეს. მოსამსახურემ

ინვალიდის ეტლში მჯდომი გოგონა შემოიყვანა ოთახში, რომელსაც კალთაში კატა ჰყავდა ჩასმული და ეფერებოდა. ქალბატონმა აუხსნა ანნას, რომ მისი ინვალიდი შვილი კატამ ძალიან გაართო, ზრუნავს მასზე, ეფერება და უვლის, ამიტომ დათმობა გაუჭირდებაო. ნუცა ცრემლებს ძლივს იკავებდა, ბოლოს ტირილით წამოიძახა: დედა, ვაჩუქოთ ხატაური! გოგონები შეთანხმდნენ, რომ ხატაურის სანახავად ნუცა მივიდოდა ხოლმე. „ხატაურის ამბავში“ ბავშვებისთვის საინტერესოა: 1) ცხოველებისა და ბავშვების ურთიერთობა, რომელიც ზრუნვასა და ყურადღების უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს ბავშვებს; 2) სიბრალულის გრძნობა, რომელიც ნუცას გაუჩნდა ავადმყოფი ბავშვის მიმართ; 3) გულწრფელი თანაგრძნობა. ნუცამ გაითავისა თანატოლის მდგომარეობა (ის, რომ ვერ დადის, ვერ თამაშობს.); 4) თავადისა და გლეხის ურთიერთობა მომავალი თაობის (ბავშვების) მაგალითის ჩვენებით, რომ მათი დამეგობრება გარდაუვალია. მოთხრობაში გამოყვანილი ბიჭები პეტო და სანდრო გათამამებული ბავშვები არიან. მათ ძალსაც ეტყობა, როგორ პატრონობენ. ტრეზორიც ამაყად დადის. ბიჭებს დამცინავი ღიმილი აქვთ ნუცას მიმართ. ნუცას ჰგონია, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ, ბიჭების საქციელი კი მათი ძალაუფლებით აიხსნება. ისინი კი არ სთხოვენ კატას ნუცას, არამედ იპარავენ. სახლშიც იტყუებიან, რომ კატა იპოვეს. ბავშვების ქმედებებში ბევრი საინტერესო მაგალითი, მოზარდებისთვის დამაფიქრებელი ფაქტებია (წოდებამ არ უნდა მოგცეს იმის უფლება, რომ თანატოლს დასცინო, დაჩაგრო ის). მოთხრობაში ნაჩვენებია თავადის სახლის გარემოს აღწერა ბავშვებში გაზრდის წარმოსახვის უნარს, მაგ: „ვეებერთელა და მშვენიერი ქვიტკირის სახლი, აქა-იქ მიდგმული პატარა კომკები, ბალკონიანი, თუჯი მოაჯირებით. სულ ყველა მხრიდან მოისმოდა სუნი ვარდისა, იასამნისა, მიხაკისა და ზამბახისა. დიდი ბაღის ბილიკები წითელი ქვიშით იყო მოფენილი, შორიდან მოჩანდა სარკესავით წმინდა პატარა ტბა და ზედ პატარ-პატარა ნავეები, მეორე მხარეს, ზალის წინ, ბაღში მოსწორებულ ადგილას გამართული იყო ყმაწვილის სავარჯიშოდ სხვადასხვა სათამაშოები“. ციტატიდან ჩანს, რომ ბავშვებისთვის გასაგები ენით ცოცხალი და ნათელი სურათია წარმოდგენილი.

„ხატაური ჩემია“ ასეთი სათაურის მოთხრობა აქვს დაწერილი ეკატერინე გაბაშვილსაც. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი კატაა, „პატარა, გამხმარი, ტურტლიანი, თვალეზირპლიანი“ კატის კნუტი, რომელიც შიმშილისაგან ძლივს დალასლასებს. არავინ სახლში არ უშვებდა, ქეციანია და არ გადაგვედოსო. პატარა მარომ კი შეიჩვია

კნუტი, მოუარა, რძე დააღვინა, ლურჯი ბაფთა შეაბა, ეთამაშა. „ხატაური ჩემია, მე თვითონ ვიპოვნე, - განუცხადა დედას, - ხედავ, როგორ გავასუქე, როგორ მოვუარე?..“ დედამ შვილს საქციელი მოუწონა და უსურვა, მომავალშიც ასეთი მოწყალე გული ჰქონოდა. ეკატერინე გაბაშვილისა და ანასტასია თუმანიშვილის ორი თითქმის ერთნაირი ამბავი ერთ მიზანს ემსახურება - ბავშვებს გამოუმუშავდეთ მოწყალეობის, შეცოდებისა და მზრუნველობის უნარი. ორივე კატას „ხატაური“ დაარქვეს ბავშვებმა მათი სილამაზის გამო. ეკატერინე გაბაშვილის მოთხოვნაში მოკლედ ასახული იმ ეზოს მცხოვრებთა განწყობა, რომელ ეზოშიც ხატაური შემთხვევით ხვდება „აცხა, აცხა, შე ოხერო. იქით დაიკარგე, ქეციანი იქნები!“ - ეს საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებას აჩვენებს. გადასაყრელად გამზადებულ ნარჩენებსაც არ უწილადებენ პატარა, სრულიად უმწეო ცხოველს.

ანასტასია თუმანიშვილის მოთხოვნაში აღწერილი ამბავი ვრცელია, სიუჟეტი საინტერესოდ ვითარდება, ჩნდება სხვადასხვა პერსონაჟი. ნაჩვენებია თავადთა ოჯახები, მათი ქალები, რომლებიც არაფრით გამორჩეულნი არ არიან გლეხის ქალებისგან. თავადების სახლი განსაკუთრებულად ლამაზია და დიდი, უამრავი მოსამსახურე ჰყავთ. თავადის სახლში სტუმრობისას ნუცას არ უჩნდება განცდა, რომ ის უცხოდაა, ან მსგავსად ვერასდროს იცხოვრებს. ამ მიზანს ემსახურება ანასტასია თუმანიშვილის მოთხოვნა „ხატაური“. ადამიანთა შორის არსებულ კლასობრივი გაუცხოების ზღვარს სპობს და შლის მწერალი ქალი, მთავარ ადგილს ადამიანურ ურთიერთობებს უთმობს, გულთბილ სტუმრობას, ურთიერთთანაგრძნობას.

ანასტასია თუმანიშვილისთვის სამშობლოს მომავალი, მისი კეთილდღეობა იყო უმთავრესი. იგი თავად იყო პატრიოტი ქალი, მის მოთხოვნებსაც დაეტყო, რა თქმა უნდა, მისი ეს შინაგანი გავლენა. მას აქვს პატრიოტულ თემაზე რამდენიმე ნაწარმოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამშობლოს დაბრუნება“ და „ცოცხალი სათამაშო“. ორივე მოთხოვნა კრებულ „კონაშას“ მოთხოვნების ციკლშია შესული. „სამშობლოს დაბრუნებაში“ ვკითხულობთ, რომ პატარა მარინა დედის გარდაცვალების შემდეგ მამამ უცხოეთში წაიყვანა. მასწავლებელი მარინას მშობლიურ ენაზე ლაპარაკს უშლიდა და უკრძალავდა. მარინას ოცნება საქართველოში დაბრუნება იყო, ნათესავებთან და დედის საფლავთან ახლოს ყოფნა. ეს ოცნება აუხდება მარინას. ის დაბრუნდა სამშობლოში, „გამოცოცხლდა, გამოკეთდა“ და დიდი და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების კეთებას შეუდგა. მოცემული მოთხოვნით მწერალმა კარგად აჩვენა, როგორი ბედნიერიც არ

უნდა იყო სხვა ქვეყანაში, ბედნიერების განცდას ყოველთვის ახლავს სამშობლოდან მოშორების სევდა და დარდი. ანასტასია თუმანიშვილმა ნათლად ასახა ის ფაქტი, რომ სამშობლოში ცხოვრება და შენი ხალხის სამსახური არის ნამდვილი ბედნიერება. მოთხრობაში „ცოცხალი სათამაშო“ წარმოდგენილია მძიმე სიუჟეტი, თუ როგორ აჩუქა პატარა გოგონა, ზაირა, რუსმა ოფიცერმა (გუბოვმა) თბილისში საცოლეს. საცოლეს მალევე მოხეზრდა გოგონა და მეგობარ ქალს აჩუქა. „ზაირა ვერსად ვერ გაძლებდა, მხოლოდ თავისი მიწა-წყალი დაამშვიდებდა“, - გვეუბნება მწერალი. „მე ჩემს ნათესავებს დავეძებ, იმათთან მინდა სიცოცხლეც და სიკვდილიც,“ - ამბობს ზაირა. ზაირა ყიზილბაში გოგონაა და თავის მშობლიურ ყიზილბაშების სოფელში უნდა. მოთხრობაში კარგად ჩანს ბავშვის თავისუფალი ბუნება. ამ შემთხვევაში ზაირას ბედნიერება თავის მიწაზე, თავის ხალხთან ერთად ყოფნაა. ასეთი შინაარსის მოთხრობები მოზარდებს უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს, აფიქრებდა ქვეყნის ბედზე, უღვიძებდა სურვილს, რომ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ღირსეული მოქალაქეები ყოფილიყვნენ.

ანასტასია თუმანიშვილი გვევლინება, როგორც მთარგმნელი. მან მთარგმნელობითი საქმიანობა 1880 წელს დაიწყო. მან პირველად რუსულიდან „ხატაური“ თარგმნა, რომელიც ცალკე წიგნადაც გამოიცა. „მაინცდამაინც ეს მოთხრობა კარგი შენაძენია ჩვენი ღარიბი საბავშვო ლიტერატურისთვის“, - წერდა „ივერია“ („ივერია“ 1881: N9). ამის შემდეგ ანასტასია თუმანიშვილი მოხუცებულობის ასაკამდე თარგმნიდა და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა ნათარგმნ თუ გადმოკეთებულ ამბავს.

1886 წელს გამოვიდა მის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს ცხოვრება“, „ეგვიპტელი მეფე რამზეს მუშია“. თარგმნა ალფონს დოდეს მოთხრობები, უოლტერ სკოტის „ჰიგლანდიელი ქვრივი“. ი. ტურგენევის მოთხრობები... განსაკუთრებით აღსანიშნავია „თავზეხელაღებული“, რადგან მოთხრობა კარგად ეხმიანება მაშინდელ ქართულ სინამდვილეს. მიშა პოლიტიოვის სახე ძალიან წააგავს ტიპიური ქართველი თავადის სახეს, რომელსაც უკვე მამა-პაპისაგან დანატოვარი ქონება გაუყიდია და კრიზისში მყოფი გამოსავალს ქეიფსა და დროსტარებაში ეძებდა. მიშა პოლიტიოვი სახეა გადაგვარებული ქართველი თავადისა. ამის ნათელი დასტურია მიშა პოლიტიოვის დიალოგი: „რისი დარდი გაქვს? - ვფიქრობ ხოლმე სიღარიბეზე, უსამართლობაზე, რუსეთზე... და ეს ფიქრი ბოლოს მიღებს.

საშინელი სევდა მაწვება გულზე და მაშინ თუნდაც შუბლში ტყვია მკარან, არას დავდევ, მოდი და ნუ მიჰყოფ სმას ხელსა“. ასე თავგზააზნეული იყო მაშინდელ ქართველ თავადაზნაურთა დიდი ნაწილი. თვითონ ტურგენევი წერდა: „მე შევეცადე მოთხრობაში გამომეყვანა ისეთი ტიპი, რომელიც ასახავდა თანამედროვე მოვლენებს“ (ტურგენევი 1884: 399). რა თქმა უნდა, მთარგმნელის დამსახურება დიდია, რადგან ისეთმა პერსონაჟმა, როგორც მიშა პოლიტიოვია, განზოგადებული სახე შექმნა. მდგომარეობითა და ცხოვრების წესით მაშინდელ ქართულ სინამდვილესაც კარგად გამოეხმაურა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველად ტურგენევის „თავზეხელაღებული“ სწორედ ქართულად ითარგმნა. ანასტასია თუმანიშვილმა თარგმნა დრამატული ნაწარმოებებიც, მაგ.: ლაბიშის კომედია „ჯერ თავო და თავო“ და „ბაქი-ბუქი“. კომედია „ჯერ თავო და თავო“ არაერთხელ დაიდგა ქართულ სცენაზე. კომედიაში მთავარი მოქმედი პირია პანსიონატდამთავრებული ქალი, კაკატო, რომელსაც მხოლოდ ერთი საზრუნავი აწუხებს - იპოვოს კარგი საქმრო. პიესის სათაურიდანაც გასაგები ხდება, რომ ადამიანს მხოლოდ თავის თავი ადარდება. ეს იდეა კომედიის მთავარი აზრი, თუმცა კომედია ეხმიანება ქართულ რეალობასაც. თავად ანასტასია წერეთელი გამოთქვამდა იმ ადამიანების მიმართ უკმაყოფილებას, რომლებსაც მხოლოდ კარგი საქმროს ძებნაში გაჰყავდათ დრო და მხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე ზრუნავდნენ. „ინსტიტუტკას დღიურში“ ის წერს: „ქალები ერთმანეთს არ ზოგავენ. დღედაღამ სულ იმის ფიქრში არიან, როგორ იშოვონ საქმროები“. ალბათ, ნაცნობი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხალხმა შეიყვარა პიესა, იცნო მასში იმდროინდელი ქართული ვითარება. რაც შეეხება „ბაქი-ბუქას“, გაზეთ „ივერიაში“ მასზე ასეთი შეფასება დაიბეჭდა: „პიესაში თავიდან ბოლომდე გატარებულია ერთი აზრი, ამიტომ ბევრს იგებს მაყურებლის თვალწინ. მოქმედების სწრაფი მიმდინარეობა, სიცხოველე და სიმარტივე აადვილებს პიესის თამაშობას. არც გაჭინაურებული ლაპარაკია. პიესის ენა ლაღი და მსუბუქია („ივერია“ 1896: N55). როგორც ანასტასია თუმანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევრები აღნიშნავენ (მ. ხელთუბნელი, ს. მინაშვილი), ანასტასიას თარგმანები სიტყვასიტყვით იშვიათად მისდევს ორიგინალს, მაგრამ, ალბათ, მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ნათარგმნებში არ იგრძნობა უცხო გარემო. პერსონაჟები ისეა დახასიათებული და გამოყვანილი, ვერც მათ უცხოობას იგრძნობს მკითხველი. ეჟენ მარენ ლაბიში ფრანგი მწერალია, რომელიც ასამდე კომედიის ავტორია და კომედიებში ძირითადად ფრანგების წეს-ჩვეულებები,

ზნე და ხასიათი აჩვენა. ანასტასია თუმანიშვილმა ის კომედიები თარგმნა, რომლებიც ყველაზე ახლოს იყო ქართულ ხასიათთან იმ დროში და ეს ისე მარტივად და გასაგები ენით გააკეთა, რომ მის დაწერილს უფრო ჰგავს, ვიდრე ნათარგმნს. ანასტასია თუმანიშვილი ცდილობდა, თარგმანი ყოფილიყო ისეთივე ცხადი და ნათელი, როგორც მწერალმა დაწერა დედანში. თარგმანებიც, როგორც მისივე ნაწერები, ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდასა და ფიქრებს. ანასტასია თუმანიშვილის მიზანი ცხადი იყო - თარგმნილი მოთხრობებითაც გაემდიდრებინა ჩვენი ლიტერატურა, ეჩვენებინა სხვა ხალხის მაგალითზე ჩვენი ზოგიერთი მანკიერი ზნე და ჩვეულება, მოზარდ თაობაში გაეღვიძებინა ინტერესი სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურის წაკითხვისა. მისი ნაწარმოებებისა და თარგმანების წაკითხვისას შესამჩნევია ერთადერთი აზრი - ის ებრძვის ყველა უარყოფით თვისებას, აღვიძებს სიკეთისა და სიყვარულის გრძნობას ადამიანებში.

1932 წლის 7 თებერვალს შვიდი წლით ლოგინად ჩავარდნილი ანასტასია თუმანიშვილი გარდაიცვალა, თუმცა გონებრივი მუშაობა შეეძლო და არასდროს შეუწყვეტია. მასთან მისულ მეგობრებს სთხოვდა თურმე: „გთხოვთ, რომ როცა ყმაწვილ ქალებს, გაჭირვებულებს გამოგიგზავნით, რამე ალაგი მისცეთ, რომ იმსახურონ“ (ლიტ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება N50). მისი ბოლო თხოვნა იყო „კვალისა“ და „ჯეჯილის“ შენობაში გაეხსნათ ბიბლიოთეკა, სახალხო სამკითხველო.

ანასტასია თუმანიშვილი დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. იგი იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე, ქართული ენის უბადლო დამცველი, ქართული ლიტერატურის გულშემატკივარი, მწერალი, პუბლიცისტი. ნიკო ნიკოლაძე მას სიმართლენარევი იუმორით „კაბიან გოგებაშვილს“ ემახდა.

ანასტასია თუმანიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მნიშვნელოვანია, მას სიცოცხლის ბოლომდე არ დაუსვენია, ყოველთვის იყო აქტიურად ჩართული ქვეყნის სასკითოდ წამოწყებულ ყველა საქმეში. ანასტასია თუმანიშვილის თაოსნობით გაიხსნა სკოლა სოფელ ხელთუბანში, გახსნა ქალთა საშუალო სასწავლებელი თბილისში, ხსნიდა საბავშვო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს თბილისის უბნებში, მუდმივად იღწვოდა ქალთა სწავლა-განათლებაზე, იყო ჟურნალ „ჯეჯილის“ დამარსებელი. მან თავისი შემოქმედებით დიდი ამაგი დასდო ქართულ საბავშვო მწერლობას.

§5. დომენიკა ერისთავის (განდევილი)

საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა

დომენიკა ერისთავის საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღსანიშნავია იმით, რომ იგი მძიმე ოჯახური მდგომარეობის შემდეგ გამოვიდა საზოგადო ასპრეზზე და თავი გაუტოლა მამაკაცებს, საუბრობდა ქალთა ჩაგვრასა და შეზღუდულობაზე. მას სწამდა, რომ „დედაკაცი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა, რამდენად მთლიანი თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია აზროვნება. ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არ არის, არამედ თავისუფალი ადამიანია“, - წერდა ის და მუდმივად იყო ქალების გვერდით, იბრძოდა მათი თავისუფლებისთვის და იმისთვის, რომ ყველა ქალს ჰქონოდა თავისუფალი გარემო, სადაც საჭირო და მისთვის სასურველ პროფესიას შეასრულებდა.

დომენიკა ერისთავი დაიბადა იმერეთში, სოფელ სალომინაოში, სადაც ერისთავების გვარი მრავლად ცხოვრობდა და სოფელსაც ამ ფაქტის გამო საერისთავოდ მოიხსენიებდნენ იქ მცხოვრებნი.

დომენიკას მამა, ზურაბ ერისთავი, აზნაური იყო, მაზრის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა სოფელში. იგი მშობლიური ლიტერატურის დიდი მოყვარული ყოფილა, ლექსებსაც წერდა თურმე. დედა, ანა, ანდრია მარჯანიშვილის ასული, ძალიან ლამაზი და კეთილშობილი ქალბატონი ყოფილა. მას ჰქონდა ნათესაური კავშირი ისეთ საზოგადო მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: კოტე მარჯანიშვილი, სერგეი მესხი და დავით მესხი. მათ ოჯახში მრავალი ძველი ხელნაწერი და ძვირფასი ნივთი ყოფილა დაცული და შემონახული. ოჯახს ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა, არა მარტო ქართული, არამედ რუსული და უცხოური ლიტერატურაც. პატარა დომენიკას წერა-კითხვა დედამ ასწავლა. იგი 10 წლის ასაკში მიუბარებიათ სოფელ ხორხის პანსიონში. დომენიკას ბავშვობაზე დიდ გავლენას ახდენდა მისი უფროსი ძმა, ილიკო ერისთავი. ილიკო იყო განათლებული, ლექსებსაც კი წერდა. დომენიკასაც ათი წლის ასაკიდან დაუწყია ლექსების წერა; და-ძმა ერთმანეთსაც ეჯიბრებოდა თურმე ლექსებისა და შაირების თქმაში.

ზამთრობით ზურაბ ერისთავის ოჯახი ქუთაისში გადადიოდა საცხოვრებლად. მათ მეზობლად ცხოვრობდნენ გუბერნატორ რავეცკის ქალიშვილები. დომენიკას კარგი

ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ გოგონებთან. მათი წყალობით კარგად შეისწავლა რუსული ენა და ლიტერატურა. მიუხედავად იმისა, რომ დომენიკამ ბავშვობა და სწავლის პერიოდიც სოფელში გაატარა, ის ხშირად იყო მიპატიჟებული ქალაქის მაღალ საზოგადოებაში, როგორც თავადიშვილი. დომენიკა არაფრით ჩამოუვარდებოდა მაღალი საზოგადოების ქალებს. თვითგანვითარებითა და თვითგანათლებით იგი თავის თავს ღირსეულად წარმოადგენდა.

16-17 წლის დომენიკას ცხოვრებაში მოხდა გარდამტეხი ცვლილებები. მამის მოულოდნელმა გარდაცვალებამ სრულიად შეცვალა ახალგაზრდა ქალის მომავალი. დედამ და ძმამ გადაწყვიტეს, გაეთხოვებინათ 17 წლის დომენიკა, რათა დაებინავებინათ და თვითონ მშვიდად ყოფილიყვნენ - ქალი „პატრონს ჰყავდათ ჩაბარებული“. დომენიკასთვის მოულოდნელად მისი მომავალი ცხოვრება დაუკავშირეს ქუთაისელ კაცს, სოლომონ მდივანს, რომელიც იყო დომენიკაზე წლოვანებით ბევრად უფროსი, ცნობილი ვაჭარი და კომერსანტი. დომენიკას ქმარს, ხანში შესულ კაცს, გაუჭირდა ახალგაზრდა ქალის ხასიათის, მისი ცოცხალი ბუნების დანახვა და გაგება. მან სამუდამოდ ჩაკეტა დომენიკა სახლში და ნათესავებიც კი ვერ მიდიოდნენ სანახავად. „სიცილიც კი დამავიწყდა, - წერს ის - დიახ, უბედური ვიყავი, ვცხოვრობდი იმ ადამიანთან, რომელიც არ მიყვარდა და რომელთანაც სრულებით არაფერი არ მაკავშირებდა. მიყვარდა ხალხი და ჩემი ახალგაზრდობა. მინდოდა, ის ჩემი ერის სამსახურისთვის მომეხმარა, ეს სურვილი თავიდანვე აკვიატებული მქონდა, რადგან ყველა ქალივით მარტო ოჯახი როდი მიტაცებდა. მიუხედავად ამისა, მე მოვხვდი სულ სხვა გარემოში, სადაც სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადამექცა. ჩემი მეუღლე ორმაგ ფანჯრის შუა ბუხებს სვამდა, რომ არ გამომეღო და ვინმეს არ გამოვლაპარაკებოდი (ჩიხლაძე 1960: 11).

ამ პირობებში მყოფ ქალს მხოლოდ კითხვით გაჰყავდა დრო ან წერდა, თუმცა, ქმრისგან დაშინებული, ნაწერებს მალავდა. დომენიკა მუდმივად ცდილობდა, თავი დაეხსნა ასეთი ყოფისგან, ეძებდა გზებსა და გამოსავალს. ერთხელ მასთან შემთხვევით სტუმრად მისულა ბიძაშვილი. დომენიკამ თავი ვერ შეიკავა თურმე და ოჯახური ტრაგედია გაუზიარა სტუმარს. ბიძაშვილი შემფოთებულა და გულწრფელად ურჩევია დომენიკასთვის: „ნიჭიერი ქალი ხარ! წადი შენს ბიძაშვილთან, „ნობათის“ რედაქტორ ანდრია ლულაძესთან ქალაქში, აუხსენი შენი მდგომარეობა და სთხოვე, მოგაწყოს სადმე. ნუ ჩაკლავ შენს მისწრაფებებს“ (ოლლა გელოვანის მოგონება, სოფ: სოლომინაოში ნ.

ჩიხლაძე). მართლაც, დომენიკა გადადგამს ნაბიჯს და სამუდამოდ დაშორდება ქმარს, რომელსაც მისი ინტერესები არაფრად მიაჩნდა. ანდრია ღულამემ თბილისში ჩამოსულ დომენიკა ერისთავს დიდი დახმარება გაუწია. მან მოაწყო დომენიკა „ნობათის“ რედაქციაში, დაახლოვა და გააცნო ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. დომენიკა ერისთავს ნათესაური კავშირი ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან. დომენიკასა და აკაკის ნათესავი, ანა თარხნიშვილი, აკაკის სახლში ცხოვრობდა. დომენიკას ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილიას მეუღლესთან, ხშირად სტუმრობდა მას საგურამოში და საოჯახო საქმეებშიც ეხმარებოდა თურმე. თვითონ დომენიკას სიტყვებია: „ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ნინო ორბელიანის წყალობით გავიკაფე გზა მწერლობაში“ (ლიტ. მუზეუმი, ნინო ტყემელაშვილის მოგონება N131-6). ილიას დახმარებით მოეწყო დომენიკა ერისთავი ბანკში სამუშაოდ. ბანკთან არსებობდა ბიბლიოთეკა, სადაც იგი მუშაობდა, აგროვებდა მასალებს ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მათი მოღვაწეობის შესახებ. ერთ-ერთი წერილით ირკვევა დომენიკას მაღლიერება ივანე მაჩაბლის მეუღლის მიმართ. ანასტასიას მეუღლის ნაშრომები და ნაღვაწი დომენიკასთვის გადაუცია: „მიიღეთ ჩემი უგულითადესი პატივისცემა და უღრმესი მადლობა იმ დიდი ღვაწლისთვის, რომელიც თქვენ იკისრეთ თქვენი ძვირფასი მეუღლის ნაღვაწთა გადმოცემისთვის“ (ლიტ. მუზეუმი 1913: N206). იმ პერიოდისთვის ბანკის თანამშრომლები ბანკის სტიპენდიატებად მიიჩნეოდნენ, ამიტომ გარკვეულ თანხას იღებდნენ. ალბათ, დომენიკასთვისაც იყო ეს ხელშეწყობა და დახმარება ილიას მხრიდან. დომენიკა ახალგაზრდობიდანვე გატაცებული იყო ილია ჭავჭავაძის ეროვნული საქმიანობით, უყვარდა ილიას ნაწერებზე და სულ კითხულობდა თურმე დღედაღამ. უთქვამს კიდევ ნინო რცხილაძისთვის (დომენიკას უახლოესი მეგობარი): „იცი, ნინო, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების, „განდევლის“, წაკითხვის შემდეგ ჩემს ფსევდონიმად განდევილი ავირჩიეო“ (ჩიხლაძე 1960: 14).

დომენიკა ერისთავი 1893 წელს აქვეყნებს პირველ ლექსს, მიძღვნილს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი. ამავე წელს მიიწვიეს გაზეთ „ივერიაში“ მუდმივ თანამშრომლად კორექტორის თანამდებობაზე.

1898 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული, 1910 წელს კი - ლექსებისა და მოთხრობების წიგნი.

1898 წელს დომენიკა ერისთავმა თარგმნა გრიბოედოვის პოემა „ვაი ჭკუისაგან“, რომელიც 1902 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით ცალკე წიგნად გამოიცა.

1900 წელს გრიბოედოვის თეატრმა სეზონი გახსნა ცნობილი კომედიით „ვაი ჭკუისაგან“.

1904 წელს დომენიკა ერისთავი ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორად დანიშნეს. 1914 წელს ის „ქართველ ქალთა საზოგადოებას“ თავჯდომარეობდა.

დომენიკა ერისთავის ცხოვრების გაცნობისას გვერდს ვერ ავუვლით მის დამოკიდებულებას მაშინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ილია, აკაკი, ვაჟა და სხვები. განდევილის სახელი ყოველთვის მათ გვერდით ისმოდა. დომენიკა ერისთავი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში; სურდა, თავისი შრომით ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეში რაიმე წვლილი შეეტანა. ამის დამამტკიცებელია მისი ოქმები, მიმოწერა ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია დომენიკა ერისთავის მიერ 1913 წელს ჩამოყალიბებული ორგანიზაცია - „ქართველ ქალთა საზოგადოება“, რომლის მიზანიც იყო ქალი ისეთივე სრულუფლებიან მოქალაქედ გამოეცხადებინათ, როგორც იყო მამაკაცი. მან წამოაყენა ქალთა თავისუფლების იდეა - „დედაკაცი საფუძველია ბედნიერებისა, იგი ბურჯია ოჯახისა, საზოგადოებისა და ერისა. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა. რამდენადაც „მთლიანი“, თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია აზროვნება. ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არ არის, არამედ თავისუფალი ადამიანია. თუკი რამ საკაცობრიო შექმნა მამაკაცმა, ეს დედაკაცის ნებისა და უნებლიე გავლენით“, - წერდა ის („სახალხო გაზეთი“ 1904: N10).

„ქართველ ქალთა საზოგადოება“ მართავდა საღამოებს. ერთ-ერთ საღამოზე მიუწვევიათ ეკატერინე გაბაშვილი. „გთხოვთ თქვენი დასწრებით განამტკიცოთ და განამხნევოთ ეს ნორჩი საზოგადოება“, - მიმართავს მას დომენიკა ერისთავი (ჩიხლაძე 1976: 13). ასევე, ის სთხოვს აკაკი წერეთელს, „შთაბეროს სული ციურ სამამულიშვილო საქმეს“: „გთხოვთ, ამ თვეში დაესწროთ ქართული თეატრის საღამოს, თქვენ უნდა გაამხნევოთ საღამო თქვენი სიტყვით. გამოიყვანეთ ეკ. გაბაშვილი სცენაზე და ჩვეულებრივ შეიქმენით თავი ნორჩი საზოგადოებისა, მე თვითონ მინდოდა გზლებოდით, მაგრამ იმედი მაქვს ამ ჩემს ბარათს ყურადღებით მოისმენთ, როგორც ჩემს სიტყვიერ თხოვნას. შთაბერეთ სული ციურ სამამულიშვილო საქმეს“ (საქ. ლიტ.

მუზეუმი, ა. წერეთლის ფონდი 1914: N372). ასეთი შემართებითა და მონდომებით დაიწყო მუშაობა ქართველ ქალთა საზოგადოებამ, თუმცა ერთი წელიც არ იყო გასული დაარსებიდან, რომ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. განდეგილმა შეცვალა ინტერესები და მთელი გულისყური ომისკენ გადაიტანა. მან დააარსა საჩაიე „მშური ნუგეში“, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩვენი პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. შემოსული თანხა ომში დაჭრილებს ხმარდებოდა, საავადმყოფოებში, ფრონტის ხაზზე იგზავნებოდა საჭმელი და ტანსაცმელი. თუ რას საქმიანობდნენ „საჩაიეში“ გაწევრიანებული საზოგადო მოღვაწეები, კარგად გადმოგვცემს ნინო რცხილაძე (დომენიკა ერისთავის უახლოესი მეგობარი): „ამ დროს ჩვენი საჩაიე, რომელსაც „მშობის ნუგეშს“ ვეძახდით, ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყრიდა თავს ჩვენი ფართო საზოგადოება დღითა და ღამით. საჩაიე სავსე იყო ახალგაზრდებით, აქ უზიარებდნენ ერთმანეთს თავის ჭირ-ვარამს, აქ ხდებოდა მათი ურთიერთდაახლოება და დამეგობრება. აქ შემოსული ფულით ჰოსპიტალში, წმ. ნინოს ლაზარეთში, დაჭრილი აჭარლებისთვის ათობით საწოლს ვინახავდით... „საჩაიეში გარკვეული დაქირავებული შტატი გვყავდა, გამგეობის წევრები და ხელმძღვანელები. უსასყიდლოდ ვმუშაობდით, ყოველმხრივ ვცდილობდით ხელი შეგვეწყო ფრონტისთვის“. საჩაიე მუდამ სავსე იყო თურმე ახალგაზრდებით. ბჭობდნენ და საუბრობდნენ საქართველოს ბედსა და მომავალზე. „მშური ნუგეში“ და დომენიკა ერისთავი ცალკე საკითხია განდეგილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „ქართველ ქალთა საზოგადოებისგან“ გამოგვყო რამდენიმე ქალი, - იგონებს ანა ხახუტაშვილი, - დავდიოდით სოფელ-სოფელ, კარდაკარ, ვაგროვებდით თბილ ჩასაცმელს, სანოვაგეს ფრონტისთვის. განდეგილი გვამხნევებდა. მოგვიწოდებდა სამშობლოს დასაცავად. დედაკაცები დავიქირავეთ და მთელი ორი დღე და ღამე პური ვაცხობინეთ თონეში. მახსოვს, როგორ სიხარულით დაგვხვდნენ ფრონტზე: სამსონ დადიანი, იოსებ მჭედლიშვილი, კ. გამსახურდია და სხვები (ჩიხლაძე 1976: 44).

განდეგილის მხრიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალმხრივი ჩართულობიდან აღსანიშნავია მისი დაინტერესება ქართული მანგანუმის დამუშავების საკითხით. ქალაქ ბათუმში ყოფილა „მარგანეცის საზოგადოება“. ამ საზოგადოებით დაინტერესებულნი ყოფილან უცხოელები და ყველანაირი ხერხით ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. განდეგილი დაინტერესებულა არსებული მდგომარეობით და წერილი მიუწერია მრეწველთა საქმის ხელმძღვანელისთვის (გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი),

სადაც ზუსტად იყო გაწერილი როგორც ფინანსები, ასევე ვადები. მას სურდა, ჰქონოდა ზღანოვიჩის იმედი, რომ ეწარმოებინა მანგანუმის საქმე, რომ ვიღაც ინგლისელებს ხელიდან არ გამოეტაცათ. „სირცხვილიცაა და საზიანოც ჩვენთვის, რომ ეს საქმე მაკლერებმა ჩაიგდონო“, - წერს ის (ჩიხლაძე 1976: 46).

დომენიკა ერისთავი იყო პატრიოტი ქალი და გულშემატკივარი თავისი ქვეყნისა. იგი ცდილობდა, მაჰმადიან ქართველებში გაედვიძებინა ეროვნული შეგნება. მან საკმაოდ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა დამცირებული და განადგურებული აჭარლების წუხილთან დაკავშირებით. მათ სწყინდათ, რომ ქართველები შორიდან უყურებდნენ და დახმარების ხელს არ უწვდიდნენ მათ. განდევილის წერილი მოთხოვნით იწყება: „გადაიკითხეთ ჰაიდარბეგ აბაშიძის წერილი. თუ არ წაგიკითხავთ, უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ. მე ვქვითინებდი ბავშვივით. თქვენი გული მიაპყართ იმ საშინელ კვნესას, იმ უმაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენს მოძმე მაჰმადიანებს არგუნა ბედმა. ქართველო ქალებო! ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი გულიდან მოგლეჯილ კუთხეს ქართველმა მაჰმადიანმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად ეს ენა. ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ უნდა ჩვენით ვშვათ მყოფადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს. და თუ გვწამს ეს დიდი ცნება, ხმა მივცეთ მოძმეთა დიდ გასაჭირს. ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა, იგი ერთგვარ სიყვარულად იქცევა. ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთი დედ-მამის შვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი. რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი, ქართველო ქალებო! დავებმართო ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წვლილი, სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები. მე თამამად მოგმართავთ თქვენ, რადგან თქვენ უფრო მგრძნობიარე ხართ და უფრო მხნედ შეუდგებით მოვალეობის ასრულებას. სიტყვა საქმეთ აქციეთ. მაშ, ვეცადოთ ნულარ შევეყურებთ უტყვ მოწმეთა ამ კვნესას. ვგზავნი რედაქციაში ხუთ მანეთს, დაე, ეს იყოს პირველი კენჭი ქართველი ქალისაგან საჯაროდ მოტანილი მოძმეთა დანგრეული კერის აღსადგენად“ („სახალხო ფურცელი“ 1915: N23). ეს წერილი ბევრის მთქმელია. პირველი იმისა, რომ ასე, ამ ფორმით იბრძოდა განდევილი საქართველოს ერთიანობისთვის. მისი სიტყვა მტკიცდებოდა მისივე საქმით. განდევილს ყოველთვის სჯეროდა ქალის შესაძლებლობების, მისი შინაგანი სიძლიერის, მტკიცე ხასიათის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დომენიკა ერისთავის დამოკიდებულება იმდროინდელ მწერლებთან. ის იყო ქალი, რომელსაც შეეძლო მეგობრობა, ბრძოლა, თავგანწირვა, აფასებდა ნიჭსა და პატივს სცემდა სხვების შემოქმედებას. განდევილის ასეთი დამოკიდებულება ილიას, ვაჟას, გალაკტიონისა და სხვა საზოგადო მოღვაწეების მიმართ წერილებიდანაც ცხადი ხდება. განდევილსა და ილიას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ. ის ხშირად სტუმრობდა ილიას, მასთან მუშაობდა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში. მრავალმხრივ გამოხატავდა მის მიმართ პატივისცემას. „იცოდეთ, გულით პატივცემულო თავადო, - სწერს ის ილიას, - მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენი სანატრელი და გულით სასიხარულო მხოლოდ ის არის, რომ თქვენ ღირსეულად ატაროთ მამულიშვილობა. თუ თქვენ ყოჩაღად, პატიოსნად, მხნედ და მშრომელად გვეყოლებით, ვიტყვით ყოვლად მართლის გულით, აი, თავი მოგვწონს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ვცხოვრობთ. იმ მეცხრამეტე საუკუნეში, რომელშიაც ილია ჭავჭავაძე სადიდებლად დაეხადათ. მუდამ თავი მოგვწონს თქვენით, იმედი გვაქვს, ამას იქითაც სასიქადულო თავმოსაწონ დროშას საფლავის კარამდის ღირსეულად მიიტანთ. მართალია, ზოგიერთი საქართველოს შვილნი ჩვენდა შესარცხვენად შურით უყურებენ თქვენს ყოველნაირ ღირსებას და მზად არიან ეს არაშვილნი თავის მიწაწყლისანი, ჩირქი მოსცხონ თქვენს ჩირქმოუცხოებელ პიროვნებას. დიახ, თავადო და ღირსეულო შვილო ჩვენი ძვირფასი ქვეყნისა, ვშიშობ ხოლმე თქვენ შესახებ. ვაპირებთ ვიბრძოლოთ მუდამ ჟამს, თქვენც გთხოვთ, დიდი მოწყალებით გთხოვთ, როგორც ყოველთვის, მხნედ იყავით“ (საქ. ლიტ. მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, N17-20). წერილით კარგად ირკვევა განდევილის დამოკიდებულება და დიდი პატივისცემა ილიას მიმართ. ამავე დროს მეგობრული გულახდილობაც. დომენიკა ერისთავი ერთ-ერთი წერილით სთხოვს ილიას სათავადაზნაურო სკოლაზე: „გთხოვთ და კვლავ გთხოვთ, სათავადაზნაურო სკოლაზე როცა აღძრათ ლაპარაკი, კარგად განმარტეთ ხალხის გასაგონად და მოსაწონად, ეცადეთ, სტუდენტების შესახებაც თანაგრძნობით ილაპარაკოთ. ის ვინც შერცხვენილი ხელით კენჭს შავს ჩაგიგდებთ, ის პირითა და გულით შავი იქნება, აქ ჩვენ წინაშე და იქ, საიქიოს, ქრისტეს წინაშე. ამ სიტყვებს ყოველთვის მოურიდებლად, სამართლიანად ვამბობთ ჩემს მოძმეებთან და ყოველნაირ ხალხთან“ (საქ. ლიტ. მუზეუმი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, N17-20). ილიასი და განდევილის მეგობრული ურთიერთობა ნათელია. განდევილი თავის თავზე მეტად ილიას სახელსა და ღირსებას

უფროთხილდებოდა. დომენიკა ერისთავმა ლექსიც დაუწერა „ილიას - სახელდახელოდ“, რომელიც ილიაობის დღეს მიუძღვნია მისთვის:

„ხის ქვეშ ზის ძველი ქართველი, ბელადი თავის ერისა,
შემაერთ-შემამკობელი ამერეთ-იმერეთისა.
და მის დღეობას მეჯლისობს ერი და თვითონ ბუნება,
გულით ინატროს აშოროს ქართველთა დამაბუნება.
მაშ, გაუმარჯოს ბელადსა, ცეცხლში ნაწრთობსა კალამსა,
ქება-დიდება მის ფარ-ხმალს, მის დროშას, მისსა ალამსა“
(1895 წ., 24 ივლისი; ლიტ. მუზეუმი, ფ. N19-91).

ყოველივე ამის შემდეგ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა დომენიკა ერისთავი ილიას სიკვდილით, გასაგებია. მას დააკლდა ილია, როგორც საყრდენი, როგორც ქვეყნის მომავლის განვითარების ერთადერთი გზამკვლევი, როგორც მეგობარი, მფარველი, გულშემატკივარი, ამიტომ მისი სამძიმრის წერილი, ცხადია, პროტესტის გამოხატვაცაა საზოგადოების მიმართ, გულისწყვეტაცა და გლოვაც ერთად. იგი წერდა, რომ ილიას მკვლეელი ვინც არ უნდა ყოფილიყო, „იქნებოდა დაქირავებული, სხვისი სურვილის მონა, უვიცი, სულით ლატაკი და ბრმა იარაღი“, - წერდა ის. „ჭკუის საბუდობის სიცარიელემ, უვიცობის წყვდიადში ბოდიალმა, ეჭვი არ არის, იქამდე მიიყვანა გზა-კვალ მოშურნე, რომ უმეცრების ლაფში შეტოპილმა სხვა გზა ვეღარ იპოვა, თუ არა სამარცხვინო და საშვილიშვილოდ დასაგმობი მკვლელისა, მოკვლა იმ ადამიანისა, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში ხალხის გამოფხიზლების საქმეს ემსახურებოდა, ეს ისეთი ურიცხვი თავხედობაა, რისთვისაც თვით უსასტიკესი მსჯავრიც ცოტაა“ („ისარი“ 1907: N9).

დომენიკა ერისთავი ნამდვილად იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის თანამოაზრე და ილიას გზის მიმდევარი. აკაკი წერეთლისა და დომენიკა ერისთავის დამოკიდებულება განსაკუთრებულია, რაც შემდგომში დაეტყო კიდევ განდევნილის პოეზიას. იგი ვერ გაეცა აკაკის პოეზიის გავლენას. ის მუდამ გამოხატავდა აკაკისადმი პატივისცემას. აღნიშნავდა, რომ წერა-კითხვის შესწავლა აკაკის ლექსის „სალამურის“ სიყვარულით დავიწყეო. ერთ-ერთი წერილით ირკვევა, რომ დომენიკა ერისთავი აკაკის სთხოვს მისი ლექსებისთვის, რომლებიც უნდა დაბეჭდილიყო, წინასიტყვაობა დაეწერა: „ვეცდები ისეთი ვიქნე, როგორც შენ გესიამოვნება. მართალია, ჯერ კი ვერაფერში გამოვიჩინე სიყვარული, მოძღვრის ღირსეული მოწაფეობა. ვიცი ყველასათვის კარგი

გინდა და განსაკუთრებით ჩემთვის, რადგანაც შენი ქვეყნის შვილი ვარ და ამასთან ნათესავიც. იმიტომ ნუ იუკადრისებ ჩემს ლექსებს, რომელნიც ერთად იბეჭდება, წინასიტყვაობა დაუწერო. ამას იმიტომ უფრო ვბედავ, რომ შენ თვითონ მითხარი, როცა დაიბეჭდება შენი ლექსები, წინასიტყვაობას მე დავწერო. ამის მეტს აღარას გწერ, რადგან ვიცი, თუ რამე შესაძლებელია, არ დაიზარებ შენიანებისთვის. ამასთანავე, გიგზავნი ლექსებს, იქნება საჭირო იქნეს ზოგი ამოიღო, მაგრამ მგონი არა უშავ. შენი მარადის მორჩილი დომენიკა (საქ. ლიტ. მუზეუმი, ა. წერეთლის არქივი N372). აკაკისადმი სიყვარული და მისი ღვაწლი სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში მან ლექსითაც გამოხატა:

„შენი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა
და რომ დაიწვი, დაადნი, ნათლად არა სჩანს ეს განა?
აჰა, შეხედე მგოსანო, მთლად საქართველოს კრებულსა,
შენის მაღლიან სიმებით, დამტკბარსა მირონცხებულსა.“

დომენიკა ერისთავი დარდობდა აკაკის ავადმყოფობასაც. „გავიგე შენი ავადმყოფობა, - წერს ის, - წარმოიდგენ, რა მძიმე დღე იყო ის დღე ჩემთვის, როდესაც გავიგე, რომ დიდად შეღონებული არისო და ახლო მეგობრები წავიდნენ იმასთანო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოსულ მეგობრებს, რომლებიც თავს გადგნენ იმ შეწუხებულ დროს, ისე გული არ სტკიოდათ, არ ტიროდნენ გულით, როგორც მე მიკვნესდა გული. ახლა გთხოვ, თუ ძალიან სუსტი არ ხარ, სულ დაწვრილებით მომწერო, როგორ გახდი ავად, რამდენი ხანი იყავი ავად და როდის ჩამოხვალ. შენ წარმოიდგინე, აქამდის ისეთი ეგოისტი ვიყავი, რომ არ მაგონდებოდა, რომ საქართველო ჰკარგავდა შენისთანა საჭირო კაცს და მხოლოდ იმას ვწერდი, მე ვკარგავ ადამიანს, მეგობარს. ცუდი ვარ, მაგრამ მე თვით ვგრძნობ და ჩემის ენით ვაღიარებ ჩემს ნაკლოვანებას და ვიცი შენი ეგზომ კეთილი გული. მშვიდობით იყავ და კარგად ჩემი სამშობლოსთვის და მერე ჩემთვის“ (საქ. ლიტ. მუზეუმი, აკ. წერეთლის ფონდი N372). წერილი დომენიკა ერისთავის მეგობრული გრძნობის მხილებაა. აქ ნათლად ჩანს, როგორი ავტორიტეტი იყო მისთვის აკაკი. ის გამოხატავს პატივისცემასა და სიყვარულს ძვირფასი ადამიანის მიმართ, აიმედებს და ამხნეებს კიდევ ავადმყოფს, სამშობლოს სჭირდებიო. აკაკი რომ გარდაიცვალა, „ზღვა ხალხი უკანასკნელად მიაცილებდა მგოსანს, აკაკის ცხედარს სულ რამდენიმე ნაბიჯზე უკან მიჰყვებოდა პოეტი ქალი განდევილი, შავებში ჩაცმული. გულზე მიეყრდნო და ისე მიჰქონდა სასიქადულო

პოეტისადმი საქართველოს სახელით მიძღვნილი იებისაგან გაკეთებული ჯვარი“ (ბაბილინა ხოსიტაშვილის მოგონება, ნ. ჩიხლაძე 1976: 64).

როგორც აღინიშნა, დომენიკა ერისთავი დიდ პატივს სცემდა და ყურადღებასაც გამოხატავდა ნიჭიერი პოეტებისა და მწერლების მიმართ. მის გულისხმიერ ბუნებას არავის მოღვაწეობა დარჩენია აღუნიშნავი, პირიქით. იგი ქართველ ხალხს მოუწოდებდა დაეფასებინათ ის ადამიანები, რომლებიც ქვეყნის სასიკეთოდ ზრუნავდნენ. აი, რას წერს ის გალაკტიონის შესახებ: „გალაკტიონი განცალკევებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. შეიძლება მას იმიტომ უწოდეს პოეტთა მეფე. მე კი ამ სახელს ვერ ვუწოდებ მას, თუნდაც მარტო იმ მოსაზრებით, რომ ყოველი მეფე თავისებურად დესპოტია და გალაკტიონს, როგორც პოეტს, ვერავინ დააბრალებს დესპოტიზმს. იგი არავის შესცილებია, არც გვარიშვილობაში და არც ნიჭში. გაჩნდა პარნასის მწვერვალზე და იმავე პარნასმა გადმოსტყორცნა ამ ქვეყნით, რათა თავისებური სიმღერით იმღეროს. გალაკტიონი განსხვავებული სიძლიერით გრძნობს ბუნების ხვაშიადს და ამ ძლიერი განცდის შედეგია, რომ გალაკტიონი არ არის ჩვეულებრივი პოეტი, ამიტომ მას სათუთი გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერი“ (ლიტ. მუზეუმი, „სალიტერატურო ბიულეტენი“ 1927: N1).

განდეგილი დიდად აფასებდა ვაჟა-ფშაველასაც. ის გრძნობდა და განიცდიდა ვაჟას მდგომარეობას, ფიქრობდა მასზე, ცდილობდა, რაიმე გზებით მოეხერხებინა მწერლის დახმარება. განდეგილს არ უჭირდა ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარება. მას არ შეეძლო არ დაეფასებინა ნიჭიერი ადამიანები, არ აღენიშნა მათი ღვაწლი და, როგორც შეეძლო, არ დახმარებოდა მათ. დომენიკა ერისთავმა პირველმა მოითხოვა ვაჟას იუბილის გადახდა და 1913 წელს გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მგოსანი ვაჟა-ფშაველა და მისი 35 წლის მოღვაწეობა“. „რომელმა ქართველმა არ იცის, ვინ არის ვაჟა-ფშაველა, - წერდა ის - სადაც იხსნება საგანი ჩვენი მწერლებისა, დედა ბოძისა ილიასი და აკაკის, იქ შეუძლებელია ვაჟას სახელიც არ იქნეს მოხსენიებული. ვაჟას შემოქმედებით ნიჭზე კითხულობენ ლექციებს, ვაჟას მონაწილეობით გამართულ საღამოებს განსაკუთრებით ეტანება ქართველი საზოგადოება. მართლაც, არ შეიძლება დიდი სიყვარულით არ ეპყრობოდეს კაცი იმ ადამიანს, ვინც ასეთი მშვენიერებით შეაკავშირა მთისა და ბარის სულის სწრაფვა. მე კრიტიკოსის როლს არ ვკისრულობ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ვაჟა ისეთი მგოსანია, რომელიც მარტოოდენ სიამოვნებას კი არ აგრძნობინებს მკითხველს, არამედ სიამოვნებასთან ერთად ჩააფიქრებს, შეაჩერებს,

აჩვენებს აზროვნებას. ვაჟა-ფშაველათი ვამაყოფთ ჩვენ, მისი ქვეყნის შვილები. მე მივმართავ მგოსნის სატრფოს, სამშობლოს, მივმართავ ვაჟას პატივმცემელთ, მივმართავ წ. კ. გ. საზოგადოებას, დაუყოვნებლივ იმის მოგვარებას, თუ რა გვარად უზრუნველყოფნ ჩვენი საყვარელი მგოსანი. ბატონებო, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მწერალი იმიტომ კი არ წერს, რომ მადლობასა და ქება დიდებას ელოდება ვისმესგან, მაგრამ თუ მწერლის ცხოვრება ისე არის მოწყობილი, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე წინ ელობება ათასგვარი გაჭირვება, იგი ვერ შეჰქმნის ისეთ საგანძურს, რომლითაც არა მარტო მშობლიური ერი, არამედ მთელი კაცობრიობაც ისარგებლებდა. მგოსანმა რომ უარჰყოფს საკუთარი მე, ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს ვაჟას საარსებო საკითხს, რადგან უზრუნველყოფა ვაჟასი, უზრუნველყოფა იქნება ჩვენი პოეზიისა. ამიტომ ჩემი წერილით მოუწოდებ ქართველ შეგნებულ საზოგადოებას, რათა შეუმსუბუქონ მძიმე ტვირთი დიდ მგოსანს ჩვენდა საამაყოდ. ვთხოვ ყველა ჩვენ რედაქციას გადაბეჭდონ თავიანთ პატივცემულ გამოცემებში ეს ჩემი მოწოდება“ („თემი“ 1913: N11). წერილი ვრცელია, თუმცა ძირითადი შინაარსი წარმოვადგინეთ იმის ნათელსაყოფად, როგორი ყურადღებიანია დომენიკა ერისთავი ვაჟა-ფშაველას მიმართ; იგი წუხს და ფიქრობს, როგორმე დახმარება აღმოუჩინოს მწერალს; მოუწოდებს ყველას, სიცოცხლეშივე დააფასონ დიდი მგოსანი. ვინ იტყოდა, რომ ეს საჭირო არ იყო ვაჟასთვის, პირიქით, წერილის გამოქვეყნების შემდეგ ყველა ვაჟას იუბილეს გადახდაზე ალაპარაკებულა... ვაჟა-ფშაველასა და დომენიკა ერისთავის ურთიერთდამოკიდებულება და მეგობრული პატივისცემა ირკვევა თინა აბაშიძის მოგონებებიდან: „ჩემო კარგო დომენიკა, საღამოს გამოგივლი და მზად დამხვდი, საგურამოს უნდა ვესტუმროთ ილიას“. „ვაჟას ცხენებით გამოუვლია დომენიკასთვის. საგურამოს მიმდგარ ორ ძვირფას სტუმარს გაბრწყინებული თვალებით მიჰგებებია ილია. დომენიკა ამაზონურ ტანისამოსში ყოფილა გამოწყობილი“ (ჩიხლაძე, „თინა აბაშიძის მოგონება“ - დომენიკას დის- შვილი).

დომენიკა ერისთავი პუბლიცისტური წერილებით მკაცრად ამხელდა ქალის დაჩაგრულ ყოფას და უუფლებო მდგომარეობას. თავორის ნაწარმოებების ძირითადი ლაიტმოტივი კი ეს საკითხია: „დედაკაცი ერთი უტყუარი საზომია, ერის სულიერი ძლიერებისა“, - ამბობდა ის. თავორის ეს მოსაზრება განავითარა დომენიკა ერისთავმა თავის წერილში „დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა შესახებ“: „რამდენად თავისუფალია აზროვნებასა და უფლებების მხრივ ქალი და ფართოდ ჩაბმული საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმდენად ძლიერია სახელმწიფოს კულტურული დონე.

საცა ქალი დაჩაგრულია და მონაა საზოგადოებრივი წყობილებისა, იმდენად უსუსურია სახელმწიფო და მისი სტრუქტურა“. დომენიკას აზრი ამ ვრცელი ციტატიდან ნათელია. იგი ღიად აყენებდა საკითხს ქალების სწავლა-განათლების შესახებ. განდევილი ამით არ გაჩერებულა. მან „სახალხო ფურცელში“ წერილი „პატარა ერის დიდებულნი ასულნი“ გამოაქვეყნა, სადაც მიმოიხილა ქართველ ქალთა ისტორიული წარსული. „ნინო - ეს სიმბოლოა ქართველი ქალისა, - წერს ის, - განა, დედაბოძი არ არის ბრწყინვალე ტახტისა, რომელიც დიდმა თამარმა ზედ აღმართა, ხოლო ქეთევანის სისხლით კი წაწერილია მასზედ წარუშლელი სიტყვები ქართველი ქალის ძლიერი ნებისა. ახალგაზრდობა, მშვენიერება, ძლევამოსილება - ყოველივე ეს მიანიჭა განგებამ ამ შარავანდედით მოსილ ასულთ საქართველოსას და ამ გვარად სულ სხვადასხვა ხმაში მოევლინა სამშობლოს წინამორბედ ვარსკვლავად“ („სახალხო ფურცელი“ 1916: N476). წერილი ქართველი ხალხისადმი მოწოდებით მთავრდება: „აი, ჩემი პირველი მცნება, ჩემი სავალდებულო მრწამსი და თქვენც, საქართველოს ბრწყინვალე ასულთ შთამომავლნი, ფრთა გაამლევიანეთ თქვენს ლალ სულს, შემოკრიბეთ იმ წმინდა საკურთხეველთან, რომელსაც სამშობლო ეწოდება და ღირსეულად დაიცავით მთლიანობა ერისა“ („სახალხო ფურცელი“ 1916: N476).

დომენიკა ერისთავმა თავისი წერილებითა და პატარა მოთხრობებით კარგად აჩვენა იმ ეპოქის დრო და ვითარება, რომელ ეპოქაშიც მოღვაწეობდა. ილია ჭავჭავაძემ შექმნა რეალისტური სკოლა, რომელმაც მთელი რიგი მიმდევრებისა წარმოშვა. ილიას იდეოლოგიის მიმდევარი იყო დომენიკა ერისთავიც, რომელიც თავისი შრომისმოყვარეობით მუდამ შემართებით იყო და ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მას თანამედროვენი ასე ახასიათებენ: „მე არასდროს დამავიწყდება მისი ანთებული თვალები, მისი ენერგიული სახე, მისი ვაჟკაცური მხნეობა, რომელიც თითქოს ყოველ წუთს მზად იყო ბრძოლისთვის“ (ჩიხლაძე 1960: N30). „არავისი არ შურდა სხვაზე მაღლა მდგომს, სხვაზე ჭკვიანს, ნიჭიერსა და ქართული ენის საუკეთესო მცოდნეს“ (მისი თანამედროვე ქალების მოგონება, ნ. რცხილაძე, მარი ჯანი - ნ. ჩიხლაძე, 1976: N30). დომენიკა ერისთავმა თავისი დიდი წვლილი შეიტანა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში, გამოეხმაურა ისეთ საკითხს, როგორცაა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, გადმოგვცა იმდროინდელი სოციალური მდგომარეობა, ჩაგრული ადამიანების ბედი; იყო პატრიოტი ქალი, ერთგული მეგობარი,

დამფასებელი სხვისი ნიჭისა და შრომისა და ზრუნავდა ქვეყნის მომავლის საკეთილდღეოდ.

ქალთა პუბლიცისტურმა წერილებმა, აქ დასახელებულ ქალთა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მოყვანილმა ფაქტებმა კიდევ ერთხელ ცხადყო ქართველი ქალის აქტიური ბუნება, მისი შრომისუნარიანობა, გონებაგამჭრიახობა და ქვეყნის უზადლო სიყვარული. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო ქვეყნის სამსახური, მომავალი თაობის განათლება, ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა და გააქტიურება. მათ პირადი მაგალითით აჩვენეს და დაამტკიცეს, რომ ქალს შეუძლია იყოს სრულუფლებიანი წევრი საზოგადოებისა, ქალს შეუძლია ერთგულად, ქვეყნის მომავლის საკეთილდღეოდ გადადოს და დაივიწყოს პირადი ბედნიერება. მათ ღიად აჩვენეს საზოგადოებას, რომ განვითარებული და განათლებული ქალი არის ძლიერი ქვეყნის საწინდარი.

ჩვენ მიერ წარმოდგენილმა ქალთა ბიოგრაფიებმა, მათმა მოღვაწეობამ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ნათლად აჩვენა ქალის შესაძლებლობა და ენერჯია:

- 1) ქალს შესწევს უნარი მმართველობისა და ხელმძღვანელობისა;
- 2) ქალს აქვს იმის რესურსი, რომ ერთდროულად აკეთოს საოჯახო და საზოგადო საქმე.

ის აზრი, რომ ქალები მარტო დედებად და ცოლებად უნდა არსებობდნენ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ქალბატონების მაგალითით უარყოფილია. ფაქტია, რომ აზროვნების უნარი თანაბრად აქვს როგორც მამაკაცს, ასევე ქალს. ამ უნარის განვითარებისა და რეალიზების საშუალება კი მამაკაცს უფრო ჰქონდა, ვიდრე ქალს. შესწავლილმა ქალთა ბიოგრაფიებმა აჩვენა, რომ ქალმა უნდა გააცნობიეროს თავისი ფუნქცია, როლი და მნიშვნელობა, შეძლოს საკუთარი თავის რეალიზება სოციუმში და არ ბრმად არ მიჰყვეს იმ წესებს, რომლებიც მას საზოგადოებამ დაუწესა.

დომენიკა ერისთავი, როგორც პოეტი, პირველად ივერიის ფურცლებზე გამოჩნდა. ეს იყო 1893 წელს, როდესაც დაიბეჭდა მისი ლექსი „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი“. იგი ეძღვნებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებას საქართველოში. ლექსში დომენიკა ერისთავმა გამოხატა ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი დიდი მოწიწება და ღრმა პატივისცემა. იგი მაღლიერია, რომ პოეტის ნეშტს მშობლიურ მიწაში განსასვენებელი ეღირსა: „კვლავ დაბრუნდები, შენს საყვარელ საქართველოში,

იმ დროს, როდესაც ტყე და ველი მწვანედ ბიბინებს“. ის მიმართავს მარადისობაში დამკვიდრებულ პოეტის სულს:

„მოხვალ დიდი ხნის დაკარგული შენს სამშობლოში,
ივერთ ღვთისმშობლის წმინდა კალთა დაგეფარება,
გულში ჩაგიკრავს იგი მიწა, სადაც შობილხარ.
და სამუდამოდ გეცხედრება, გესამარება“ („ივერია“ 1893: N4).

იმავე წელს კვლავ „ივერიაში“ დაიბეჭდა დომენიკა ერისთავის ლექსი, მიძღვნილი ალექსანდრე ყაზბეგისადმი. როგორც ჩანს, მას დიდი ტკივილი მოუტანა მწერლის გარდაცვალებამ. მას სწამს, რომ ალექსანდრე ყაზბეგის სახელი სამუდამოდ უკვდავყოფილი იქნება:

„შენ გარდიცვალე მხოლოდ ხორციით
თორემ შენს სახელს, უკუნისამდე უკვდავსაჰყოფს შენი კალამი,
მიდიხარ, ზეცას უერთდები ქებულ წინაპარს,
ტანჯვით მიუზღე ცრუ სოფელსა შენ შენი ვალი,
ნაცვლად ცის დასი მოგაგებებს ბრწყინვალე ლამპარს,
შენ კი წარსდგები სულით წრფელი, გულით მართალი!..“ („ივერია“ 1893: N12).

დომენიკა ერისთავი რომ პატარაობიდანვე გატაცებული ყოფილა აკაკი წერეთლის პოეზიით და მოხიბლული ილია ჭავჭავაძის პიროვნებით, ამაზე ზემოთ უკვე მრავალი ითქვა. თავის ცხოვრების წინამძღვრად იგი მაინც ილიას მიიჩნევდა. ცდილობდა, ილიას მსგავსად ხალხის ცხოვრებას დაახლოებოდა. იყო მისი თანამშრომელი, მეგობარი და მიმბაძველი, მისი გზით მიმავალი, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ილიას სიკვდილმა ათქმევინა პოეტს: „იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია, სადაც თვით შხამს ანთხევს მტრობა და შური“. ესაა ის ორ წინადადებაში გამოხატული ემოცია, ტკივილი, სიბრაზე, რომელიც ილიას გარდაცვალებას ახლდა, რომელმაც ჯოჯოხეთად აღაქმევინა დომენიკა ერისთავს ილიას გარეშე სამშობლო.

განდეგილის ლექსების გაცნობისას ცხადი ხდება, რომ მის პოეზიაში წამყვანი პატრიოტული მოტივია. ჩვენ გამოვყოფთ სოციალურ მოტივსაც. აღსანიშნავია მისი ოპტიმისტური დამოკიდებულება სიცოცხლის, ცხოვრების, სიყვარულის მიმართ. „დომენიკა ერისთავი ლირიკოსი პოეტია, მისი ლექსების უმრავლესობა ხალხურია და ამაშია მისი ძალა. დომენიკა-განდეგილი არ ყოფილა რიგითი პოეტი, იგი დიდი დიაპაზონის მგოსანია“ (ჩიხლაძე 1976: 90).

ცალკე საკითხია დომენიკა-განდეგილის პოეზიაში პოეტისა და პოეზიის დანიშნულების საკითხი. დომენიკა ერისთავმა იცის, რომ რწმენის, სიყვარულისა და იმედის გარეშე პოეზია არ არსებობს. პოეტს უნდა შეეძლოს, თავად გარდაქმნას სამყარო და მის მიერ გარდაქმნილ სამყაროში შემოუშვას სხვა ადამიანები. აი, რას წერს ის ლექსში „პოეტის ფიქრი“:

„მე შემიძლია გაზაფხული ზამთრად შევცვალო
და ზამთარი კი ავაყვაო, ვით გაზაფხული.

ზღვანი დავაშრო, ქართა ქროლვა შევკრა შევბოჭო,

ცა ავატირო, ქვესკნელმა სთქვას ტკბილი მაყრული“ („ივერია“ 1896: N20).

„მე შემიძლია“ - ეს სიტყვები მხოლოდ პოეტის შესაძლებლობა რომ არ არის, ცხადია. მას, ამ შემთხვევაში, როგორც პოეტს, შეეძლო ეთქვა, რომ ეს შესაძლებელია და რომ პოეტს და პოეზიას უნდა შეეძლოს განსხვავებული სამყაროს შექმნა. პოეტისა და პოეზიის დანიშნულებას გადმოგვცემს „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი მისი ლექსიც:

„გავკვანძავ სიმსა გაწყვეტილს, ავამკვნესარებ ძალადა.

გავკრავ გამოვკრავ თითებსა, ჩაუხმატკბილებ წყნარადა.

გულს ტალად ვაქცევ, სულს კვესად, გრძნობას მწველ ნაპერწკალადა,

აბედად მთელსა არსებას გარდაქმნილს ყინულ სალადა.

აღვაფრთოვანებ ოცნებებს, ასე მივარდნილს ძილადა.

გავანავარდებ ცისაკენ, შევაკამათებ მთვარესა, კეკლუცად მონარნარესა“ („ცნობის ფურცელი“ 1902: N18).

ლექსიდან კარგად ჩანს, რა შეუძლია პოეტს, თუ ის სიყვარულით წერს და ემსახურება თავის საქმეს. პოეტს შეუძლია, გააცოცხლოს, გამოაფხიზლოს, ფრთები შეასხას ადამიანების ოცნებებს. ლექსს, ცხადია, აქვს აკაკი წერეთლის ლექსის „ჩონგურის“ გავლენა, თუმცა აკაკის „ჩონგურის“ დანიშნულება სხვაა. მას სურს ჩონგურის სიმების ჟღერადობაში აამღეროს საქართველოს კუთხეები („ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი...“). დომენიკა ერისთავის სიმებიანი საკრავი, რომელიც შეკეთებას საჭიროებს, მხოლოდ ერთი დანიშნულებით იხმარება, რომ გამოაფხიზლოს ადამიანები და აღაფრთოვანოს მათი ოცნებები, ზეცამდე მიიტანოს ხალხის ხმა და გულის ტკივილი. პოეტს სჯერა, რომ მის სიმებიან საკრავს შთამაგონებელი ძალა აქვს, ამიტომ მისი ეს რწმენა გადამდებია ხალხისთვის.

განდეგილი რომ პატრიოტი ქალია, მის პოეზიასაც ცხადად ეტყობა. სამშობლო მისთვის არის ფიქრის და დარდის მთავარი საგანი. მას სურს ლექსებში სრულად გამოხატოს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა; სურს, გადმოგვცეს, რომ სამშობლოს სიყვარული მისთვის მთავარი სამსახურია. „მიყვარს მე ჩემი ქვეყნისა, სისხლით ნაღები მთა-ბარი“, - წერს ის (განდეგილი, „ლექსები“, 1896: 8). და კიდევ:

„მიყვარს სამშობლო რუსთაველის და თამარ ქვეყნის მნათისა,
ღვთისმშობლის წილად ხვედრილი, სავანე ქრისტეს კვართისა,
აკვანთა მეფე ერეკლეს, და გმირი კახაბერისა,
დედა თორნიკე ერისთვის და იოანე ბერისა.“ (განდეგილი, „ლექსები“, 1896: 9).

სიყვარულის მიზეზი, ქვეყანა, რომელიც გმირებისა და წმიდანების სამშობლოა, ცხადია, სიყვარულს იმსახურებს. ამავე დროს იგი პოეტი ქალის „დედის კალთაა“, „აკვანია“. „მიყვარს მე კალთა დედისა, ჩემი გამზრდელი აკვანი“, - წერს ის.

დატყვევებული სატრფოს სიმბოლოდ დატვირთა განდეგილმა თავისი რამდენიმე ლექსი. „დაპატიმრებულ სამშობლოს“ მომავლის იმედი აქვს, იგი უშიშრად ხვდება ყველა განსაცდელს, გატეხისა და დანებების ნაცვლად შემდეგი ბრძოლისთვისაა მზად. „შენ რომ გგონია, დამიმონო, მატირ-მაცრემლო, მაშინ ეს გული სხვაგვარად ძგერს სალხენ სამღერლად“, - წერს განდეგილი და ყველნაირი განსაცდელისთვის მზად ყოფნას გამოხატავს. თავისუფლებისმოყვარე ქვეყნისა და ხალხის დამონება ჯაჭვსა და ბორკილს არ შეუძლია. თუნდაც დაატყვევონ განდეგილის სამშობლო, მას მხოლოდ გარეგნულად შეიძლება დაეტყოს ეს, ყველაზე ძვირფასს, გულს, ვერ ამოგლეჯენ, სურვილებს ვერ ჩაუკლავენ, ფიქრს ვერ აუკრძალავენ. „გული მთელად მაქვს, ვერ შეიძლება შეეხო ამას!..“ „აზრთა და ფიქრთა დამონება ჯაჭვთა ვერ შეძლეს“, - აცხადებს გაბედულად განდეგილი.

პატიმარი სამშობლოს იმედი განდეგილმა კარგად გადმოსცა ლექსით „პატიმარი“:

„ვიცი მომივლენ შვილები, თავს არვის დაუმონებენ,
ოდეს დახედვენ ამ თეთრ წვერს, ბევრ რამეს მოიგონებენ,
მამის მკვლელს პასუხს მოსთხოვენ, სიცოცხლეს დაულონებენ“.

ადვილი მისახვედრია, რომ განდეგილის ლექსის მოცემული სტროფი ილიას ლექსს „ჩემო კარგო ქვეყანავ“ შინაარსით ჰგავს. ორივე ლექსის ავტორს მომავლის იმედი აქვს, რათა „ახალთ აღადგინონ“ სამშობლოს კეთილდღეობა. მსგავსი გავლენა

პოეტ ქალზე გასაკვირი არაა. იგი თავადვე ამბობდა, რომ აღმერთებდა ილიასა და აკაკის პოეზიას, მისდევდა მათ გზას, ამიტომ მოსალოდნელიცაა, ვერ გაექცეოდა მიმბამველობას. თავად განდევილი სიცოცხლესაც არ დაინანებდა სამშობლოსათვის: „ჰა, შენთვის გული, ტახტად დადგმული, შენს სატრფიალოდ ამგერებული, - მიმართავს იგი სამშობლოს და განაგრძობს: - ჰა, შენთვის სული, მრავალტანჯული და თვალნიც შენთვის აცრემლებული“.

განდევილის პოეზია სპეტაკ, სუფთა გრძნობებზე მიგვითითებს. თითქმის ყველა ლექსში იგრძნობა ოპტიმისტური განწყობა, ბრძოლა და ყველანაირი წინააღმდეგობის გადალახვის სურვილი. განდევილის სული ბედთან შერიგებული და ბედის მორჩილი არასდროს არ არის, ამის კარგი მაგალითია მისი ლექსი „არა, არ ვტირი“:

„არა, არ ვტირი - ცრემლები სულით მდაბალთა წესია,
ქედს არ მოვუდრეკ შავ ბედსა, რაკი მტრად შემომესია,
მებრძოლსა, რადგან საჩემოდ მახვილი გაულესია..“

განდევილი მიმართავს ყველას, რომ უნებისყოფობა, შიში სისუსტეა. უმოქმედობა სიცოცხლეზე ხელის აღებას ნიშნავს:

„არ ვარგა სული ობოლი, შემკრთალი, შეშინებული,
დაჩლუნგებული გონება, ძალ-ღონე დადუნებული...
ირემი - ჯდამომტვრეული და სპილო ხორთუმ-ვნებული,
კაცი, მეჭორე, ტრაბახი, დიაცთა შედარებული,
ოქრო და ვერცხლი უხმარი, მიწაში უქმად დებული“.

განდევილი მოგვიწოდებს მოქმედებისკენ. მას სჯერა და სწამს, რომ სამყარო, ბუნების სილამაზე, მეტყველი ენა, გონება ადამიანს იმიტომ აქვს, რომ სულ მოძრაობაში და მოქმედებაში იყოს, მუდამ ჰქონდეს ახლის ძიების სურვილი.

დომენიკა ერისთავის ბიოგრაფიის მკვლევარს, ნინო ჩიხლაძეს, თავის წიგნში მოჰყავს განდევილის ლექსიდან ერთი სტროფი და ვაჟა-ფშაველას ლექსთან: „რამ შემქმნა ადამიანად“ შინაარსობრივ კავშირზე მიუთითებს. მაგალითისთვის წარმოვადგენთ ორივე ლექსიდან შინაარსით მსგავს სტროფებს:

„ფრთა შემასხა ტკბილ ოცნებამ
ცის სივრცეში ამაფრინა
მზეს და მთვარეს შემაერთა,
ვარსკვლავებთან მომცა ბინა“;

„რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოველ წვიმადა
რომ ვყოფილიყავ მუდამა
ღრუბელთ გულმკერდის მძივადა“.

შინაარსობრივი ნათესაობა, რა თქმა უნდა, არის. სურვილებიც თანხვედრაშია. ზეციური საუფლოდან დანახული განსხვავებული სამყარო, რომელიც მხოლოდ ოცნებებშია მისაწვდომი. განდეგილის ვარსკვლავებთან დაბინავების სურვილს და ვაჟა-ფშაველას ლექსის დაწერის ისტორიასაც თუ გავიხსენებთ, ნათელი ხდება, რომ ოცნებები ემთხვევა ერთმანეთს დროებით მაინც. ამ წუთისოფლიდან გაქცევის სურვილი მსგავსი ჰქონიათ ლექსის ლირიკულ გმირებს.

განდეგილის ლექსების კრებულში არის კიდევ ერთი ლექსი, რომელზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლავ ვაჟას ლექსის გავლენა იგრძნობა. ლექსში ბუნების აღწერაა, დახატულია ულამაზესი პეიზაჟი, ქალის ნაზი და სათუთი თვალთ დანახული. მშვენიერი დილა გათენდა და:

„მობიბინე ვარდ-ყვავილი,
გულ-მკერს იშლის, იფურჩქნება,
გაიღვიძა მთა და ბარმაც
სამეჯლისოდ ემზადება“

(განდეგილი „ლექსები“, 1896:18).

ასეთი დილის ფონზე სრული ჰარმონიაა:

„მიჯნურივით გაუღიძა,
ქვეყანამ ცას, ცამ ქვეყანას
დღე მზეს ნათობს, ღამე მთვარე
დღე ღამეს დევს, ღამე დღესო,
თუ წყვილი არ გინახავს
ფასს ვერ დასდებ სინათლესო.“

„ხევი მთას ჰმონებს, მთა - ხევსა,
წყალნი - ტყეს, ტყენი - მდინარეთ,
ყვავილნი-მიწას და მიწა

თავის აღზრდილთა მცინარეთ

და მე ხომ ყველას მონა ვარ

პირზე ოფლ-გადამდინარედ!“ (ვაჟა-ფშაველა, „ღამე მთაში“, 1890 წ.)

განდეგილის ლექსის დასასრული იმედიანია. „ვაჟა, ვაჟა, ბუნების წესს, რომ ნათელი მოსდევს ბნელსო!“ - წერს ის. ესე იგი კმაყოფილია ბუნების ამ ჰარმონიისა, ყველანაირი სიბნელის ბოლოს სინათლეა, სინათლე სიბნელის თანმდევი, ეს ბუნების კანონია და მოლოდინიც ამისი უნდა ჰქონდეს ადამიანს. როგორც ცნობილია და თავადვე გამოხატავდა განდეგილი ვაჟას, ილიასა და აკაკისადმი მადლიერებას, რომ მათი მაგალითით ისწავლა და გააღვიძა საკუთარ თავში პატრიოტული გრძნობა, ჩასწვდა ბუნების სილამაზეს. გამორიცხული არაა ვაჟას მოცემული ლექსითაც მოხიბლულიყო. ეს ჰარმონიული წყობა სინათლე-სიბნელის, დღისა და ღამის ურთიერთობაში ასახა; ორივეს არსებობის აუცილებლობა გადმოსცა, ოპტიმისტურად დაასრულა ლექსი. „ვაჟა, ვაჟას“ შემახილით ხალისი შემატა ლექსს, ბუნების მიერ დადგენილი წესი გაამართლა, რომ სიბნელის შემდეგ სინათლეა, ღამეს დღე მოსდევს.

განდეგილის პოეზიის მოკლე მიმოხილვის შემდეგ იკვეთება ორი ძირითადი აქცენტი: 1) განდეგილი განიცდიდა თავისივე ეპოქის დიდი თანამედროვე პოეტების გავლენას (ილია, აკაკი, ვაჟა); 2) მისი პოეზია წარმოადგენს ანარეკლს იმ მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისას, რომლებიც სამოციანელთა პოეზიაში მკვეთრად აისახა.

1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა დომენიკა ერისთავის პოემა „შეჩვენებული“ (ჩერქეზების ცხოვრებიდან). ჩერქეზი რომა თავადის ქალია, განთქმულია მშვენიერებით, მაგრამ ამპარტავანი ხასიათისაა და არც ერთ მამაკაცს ყურადღებას არ აქცევს. ერთ დღესაც ასეთი რამ მოიფიქრა, დაიბარა ჩერქეზი ვაჟკაცები და გამოუცხადა: „ვინც მტრისაგან სამშობლოს დაიხსნის და ჩემს მანდილს მტრის სისხლით შეღებილს მომიტანს, ჩემს ქმრობას ის დაიმსახურებსო“. ორმოცი ჩერქეზი ვაჟკაცი გაწყდა მტერთან ბრძოლაში, მხოლოდ ერთი გადარჩა. მან მოძებნა ბრძოლის ველზე რომას მანდილი, ერთ ამხანაგს გულზე ედო და ისე გარდაცვლილიყო. გადარჩენილი ვაჟკაცი თვალზეცრემლმორეული დასცქეროდა დაღუპულ მეგობრებს. წამოიღებს მანდილს, მივა რომასთან. კომკიდან გამოიქცევა გახარებული რომა, გამარჯვებულ ვაჟკაცს მიეგება, შესძახებს: „ჩემი სიტურფე ჯილდოდ გერგებაო!“ მაგრამ ახალგაზრდა ვაჟკაცი ხელს ჰკრავს რომას და მიმართავს:

„შორს ჩემგან ღვთისგან შეჩვენებულო,
გამცილდი, თვალით არ დამენახო,
როგორ გაბედე ჩემი ძმის სისხლით,
გასვრილი ხელი ჩემს ხელს შეახო?!“

განდეგილს არ სურს ასეთი გზით მიღწეული ბედნიერება, არ მოსწონს რომას ამპარტავნება და სიამაყე, რომელმაც თავის სილამაზეს შესწირა ორმოცი ვაჟკაცი. ამიტომაც ათქმევინა გადარჩენილ ვაჟკაცს:

„რად მინდა შენი მშვენიერება,
მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული,
თუ ეგ სიტურფე ყოველი მხრიდან
ცოდვით და სისხლით არის მოსილი.“

ვაჟკაცი ჰპირდება რომას, რომ დახოცილი ჩერქეზების ბედი მოეკითხება განკითხვის დღეს. მისი საქციელი ბოროტება იყო და ღმერთი არ აპატიებს. „გულით ბოროტმა შეუბრალებლად, ამდენი გმირი შეაკალ მტერსა“, - ეუბნება იგი რომას და ტოვებს ამ სიტყვებით. საინტერესოა პოემის ფინალი: ცხოვრებისგან დასჯილი რომა დაძრწის ველურივით ტყე-ღრეში, მის თვალებს ძველებური ელვარება დაჰკარგვია, გამხდარია, ძვლებისგან აგებული ჩონჩხი დაიარება. მისი კომპი ჩამონგრეულია, ნადირთა თავშესაფარი გამხდარა. დამდამობით მიდის რომა კომკთან, ხელში რაღაც უჭირავს და კაცების სახელებს კითხულობს.

ასე წარმოადგინა განდეგილმა ამპარტავანი, ცბიერი ქალი, რომელმაც თავის სილამაზესა და ბედნიერებას ადამიანების სიცოცხლე ანაცვალა. მშვენიერება კერპად გაიხადა და სხვებსაც სთხოვდა, თაყვანი ეცათ მისთვის. განდეგილმა სათანადოდ დასაჯა რომა და აჩვენა ის, რომ სამეფო ტახტზე მჯდომი ჩერქეზი ქალისგან, რომელიც დედოფალი იყო, აღარაფერი შემორჩა. მის სახელს არაფერი უკავშირდება, გარდა იმისა, რომ „სილამაზის კერპი იყო და თვითმპყრობელი“ („ივერია“ 1894: N56). განდეგილის ლექსები ზედმეტად მგრძნობიარე ლექსებადაც მიიჩნეოდა. „ჯობია, მარგალიტების ფანტვისთვის თავი დაენებებინა და მარგალიტთა წყობისთვის მოეკიდნა ხელი“, - ასე ურჩევდა ილია ნაკაშიძე („ცნობის ფურცელი“ 1902: N173). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლექსი უნდა იყოს გრძნობითა და ემოციით დაწერილი. განდეგილმა შეძლო ეს. მიუხედავად იმ გავლენებისა თუ მიზაძვისა, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ, განდეგილმა

თავისი განცდა მკითხველამდე მოიტანა, თავისი კვალი დაატყო უკვე ნაცნობ თემატიკასაც.

განდეგილმა თავისი პირველი მოთხრობა „მუნჯი“ 1894 წელს კვლავ „ივერიაში“ გამოაქვეყნა. პირველი ლექსითა და პირველი მოთხრობით იგი „ივერიის“ ფურცლებიდან გაიცნო საზოგადოებამ. მისი პატარა-პატარა მოთხრობები რეალისტური ხასიათისაა, ზუსტად გადმოგვცემს იმ დროში არსებულ მდგომარეობას. მისი მოთხრობები პატრიოტულია. ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალურ თემას, სიყვარულის, მეგობრობის თემებს. წერდა საბავშვო მოთხრობებსაც. განდეგილი კარგად იცნობდა სოფლის ცხოვრებას, გლეხის ფსიქოლოგიას, ამიტომ სიზუსტით გადმოგვცემდა ფაქტებს. აი, მაგალითად: მან გაგვაცნო გლეხი გოგია მართალაძე, ბატონ ქაიხოსროს ერთგული მოჯამაგირე, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, რა უნდა გააკეთოს და როგორ უნდა იცხოვროს ბატონის ბრძანების გარეშე. „მე ღმერთმა ნუ მომიშალოს ჩემი მწყალობელი ბატონი, სანამდის ცოცხალი ვარ, როგორ მოვშორდები. რას ამბობ, ძმაო. აბა, იმას რა სჯობიან, როცა შუა ჭამაზე ჩემს ბატონის ცოლს ვახშამს მივართმევ და ისიც მამაშვილური ალერსით მადლობას მეტყვის“. გოგია რომ მარტო არაა, ცხადია. განდეგილი ამხელდა გლეხების სისუსტეს, აკრიტიკებდა მათ, ვინც გოგიასნაირად აზროვნებდა. მიაჩნდა, რომ მსგავს ადამიანებს დაკარგული აქვთ ცხოვრების აზრი და შინაარსი. „როდესაც გლეხკაცის გათავისუფლების სიომ დაჰკრა, გოგია თავის თანამომძიებებს ეტყოდა ხოლმე, მოიცადეთ, ძმებო, აგრე ნუ ჩქარობთ, ვინ იცის, რა მოჰყვება ამ ცვლილებებსო“ (განდეგილი, „ლექსებისა და მოთხრობების კრებული“, 1910 წ.). განდეგილს უნდოდა ეჩვენებინა ისეთი ადამიანები, რომლებსაც დაკარგული ჰქონდათ თავისუფლების შეგრძნება, იყვნენ ცხოვრებისა და მებატონეთა კლასობრივი ფენისგან დაბეჩავებულნი და უუნარონი.

ორ სხვადასხვა სოციალურ კლასს შორის ძნელია იყოს სიყვარული და მეგობრობა. კლასობრივი ჩაგვრა და, ზოგადად, ჩაგრული მდგომარეობა გადადიოდა ოჯახებშიც, ადამიანთა ურთიერთობებს ეტყობოდა ანგარება. განდეგილი გმობდა და ამხელდა ზნეობრივად სულმდაბალ ადამიანებს. გამორჩეული მოთხრობაა „კბილები“. ის იუმორით, მარტივად გადმოცემული ამბავი მოგვითხრობს სამოცი წლის გენერლის ქვრივის, მარია ივანოვნას ცხოვრებას, რომელსაც ქმრის გარდაცვალების შემდეგ ბევრი ქონება დარჩა. მის ცხოვრებაში გამოჩნდება ახალგაზრდა ოფიცერი, რომელსაც თვალი ქონებაზე უჭირავს, ქალბატონი მარია კი მალევე დაიჯერებს ოფიცრის სიყვარულს და

იმისათვის, რომ ოფიცრის ყურადღება მეტად მიიქციოს, თავის გალამაზებას იწყებს - კბილებს გაიკეთებს: „ჰო, კბილები, კბილები, დიდი რამ ყოფილა კბილები. შემცდარია, ვინც თქვა, თვალებია დამამშვენებელი ადამიანის სახისაო. თვალები კი არა, კბილები ყოფილა დამამშვენებელი და დამაბრმავებელიც. კბილებს ბევრი რამ შესძლებია, ბევრი, ძალიან ბევრი“.

თუმცა კბილების ჩასმამ სავალალო შედეგი მოიტანა. მარია ივანოვნა იმსხვერპლა ახალგაკეთებულმა კბილებმა. ქვრივის ქონება ოფიცერს დარჩა. „კანონიერი ქალადი ხელში ჰქონდაო“, - წერს დომენიკა ერისთავი. ქვრივის სამძიმარზე მისული ხალხი გაკვირვებული კითხულობდა, რა უფლებით რჩებოდა ოფიცერს ქალბატონი მარიას ქონება, თუმცა უკვე გვიან იყო.

განდეგილს მთელი რიგი მოთხრობები აქვს დაწერილი ისეთ თემაზე, სადაც ნაჩვენებია ქალის დაჩაგრული ბედი, მაგ.: „იის კონა“, „ფოთოლი“, „საშინელი ღიმილი“, „ფატიმა“. ამ მოთხრობებში აღწერილია იმ ქალების ცხოვრება, რომელთა სიყვარული ფეხქვეშ გათელილია, ანგარებითა და პატივმოყვარეობითაა შექმნილი ოჯახები, ურთიერთპატივისცემის გარეშეა ცოლსა და ქმარს შორის ურთიერთობები, მაგ.: მოთხრობა „ფატიმაში“ ფატიმა სწერს სატრფოს: „შენ ვერ დააფასე ის წრფელი გული, რომელიც პირველად და უკანასკნელად მხოლოდ შენთვის ძგერდა და ყველა ეს ჩაიდინე იმიტომ, რომ მამაკაცი იყავი, ცბიერი, გაუტანელი. თქვენ მამაკაცები ადელვებულ ზღვას ჰგავხართ. ზღვა მანამ ბობოქრობს, ყველაფერს თავის მდელვარე მკერდში იკრავს, მაგრამ გაივლის თუ არა ტალღა, ისიც წყნარდება და ყველაფერს შორს ნაპირისაკენ სტყორცნის“. ფატიმა არის ქალი, რომელსაც სატრფომ უღალატა. განდეგილი ხვდება ქალის ფსიქოლოგიას, მისი სულის ტკივილს. ქალი, რომელსაც მხოლოდ დანიშნულებისა და საჭიროებისამებრ იყენებენ, როგორც ნივთს, იფიტება, აღარ აქვს სილამაზე. დომენიკა ერისთავი კი სპეტაკ სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახების შექმნის მომხრე იყო.

დომენიკა ერისთავის საბავშვო მოთხრობები სიყვარულსა და სიკეთეს ასწავლის ბავშვებს, უნერგავს სიბრალულის გრძნობას, აჩვენებს გაჭირვებულის დახმარების შემდეგ გამოწვეულ სიხარულს, ასწავლის ზრუნვას ცხოველების მოვლის მაგალითზე. ბავშვების ცხოველებთან ურთიერთობა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომ ბავშვმა სხვაზე ზრუნვა ისწავლოს, მაგ.: მოთხრობა „ბეკეკა“. ბატონის ოჯახს სააღდგომოდ ბატკანი მიაართვეს საჩუქრად. ოჯახი არ ითვალისწინებს ბავშვის (ნიკას) თხოვნას, რომ

არ დაკლან ბეკევა. დედა შვილს უხსნის, რომ „პატარა უფრო გემრიელია“. „მერე მეც რომ მომკლას ღმერთმა?“ - კითხულობს ნიკა. ამაზე დედა შვილს უყვირის.

ამ მოთხრობით განდევილმა აჩვენა ისეთი **მებატონეები**, რომლებიც მთელი ცხოვრება თავიანთი ნება-სურვილით ცხოვრობდნენ; აჩვენა **მშობლები**, რომელთაც შვილის არ ესმით; აჩვენა **ბავშვი**, რომლისთვისაც გაუგებარია გემრიელი საჭმლისთვის საყვარელი არსების მოკვლა.

მოთხრობა „ორი მეგობარი“ ორი ბავშვის ურთიერთობას მოგვითხრობს. თომა პატარა ობოლი ბიჭია. დედამისი სარეცხს რეცხავს და ასე ინახავს შვილს. თომას პატარა პურის ნატეხი მიაქვს სკოლაში. მეგობარი ნიკო კი ხუმრობით ჰპარავს პურს. მაგრამ როცა გაიგებს, რომ თომას მეტი პური არ აქვს და სახლშიც ვერ დაახვედრებენ, მაშინვე მივა მასთან და ბოდბის მოუხდის, დანაშაულს აღიარებს. მოთხრობა ბავშვებისთვის ნამდვილად მაგალითის მიმცემია, აღმზრდელითი ხასიათისაა. გამოიყოფა ორი ძირითადი ასპექტი: 1) ქურდობა, როგორც დანაშაული, რომლითაც სხვას აზიანებ; 2) დანაშაულის აღიარება, როგორც კარგი საქციელი.

დომენიკა ერისთავი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოურ ლიტერატურას. იგი ცნობილია, როგორც მთარგმნელი. თარგმნიდა: ჰაინეს, გრიბოედოვს, მარკიზ სონიეს და სხვებს.

განდევილი წუხდა იმაზე, რომ ქართული ლიტერატურის გაცნობის საშუალება არ ჰქონდათ უცხოელ მწერლებს. „სახალხო ფურცელში“ განდევილი ასეთი შინაარსის წერილს აქვეყნებს: „საუბედუროდ, სხვები ძალიან ცოტად იცნობენ ჩვენ მწერლობას. ვისი ბრალია ეს?! ეჭვგარეშეა ჩვენი. სხვებს არავითარი საშუალება არ აქვთ, გაეცნონ ჩვენს მწერლობას, რადგან არ იციან ჩვენი ენა. თამამად ვიტყვი, რომ არც ერთ ქართველს არ შეუწუხებია თავი და მამაშვილურ წმინდა მოვალეობად არ მიუჩნევია ჩვენი მწერლობის საქვეყნოდ გამომზიურება“ („სახალხო ფურცელი“ 1916: N261). წერილიდან ჩანს, რომ ანასტასია თუმანიშვილი დაინტერესებული იყო იმითაც, რომ ქართული მწერლების ნაწარმოებები ეთარგმნათ უცხო ენებზე. განდევილის თარგმანებიდან განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია ალექსანდრე გრიბოედოვის თარგმანმა. კომედია „ვაი ჭკუისაგან“ თავდაპირველად 1898-1899 წლებში ნაწყვეტებად იბეჭდებოდა, 1902 წელს კი ცალკე წიგნად გამოვიდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. 1900 წელს ჟურნალი „კვალი“ თეატრის სეზონის გახსნას იუწყებოდა: „ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, თბილისის ქართულ თეატრში დაიწყო ქართული წარმოდგენის

წლებადედი სეზონი. წარმოდგენილი იქნება გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“, პირველად ლექსით ნათარგმნი ქალბატონი განდეგილისა“ („კვალი“ 1900: N43). განდეგილის თარგმნილ კომედიას დიდი მოწონება დაუმსახურებია. ამ ამბავსაც იგივე ჟურნალი იუწყება. თურმე არ წყდებოდა ტაში და ოვაციები. თარგმანის ენა მართლაც ბუნებრივია და ყველასთვის გასაგები. დომენიკა ერისთავს, როგორც კარგ მოქართულესა და კორექტორს, არ გაუჭირდებოდა ბუნებრივად გადმოეცა ნათარგმნი ამბავი. პერსონაჟთა დიალოგები სიზუსტითაა გადმოცემული. ნათარგმნიდან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ისეთი ფაქტი, რომლებიც თარგმანის ღირსებას კარგად გაგვაცნობენ, მაგ.: პერსონაჟთა სამეტყველო ენა. ფამუსოვი საუბრობს ისე, როგორც ჩინ-მედლებისა და წოდებისათვის ყველაფერის მკადრებელი პიროვნება, ე. ი. დამრიგებლური ტონით; ჩაცვი გამოირჩევა კულტურული საუბრით, მოწესრიგებული სიტყვა-პასუხით; ოლჩალინი საუბრობს ჩინოვნიკური, ცოტა მლიქვნელი ენით, საკალაზუბი კი - სამხედრო ენით. აქედან გასაგები ხდება, როგორ შეუნარჩუნა განდეგილმა ყველა პერსონაჟს მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და სამეტყველო ენა.

განდეგილის თარგმანს შეფასებებიც მოჰყვა, მაგ.: თარგმანის შესახებ მოსაზრება გამოუთქვამს კატო მიქელაძეს: „სრულიად უსწავლელი ქალია და როგორ მიაღწია ამ სიმაღლემდე, რომ მან ასეთი შესანიშნავი თარგმანი მოგვცა ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, უნივერსალური მომზადების პატრონია. ეს ის ქალია, რომელიც ფრანგ მწერლებს ორიგინალში კითხულობს“ (ჩიხლაძე 1960: 24). ნინო ნაკაშიძეს უთქვამს, მარტო „ვაი ჭკუისაგან“ რომ ეთარგმნა, ისიც უკვდავყოფდა მის სახელსო (ჩიხლაძე 1960: 23).

განდეგილს ჟორჟ სანდს ადარებდნენ. საინტერესოა, რა პარალელები იძებნება ფრანგი ქალის ცხოვრებასა და განდეგილს შორის. პირველი ის, რომ მათი ცხოვრება ჰგავს ერთმანეთს. 1822 წელს ჟორჟ სანდი გათხოვდა, ცოლად გაჰყვა მამის მეგობარს, კაზიმირს. აღმოჩნდა, რომ ცოლ-ქმარი ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ქმარს მარტო ნადირობა და ქეიფი აინტერესებდა, ცოლის ინტერესებს კი არაფრად აგდებდა. ასე იყო დომენიკას ქმარიც. მასაც ერთ ოთახში გამოკეტილი ჰყავდა დომენიკა თავისი ფიქრებითა და ოცნებებით. ჟორჟ სანდმა ცხოვრების რთული გზა განვლო, ჰქონდა ნერვული სპაზმები, ცხოვრობდა კათოლიკურ ეკლესიაში, შემდეგ პარიზში. პარიზში მატერიალურად ძალიან უჭირდა, იმდენად, რომ მამაკაცის პიჯაკით დადიოდა

(საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის საფრანგეთში თეატრში ქალებს არ უშვებდნენ, ავრორა კი თავისუფლად ესწრებოდა სპექტაკლებს მამაკაცის სამოსში გამოწყობილი). მან წერა დაიწყო. მისი წერის დამახასიათებელი სტილი იყო, ვრცლად აღწერა და აეხსნა ადამიანები თავიანთი ხასიათებით, ეძებდა იდეალურ სიყვარულს. მისი რომანები, მაგ.: „ლუკრეცია ფლორინი“, „ლელია“, „კონსუელო“, ეხება მამაკაცისა და ქალის გრძნობებს, თავგანწირულ სიყვარულს. ასევე თამამად გამოთქვამს მოსაზრებას ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის შესახებ. ჟორჟ სანდის აზრით: „ქალის მეორეხარისხოვნობას განაპირობებს არა მისი ბუნება, არამედ გაბატონებული ცრურწმენები, უსამართლო ადათ-წესები. ქალის გონება არ ჩამოუვარდება კაცისას და თუ ქალი კაცივით ნიჭიერი არ არის, ეს ტრადიციული აღზრდის ბრალია და მამაკაცის გაბატონებული მდგომარეობისა. შეგვიშვით უმაღლეს სასწავლებლებში, თავი გავვიტოლეთ და ნახავთ, რომ თანასწორნი ვართ“, - წერდა ის (ჟორჟ სანდი, „ჩემი ცხოვრების ისტორია“, გვ.: 34). დომენიკა ერისთავიც ჟორჟ სანდივით ფიქრობდა. მას არა მარტო სიტყვით გამოუხატავს ეს, არამედ ცხოვრების წესითაც. ის წერდა ქალთა დაჩაგრულ ბედზე, წერდა სპექტაკ სიყვარულზე, რომელიც უნდა ყოფილიყო მყარი ოჯახების შექმნის საძირკველი. ესაა მათ შორის მსგავსება. ორივეს სურვილი იყო ქალის დაფასება და მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა. ამ მხრივ დომენიკას გაუმართლა. იგი იმ თაობის წარმომადგენელია, რომლის სათავეშიც ილია იდგა, ვინც აფასებდა ქალს, დედას, მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ქალის სწავლა-განათლებას, ხედავდა მის როლსა და დანიშნულებას საზოგადოებაში.

დომენიკა ერისთავი გატაცებული ყოფილა ინდოელი მწერლის, თავორის შემოქმედებით, რომელიც ინდოელი დაჩაგრული ქალების უფლებებს იცავდა. ნინო ჩიხლაძე თავის წიგნში „დომენიკა ერისთავი“ განდევილის დის შვილის მოგონებას გვამცნობს. თინა აბაშიძე იგონებს: „დომენიკას დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა თავორთან. იგი წერილებში ყოველთვის დაბეჯითებით ეპატიჟებოდა თავის სამშობლოში. დეიდაჩემი ხშირად მოგზაურობდა, ემზადებოდა ინდოეთში გასამგზავრებლად, ოცნებობდა გაეცნო ინდოეთის ხალხის ცხოვრება, მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი“ (ნ. ჩიხლაძე გვ.: 35). თავორისა და დომენიკა-განდევილის ასეთი ურთიერთობა მათმა საერთო ინტერესმა განაპირობა. ორივეს აერთიანებდა აზრი ქალთა დაჩაგრული ყოფის შესახებ.

რაბინდრანათ თაგორი იყო მხატვარი, პოეტი, კომპოზიტორი, დრამატურგი, ესეისტი, ფილოსოფოსი, მწერალი და მომღერალი. მისი ლექსები საფუძვლად უდევს ინდოეთისა და ბანგლადეშის ჰიმნებს. ის იყო პირველი აზიელი, რომელმაც მიიღო ნობელის პრემია 1913 წელს. ეს პრემია მან შესწირა თავის სკოლას შანტინიკეტანეში, რომელიც გახდა პირველი უფასო უნივერსიტეტი. თაგორი სოფლის ხალხის განათლებისთვის ემებდა სპონსორებს. მსგავსება ნათელია - იმდროინდელი ქართველი ქალებისთვისაც ძირითად საქმიანობას სკოლების გახსნა და ბავშვებისთვის სწავლა-განათლების მიღება წარმოადგენდა. თაგორი თავის რომანში „ჩოკხერ ბელი“ აღწერს მძიმე ხვედრს ქვრივისას, რომელსაც ტრადიციით მეორე ქორწინება არ შეუძლია და განწირულია მარტოობისთვის. მის ნაწარმოებებში „გიტანდჯალი“, „გორა“ გადმოცემულია ქალების რთული ყოფა, ოჯახური მოვალეობები და ორსული ქალების ცხოვრების ისტორიები. რაც შეეხება დომენიკა ერისთავს, მანაც ხმა ამოიღო ქართველი ქალის ინტერესების დასაცავად. განდეგილს სწამდა, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა წაადგებოდა ყველა საქმეს. თაგორის ლიტერატურულ შემოქმედებასთან, ცხადია, ეს ძირითადი აქცენტიც აკავშირებდა.

ქალთა ლიტერატურული შემოქმედების განხილვამ გაგვითვალსაჩინოვა საქართველოს იმდროინდელი სოციოპოლიტიკური მდგომარეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფუძველი ჩაეყარა საბავშვო მწერლობის, როგორც ცალკე მიმდინარეობის, განვითარებას. იმ მძიმე ვითარების ფონზე, რომელიც მოთხრობებშია გადმოცემული, კარგად გამოიკვეთა ქალის დაჩაგრული და უუფლებო ყოფა, განსაკუთრებით სოფლებში. ქალთა შემოქმედებაში ხელშესახებად არიან წარმოდგენილნი ურთიერთობებისაგან (სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება) დაცლილი ადამიანები, მხოლოდ ლუკმაპურისა და საკუთარი თავის გადარჩენის მაძიებლები. ქალმა მწერლებმა დაგვიხატეს ცხოვრება უუფლებო ადამიანებისა (ქალებისა), რომლებსაც უჭირთ ბრძოლა პირადი ინტერესებისათვის, საკუთარი ბედნიერებისათვის, არ აქვთ წინააღმდეგობის გაწევის უნარი, ეშინიათ დაბრკოლებების გადალახვისა. მხატვრულ ტექსტებში, ასევე, რეალურადაა ნაჩვენები მშვიერი, ეკონომიკურად მძიმე პირობებში მცხოვრები ბავშვების მომავალი. ესაა ქართველ საზოგადო მოღვაწე ქალთა ძირითადი გულისტკივილი, რის გამოც მათ თავი არ დაზოგეს და ცხოვრება თუ სამწერლობო საქმიანობა მოცემული მდგომარეობის ასახვასა და მომავალი თაობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მიუძღვნეს.

1929 წლის 29 იანვარს დომენიკა (განდეგილი) ერისთავი გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ფანჯარასთან მისვლა უთხოვია თურმე, გაუხედავს ფანჯარაში და უთქვამს: „მე ვხედავ ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც შევწირე ჩემი სიცოცხლე, არ მეშინია სიკვდილის“, - ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. დომენიკა ერისთავი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

დომენიკა ერისთავმა საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქალთა უფლებების დაცვით დაიწყო, მას მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იმ დროისთვის. დომენიკა ერისთავის შემოქმედების გაცნობისას ცხადია, რომ იგი ხვდება ქალის ფსიქოლოგიას, ქალის ტკივილს, მისი ცხოვრებიდან გამომდინარე შემოქმედებასაც ეტყობა, რომ მომხრე იყო სპეტაკ სიყვარულზე წარმოქმნილი ქორწინების. ჟორჟ სანდის ნაწარმოებებმა მისცა ბიძგი ებრძოლა ქალთა თავისუფლებისთვის.

§ 6. ნინო ყარანგოზიშვილი - პოეტი ქალი

XIX საუკუნის პოეტ ქალთა სიაში მოიხსენიება ნინო ყარანგოზიშვილი. 1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი პეტრე უმიკაშვილის წერილი გვამცნობს, რომ „მოლექსე ქალთა შორის არის ნინო ყარანგოზიშვილისა. ნინომ, ყარანგოზიშვილის მეუღლემ, აბაზაძის ასულმა, გამოსცა ლექსების კრებული 1880 წელს“ („ივერია“ 1889: N63). ნინო ყარანგოზიშვილი დაბადებულია დაბა სურამში, კერძოდ, ერთ-ერთ ცნობილ უბანში, ზინდისში 1855 წელს. სურამელი აზნაურების ლევან აბაზაძისა და მაგდანა ყიფიანის ოჯახში; განათლების მისაღებად ოჯახს ქალაქ ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელში გაუგზავნია. 1874 წელს ცოლად გაჰყვა დუშეთის აზნაურთა წარჩინებული გვარის წარმომადგენელს, გიგო ყარანგოზიშვილს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გიგოს ორი და, ეკატერინე და ნინო, ცხოვრობდა სურამში. ეკატერინე იყო ინგლისელი ინჟინრის, ჰენრიხ მოატის მეუღლე, ხოლო ნინოს ქმარი იყო ფრანგი ინჟინერი, მორის (მიხეილ) ზაგიუსი. გოგის ძმა ვლადიმერ (ლადო) ყარანგოზიშვილი დუშეთის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დუშეთის განყოფილების დამფუძნებელი იყო (1914-1917 წ. წ.). ასეთ ევროპულ-ქართულ ოჯახში დაიწყო ნინო აბაზაძისთვის ახალი ცხოვრება, თუმცა ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. ნინოს და გიგოს ერთი ვაჟი ჰყავდათ, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა. ნინო მეუღლეს გაშორდა და

საცხოვრებლად მშობლიურ ზინდისს დაუბრუნდა, თუმცა 1885 წელს 30 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი აბაზაძეების საგვარეულო სასაფლაოზე, სოფელ ურთხვაში განისვენებს. ნინო ყარანგოზიშვილის წარმომავლობისა და დაბადების ადგილის შესახებ დაინტერესდა შალვა ამინაშვილი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ნინო ყარანგოზიშვილის დაბადების ადგილი იყო გორის რაიონის სოფელი შინდისი, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, მაშინდელ საქართველოში „ზინდისი“ - ასეთი სახელწოდების სოფელი არ არსებობდა (ამინაშვილი 1992: 30). გალაკტიონ ტაბიძე „ვეფხისტყაოსნის“ ნიქოზური ხელნაწერისადმი მიძღვნილ ჩანაწერში აღნიშნავს: „შინდისში იყო ერთი პოეტი ქალი - ნინო ყარანგოზიშვილი, წამიკითხავს მისი მშვენიერი ლექსები“. ნინო ყარანგოზიშვილისადმი ასეთი განსაკუთრებული ინტერესი მისმა ერთ-ერთმა ლექსმა „ზინდისის ჭადრებს“ გამოიწვია, რომელსაც ვრცელი წერილი უძღვნა ლევან ბებურიშვილმა. მკვლევარი ნათლად და დეტალურად გადმოსცემს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ზინდისის ჭადრებსა“ და ნინო ყარანგოზიშვილის ლექსის „ზინდისის ჭადრებს“ შორის კავშირს და ორი პოეტის შინაგანი განცდის მსგავსებას. რის გამო შეიძლება მიეპყრო გალაკტიონის ყურადღება პოეტი ქალის ლექსს? ლექსში „ზინდისის ჭადრებს“ ავტორი გამოხატავს ბავშვობის მოგონებებს, წერს, რომ ახლანდელ დროს წარსული დრო ერჩივნა, როცა იყო პატარა და დარდი და სევდა არ წამლავდა მის ფიქრებს, იგივე სურს დაინახოს ჭადრებშიც. მასავით სევდიან, ფიქრებით დამძიმებულ ხეებს მიმართავს პოეტი: „ანუ იქნება თქვენ არ მოგწონთ ახალი ხალხი და ძლიერ ბევრით თქვენ გერჩივნათ მამა-პაპანი?“. ლირიკულ გმირს რომ ბევრი ცხოვრებისეული პრობლემა აწუხებს, ამის ჩვენება უნდა ლექსით, ამიტომ იგი ახსენებს ჭადრებს იმ დროს, როცა პატარა იყო და მათი ჩრდილის ქვეშ სიხარულით, უდარდელად მირბოდა, ახლა კი ასეთი რეალობაა: „ჭადრებს ქალის არ ესმით, ცად აუწვდენიათ თავი და სიამაყით გადმოსცქერიათ საწყისს, საიდანაც მათი ძირი (ფესვები) იწყება. ზეცისაკენ თავმიქცეული ჭადრები, ამაღლებულეულობისა და მიუკარებლობის შთაბეჭდილებას აღძრავენ“ (ლ. ბებურიშვილი, „ორი ჭადარი“). თითქოსდა უცხოა პოეტი ქალის განცდები მათთვის, მაგრამ ფაქტია და ნათელია, რომ მთავარ გმირს სურს ჭადრებს მათი ესმოდეს და მეტიც, იგებდნენ კიდევ ქალის გულისტკივილს. ლექსი რომანტიკული სტილისაა, მაგრამ ტლანქი და ცოტა უხეშია, აკლია სილამაზე და ის განცდა, რაც მკითხველისთვის გადამდებია. ლექსი თითქოს ემოციურია, მაგრამ

გადამდები არაა ემოცია მკითხველზე. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ერთი რამ ფაქტია, გალაკტიონ ტაბიძე „ზინდისის ჭადრებს“ „მშვენიერ ლექსს“ უწოდებს. საინტერესოა ლექსის ბოლო სტროფი, რომელიც თითქოსდა ამ ლექსის დასასრული არცაა, ისეთი განსხვავებული, ხალისიანი განწყობით მთავრდება. რა იწვევს პოეტ ქალში ასეთ ცვალებად ხასიათს, რომ სრულიად მელანქორიული განწყობის ლექსი ხალისიანი, იმედიანი დასასრულით წარმოგვიდგინა, სადაც მიმართვაცაა და მოწოდებაც:

„გავმხიარულდეთ, ნუ ვიდარდებთ ჩვენ ნურაფერსა
და მივცეთ თავი სიხალისეს ჩვენ შენაფერსა
აბა რა ვიცით რას მოიტანს ჩვენი დროება,
იქნება კიდევ არ მოგვიხდეს დროს გატარება“.

ლექსის მთავარმა გმირმა თითქოსდა იგრძნო ამ წუთისოფლის ამაოება, რამდენიმე წუთის წინ დაწუნებული ჭადრების სიამაყე მისაღები გახადა, დრო როგორც მოიტანს, ისე უნდა მოიქცე. რა განცდას აღძრავს „ზინდისის ჭადრები“ ქალის შინაგან სამყაროში გასაგებია, საინტერესოა გალაკტიონ ტაბიძის „ზინდისის ჭადრებს“, რომელიც ცნობილი ლექსია. ლექსის სამ სტროფში ლაკონიურად და ლამაზადაა ჩატეული პოეტის განცდა, მონაატრება, შინაგანი ცრემლი და ტკივილი. პოეტი მიმართავს ჭადრებს და მკითხველიც გრძნობს მათ სილამაზეს, შემოდგომის მკრთალ ფერებში, ოქროსფერი სინათლით განსხივოსნებულ წყვილ ჭადარს, ბავშვობისა და მშობლიური მიწის მონაატრება მოაქვს. პოეტი განიცდის ჭადრების შრიალს და საყვედურად აღიქვამს იმის გამო, რომ მათთან ფიზიკური სიახლოვე აშორებს. მშობლიური მიწიდან შორს მყოფი ლექსის გმირი თავს უთვისტომოდ და გარეწარად მოიხსენიებს, ნათელი დღეების „გედური ფერი“ კი ამ ჭადრების ირგვლივ დარჩა. ახლა ის მხოლოდ ლირიკული გმირის წარმოსახვაშია.

ორი ნაწარმოების შედარებით კარგად ჩანს, ნინო ყარაგოზიშვილის ლექსში „ზინდისის ჭადრები“ ხეების დანახვა წუთიერ ემოციას აღძრავს, რომელიც მალევე ქრება. ისინი ბედნიერ ბავშვობას ახსენებენ ლირიკულ გმირს. „ნინო ყარაგოზიშვილის ლექსში დროებითი ნოსტალგიაა“, - წერს ლევან ბებურიშვილი. გალაკტიონის ლექსი ღრმაა, დასასრული - მრავლისმთქმელი, მონაატრება - გაუსაძლისი, შინაგანი სინდისის ხმა - ძლიერი, ტკივილი - რაც ცრემლს იწვევს. ორი ლექსის მსგავსება აღსანიშნავია იმით, რომ ორივე ლექსში წყვილი ჭადარია, ორივე ლექსს ბავშვობის მონაატრება მოაქვს, რომელსაც სინანული ახლავს, ორივე ლექსი დროის უეცარ წარმავლობაზე გვაფიქრებს,

ჟამთა დინებას ვერაფერი შეაჩერებს, მთავარია, ადამიანის სული რა მეტამორფოზას გადის, შინაგანი უთვისტომობა აწუხებს თუ დროს ელოდება, რას მოიტანს („ზინდისის ჭადრებს“, გალაკტიონ ტაბიძე, ჟურნალი „მნათობი“ 1925: N10); (ნინო ყარანგოზიშვილი „ზინდისის ჭადრებს“, 1872 წ. 3 ივლისი).

„ზინდისის ჭადრების“ მსგავსია შინაარსით ლექსი „ზინდისის წყარო“. წყარო პოეტის ცეცხლმოდებული გულის ნუგეშია, ტკივილითა და სევდით დამძიმებული. პოეტ ქალს მხოლოდ წყაროსთან სიახლოვე ანიჭებს მხიარულების განცდას, აგონებს წარსულს, მიმართავს კიდევ წყაროს: „მაშინვე წამლად გაუხდები ამ საწყალ გულსა...“

„უცებ გააქრობ იმ ალგუნობილ საშინელ ცეცხლსა,
სიცხის მაგივრად მხოლოდღა ვგრძნობ სიოსა ტკბილსა,
ტანჯვის მაგივრად მოედება სიამე გულსა.“

პოეტი ფიქრობს, რომ წყარო, რომელიც მისი გულისა და სულის წამალია, რატომ არ უნდა აქოს? იმედოვნებს, რომ იქნებ სხვაც არის მისნაირი გულდამწვარი და „ზინდისის წყარომ“ მისმა მიდამოებმა, განკურნოს სხვაც, მისნაირი. როგორც ჩანს, პოეტი ქალისთვის ზინდისის წყაროს ჩუხჩუხს, იქ მდგარი ჭადრების შრიალს განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა. მისთვის ზინდისის მიდამოები განსაკუთრებულად მშვენიერია, სული სავსეა ბედნიერებით და სურს სხვასაც გაუზიაროს ემოცია. ლექსი 1872 წლის 4 ივლისსაა დაწერილი. ალბათ, ერთ დღეს, 3 ივლისს, ზინდისის ჭადრებს გადაუშალა გული ახალგაზრდა გასათხოვარმა ქალმა და იმედი დაიტოვა მომავლის კეთილდღეობისა, მეორე დღეს (4 ივლისს) ზინდისის წყაროს მიადგა კვლავ რომანტიკული განცდით, თან მადლობა გადაუხადა გულისტკივილის გაზიარებისთვის, იმისთვის, რომ „წამალია დამამწვრალი გულისა“. ორივე ლექსი ერთნაირი განცდით, ერთნაირი ემოციით, 14-მარცვლიანი სტრიქონებითაა დაწერილი.

ნინო ყარანგოზიშვილის ლექსებში ხშირია გულის ნადების (საიდუმლოს) განდობა მთვარისთვის, ტყისა თუ ბალახისთვის. ეს არაა ის ფიქრები, რომლებიც რომანტიკოს პოეტებს აქვთ ბუნების ამა თუ მშვენიერების მიმართ - მთვარის შუქზე ჩაფიქრება ან წყლის პირას ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე ფიქრი. ესაა გულნატკენი ქალის საუბარი მთვარესთან, მზესთან, ბულბულთან. ბულბულის ჭიკჭიკი გამაღიზიანებელი კი არის მისთვის, რადგანაც იმ ჰარმონიას ურღვევს ქალს, რასაც ამბის განცდით მოყოლა ჰქვია და მესამე ზედმეტია: „ახ, ბულბულო, მამწყინდა შენი მღერა,

გთხოვ გამშორდე და მოსძებნო შენ სხვაგან და კეთილიც მუნ მიიღო მისგან“. ლექსი დაწერილია 1873 წელს ბრეთში 3 ივნისს და იმავე წლის 23 ივნისს ზინდისში ნატრობს პოეტი, რომ როდის იქნება, „რომ ბულბული უოხვრელად ჭიკჭიკობდეს ტყესა-ველსა და თავისი სიამოვნება მოჰფინოს არე-მარესა“. ლექსების ე. წ. სერია ვარდსა და ბულბულზე (სამი ლექსი) ბულბულისა და ვარდის სიყვარულს გადმოგვცემს. ბულბული მუდამ ცდილობს, ვარდს ასიამოვნოს, მაგრამ ვარდი „დინჯად ისმენს ბულბულისგან შტვენას“ და ერიდება გული ატკინოს მასზე შეყვარებულ ბულბულს. ლექსებს თუ დავაკვირდებით, მიმზიდველია ბულბულისა და ვარდის სასიყვარულო ისტორია, თუმცა მოსაბეზრებელი იმ კუთხით, რომ ლექსებს სიმსუბუქე, სიყვარულისთვის დამახასიათებელი სილაღე აკლია; განცდის გარეშე გადმოცემული ამბავია იმ ხასიათით დანახული ვარდზე მჯდომი ბულბული, რა განწყობაზეც ლირიკული გმირია. ერთგან მოსაბეზრებელია ბულბული, შემდეგ უკვე საბრალო, რომ ყველაფერს აკეთებს სატრფოს გულისთვის. ამავე შინაარსის ლექსია „ფარვანა და სანთელი“, როგორც შეყვარებული წყვილი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ აქ სიყვარული ორმხრივია:

„სანთელს რაც შეუძლიან სინათლეს აძლევს თავსა,
ფარვანა სიხარულით დასტრიალებს მას გარსა,
მე სულ არ დავიჯერებ, რომ სანთელმა ის დასწვას
და ან მისი სიტურფე ოდესმე დაუთმოს სხვასა“.

ფარვანასა და სანთლის ალის ტრფიალი სასიამოვნო სანახავია პოეტი ქალისთვის. თვალნათლივანა დახატული პეპელას ნაზი ფრთები, მისი ანცობა და სიცელქე სანთელთან. ეს ის ჰარმონიაა, თვალგაშტერებული რომ უმზერ და არ გწყინდება. ვარდზე და ბულბულზე დაწერილ ლექსების სერიაში ნინო ყარანგოზიშვილს არც ყვავი დარჩენია ყურადღების მიღმა. ყვავი, რომელიც ბულბულის მეტოქედ და მიმბაძველად გვევლინება პოეზიაში, რომელიც მუდამ ვარდს დაეძებს და „თუ იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“. პოეტი ქალი ლექსს უძღვნის, სათაურით „ყვავი“. ლექსი მსუბუქია, იუმორისტული ელემენტებით გამორჩეული, მარტივად იკითხება, ორსტროფიანია. აი, რას ურჩევს პოეტი ყვავს:

„შეხედეთ ყვავსაც მიუბამავს ბულბულისათვის
და ახლა ვარდთან გაუმართავს თავისი ბინა,
ისიც მიბაძვით ბულბულისა აპირებს შტვენას,

რაც შეუძლია ძალას ატანს თავის ჯმახ ენას,
მაგრამ ტყუილად რად სწუხდება? ავად არ გახდეს!...
ბევრი ყვირილით იქნება ხმა სულაც ჩაუწყდეს,
მაშინ ისევ ის სჯობს დაუთმოს წყნარსა ბულბულსა,
იმისი ბადით ნუ იხეთქამს ტყუილად გულსა“ (5 ივნისი, 1873 წ., ბრეთი).

ნინო ყარანგოზიშვილს აქვს ერთი საინტერესო ლექსი, მიძღვნილი გიორგი დავანაძისადმი (გიორგი დავანაძე იყო გიორგი ერისთავი მიერ დაარსებული თეატრის დასის მსახიობი. იგი იმერეთიდან იყო ქართლში გადმოსახლებული, სოფელ ჭალაში ცხოვრობდა. გიორგი დავანაძე გიორგი ერისთავთან მოურავადაც მუშაობდა. მოურავად მუშაობდა იგი რევაზ ერისთავთანაც. შემდეგ უკვე თავისი სოფლის მეურნეობა მოიწყო და განაგებდა მას, მაგრამ მშვიდი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. პირადმა მტრებმა მას კაცის მოკვლა დააბრალეს და დაიჭირეს, გორში გაასამართლეს და კატორღა მიუსაჯეს. გიორგი დავანაძემ თავისი ავტობიოგრაფია ლექსად დაწერა, რომელიც საინტერესო მასალას გვაწვდის იმდროინდელი ქართული თეატრის შესახებ). ნინო ყარანგოზიშვილის ლექსი 1876 წლის 21 ივლისსა დაწერილი, ლექსი ასე იწყება:

„ოცსა ამ თვესა დილიდგანვე დაღონებული
მე წამოვწექი და სიმღერით გავირთე გული,
ამავე დღესა იყო უქმე, ილიაობა,
ერთგან ვიყავით მიწვეული ბევრი სახლობა“.

სტუმრად მისული პოეტი ქალისთვის უცნობებიათ, რომ გიორგი დავანაძეს სურს მისი ნახვა. მაშინვე წავედი ციხეში მის სანახავად, რომ მივედი, „სტოროჟებმა“ ჩვენთვის გააღეს კარი და მისი მნახველები შეგვიშვეს; რომ შემოიყვანეს გიორგი, ცრემლით ჰქონდა თვალები სავსე, მეც ვტიროდიო. „კვითხე ტირილით: - ოხ, რა იყო, რა დაგემართა?“. ლექსში გვიყვება ნინო ყარანგოზიშვილი, რომ მას გიორგი დავანაძემ გადასცა ლექსად დაწერილი თავისი ამბავი და თან უთხრა კიდევ: „ლექსათ დავწერე უბედურმა ჩემი ამბავი, რაც რომ გადამხდა სიცოცხლეში კარგი ან ავი“. წიგნი გადმომცა და მითხრა, რომ გასართობად წაიკითხე, როცა მოწყენილად იქნებიო: „როცა მოგწყინდეს, იკითხავდი მას გასართობად“. როგორც კი წერილი გადასცა ქალს, იგი მაშინვე წამოვიდა. ნინოს უთხოვია, წერილები სიბირიდგან (ციმბირიდან) გამომიგზავნეო. როგორც ჩანს, გიორგი დაჰპირდა წერილებს. ლექსი გრძელდება იმ ემოციით, რაც გიორგი დავანაძის ლექსად დაწერილი ავტობიოგრაფიის წაკითხვას

მოჰყვა. „ოხ უბედურო!“ - უნებური ამოოხვრაა პოეტი ქალისა, წუხილი და ვაება უდანაშაულო კაცის დასჯის გამო. მაგრამ ლექსი იმედით მთავრდება, თითქოს იქვე ჰყავდეს მეგობარი და ანუგეშებდეს:

„ნუ გემინის ღმერთი ადიდე,
მის სასოება შენს გულში ჩაიდე,
იქნება იმან ამ ქვეყნითვე შენ გაგამართლოს
ან საიქიოს სამართლისათვის შენ გაგანათლოს“.

როგორც ჩანს, ძალიან იმოქმედა ქალის რომანტიკულ ხასიათზე მეგობრის დაჭერის ამბავმა, ისედაც სევდიანი მისი განწყობა მეტად დაასევდიანა.

ნინო ყარანგოზიშვილს ლექსი აქვს მიძღვნილი მეუღლისადმი. მისი მეუღლე, როგორც ცნობილია, სამხედრო პირი იყო და ხშირად დადიოდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, ამავე დროს, პატივდებული აზნაური, ქართული ტრადიციებისა და სუფრის მოყვარე კაცი, ხშირად იყო წვეულებებზე (ამბობენ, რომ რაფიელ ერისთავის ქორწილის თამადობაც მას დაევალო). როგორც ჩანს, ამ ხშირმა სიარულმა, მეუღლის გვერდზე ნაკლებად გატარებულმა დრომ ნინოს რომანტიკულ ხასიათს მძიმე კვალი დააჩნია. „უნდა მნახო მაშინ ჩუმად, როდესაც მარტო დავრჩები, თავდახრილი, გულმტკინვარე არავის რას ვეუბნები“, - წერს ის.

როგორც ჩანს, ნინოს უჭირდა მარტოობა, თან უცხო მხარეში. „მე არ მინდა არც სიმდიდრე, არც სხვა რამე ფუფუნება“, - მიმართავს იგი მეუღლეს. პოეტი ქალისთვის მთავარი ადამიანია, რომელიც მის განცდებს გაიზიარებს. ალბათ, ამ ვითარებამ გამოიწვია მათი ოჯახის დაშლაც, რომ ქმარს თითქმის არ ეცალა ოჯახისთვის და ნინო მიუხედავად იმისა, რომ დიდად სტუმართმოყვარე ოჯახში ცხოვრობდა, მარტოობას განიცდიდა (ლექსი „გიგოს წასვლადზე“, 1875 წ.).

მის პოეზიაში მეტად სევდიანი შინაარსის ლექსებია, სამდურავი წუთისოფლისა, უკმაყოფილება ბედისა. ეს, ალბათ, მისი მძიმე ცხოვრებიდან გამომდინარეც, ქალს სურს, ჰქონდეს ფრთები, რომ გამოორდეს აქაურობას, იქნებ სხვაგან ჰპოვოს ბედნიერება. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ნინო ყარანგოზიშვილის პოეზიაში იკვეთება, ესაა იმ დროისთვის დამახასიათებელი ქალების გაუცხოება ოჯახებთან. ეს მათში სულიერ ტკივილს იწვევს. ეს მდგომარეობა, როგორც ჩანს, ნინო ყარანგოზიშვილსაც აწუხებდა: „გინდ ვეძებო ვერვის ვპოვებ იმგვარსა, რომ ვანდობდე ჩემი გულის პასუხსა“ („ფიქრის დროს“, 1873 წ., 3 ივნისი).

ის სამდურავს გამოთქვამს საზოგადოების ერთ ნაწილზე, რომელი ნაწილიც ქალს თავისუფლად ცხოვრებას უკრძალავს:

„რა ქნას ყმაწვილმა კარგმა ქალმა ამნაირ ხალხში,
ოდეს იმასა არვინ იტანს სულ არაფერში,
ხან მას უძრახვენ ჩასაცმელსა, ხან დახურვასა,
ხან მასვე ქალსა, ოდეს იწყებს ის ლაპარაკსა,
ისიც არ მოსწონთ უძახიან ძლიერ თამამსა“.

იმდროისათვის ქალების დიდი ნაწილის გულისტკივილი არის მათი უფუნქციობა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ეს საკითხი ნინო ყარანგოზიშვილის პოეზიაშიც იჩენს თავს. წუხილი ქალის მძიმე ბედზე, იმ გაუცხოების გამო, რაც მშობლებსა და შვილებს შორის, ქალსა და მამაკაცს შორის იყო, ძირითადად, ფურცლებზე აისახა. არც ნინო ყარანგოზიშვილია გამონაკლისი. მარტოსულ ქალს, როგორც ჩანს, მეგობრად კალამი და ქალაქი მიაჩნია. მას მხსენელი სჭირდებოდა. მის რომანტიკულ შინაგან სამყაროს, ცვალებად ემოციას, ალბათ, ძნელად გაიგებდა მაშინდელი საზოგადოების ნაწილი, ამიტომ გულისნადების გამზიარებელი მისთვის ფურცლები აღმოჩნდა; წერს კიდევ:

„მეც ვით პოეტი, ვიღებ კალამს,
და შენ, ქალადო, გამლევ სალამსა,
მაგრამ გთხოვ ამას, არვისთან გამთქვა,
რაც მეგობრულად შენთან წარმოვსთქვა“.

ესაა იმ დროის რეალური სურათი. ქალი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ოჯახში და გაეზარდა შვილები. მისი შინაგანი სამყარო ნაკლებად აინტერესებდა ოჯახს, მზითვს მშობლები შეუგროვებდნენ, საქმროსაც შეურჩევდნენ, მერე დიასახლისობის მძიმე ტვირთი ქალს უნდა ეზიდა. სწორედ ამ თემას ეხება ნინო ყარანგოზიშვილის ლექსი „მზითვის მაძებარს“. ლექსში მზითვის მაძებარი კაცები იმ ბულბულებს არიან შედარებულები, რომლებიც უეკლო ვარდებს ეძებენ და ფოთლებში არიან გაფურჩქნულნი. ნინო ყარანგოზიშვილი კი მიმართავს მათ (კაცებს): „თუ ვარდი გიყვარს, ვარდს ემონე და არა ფოთოლს“; და კიდევ: „შენ ნუ დაეძებ ბევრ ფოთოლსა, თვით იყოს კარგი“. პოეტ ქალს სწამს, რომ ცხოვრებაში მთავარი სიყვარულია და არა მზითვი, „რომე სიცოცხლე წუთისოფლის განვლო დამტკბარი“, უნდა შეიყვარო ქალი და არა - მისი მზითვი, ბედნიერება ქონებაში არ არის. ეს ის მდგომარეობაა, რომელიც

არაერთ ქალს აწუხებდა. არაერთი წერილი მიემღვნა ანგარებიანი ქორწინების საკითს. რა თქმა უნდა, ნინო ყარანგოზიშვილსაც, რომელიც მძაფრი ემოციებით განიცდიდა ყველაფერს, ყურადღების მიღმა არ დარჩენია ეს საკითხიც.

ნინო ყარანგოზიშვილის პოეზია არ არის მაღალმხატვრული. ის იკითხება მძიმედ და აქვს არქაული სტილისთვის დამახასიათებელი მოუქნელი ელფერი. ლექსების დიდი ნაწილი 14-მარცვლიანია, არის 10 და 12-მარცვლიანი ლექსებიც. ლექსების ძირითად ნაწილს აკლია რითმა და რიტმულობა, თუმცა ერთი რამ ცხადია, ნინო ყარანგოზიშვილს არ აქვს ამბიცია პოეტობისა. „მხოლოდ კალმის ადებით ვგავარ პოეტსო“, - წერს ის. ესაა ძალიან სევდიანი ქალის ცხოვრების ლექსად ნათქვამი განცდები: მშობლიური სოფლის მონატრება, წარსული (ბავშვობის) დროის დაბრუნების სურვილი. ეს არის მძიმე ცხოვრების მქონე ქალის ტკივილი, სამდურავის გამოხატვა წუთისოფლის მიმართ, მის დაუნდობლობაზე ჩივილი. ფაქტია, რომ ნინო ყარანგოზიშვილი კარგად იცნობდა ძველ მწერლობას, რაზეც მიუთითებს ვარდისა და ბულბულის ურთიერთობა (თეიმურაზ I, „ვარდბულბულიანი“), ფარვანასა და სანთლის ტრფიალი. ყველაზე დიდი შეფასება მაინც ნინო ყარანგოზიშვილის პოეზიისა გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებია: „მშვენიერი ლექსები“.

ნინო ყარანგოზიშვილის პოეზიის გაცნობისას იკვეთება რამდენიმე აქცენტი: მის პოეზიას გასდევს წუხილი ქალის მძიმე ბედზე, აქცენტირებულია ნოსტალგია, ბავშვობის მონატრება, მარტოობის განცდა, მის პოეზიას აქვს არქაული ენისთვის დამახასიათებელი მოუქნელი ელფერი. მისი ლირიკა გვიანი რომანტიზმის რკალში შეიძლება მოთავსდეს.

დასკვნა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე თვალსაჩინოა ქალთა გააქტიურება. ჩვენს სინამდვილეში თანდათანობით ყალიბდება საზოგადო მოღვაწე ქალის ტიპი, რომელიც სრულფასოვანი წევრი ხდება ქვეყნის ინტელექტუალური ცხოვრებისა.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში გამოვკვეთთ იმ ძირითად საკითხებს, რისთვისაც იბრძოდნენ ქალები, რასაც მოითხოვდნენ და თავიანთ შემოქმედებაში აშუქებდნენ.

ლიბერალიზმის ეპოქამ მოიტანა ქალთა საკითხის აქტუალიზაცია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა სამოციანელთა ახალი თაობა ახალი იდეოლოგიით, რომელიც, უპირველესად, ითვალისწინებდა ადამიანთა პიროვნულ თავისუფლებასა და ქალისა და მამაკაცის უფლებრივ თანასწორობას.

სამოციანელთა თაობის აქტიურობამ, მათ მიერ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილმა პუბლიცისტურმა წერილებმა „ქალთა საკითხის“ შესახებ და მათმა თანადგომამ გამოიწვია ქართველ ქალთა გააქტიურება, როგორც პუბლიცისტიკაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართველი ქალების მოღვაწეობა არ იყო ვიწრო პირადული ინტერესებით განპირობებული, მათი ფიქრი და მისწრაფება ქვეყნის მომავალი კეთილდღეობა იყო. ამიტომაც ქართველ ქალთა ძირითადი საქმიანობა იყო მასწავლებლობა (ხელსაქმის, ქსოვის, ჭრა-კერვის, მეფუტკრეობის, მებაღეობის სწავლება) და საგანმანათლებლო-ადმინისტრაციული სფეროში მუშაობა, ძირითადად, თარგმნა და წიგნების შეგროვება ბიბლიოთეკების გასახსნელად.

ქართველმა ქალებმა მიზნად დაისახეს, რომ თავიანთი განათლებით ხელი შეეწყობთ მომავალი თაობის წინსვლისათვის. ისინი მიდიოდნენ სასწავლებლად, სამშობლოში დაბრუნებულნი აარსებდნენ სკოლებს, ხელმძღვანელობდნენ სასწავლო პროცესს, ქმნიდნენ ყველა პირობას ბავშვების განათლებისთვის.

გამოიკვეთა ქალთა ორი კატეგორია: 1. ქალები, რომლებმაც იმდროინდელი სურათის, ყოფა-ცხოვრების კარგად დასაანახად პირადი ცხოვრების მაგალითები წერილობით გააშუქეს საზოგადოების წინაშე და ამ ფორმით ამხილეს მაშინდელი საზოგადოების მანკიერი ჩვეულებები (მელანია მამაცაშვილი, ანასტასია

თუმანიშვილი); 2. ქალები, რომლებმაც მხატვრული ტექსტებით, რეალურ ამბებზე დაყრდნობით, წარმოაჩინეს იმდროინდელი საზოგადოების მდგომარეობა.

ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ შემოქმედებაში ნაჩვენებია ქალის ჩაგრული ყოფა, მისი უუფლებო მდგომარეობა (განსაკუთრებით ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებში).

ქალთა ლიტერატურულ შემოქმედებაში გამოიკვეთა ანგარებიანი ქორწინების საკითხი, რომელიც არცთუ იშვიათი მოვლენა იყო იმ დროში. ქალი მწერლები გვიჩვენებენ, რა შედეგები მოსდევს ქალის ნებართვის გარეშე გათხოვებას. იგი მალევე უბედურებით მთავრდება, რაც კლავს და ანადგურებს ქალის სულიერ სამყაროს, უფერულს ხდის მის ცხოვრებას. ეს იყო ტრაგედია ქალთა ყოფისა.

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთი საყურადღებო თემაა ქალ მწერალთა შემოქმედებაში. მათ მიერ მხატვრულ ტექსტებში გამოიკვეთა მშობლების შვილებთან გაუცხოების პრობლემა. მათ გვიჩვენებს, რომ გოგონა ოჯახის სრულუფლებიან წევრად არ ითვლება, ვაჟისთვის უნდა მიეცა ოჯახს განათლება, ქონება, ქალი მხოლოდ მზითვს სჯერდებოდა, „სწავლა განათლება რა ქალის საქმეაო“ (ბარბარე ჯორჯაძე).

მწერალ ქალთა ინტერესის სფეროში მოქცეულია იმდროინდელი სოფლის ცხოვრება. მათ მხატვრულ ტექსტებში ასახულია გლეხების ყოფა-ცხოვრება. გლეხები შვილების სწავლა-განათლების საჭიროებას ვერ აცნობიერებენ და ჰგონიან, რომ მხოლოდ მიწაზე მუშაობით შეიძლება თავის რჩენა და ოჯახის გამოკვება. აღწერილია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქართულ სოფლებში, გაჭირვებული ადამიანების შრომა ლუკმაპურისთვის, არსებობისთვის, მლიქვნელობით, მოტყუებით თავის გატანა, ობოლი, გაჭირვებული, ნახევრად მშიერი ბავშვების მძიმე ცხოვრება.

ქალების მიერ დაწერილ მხატვრულ ტექსტებში ნაჩვენებია ადამიანური ურთიერთობებისაგან (მეგობრობისგან, სიყვარულისგან) დაცლილი სოფელი, სადაც ზოგიერთს პროფესიად მაქანკლობა გაუხდია და იოლი გზით ფიქრობს გამდიდრებას. პიესებში მაქანკლობა გამოკვეთილია, როგორც პროფესია.

ქალი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწარმოებებში კარგად ჩანს მათივე ფსიქოლოგია, სულის სიღრმე, წუხილი და ტკივილი. რადგან ქალს კარგად შეუძლია დაინახოს დაჩაგრული ადამიანის ბედი, ყოფა, ამიტომაც მათ მხატვრულ ტექსტებში, ძირითადად, უბედური, უსიყვარულო, ცხოვრებისაგან გზააზნეული ქალები

არიან წარმოდგენილი, რომლებიც მსხვერპლნი არიან იმ საზოგადოებისა, იმ სოციუმისა, რომელშიც ცხოვრობენ. მათ უჭირთ წინააღმდეგობების გადალახვა, უჭირთ სიყვარულის დაცვა, უჭირთ პროტესტის გამოხატვა და ბრძოლა თავიანთი უფლებების დასაცავად. სწორედ ასეთი ქალების ხვედრი აისახა ქართველ ქალთა მხატვრულ ტექსტებსა თუ პოეზიაში.

ერთი რამ ცხადია: იმ ეპოქაში, რომელშიც მოღვაწეობდნენ ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა და ის ახალგაზრდა თაობა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მრავალმხრივ, როგორც ქართული ლიტერატურის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების საქმეში, წარმოდგენილი იყო იმ დროში მოღვაწე ქართველი ქალები ასცდნოდნენ მათი იდეების ზეგავლენას. ჩვენ მიერ შესწავლილი მწერალი ქალების შემოქმედებას, ცხოვრებას, მოქმედებას, ატყვია სამოციანელთა რეალისტური სკოლის გავლენა. მაგრამ დასაფასებელია ქართველ ქალთა ის მონდომება, სურვილი და თავდაუზოგავი შრომა, რაც მათ საგანმანათლებლო საქმეში გამოამჟღავნეს. მათ გამოაფხიზლეს, გამოაცოცხლეს და იმედი ჩაუსახეს სხვა ქალებსაც.

წარმოდგენილი ქალების ცხოვრებითა და მოღვაწეობით, მხატვრული ნაწარმოებებით, წერილებით, ლექსებით გამოჩნდა მთავარი: მიუხედავად იმისა, რომ ქალი იყო დაჩაგრული და უპირატესობა ყველაფერში მამაკაცს ჰქონდა, ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რომ ქალი არ ჩამოუვარდებოდა მამაკაცს არც შრომით, არც გამბედაობით, არც განათლებით, არც სამშობლოსა და მის მომავალზე ფიქრით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველმა ქალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საქმეში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე 1959: აბზიანიძე. გ., ნარკვევები მე-19 ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1959.
2. ბაქრაძე 1881: ბაქრაძე დ., ქართველი ქალები, თბილისი, 1881.
3. ბერულავა 1973: ბერულავა ხ., ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, თბილისი, 1973.
4. ბოცვაძე 1973: ბოცვაძე ი., 70-80 -იანი წლების ქართული პრესა, თბილისი, 1973.
5. გეგეჭკორი 1977: გეგეჭკორი ლ., წლები და შეხვედრები, თბილისი, 1977.
6. გაფრინდაშვილი 1968: გაფრინდაშვილი მ., ნარკვევები მე-19 ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნებიდან, თბილისი, 1968.
7. გაბაშვილი 1953: გაბაშვილი ეკ., რჩეული ნაწერები, თბილისი, 1953.
8. გაგნიძე 2009: გაგნიძე მ., ქართველი საგანმანათლებლო კერებისა და პედაგოგიური განათლებისადმი ქართველ ქალთა სწრაფვის თაობაზე, თბილისი, 2009.
9. გუგუშვილი 1976: გუგუშვილი ქ., ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი, 1976.
10. გაჩეჩილაძე 2009: გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები მე-19 ს. ქართული დრამატურგიის და თეატრის შესახებ, თბილისი, 2009.
11. განათლებისადმი... 2009: განათლებისადმი ქართველ ქალთა სწრაფვის თაობაზე, იაკობ გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. ინსტ. თბილისი, 2009.
12. დონაძე 1970: დონაძე ვ., ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბილისი, 1970.
13. ერისთავი 1898: ერისთავი დ., განდევილის ლექსთა პირველი კრებული, თბილისი, 1898.

14. ერისთავი 1910: ერისთავი დ. განდევილის ლექსები და მოთხრობები, თბილისი, 1910.
15. ვართაგვა 1957: ვართაგვა ი., მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები. თბილისი, 1957.
16. ზანდუკელი 1936: ზანდუკელი მ. ხალხოსანი მწერლები ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 1936.
17. ზანდუკელი 1928: ზანდუკელი მ., თერგდალეულნი და ხალხოსნები (ეროვნულ-ლიტერატურული გამოკვლევის ცდა), თბილისი, 1928.
18. თავზიშვილი 1963: თავზიშვილი გ., ეკ. გაბაშვილი, მონოგრაფია, თბილისი, 1963.
19. კიკნაძე 1987: კიკნაძე მ., პირველი ქალი დრამატურგი, თბილისი, 1987.
20. კაკაბაძე 1981: კაკაბაძე ე., ეკ. გაბაშვილი ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, 1981.
21. კიკნაძე 1982: კიკნაძე ი., ეკ. გაბაშვილის თხზულებათა ენა და სტილი, თბილისი, 1982.
22. კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები ორ წიგნად, ტ. 2, თბილისი, 1965.
23. მინაშვილი 1979: მინაშვილი ს. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, თბილისი, 1979.
24. მეუნარგია 1957: მეუნარგია ი., ქართველი მწერლები, თბილისი, 1957.
25. მწერალთა... 2013: მწერალთა ავტობიოგრაფიები, თბილისი, ტ. 1. 2013.
26. ნიკოლაძე 1975: ნიკოლაძე რ., ცხოვრების დიდ გზაზე, თბილისი, 1975.
27. ნიკოლაძე 1970: ნიკოლაძე რ., დაუვიწყარი დღეები და წუთები, თბილისი, 1970.
28. ოზჩელი 1919: ოზჩელი ვ., ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა, თბილისი, 1919.

29. რადიანი 1952: რადიანი შ., ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1952.
30. საყვარელიძე 1958: საყვარელიძე რ., ქალთა პედაგოგიური განათლება მე-19 ს-ის საქართველოში, თბილისი, 1958.
31. საღირაშვილი 1998: საღირაშვილი ნ., ქართველი საბავშვო მწერლები, თბილისი, 1998.
32. სურგულაძე 1973: სურგულაძე ა., ქართული საზოგადოებრივი აზრი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1973.
33. სახელმძღვანელო... 1909: სახელმძღვანელო ძველი და ახალი აღთქმის შესასწავლად, „მწყემსის“ რედაქციის სტამბა, თბილისი, 1909.
34. წერილები... 2015: წერილები თედო რაზიკაშვილის არქივიდან, თბილისი, 2015.
35. სულაბერიძე 2010: სულაბერიძე დ., ეროვნული კონცეფცია და საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებები (გიორგი წერეთელი), თბილისი, 2010.
36. ქარელიშვილი 1980: ქარელიშვილი ი., ეკ. გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, 1980.
37. ქართული 1989: ქართული მწერლობა, ტ. 25., გაბაშვილი ეკატერინე, თბილისი, 1989.
38. ქართული 1985: ქართული პროზა, ტ. 13. თბილისი, 1985.
39. ქარელიშვილი 1959: ქარელიშვილი ი., ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1959.
40. ჩიხლაძე 1976: ჩიხლაძე ნ., ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, თბილისი, 1976.
41. ჩოლოყაშვილი 2011: ჩოლოყაშვილი რ., დემოკრატიული ღირებულებები საქართველოში, თბილისი, 2011.
42. ცაიშვილი 1955: ცაიშვილი ს., სახალხო განათლების ქრთველი მოღვაწენი და სახალხო მასწავლებლები, თბილისი, 1955.
43. ციციშვილი 2015: ციციშვილი თ., ქართული რეალიზმის სათავეებთან, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2015.

44. ხელთუბნელი 1941ა: ხელთუბნელი მ., ანასტასია თუმანიშვილი (მონოგრაფია), თბილისი, 1941.
45. ხელთუბნელი 1941ბ: ხელთუბნელი მ. საბავშვო ლიტერატურის მოამაგე, თბილისი, 1941.
46. ხომერიკი 2005: ხომერიკი ლ., ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა მე-19 ს. მეორე ნახევარში, თბილისი, 2005.
47. ჯანელიძე 2015: ჯანელიძე ო., ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 2015.
48. ჯოლოგუა 2013: ჯოლოგუა თ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბილისი, 2013.
49. ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა., წერილები, თბილისი, 1989.
50. ჯანელიძე 1959: ჯანელიძე ო., მე-19 აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1959.
51. ჯორჯაძე 1986: ჯორჯაძე ბ., ლექსები, პიესები, მოთხრობები, წერილები, თბილისი, 1986.
52. საზრისი... 2009: „საზრისი“ - შრომების კრებული, იაკობ გოგობაშვილის სახ. პედ. მეც. ინსტიტუტი. თბილისი, 2009.
53. მილი 2006: მილი ჯ. ს., ლიბერალიზმის საფუძვლები, თბილისი, 2006.
54. მასწავლებლები... 1955: მასწავლებლები, კრებული 2, თბილისი, 1955.
55. მე-19 საუკუნის... 2013: მე-19 საუკუნის მხატვრული კულტურა საქართველოში, თბილისი, 2013.
56. გათრი 1983: გათრიუ, 1983 ბერძენი ფილოსოფოსები, თბილისი, 1983.
57. ქალთა... 2011: ქალთა საკითხი საქართველოში მე-19 საუკუნის მიჯნაზე, კრებული, თბილისი, 2011.
58. საგამოფენო... 1981: საგამოფენო მასალები სკოლებისა და საბავშვო ბიბლიოთეკებისთვის, თბილისი, 1981.
59. ახალი... 2010: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2. თბილისი, 2010.

60. გაზეთი „კავკაზი“, 1854, N56.
61. გაზეთი „დროება“, 1871, N34.
62. გაზეთი „დროება“, 1876, N22.
63. გაზეთი „დროება“, 1868, N1, N3, N12, N6.
64. გაზეთი „დროება“, 1879, N182, N250.
65. გაზეთი „დროება“, 1880, N201.
66. გაზეთი „დროება 1881, N65, N66.
67. გაზეთი „დროება“, 1880, N217.
68. გაზეთი „დროება“, 1883, N225.
69. გაზეთი „ივერია“, 1885, N6.
70. გაზეთი „ივერია“, 1886, N228 .
71. გაზეთი „ივერია“, 1895, N77.
72. გაზეთი „ივერია“, 1889, N63.
73. გაზეთი „ივერია, 1895, N78.
74. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1898, N703.
75. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1896, N20-9.
76. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1906, N30-03.
77. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1906, N79.
78. გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1910, N2.
79. გაზეთი „სახალხო გაზეთი,“ 1910, N10.
80. გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1911, N12.
81. გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1912, N66.
82. გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1914, N25.
83. გაზეთი სახალხო ფურცელი“, 1915, N205.
84. გაზეთი სახალხო ფურცელი“, 1916, N261.
85. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1915, N235.
86. გაზეთი „თემი“, 1913, N111.
87. გაზეთი „შრომა“, 1881, N16.
88. გაზეთი „შრომა“, 1881, N16.
89. გაზეთი „რეზონანსი“, 2018, N38.
90. ჟურნალი „მნათობი“, 1925, N1.

91. ჟურნალი „მნათობი“, 1938, N8.
92. ჟურნალი „ცისკარი“, 1861, N2, N3, N4, N5, N6.
93. ჟურნალი „ცისკარი“, 1862, N2.
94. ჟურნალი „კვალი“, 1893, N17.
95. ჟურნალი „კვალი“, 1895, N77.
96. ჟურნალი „კვალი“, 1893, N14.
97. ჟურნალი „კვალი“, 1893, N18.
98. ჟურნალი „კვალი“, 1895, N17.
99. ჟურნალი „კვალი“, 1894, N9.
100. ჟურნალი „კვალი“, 1897, N10.
101. ჟურნალი „მწყემსი“, 1895, N8.
102. ჟურნალი „ნაკადული“, 1909, N4, N11, N28.
103. ჟურნალი „ნაკადული“, 1910, N10, N12.
104. ჟურნალი „მნათობი“, 1932, N1.
105. ჟურნალი „საყმაწვილო ლიტ. მოამბე“, 1968, N1.
106. ჟურნალი „ჯეჯილი“, 1910, N7.
107. ჟურნალი „ჯეჯილი“, 1908, N10, N11.
108. ჟურნალი „ჯეჯილი“, 1909 N 5
109. ჟურნალი „ჯეჯილი“, 1911, N5, N11.
110. ჟურნალი „ჯეჯილი“, 1890, N1.
111. ჟურნალი „ჯეჯილი“, 1903, N10, N11.
112. ჟურნალი „ჯეჯილი“, 1891, N1, N3.
113. ჟურნალი „საქართველოს ქალი“, 1979, N2.
114. ჟურნალი „საქართველოს ქალი“, 1979, N3.
115. ჟურნალი „პიონერი“, 1949, N10.
116. კ. კ. ს. ხ. ე. ც. : კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის პირადი არქივი ფონდი: N968, N970, N971, N976, N983, N984, N988, N998, N986, N983.
117. კ. კ. ს. ხ. ე. ც. : კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ანასტასია თუმანიშვილის არქივი,

N242, N243, N244, N245, N259, N248, N254, N256, N259, N261, N265, N272, N274, N278, N279.

118. კ. კ. ს. ხ. ე. ც. : კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ეკ. გაბაშვილის არქივი ფონდი: N419.
118.

119. კ. კ. ს. ხ. ე. ც. : კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი: N420, N423, N767.

120. კ.კ.ს.ხ.ე.ც. : კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილიას ფონდი: N475, N468, N344.

121. ლიტ. მუზეუმი: გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, აკაკი წერეთლის ფონდი: N372, N2488, N2489.

122. ლიტ.მუზეუმი: გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ალექსანდრე ხახანაშვილის ფონდი: N121, N212.